საქართველოს მთავრობის

დადგენილება №348

2015 წლის 14 ივლისი

ქ.თბილისი

ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს თანდართული ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების:

ა) თურქულის დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ და საკარანტინო ღონისძიებათა წესი (დანართი №1);

ბ) ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი (დანართი №2);

გ) ცხოველების ბრუცელოზთან ბრძოლის პროფილაქტიკურ - საკარანტინო წესი (დანართი №3);

დ) ცხოველების ტუბერკულოზთან ბრძოლის პროფილაქტიკურ - საკარანტინო წესი (დანართი №4);

ე) ცხოველების ცოფთან ბრძოლის პროფილაქტიკურ - საკარანტინო წესი (დანართი №5);

ვ) ღორის კლასიკურ ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი (დანართი №6);

ზ) ღორის აფრიკულ ჭირთან (ცხელებასთან) ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი (დანართი №7);

თ) ნიუკასლის (ფრინველის ჭირი) დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი (დანართი №8);

ი) ფრინველის გრიპთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა წესი (დანართი №9);

კ) ცხოველის ზოგიერთი დაავადების კონტროლის ზოგადი ზომებისა და ღორის ვეზიკულარულ დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი (დანართი №10).

ლ) „ფუტკრის ამერიკულ სიდამპლესთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი“ (დანართი №11);

მ) „ფუტკრის ტროპილელაფსოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი“ (დანართი №12);

ნ) „ფუტკრის მავნებლის – სკის მცირე ხოჭოსთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი“ (დანართი №13);

ო) „ცხვრისა და თხის ყვავილთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი“ (დანართი №14);

ჰ) „წვრილფეხა საქონლის ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი“ (დანართი №15);

[ჟ) „ცხენის აფრიკულ ცხელებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი“ (დანართი №16). *(ამოქმედდეს 2027 წლის 1 აპრილიდან)]*

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) ,,ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველთა საკარანტინო წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №420 დადგენილება;

ბ) „საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით განსაზღვრული „ა” და „ბ“ ჯგუფების საშიში გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 16 სექტემბრის №2-217 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №597 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 - ვებგვერდი, 23.12.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №586 - ვებგვერდი, 22.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აპრილის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 26.04.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №529 - ვებგვერდი, 10.11.2026წ.

მუხლი 1[1]

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების გასატარებლად ვაქცინების შესყიდვა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ვაქცინის შესყიდვის დროს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, სულ მცირე, შემდეგი მოთხოვნები:

ა) შესყიდულ უნდა იქნეს „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ნოემბრის №205 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე ქვეყანაში წარმოებული და ამ ქვეყნების ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს – ევროპის წამლების სააგენტოს (European Medicines Agency) მიერ რეგისტრირებული ვაქცინა;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვაქცინა ან ვერ ხერხდება ასეთი ვაქცინის შესყიდვა, შესყიდულ უნდა იქნეს „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ნოემბრის №205 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე ქვეყნის ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს – ევროპის წამლების სააგენტოს (European Medicines Agency) მიერ რეგისტრირებული ვაქცინა;

გ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვაქცინა ან ვერ ხერხდება ასეთი ვაქცინის შესყიდვა, შესყიდულ უნდა იქნეს ისეთი ვაქცინა, რომელიც გამოყენებულია „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ნოემბრის №205 დადგენილებით განსაზღვრულ რომელიმე ქვეყანაში, იმ პერიოდიდან, როდესაც აღნიშნული ქვეყანა დამატებულ იქნა ზემოთ ხსენებული დადგენილებით განსაზღვრულ სიაში, რაც უნდა დასტურდებოდეს ვაქცინის შესყიდვის საკვალიფიკაციო ეტაპზე პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ზემოთ აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული არანაკლებ ერთი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს ამ ვაქცინის წარმატებით გამოყენებას ან ისეთი ვაქცინა, რომლის თითოეულ მოწოდებულ სერიაზე ჩატარებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ან

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ დასახელებული რეფერენს სტატუსის მქონე ლაბორატორიის/ცენტრის კვლევები, სულ მცირე, შემდეგ მახასიათებლებზე: სტერილურობა, უვნებლობა, პოტენცია ან/და იმუნოგენურობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს;

დ) ვაქცინა მოწოდებისას უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №586 – ვებგვერდი, 22.12.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №401 – ვებგვერდი, 17.10.2023წ.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ღორის აფრიკულ ჭირთან (ცხელებასთან) ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (დანართი №7) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ღორის აფრიკულ ჭირთან (ცხელებასთან) ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (დანართი №7) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3

დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (დანართი №2) მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის მოქმედება შეჩერდეს 2026 წლის პირველ იანვრამდე.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

მუხლი 4

2026 წლის პირველ იანვრამდე ჯილეხით მკვდარი ცხოველის განკარგვასთან მიმართებით, როგორც გამონაკლისი და დროებითი ზომა, ჯილეხით მკვდარი ცხოველი დაექვემდებაროს დაწვას ან/და დამარხვას, რაც უნდა განხორციელდეს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:
1. დაწვისას:

ა) დაწვა უნდა განხორციელდეს შესაფერის ადგილას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცეცხლის გავრცელების რისკები;

ბ) უნდა გაიჭრას 0.5 მ სიღრმის ორმო, რომლის სიგრძე და სიგანე აღემატება ლეშის ზომას 30 სანტიმეტრით თითოეულ მხარეს. 30 სმ სიგანისა და 30 სმ სიღრმის თხრილი უნდა ამოითხაროს ორმოს ფსკერის ცენტრში, მის მთელ სიგრძეზე, რათა შეასრულოს ჰაერის სადინრის ფუნქცია ცეცხლისთვის ლეშის ქვეშ. თხრილი და ორმოს ფსკერი უნდა დაიფაროს ჩალით, რომელიც გაჟღენთილი უნდა იყოს დიზელის საწვავით. შეშა და/ან ნახშირი უნდა მოთავსდეს ორმოში თითქმის მიწის დონემდე. ყველა მასალა გაჟღენთილი უნდა იყოს დიზელის საწვავით;

გ) ლეში და მასთან დაკავშირებული ყველა მასალა (ქვეშსაფენი, საკვები და ნებისმიერი სითხე, რომელიც გამოყოფილია ლეშიდან, ნიადაგი, რომელიც პოტენციურად დაბინძურებულია (ლეშის გარშემო, სულ მცირე, 20 – 30 სმ-ით მოჭრილი ნიადაგი) და ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც შეიძლება, იყოს დაბინძურებული) განთავსებულ უნდა იქნეს დასაწვავად გამოყოფილ ადგილზე;

დ) დიზელის დამატებითი საწვავი უნდა მოესხუროს ლეშზე;

ე) სრული დაწვის შემდეგ ნამწვავი მიწით უნდა დაიფაროს.

2. თუ დაწვა არ არის შესაძლებელი, მისაღებია ღრმა დამარხვა:

ა) თუ ერთი ან რამდენიმე ლეში უნდა დაიმარხოს, რეკომენდებულია ადგილზე დამარხვა, რათა შემცირდეს ლეშის გადაადგილების არეალი, დაბინძურების შესაძლო გავრცელება და სხვა ცხოველებსა და ხალხზე ზემოქმედების რისკი. დასამარხი ადგილი ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიწის დაბინძურება. ამისთვის უნდა ამოიჭრას არანაკლებ 2-მეტრიანი ორმო, ლეშის ზედა ნაწილი უნდა იყოს, სულ მცირე, 1 მ მიწის ქვეშ და ლეშ(ებ)ის და მასთან/მათთან დაკავშირებული ყველა მასალა უნდა მოთავსდეს ორმოში და სრულად დაიფაროს კირით. ამ ფენას უნდა მოესხას

კირიანი წყალი და ლეში დაიფაროს მიწით;

ბ) დიდი რაოდენობით ცხოველების დამარხვის შემთხვევაში, დასამარხი ადგილის შერჩევა ხდება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს თანხმობით. დამარხვისას შემდეგი გარემოებები უნდა იყოს გათვალისწინებული:

ბ.ა) ორმო უნდა იყოს მინიმუმ 150 მეტრში ნებისმიერი ზედაპირული წყლისა და ჭისგან;

ბ.ბ) დამარხვა სითხის გამტარ ნიადაგში, როგორებიცაა, ხრეშები, ქვიშები ან თიხნარი ნიადაგი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული;

ბ.გ) დიდი ზომის ცხოველთა ლეშები უნდა განთავსდეს ერთ ფენად. პატარა ცხოველების ლეშები შეიძლება განთავსდეს ფენებად, რომლებიც არ აღემატება დიდი ცხოველის ლეშის სიღრმეს, მაგრამ არა უმეტეს ორი ფენა ლეშისა. დასამარხად შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გაიჭრას 3 მ სიღრმის ორმო, რომლის ფსკერი ისტორიულად დაფიქსირებული მიწისქვეშა წყლის დონიდან უნდა იყოს არანაკლებ 3 მ-ზე ზემოთ; ლეშ(ებ)ი თავსდება ორმოში ფენად ან ფენებად, იფარება კირით და ფენა სველდება კირიანი წყლით, შემდეგ იფარება ნიადაგით ისე, რომ ლეშები არ ჩანდეს, მეორე ფენად თავსდება სხვა ლეშები, კვლავ იფარება კირით და სველდება კირიანი წყლით და ეყრება ნიადაგი ისე, რომ ლეშები არ გამოჩნდეს. ბოლო ფენაზე ნიადაგის გორაკი უნდა გაკეთდეს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №21 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.

ცხოველების თურქულთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თურქული (Aphtae epizootical) - ცხოველთა მაღალკონტაგიოზური, მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს 100%-მდე ავადობის მაჩვენებელი და იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. ავადდება მსხვილფეხა საქონელი, ღორი, ასევე ცხვარი, თხა და სხვა წყვილჩლიქიანი მცოხნავები, ყველა სახეობის ირემი, ანტილოპა, სპილო და ჟირაფი. დაავადებისადმი უფრო მგრძნობიარენი არიან ინტენსიურად მოშენებული ჯიშები, ვიდრე ტრადიციული.

2. თურქულის აღმძვრელია რნმ-ის შემცველი ვირუსი Picornaviridae-ს ოჯახიდან. ანტიგენური თვისებების მიხედვით მას ჰყოფენ 7 სეროლოგიურ შტამად (A, O, C, Sat1, Sat2, Sat3, Asia1). თითოეული მოითხოვს სპეციფიკურ ვაქცინას, რათა ჩამოყალიბდეს იმუნიტეტი ვაქცინირებულ ცხოველში. ვირუსი გვხვდება დაინფიცირებული ცხოველის ყველა გამონაყოფში. რძესა და სპერმაში ვირუსის არსებობა აღინიშნება კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე 4 დღით ადრე. ვირუსი საკმაოდ მდგრადია, მთის საძოვარზე მან შეიძლება გაძლოს მომავალ სეზონამდე, დამდგარ წყალში წლის ცივ პერიოდში ცოცხლობს 103 დღე, ზაფხულში - 21 დღე, შემოდგომაზე - 49 დღე, ცხოველის ბალნიან საფარზე - 50 დღე.

3. ცხოველის თურქულით დაინფიცირება ხდება აირწვეთოვანი ან ორალური გზით, დაავადებულის ჯანმრთელთან კონტაქტით, ასევე ვირუსით დაბინძურებული საკვების, წყლის, ქვეშსაფენის, მოვლის საგნების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრანსპორტის, ნედლი ან არასაკმარისად მომზადებული ცხოველური პროდუქტების საშუალებით. პასიური გადამტანები არიან ფრინველები და ადამიანები, ასევე არაამთვისებელი ცხოველები, რომელთაც დაავადების აღმძვრელი შეიძლება გადაიტანონ 80 კმ-მდე მანძილზე.

4. დაავადება გვხვდება წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ მის აფეთქებას უპირატესად ადგილი აქვს შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში. ინკუბაციური პერიოდი 2-დან 7 დღემდე გრძელდება, იშვიათად – 21 დღემდე. დაავადებას ახასიათებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენის, ტუჩების, ცურის კანისა და

ჩლიქთაშორისი ნაპრალის აფტოზური დაზიანებები, აგრეთვე ცხელება, ჰიპერსალივაცია, წონის, წველისა და მადის დაქვეითება. კლინიკური ნიშნების გამოვლენა დამოკიდებულია ვირუსის შტამზე, ცხოველის ასაკსა და სახეობაზე, ამასთან უპირატესად ვლინდება უფრო მსხვილფეხა საქონელსა და ინტენსიურად მოშენებულ ღორებში, ვიდრე ცხვარსა და თხაში. მოზარდი დაინფიცირებული თურქულის გამომწვევი ვირუსით შესაძლოა მოკვდეს აფტოზური წყლულების განვითარებამდე გულის კუნთის დაზიანების გამო.

5. თურქულის დაავადებაზე ეპიდემიოლოგიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ამთვისებელი ცხოველები** - მცოხნავების, არამცოხნავების, კოჟრფეხიანების ქვერიგის ნებისმიერი შინაური ან გარეული ცხოველი წყვილჩლიქიანთა რიგიდან. კონკრეტული ზომებისათვის ამ წესის მე-14 და 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებისას ამთვისებელ ცხოველებად შესაძლოა მიჩნეულ იქნენ მღრღნელებისა და ხორთუმიანების გვარის წარმომადგენლები;

ბ) **სადგომი** - სასოფლო-სამეურნეო ან სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა, მათ შორის ცირკი, სადაც ამთვისებელ ცხოველებს ინახავენ ან ამრავლებენ დროებით ან მუდმივად. ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით ეს განმარტება არ მოიცავს საცხოვრებელ შენობებს, თუ ამთვისებელი ცხოველები მუდმივად ან დროებით არ იმყოფებიან მასში, სასაკლაოებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებს ან ისეთი ზომის შემოღობილ ტერიტორიებს, სადაც არიან ამთვისებელი ცხოველები და შესაძლებელია მათზე ნადირობა და შეუძლებელია ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრული ზომების გატარება;

გ) **ჯოგი** - სადგომში მყოფი ცხოველის ან ცხოველთა ჯგუფის ეპიდემიოლოგიური ერთეული. თუ სადგომში იმყოფება ერთზე მეტი ჯოგი, მაშინ თითოეული მათგანი წარმოადგენს ცალკეულ ერთეულს და აქვს ჯანმრთელობის ერთი და იგივე სტატუსი;

დ) **მფლობელი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს ამთვისებელი ცხოველი საკუთრებაში ან მფლობელობაში, ან უვლის, ფინანსური მოგების ან სხვა მიზნით;

ე) **სახელმწიფო ვეტერინარი ექიმი (შემდგომში - „სახელმწიფო ვეტერინარი“)** - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

ვ) **ავტორიზაცია** - სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა, რომლის ასლიც ხელმისაწვდომია შემდგომი შემოწმებისათვის;

ზ) **საინკუბაციო პერიოდი** - ინფექციის შეჭრასა და კლინიკური ნიშნების გამოვლენას შორის დროის ინტერვალი. კერძოდ, მსხვილფეხა საქონლისთვის და ღორისებრთა ცხოველებისთვის 14 დღე, ცხვარში, თხაში და სხვა ნებისმიერი ამთვისებელი ცხოველებისთვის 21 დღე;

თ) **დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველი** - ნებისმიერი შინაური და გარეული ამთვისებელი ცხოველი, რომელსაც აქვს თურქულის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები ან სიკვდილის შემდგომი დაზიანებები ან რეაქცია იმ ლაბორატორიულ გამოკვლევებზე, რომლებიც იძლევა საფუძვლიან ეჭვს თურქულის დაავადებაზე;

ი) **კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველი** - ამთვისებელი ცხოველი, რომელიც შეგროვებული (მოპოვებული) ეპდემიოლოგიური ინფორმაციის თანახმად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ექვემდებარება ვირუსის ზეგავლენას (ექსპოზიციას);

კ) **თურქულის შემთხვევა ან დაინფიცირებული ცხოველი** - ნებისმიერი ამთვისებელი ცხოველი ან ამ

ცხოველის ტანხორცი, რომელშიც ამ მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტში მითითებული განმარტების გათვალისწინებით თურქულის დაავადების არსებობა ოფიციალურად დასტურდება ლაბორატორიული გამოკვლევით ან თურქულის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომების ან სიკვდილის შემდგომი დაზიანებების გამოვლენით;

ლ) **დაავადების აფეთქება** - სადგომი, სადაც განთავსებულია ამთვისებელი ცხოველები და ვლინდება ქვემოთ მითითებული ერთი ან მეტი კრიტერიუმი:

ლ.ა) თურქულის დაავადების გამომწვევი ვირუსი გამოყოფილია ცხოველიდან, ამ ცხოველიდან მიღებული პროდუქტიდან ან მის გარემოდან;

ლ.ბ) თურქულის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები აღმოჩენილია ამთვისებელ ცხოველში და იმავე ეპიდემიოლოგიური ჯგუფის ცხოველიდან ან ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში გამოვლენილია და იდენტიფიცირებულია თურქულის დაავადების გამომწვევი ვირუსის ერთი ან მეტი სეროტიპისთვის დამახასიათებელი ვირუსის ანტიგენი ან ვირუსის რიბონუკლეინის მჟავა (RNA);

ლ.გ) თურქულის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები აღმოჩენილია ამთვისებელ ცხოველში და ცხოველი ან მისი შთამომავლობა დადებითია თურქულის დაავადების გამომწვევ ვირუსის სტრუქტურულ ან არასტრუქტურულ ცილების ანტისხეულებზე, იმ პირობით, რომ წინა ვაქცინაციები, ნარჩენი დედისეული ანტისხეულები ან არასპეციფიკური რეაქციები შეიძლება გამოირიცხოს, როგორც სეროპოზიტიურობის შესაძლო მიზეზები;

ლ.დ) ამთვისებელი ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში გამოვლენილია და დადგენილია თურქულის დაავადების გამომწვევი ვირუსის ერთი ან მეტი სეროტიპისთვის დამახასიათებელი ვირუსის ანტიგენი ან ვირუსის რიბონუკლეინის მჟავა (RNA) და ცხოველები დადებითია თურქულის დაავადების ვირუსის სტრუქტურული ან არასტრუქტურული ცილების ანტისხეულებზე, იმ პირობით, რომ სტრუქტურული ცილების ანტისხეულების შემთხვევაში წინა ვაქცინაციები, ნარჩენი დედისეული ანტისხეულები ან არასპეციფიკური რეაქციები შეიძლება გამოირიცხოს, როგორც სეროპოზიტიურობის შესაძლო მიზეზები;

ლ.ე) ეპიდემიოლოგიური კავშირი დადგინდა თურქულის დაავადების დადასტურებულ აფეთქებასთან და გამოიყენება არანაკლებ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ლ.ე.ა) ერთი ან მეტი ცხოველი დადებითია თურქულის დაავადების გამომწვევ ვირუსის სტრუქტურული ან არასტრუქტურულ ცილების ანტისხეულებზე, იმ პირობით, რომ წინა ვაქცინაციები, ნარჩენი დედისეული ანტისხეულები ან არასპეციფიკური რეაქციები შეიძლება გამოირიცხოს, როგორც სეროპოზიტიურობის შესაძლო მიზეზები;

ლ.ე.ბ) ამთვისებელი ცხოველებიდან აღებულ ნიმუშებში გამოვლენილია და იდენტიფიცირებულია თურქულის დაავადების გამომწვევი ვირუსის ერთ ან მეტი სეროტიპისთვის დამახასიათებელი ვირუსული ანტიგენი ან ვირუსული რიბონუკლეინის მჟავა (RNA);

ლ.ე.გ) ერთ ან მეტ ამთვისებელ ცხოველში დადგინდა თურქულის გამომწვევით აქტიური დაინფიცირების სეროლოგიური მონაცემები, ვირუსის სტრუქტურული ან არასტრუქტურული ცილების ანტისხეულებზე უარყოფითიდან დადებითისკენ სეროკონვერსიის გამოვლენით და წინა ვაქცინაციები, ნარჩენი დედისეული ანტისხეულები ან არასპეციფიკური რეაქციები შეიძლება გამოირიცხოს, როგორც სეროპოზიტიურობის შესაძლო მიზეზები;

ლ.ე.დ) თუ ორ ან მეტ შემთხვევაზე მიღებული სერონეგატიური შედეგი იწვევს გონივრულ ეჭვს, სეროკონვერსიის გამოვლენა უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცილების შემთხვევაში - იმავე ცხოველებიდან აღებულ წყვილ ნიმუშში არანაკლებ 5 დღიანი ინტერვალით, და არასტრუქტურული ცილების შემთხვევაში - არანაკლებ 21 დღიანი ინტერვალით;

ლ.ე.ე) თურქულის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები აღმოჩენილია ამთვისებელ ცხოველებში;

მ) **თურქულის პირველადი აფეთქება** - დაავადების გამოვლენა, რომელიც არ არის

ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული ქვეყნის იმავე რეგიონში წინა გამოვლენასთან, ან პირველი გამოვლენა ქვეყნის სხვა რეგიონში;

ნ) **მოკვლა/დახოცვა** - ნებისმიერი პროცესი, რომელმაც გამოიწვია ცხოველის სიკვდილი;

ო) **გადაუდებელი დაკვლა** - ცხოველის დაკვლა გადაუდებელ შემთხვევებში, მათ შორის, კეთილდღეობის მიზეზით, რომელიც ეპიდემიოლოგიური მონაცემების ან კლინიკური დიაგნოზის ან ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის საფუძველზე არ მიიჩნევა თურქულის ვირუსით ინფიცირებულად ან კონტამინირებულად;

პ) **გადამუშავება** - მაღალი რისკის მასალისადმი განხორციელებული დამუშავების ერთ-ერთი სახე თურქულის გამომწვევი ვირუსის განეიტრალების მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსის გავრცელების რისკი;

ჟ) **რეგიონალიზაცია** - შეზღუდული ზონა, სადაც დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედებს აკრძალვები ზოგიერთი ცხოველის ან ცხოველური პროდუქტის გადაადგილებაზე ან ვაჭრობაზე, დაავადებისაგან თავისუფალ იმ ზონაში, სადაც არ არის დაწესებული აკრძალვები;

რ) **რეგიონი** - არანაკლებ 2000 კმ^2 ტერიტორია, რომელიც ექვემდებარება სააგენტოს მიერ გასატარებელ ზომებს;

ს) **გადაუდებელი ვაქცინაცია** - ამ წესის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვაქცინაცია;

ტ) **დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაცია** - გადაუდებელი ვაქცინაციის სახე, რომელიც ტარდება გარკვეულ არეალში მყოფ სადგომებში/დროებით სადგომებში განთავსებულ ამთვისებელი ცხოველების დაცვის მიზნით, თურქულის ვირუსის აერწვეთოვანი ან მექანიკური გზით გავრცელების საწინააღმდეგოდ და სადაც ცხოველები გამიზნულია დარჩეს ცოცხალი ვაქცინაციის შემდეგ.

უ) **დამთრგუნავი (შემაკავებელი) ვაქცინაცია** - გადაუდებელი ვაქცინაციის სახე, რომელიც ტარდება სანიტარიულ დაკვლასთან ერთად სადგომში/დროებით სადგომში ან ტერიტორიაზე, სადაც გადაუდებელი საჭიროებაა თურქულის გამომწვევი ვირუსის ცირკულირებისა და პერიმეტრს იქით გავრცელების რისკის შემცირებისა. ცხოველები ვაქცინაციის შემდეგ ექვემდებარებიან განადგურებას;

ფ) **გარეული ცხოველი** - ამთვისებელი ცხოველი, რომელიც ბინადრობს სადგომის/დროებითი სადგომის ან ამ წესის მე-14-მე-15 მუხლებში განსაზღვრულ შენობის მიღმა;

ქ) **დაავადების პირველადი შემთხვევა გარეულ ცხოველებში** - თურქულის დაავადების ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც აღმოჩენილია იმ არეალში ბინადარ გარეულ ცხოველში, სადაც არ გატარებულა ღონისძიებები ამ წესის 86-ე მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტების შესაბამისად;

ღ) **ხორცის ნახევარფაბრიკატი** – ახალი ხორცი, მათ შორის, ფრაგმენტებად დანაწევრებული ხორცი, რომელსაც დაემატა საკვები საშუალებები, სუნელ-სანელებლები ან სხვა საკვებდანამატები, ან რომელმაც გაიარა გადამუშავების არასაკმარისი პროცესი იმგვარად, რომ ხორცის შიდა კუნთოვანი ქსოვილის ბოჭკოს არ დაუკარგავს ახალი ხორცისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა;

ყ) **გატარებული ხორცი** - ძვლებგამოცლილი ხორცი, რომელიც ფრაგმენტებად დაქუცმაცდა და შეიცავს 1%-ზე ნაკლებ მარილს;

შ) **ხორცის პროდუქტი** - გადამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიიღება ხორცის გადამუშავებით ან გადამუშავებული ხორცის შემდგომი გადამუშავებით ისე, რომ ხორცის გადანაჭერის ზედაპირს აღარ ახასათებს ახალი ხორცისთვის დამახასიათებელი ნიშნები;

ჩ) **ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვე** - ნებისმიერი გეოგრაფიული ზონა 10 კილომეტრის რადიუსით იმ სადგომის გარშემო, სადაც მოთავსებულია თურქულის ამთვისებელი ან დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველები და აღნიშნულ ტერიტორიაზე ამთვისებელი ცხოველების განთავსება ერთ კვადრატულ კილომეტრზე აღემატება 1000 სულს ან სადგომში ერთ კვადრატულ კილომეტრზე- 450 სულს;

ც) 24/48 საათიანი წესი - მე-9 მუხლში მითითებულ სადგომებში, სადაც განთავსებულია დაინფიცირებული ჯოგი, შეუძლებელია დაავადების აღმოფხვრა მისი დადასტურებიდან 24 საათის განმავლობაში და დაინფიცირებაზე ან კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველების პრევენციული დახოცვა შეუძლებელია განხორციელდეს ბიო-უსაფრთხოების წესების დაცვით 48 საათზე ნაკლებ დროში;

ძ) (F_0)- ბაქტერიის სპორების მომაკვდინებელი ეფექტი; როდესაც F_0 = 3-ს პროდუქტის ყველაზე ცივი ადგილი ცხელდება იმ დონეზე, რომ მიიღწეს იგივე მომაკვდინებელი ეფექტი, რაც მიიღწევა 3 წუთის განმავლობაში 121°C-ზე;

წ)..რძის პროდუქტი – გადამუშავებული პროდუქტი, რომელიც მიიღება ნედლი რძის გადამუშავებით ან ამ გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი გადამუშავების შედეგად და რომელიც მოიცავს რძის პროდუქტს.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. თურქულის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. მფლობელი ან ნებისმიერი პირი, რომელიც თან ახლავს ამთვისებელ ცხოველს ტრანსპორტირების დროს, ვალდებულია, თურქულის საეჭვო ან დადასტურებული ნებისმიერი შემთხვევის შესახებ აცნობოს სააგენტოს და იყოლიოს (შეინახოს) თურქულით დაინფიცირებული ან დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველები იმ ადგილებიდან მოშორებით, სადაც სხვა ამთვისებელი ცხოველები თურქულის ვირუსით დაინფიცირების ან კონტამინაციის რისკის ქვეშ არიან;

2. კერძო ვეტერინარი, სახელმწიფო ვეტერინარი ან სხვა სახელმწიფო ან კერძო ლაბორატორიები და ნებისმიერი პირი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ამთვისებელ ცხოველებთან ან ასეთი ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებთან ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს თურქულის არსებობის ან არსებობასთან დაკავშირებული ეჭვის შესახებ.

3. დადასტურების ნებისმიერი შემთხვევის (სადგომში, სასაკლაოებში, სატრანსპორტო საშუალებებში, გარეულ ცხოველებში) შესახებ, სააგენტო ვალდებულია, დაავადების შესახებ გაუგზავნოს შეტყობინება და მიაწოდოს ინფორმაცია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (OIE), დადგენილი წესით.

მუხლი 4. ზომები თურქულის არსებობაზე ეჭვის მიტანისას

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ყველა იმ სადგომში, რომელიც მოიცავს ერთ ან მეტ დაინფიცირებაზე ან კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველს.

2. თუ არსებობს ეჭვი, რომ სადგომი მოიცავს ერთ ან მეტ დაინფიცირებაზე ან კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველს, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს დაავადების არსებობის დადასტურება ან გამორიცხვა ლაბორატორიული გამოკვლევებით ამ წესის მე-2 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტის განმარტების შესაბამისად.

3. დაავადებაზე ეჭვის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სააგენტოს გადაწყვეტილებით სადგომზე უნდა დაწესდეს ზედამხედველობა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ:

ა) განხორციელდეს სადგომში მყოფი ყველა კატეგორიის ცხოველის აღწერა, ამთვისებელი ცხოველის თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებით მოხდეს მკვდარი ცხოველების, დაინფიცირებაზე ან კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველების რაოდენობის დადგენა;

ბ) განახლდეს ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული აღწერის შედეგები იმ ამთვისებელი ცხოველების გათვალისწინებით, რომლებიც დაიბადნენ ან დაიხოცნენ საეჭვო პერიოდში. ასეთი

ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს მფლობელის მიერ სააგენტოს მოთხოვნისთანავე და ექვემდებარება სააგენტოს მიერ შემოწმებას თითოეული ვიზიტის დროს;

გ) სადგომში ხდებოდეს რძის, რძის პროდუქტების, ხორცის, ხორცის პროდუქტების, ტანხორცის, ტყავისა და კანის, მატყლის, სპერმის, ემბრიონის, კვერცხუჯრედის, ნაკელის ყველა მარაგის, ასევე ცხოველის საკვების მარაგის დადგენა/აღწერა და მონაცემების შენახვა;

დ) არცერთი ცხოველი ან ამთვისებელი ცხოველი არ შევიდეს ან გავიდეს სადგომიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სადგომს აქვს სხვადასხვა ეპიდემიოლოგიური წარმოების ერთეული, თანახმად ამ წესის მე-16 მუხლისა, და როცა სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველი იმყოფება ერთსა და იმავე ან სხვა შენობაში იზოლირებულად;

ე) შენობებში ან ადგილებში, სადაც ამთვისებელი ცხოველები არიან ან თვითონ სადგომში შესვლისას ან გამოსვლისას გამოყენებული იქნეს სათანადო სადეზინფექციო საშუალებები;

ვ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევა განხორციელდეს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

ზ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევის ხელშესაწყობად, ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის მოხდეს საჭირო ნიმუშების აღება ამ წესის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

თ) აიკრძალოს სადგომიდან:

თ.ა) ამთვისებელი ცხოველების ხორცის ან ტანხორცის, ხორცის პროდუქტების, რძის ან რძის პროდუქტების, სპერმის, კვერცხუჯრედის ან ემბრიონის ან ცხოველის საკვების, ჭურჭლის, ნივთების, მატყლის, ტყავის და კანის, ცხოველური ნარჩენების, ნაკელის ან ნებისმიერი რამის გატანა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თურქულის ვირუსის გავრცელება;

თ.ბ) თურქულის არაამთვისებელი ცხოველების გადაადგილება;

თ.გ) სადგომში ადამიანების შესვლა-გასვლა;

თ.დ) სადგომში ტრანსპორტის შესვლა-გასვლა.

4. სადგომში რძის შენახვასთან დაკავშირებული სიძნელეების შემთხვევაში ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ.ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, სააგენტოს შეუძლია გასცეს ბრძანება, რომ რძე განადგურდეს სადგომში ან გასცეს ავტორიზაცია ვეტერინარის ზედამხედველობით, სათანადოდ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებით რძის ტრანსპორტირების შესახებ სადგომიდან უახლოეს შესაძლო ადგილას გასანადგურებლად ან ისეთი დამუშავების ჩასატარებლად, რომელიც გამოიწვევს ვირუსის განეიტრალებას.

5. სააგენტოს შეუძლია არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ.ბ - თ.დ“ ქვეპუნქტებში მითითებული აკრძალვა და გასცეს ავტორიზაცია სადგომში შესვლის ან გამოსვლის შესახებ იმ პირობით, რომ არ მოხდება თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელება.

მუხლი 5. ზომები სხვა სადგომებზე

1. სააგენტომ უნდა გაავრცელოს ამ წესის მე-4 მუხლში მითითებული ზომები იმ სადგომებზეც, რომელთა მდებარეობა, კონსტრუქცია და დაგეგმარება ან ამ წესის მე-4 მუხლში მითითებული სადგომის ცხოველებთან კონტაქტი იწვევს კონტამინაციის ეჭვს.

2. სააგენტომ უნდა გამოიყენოს სულ მცირე ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით დადგენილი ზომები ამ წესის მე-15 მუხლში მითითებული შენობების ან სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, თუ ამთვისებელ ცხოველთა არსებობა იძლევა თურქულის ვირუსით დაინფიცირების ან კონტამინაციის ეჭვს.

მუხლი 6. დროებითი კონტროლის ზონა

1. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სააგენტოს შეუძლია, შექმნას დროებითი კონტროლის ზონა თუ არის ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვე, ამთვისებელ ცხოველებთან შეხებაში მყოფი ცხოველებისა და პირების ინტენსიური მოძრაობა, იგვიანებს სავარაუდო სტატუსის შესახებ შეტყობინება, ან არასაკმარისია ინფორმაცია თურქულის ვირუსის შესაძლო წარმოშობისა და სადგომში შეტანის გზების შესახებ.

2. დროებითი კონტროლის ზონაში არსებული სადგომების მიმართ, სადაც იმყოფებიან ამთვისებელი ცხოველები გამოყენებული უნდა იქნეს სულ მცირე ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-3 პუნქტის ,,ა“, ,,ბ“, ,,დ“, ,,თ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ზომები.

3. დროებითი კონტროლის ზონაში გამოყენებულ ზომებს შეიძლება დაემატოს მთლიან ტერიტორიაზე ან ტერიტორიის დიდ ნაწილზე ყველა ცხოველის გადადგილებაზე დროებითი აკრძალვა. თუმცა, თურქულის დაავადებაზე არაამთვისებელი ცხოველების გადადგილებაზე აკძალვა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, თუ ეს დასაბუთებული არ იქნება განსაკუთრებული გარემოებით.

მუხლი 7. პრევენციული აღმოფხვრის პროგრამა

1. ეპიდემიულოგიური ინფორმაციის ან სხვა მტკიცებულების არსებობისას, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს პრევენციული აღმოფხვრის პროგრამა, მათ შორის, კონტამინაციაზე საეჭვო ამთვისებელი ცხოველების, და თუ აუცილებელია, ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული საწარმოო ერთეულიდან ან მეზობლად არსებული სადგომებიდან ცხოველების პრევენციული დახოცვა.

2. ამ შემთხვევაში ამთვისებელი ცხოველებიდან ნიმუშის აღება და კლინიკური შემოწმება უნდა განხორციელდეს ამ წესის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. ზომების უზრუნველყოფა

1. სააგენტომ არ უნდა შეაჩეროს ამ წესის მე-4–მე-6 მუხლებში მითითებული ზომები, სანამ თურქულის შესახებ ეჭვი ოფიციალურად არ გამოირიცხება.

2. თურქულის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ვეტერინარული კარანტინის დროს თურქულის აღმძვრელის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და მის გატარებაში ხელშეწყობას;

ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე თურქულის საწინააღმდეგო ზომების გატარებაში ხელშეწყობას.

3. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 9. ზომები თურქულის დადასტურების შემთხვევაში

1. თურქულის აფეთქების დადასტურებისთანავე, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ წესის მე-4-მე-5 მუხლებში მითითებული ზომების გარდა სადგომში დაუყოვნებლივ გატარდეს ასევე შემდეგი ზომები:

ა) ყველა ამთვისებელი ცხოველი დახოცონ ადგილზე. გამონაკლის გარემოებებში ამთვისებელი

ცხოველები შეიძლება დახოცონ შესაფერის უახლოეს ადგილას სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ და იმგვარად, რომ ტრანსპორტირებისა და დახოცვის დროს თავიდან იქნეს აცილებული თურქულის ვირუსის გავრცელების რისკი;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარმა უზრუნველყოს, რომ ამთვისებელი ცხოველების დახოცვამდე ან დახოცვის დროს ამ წესის მე-12 მუხლში მითითებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევისათვის აიღოს ყველა საჭირო ნიმუშის სათანადო რაოდენობა 63-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სააგენტომ დასაშვებია, არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები მეორადი წყაროს გამოჩენის შემთხვევაში, რომელიც ეპიდემიოლოგიურად უკავშირდება მთავარ წყაროს, რომლისთვისაც ნიმუშები უკვე იქნა აღებული ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ პირობით, თუ აღებულია ამ წესის მე-12 მუხლში მითითებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევისათვის საკმარისი რაოდენობის ნიმუშები;

გ) სადგომში მკვდარი ამთვისებელი ცხოველების ტანხორცი და ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოკლული ცხოველების ტანხორცი უნდა გადამუშავდეს დაუყოვნებლივ სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ ისე, რომ აღარ იყოს თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების რისკი. როცა კონკრეტული გარემოებები მოითხოვს, რომ ტანხორცი დაიწვას ან დაიმარხოს ადგილზე ან მის ფარგლებს გარეთ, ასეთი ოპერაციები უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-60 მუხლში მითითებული საგანგებო ზომების გეგმის ფარგლებში წინასწარ გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“- ქვეპუნქტში მითითებული ყველა პროდუქტი და ნივთიერება უნდა იყოს იზოლირებული, ვიდრე დაბინძურება არ აღმოიფხვრება, ან გადამუშავდეს ან დამუშავდეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული ინტრუქციების შესაბამისად ისე, რომ გარანტირებული იყოს თურქულის გამომწვევი ვირუსის განადგურება.

2. ამთვისებელი ცხოველების დახოცვისა და გადამუშავების და ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებული ზომების დასრულების შემდეგ, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) შენობები, სადაც განთავსებული იქნა ამთვისებელი ცხოველები, ამ შენობების გარშემო ტერიტორია და ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები, ისევე როგორც სხვა სავარაუდოდ დაბინძურებული შენობები და მოწყობილობა, უნდა დასუფთავდეს და ჩაუტარდეს დეზინფექცია, ამ წესის მე-10 მუხლში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) საფუძვლინი ეჭვის არსებობისას, თუ სადგომში ადამიანების საცხოვრებელი ან საოფისე ტერიტორია დაბინძურებულია თურქულის გამომწვევი ვირუსით, ასეთი ტერიტორიები ასევე ექვემდებარება დეზინფექციას სათანადო საშუალებებით;

გ) ცხოველების რეპოპულაცია (აღწარმოება) ხორციელდება ამ წესის 68-ე-69-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 10. დასუფთავება და დეზინფექცია

1. დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოები ტარდება სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ და სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად, ვირუსის განადგურების მიზნით დასაშვებია რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებებისა და ოფიციალურად ნებადართული მათი კონცენტრაციების გამოყენება სააგენტოს ნებართვით. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოები ადეკვატურად იყოს დოკუმენტირებული.

2. დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოები უნდა მოიცავდეს სათანადო მავნებლების კონტროლს, ამავე დროს, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შემცირდეს ასეთი სამუშაოების შედეგად წარმოქნილი ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.

3. დასუფთავების და დეზინფექციის საერთო პრინციპები და პროცედურებია:

ა) დასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების განხორციელება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ, სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული ინსტრუქციების თანახმად;

ბ) თურქულის ვირუსის განადგურების მიზნით, გამოსაყენებელი სადეზინფექციო საშუალებებისა და მათი კონცენტრაციების გამოყენება სააგენტოს ნებართვით;

გ) სადეზინფექციო საშუალებების მოქმედების შემოწმება გამოყენებამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკრეტული სადეზინფექციო საშუალებების მოქმედების შესუსტება ხანგრძლივი შენახვის შედეგად;

დ) სადეზინფექციო საშუალებების და დეზინფექციის პროცედურების შერჩევის განხორციელება შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და იმ ობიექტების ტიპის გათვალისწინებით, რომელებიც უნდა დამუშავდეს;

ე) ცხიმის გამცლელი ნივთიერებების და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება ისეთ პირობებში, რომ ზიანი არ მიადგეს ან არ შემცირდეს აღნიშნული ნივთიერებების ეფექტურობა. კერძოდ, დაცული უნდა იყოს გამოსაყენებელი საშუალების თანმხლებ ინსტრუქციაში მითითებული პირობები, როგორებიცაა: წნევა, მინიმალური ტემპერატურა და საჭირო საკონტაქტო დრო; სადეზინფექციო საშუალების მოქმედების ეფექტურობაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს ცხიმგამცლელ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებამ;

ვ) გამოსაყენებელი საშუალების თანმხლებ ინსტრუქციაში მითითებული პირობებთან ერთად, შემდეგი საერთო წესების დაცვა:

ვ.ა) სადენზიფექციო საშუალებებით ქვეშსაფენის და ფეკალური მასის სრული გაჟღენთვა;

ვ.ბ) სადგომების დემონტაჟის შემდეგ მიწის, იატაკის, ჭერისა და კედლების, ასევე მოწყობილობებისა და ინსტალაციების დასუფთავება და ჯაგრისით გახეხვა, რათა არ შემცირდეს დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურების ეფექტურობა;

ვ.გ) გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოყენებული წყლის გაუვნებელყოფა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული თურქულის გავრცელების რისკი, სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად;

ვ.დ) წნევით სითხეებით წმენდისას, უკვე დასუფთავებული ან დეზინფიცირებული ნაწილის ხელახალი დაბინძურების თავიდან აცილება;

ვ.ე) სავარაუდოდ დაბინძურებული მოწყობილობის, დანადგარების და საგნების დასუფთავება, დეზინფექცია ან განადგურება;

ვ.ვ) დეზინფექციის დამთავრების შემდეგ, განმეორებითი დაბინძურების თავიდან აცილება;

ვ.ზ) დასუფთავებისა და დეზინფექციების პროცედურებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების შესახებ შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება დამოწმებული სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, რომელიც უნდა ინახებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთან;

ვ.თ) დეზინფექციის საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა მწარმოებლის რეკომენდაციის მიხედვით.

4. დაინფიცირებული სადგომების დასუფთავებისა და დეზინფექციის სპეციფიკური მოთხოვნებია:

ა) წინასწარი დასუფთავება და დეზინფექცია, რომლის დროსაც:

ა.ა) ცხოველების ხოცვისას მიღებულ უნდა იქნეს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელება. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს დროებითი სადეზინფექციო მოწყობილობის დამონტაჟებას, დამცავი ტანსაცმლის, შხაპების უზრუნველყოფას, გამოყენებული მოწყობილობის, ინსტრუმენტების და შენობა-ნაგებობების დასუფთავებას, ვენტილაციისთვის ენერგომომარაგების შეწყვეტას;

ა.ბ) დახოცილი ცხოველების სხეულები უნდა გაიჭღინთოს სადეზინფექციო საშუალებებით;

ა.გ) სადგომიდან მათი გატანის აუცილებლობისას გადამუშავებისა და განადგურების მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს დახურული და წყალშეუღწევადი კონტეინერები;

ა.დ) დამუშავების მიზნით, ამთვისებელი ცხოველების სხეულის გატანისთანავე, სადგომის ის ნაწილები, რომელშიც განთავსებული იყვნენ ეს ცხოველები და სხვა ადგილები, რომლებიც დაბინძურდა მათი დახოცვის, დაკვლის ან დაკვლისშემდგომი შემოწმების დროს, უნდა დამუშავდეს, ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად გამოსაყენებლად ნებადართული სადეზინფექციო საშუალებებით;

ა.ე) ნებისმიერი ქსოვილი ან სისხლი, რომელმაც შეიძლება გამოჟონოს დაკვლის ან დაკვლისშემდგომი შემოწმების ან შენობების, ეზოების, ჭურჭლის ან სხვა მასობრივი დაბინძურების დროს, ფრთხილად უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს;

ა.ვ) გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებები დამუშავებულ ზედაპირზე უნდა დარჩეს არანაკლებ 24 საათის განმავლობაში;

ბ) საბოლოო დასუფთავება და დეზინფექცია, რომლის დროსაც:

ბ.ა) ნაკელი და ქვეშსაგები გატანილი და დამუშავებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;

ბ.ბ) ცხიმი და ჭუჭყი მოცილებულ უნდა იქნეს ყველა ზედაპირიდან ცხიმის მომცილებელი ნივთიერებების გამოყენებით და ზედაპირები უნდა დამუშავდეს წყლით;

გ) ცივი წყლით გარეცხვის შემდეგ, დამატებითი სადეზინფექციო საშუალებების შესხურება;

დ) შვიდი დღის შემდეგ შენობა-ნაგებობების ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებებით დამუშავება, ცივი წყლის გადავლება, სადეზინფექციო საშუალებების შესხურება და განმეორებით ცივი წყლის გადავლება.

5. დაბინძურებული ქვეშსაგების, ნაკელისა და წუნწუხის დეზინფექციისას:

ა) ნაკელი და გამოყენებული ქვეშსაგები უნდა შეგროვდეს, უმჯობესია $1მ^3$ ნაკელზე 100 კგ გრანულირებული ჩაუმქრალი კირის დამატებით, და მთელ გროვაზე შენარჩუნდეს არანაკლებ 70^oC ტემპერატურა, შესხურდეს სადეზინფექციო საშუალებები და დაყოვნდეს არანაკლებ 42 დღის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე გროვები უნდა დაიფაროს ან განმეორებით დაშტაბელდეს ყველა შრის თერმული დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) ნაკელის თხევადი ფაზა და წუნწუხი დაყოვნებულ უნდა იქნეს არანაკლებ 42 დღე დაინფიცირებული მასალის ბოლო დამატებიდან, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმ შემთხვევაში, თუ წუნწუხი ძლიერ დაბინძურდება ან არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებია. მოცემული ვადა შეიძლება შემოკლდეს იმ შემთხვევაში, თუ სადეზინფექციო საშუალების დამატების შედეგად pH მაჩვენებელი მთელ ნივთიერებაში შეიცვლება იმგვარად, რომ გაანადგურებს თურქულის გამომწვევ ვირუსს.

6. სპეციალური შემთხვევები:

ა) თუ ტექნიკური ან უსაფრთხოების მიზნებისთვის დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურები ვერ დასრულდება ამ წესის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უნდა დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩაუტარდეს შენობებს ან ნაგებობებს თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და ასეთ შენობა-ნაგებობებში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში არ უნდა შეიყვანონ ამთვისებელი ცხოველები;

ბ) ღია სადგომების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს დასუფთავების და დეზინფექციის სპეციალური პროცედურები ამ წესის ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების

გაუთვალისწინებლად, სადგომის ტიპისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

გ) სააგენტოს შეუძლია არ გაითვალიწინოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები და განსაზღვროს ნაკელისა და წუნწუხის დეზინფექციის სპეციალური პროცედურები სამეცნიერო მტკიცებულებების შესაბამისად, ისე რომ ამ პროცედურამ უზრუნველყოფს თურქულის გამომწვევი ვირუსის ეფექტური განადგურება.

მუხლი 11. თურქულის აფეთქების დროს ცხოველებთან შეხებაში მყოფი პროდუქტებისადა ნივთიერებების მიკვლევადობა და დამუშავება

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ იმ სადგომიდან, სადაც თურქულის აფეთქება დადასტურდა, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ამთვისებელი ცხოველებიდან შეკრებილი პროდუქტები და ნივთიერებები და დაავადების შესაძლო გავრცელებასა და ოფიციალური ზომების განხორციელებას შორის პერიოდში ამ სადგომში მყოფი ამთვისებელი ცხოველებიდან შეგროვებული სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონი უნდა იქნეს მიკვლეული და გადამუშავდეს, ხოლო კვერცხუჯრედის, სპერმის და ემბრიონის გარდა სხვა ნივთიერებების შემთხევვაში, უნდა იქნეს მიკვლეული სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ და დამუშავდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოს თურქულის გამომწვევი ვირუსის განადგურება და მისი შემდგომი გავრცელების რისკის თავიდან აცილება.

მუხლი 12. ეპიდემიოლოგიური მოკვლევა

1.თურქულის აფეთქებასთან დაკავშირებით ეპიდემიოლოგიური მოკვლევა ხორციელდება სპეციალურად მომზადებული ვეტერინარების მიერ ამ წესის 61-ე მუხლში მითითებული საგანგებო გეგმის ფარგლებში შედგენილი კითხვარების საფუძველზე.

2. ეპიდემიოლოგიური მოკვლევა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, ვირუსის სადგომში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან თურქულის დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) სადგომში შესაძლო წარმოშობასა და სხვა სადგომის იდენტიფიკაციას, სადაც ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდნენ იმავე წყაროდან;

გ) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც მსხვილფეხა საქონლისა და ღორისებრი ცხოველების გარდა სხვა ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდნენ ან მოხდა კონტამინაცია;

დ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ცხოველების და ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტში მითითებული ნივთიერებების გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია ვირუსის გადატანა დაინფიცირებული სადგომიდან სხვა სადგომში;

3. თუ მოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თურქულის დაავადება შეიძლება გავრცელდეს მეზობელ სახელმწიფოებში, მათ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ ამის შესახებ.

მუხლი 13. დამატებითი ზომები თურქულის აფეთქების დადასტურების შემთხვევაში

1. სააგენტომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სადგომში, სადაც თურქულის აფეთქება დადასტურდა ამთვისებელი ცხოველების გარდა, თურქულის მიმართ არაამთვისებელი ცხოველების დახოცვის შესახებ, რომლებიც უნდა გადამუშავდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ვირუსის გავრცელების რისკი.

2. დასაშვებია სააგენტოს მიერ არ იქნეს გათვალისწინებული პირველი პუნქტის მოთხოვნები იმ არაამთვისებელი ცხოველების მიმართ, რომლებიც იზოლირებულნი დასუფთავებულნი და დეზინფიცირებულნი იყვნენ და შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება. დასაშვებია ცხენისებრთა ჯიშის ცხოველების გადაადგილება სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

3. სადგომის დაბინძურების შესახებ ეპიდემიოლოგიური ინფორმაციის ან სხვა მტკიცებულების

არსებობისას, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში წარმოდგენილი ზომები ეპიდემიოლოგიურად - დაკავშირებულ საწარმოო ერთეულში ან მეზობლად არსებულ სადგომში. ასეთ შემთხვევაში, ნიმუშების აღება და ცხოველების კლინიკური შემოწმება უნდა განხორციელდეს ამ წესის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. სააგენტომ თურქულის აფეთქების დადასტურებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მოამზადოს გადაუდებელი ვაქცინაციისთვის საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაობი ამ წესის მე-18 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საკონტროლო ზონის მასშტაბით.

5. სააგენტომ შეიძლება გამოიყენოს ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებში მითითებული ზომები.

მუხლი 14. თურქულის აფეთქების შემთხვევაში იმ კონკრეტულ შენობებში ან მათ მახლობლად, სადაც დროებით ან რეგულარულად ჰყავთ ამთვისებელი ცხოველები განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოსაყენებელი ზომები

1. თუ თურქულის აფეთქება საფრთხეს უქმნის ამთვისებელი ცხოველების ინფიცირებას ლაბორატორიაში, ზოოპარკში, დაცულ ტერიტორიებზე, შემოღობილ ტერიტორიებზე ან ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა ან ცენტრებში, სადაც ცხოველები იმყოფებიან სამეცნიერო კვლევების ან სახეობების კონსერვაციის ან სადგომის ცხოველების გენეტიკური მასალისთვის, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი ცხოველების ინფექციისგან დასაცავად გატარდეს ყველა აუცილებელი სათანადო ბიოუსაფრთხოების ზომები. ეს ზომები შესაძლოა მოიცავდეს საჯარო ინსტიტუტებთან წვდომის შეზღუდვის ღონისძიებებს ან ასეთი წვდომა უნდა ექვემდებარებოდეს განსაკუთრებულ პირობებს.

2. თუ თურქულის აფეთქება დადასტურდება პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ერთ-ერთ დაწესებულებაში მაინც, სააგენტოს შეუძლია არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, იმ პირობით, რომ ცხოველთა ჯანრთელობის მდგომარეობას არ შეექმნება საფრთხე და ყველა აუცილებელი ღონისძიება გატარდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელება.

3. თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი ზომები, კერძოდ ამ წესის 42-ე მუხლის მიხედვით რეგიონალიზაციასთან და ამ წესის 48-ე მუხლის შესაბამისად გადაუდებელ ვაქცინაციასთან დაკავშირებით, მიღებული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ.

მუხლი 15. სასაკლაოზე, სასაზღვრო გამშვებ პუნქტსა და სატრანსპორტო საშუალებებში გასატარებელი ზომები

1. თუ თურქული დადასტურდება სასაკალაოზე ან სასაზღვრო გამშვებ პუნქტში ან სატრანსპოტო საშუალებებში, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინფიცირებული დაწესებულების ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ გამოყენებული იყოს შემდეგი ზომები:

ა) ყველა ამთვისებელი ცხოველი დაუყოვნებლივ დაიხოცოს;

ბ) ,,ა" ქვეპუნქტში მითითებული ცხოველების ტანხორცი გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების რისკი;

გ) დაინფიცირებული ან დაინფიცირებასა და კონტამინაციაზე საეჭვო ამთვისებელი ცხოველები, სხვა ცხოველური ნარჩენები, მათ შორის, სუბპროდუქტი, უნდა გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების რისკი;

დ) ნაკელი და ნარჩენები უნდა დაექვემდებაროს დეზინფექციას და გატანილი უნდა იქნეს მხოლოდ ამ წესის 76-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების თანახმად;

ე) შენობებისა და მოწყობილობების, მათ შორის, მანქანების ან სატრანსპორტო საშუალებების

დასუფთავება და დეზინფექცია, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ მე-10 მუხლის შესაბამისად და სააგენტოს მიერ განსაზღვრული ინტრუქციების მიხედვით;

ვ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევა უნდა განხორციელდეს მე-12 მუხლის შესაბამისად.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ წესის მე-17 მუხლში მითითებული ზომები გამოყენებული იყოს კონტაქტურ სადგომებშიც.

3. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ არცერთი ცხოველი არ იქნეს შეყვანილი დაკვლის, შემოწმებისა ან ტრანსპორტირების მიზნით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებაში ან სატრანსპორტო საშუალებაში, სანამ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტში მითითებული დასუფთავებისა და დეზინფექციის დასრულებიდან არ იქნება გასული არანაკლებ 24 საათისა.

4. სადაც ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა მოითხოვს, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ობიექტების მეზობლად არსებულ სადგომში ან სატრანსპორტო საშუალებებში ამთვისებელი ცხოველების კონტამინაციის ეჭვის არსებობისას, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ წესის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით დადგენილი განმარტების გათვალისწინების გარეშე, აფეთქება გამოაცხადოს პირველ პუნქტში მითითებულ ობიექტებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, და გამოიყენოს ამ წესის მე-9 და მე-18 მუხლებში მითითებული ზომები.

მუხლი 16. სადგომი, რომელიც შედგება სხვადასხვა ეპიდემიოლოგიური წარმოების ერთეულებისაგან

1. ისეთი სადგომის შემთხვევაში, რომლიც მოიცავს ორ ან მეტ ცალკე საწარმოო ერთეულს, სააგენტოს შეუძლია გამონაკლის შემთხვევებში, რისკების გათვალისწინებით, არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ისეთი სადგომების საწარმოო ერთეულებს, რომლებიც არ დაინფიცირდა თურქულის დაავადებით.

2. სააგენტოს შეუძლია გაითვალისწინოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ვეტერინარი ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ოფიცილური გამოკვლევის შედეგად დაადასტურებს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საწარმოო ერთეულებს შორის თურქულის ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის სადგომში სრულდება ქვემოთ წარმოდგენილი პირობები თურქულის აფეთქების გამოვლენის თარიღამდე არანაკლებ ორი საინკუბაციო პერიოდით ადრე:

ა) სტრუქტურა, მათ შორის, ადმინისტრაცია, და შენობების ზომა, მათ შორის, სივრცე, შესაძლებლობას იძლევა ამთვისებელი ცხოველების სხვადასხვა ჯგუფების სრული იზოლაციისას;

ბ) სხვადასხვა საწარმოო ერთეულებში სამუშაოები, და კერძოდ, სადგომებისა და საძოვრების მოვლა, კვება, ნაკელის და ნარჩენების გატანა, მთლიანად განცალკევებულია და ხორციელდება სხვადასხვა პერსონალის მიერ;

გ) არაამთვისებელი ცხოველებისათვის სრულად განცალკევებული მანქანა– დანადგარები, დაინსტალირებული დანადგარ-მოწყობილობები, ინსტრუმენტები და სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება მხოლოდ ამ საწარმოო ერთეულებისათვის.

3. დასაშვებია რძის მწარმოებელი სადგომისათვის ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით რძესთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა, იმ პირობით, თუ აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს:

ა) ასეთი სადგომი აკმაყოფილებს მე-2 პუნქტში მითითებულ პირობებს;

ბ) წველა თითოეულ ერთეულში ხორციელდება განცალკევებით;

გ) მიზნობრივი გამოყენებიდან გამომდინარე, რძე ექვემდებარება არანაკლებ ამ წესის 79-ე მუხლში ან მე-80 მუხლში აღწერილ ერთ-ერთი დამუშავების სახეს.

მუხლი 17. კონტაქტური სადგომები

1. სადგომი მიიჩნევა კონტაქტურ სადგომად, თუ სახელმწიფო ვეტერინარი აღმოაჩენს, ან დადასტურებული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევს, რომ თურქულის ვირუსი შეიძლება შეტანილი იყოს ადამიანის, ცხოველის, ცხოველური პროდუქტის, ავტომანქანის გადაადგილებით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით სხვა სადგომიდან ამ წესის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში ან ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ნებისმიერ სადგომში ან პირიქით.

2. კონტაქტური სადგომი უნდა დაექვემდებაროს ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში და მე-5 მუხლში მითითებულ ზომებს და ეს ზომები უნდა შენარჩუნდეს, სანამ თურქულის გამომწვევი ვირუსის სავარაუდო არსებობა ოფიციალურად არ აღმოიფხვრება ამ წესის მე-2 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტში არსებული განსაზღვრებისა და 63-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

3. სააგენტომ უნდა აკრძალოს ამ წესის მე-2 მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტში მითითებული სახეობისთვის დამახასიათებელი შესაბამისი საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში კონტაქტური სადგომიდან ყველა ცხოველის გაყვანა. თუმცა სააგენტოს შეუძლია, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, გასცეს ავტორიზაცია გადაუდებელი დაკვლის მიზნით ამთვისებელი ცხოველების სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ ტრანსპორტირებაზე უახლოეს წინასწარ განსაზღვრულ სასაკლაოზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღებამდე სახელმწიფო ვეტერინარმა სულ მცირე უნდა განახორციელოს ამ წესის 62-ე მუხლში მითითებული კლინიკური შემოწმება.

5. თუ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იძლევა საშუალებას, სააგენტომ დასაშვებია პირველ პუნქტში მითითებული სადგომი არ მიიჩნიოს კონტაქტურ სადგომად, შემოიფარგლოს აღნიშნული სადგომის ერთი გამოვლენილი ეპიდემიოლოგიური საწარმოო ერთეულით და მათში არსებული ცხოველებით, იმ პირობით, რომ ეპიდემიოლოგიური საწარმოო ერთეულები შესაბამისობაში იქნება ამ წესის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

6. თუ ეპიდემიოლოგიური კავშირი თურქულის აფეთქებასა და შენობებს ან ამ წესის მე-14 და მე-15 მუხლებში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებებს შორის ვერ გამოირიცხება, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ზომების გამოყენება ასეთი შენობებისა ან სატრანსპორტო საშუალებების მიმართ. ამასთანავე, სააგენტომ შეიძლება გადაწყვიტოს ამ წესის მე-7 მუხლში მითითებული ზომების გამოყენებაც.

მუხლი 18. დამცავი და საკონტროლო ზონების შექმნა

1. სააგენტომ თურქულის აფეთქების დადასტურებისთანავე ამ წესის მე-6 მუხლში მითითებული ზომების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული ზომების განხორციელება.

2. თურქულის ოფიციალურად დადასტურებისთანავე სააგენტომ კერის გარშემო არანაკლებ 3 კმ-ის რადიუსით, უნდა შექმნას დამცავი ზონა, რომელიც შედის არანაკლებ 10 კმ-ის რადიუსის საკონტროლო ზონაში.

3. ზონების შექმნისას სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ადმინისტრაციული საზღვრები, ბუნებრივი ბარიერები;

ბ) საკონტროლო დაწესებულებები და ტექნოლოგიური პროგრესი, რაც თურქულის ვირუსის ჰაერით ან ნებისმიერი სხვა საშუალებებით შესაძლო გავრცელების პროგნოზირებას იძლევა;

გ) დამცავი და საკონტროლო ზონების შესასვლელში საინფორმაციო აბრების (ნიშნების) განთავსება.

4. თუ ზონა მოიცავს სხვა ქვეყნების ტერიტორიის ნაწილსაც, სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან ზონის დადგენის საკითხზე.

5. თურქულის დაავადების რაც შეიძლება სწრაფად აღმოსაფხვრელად უნდა შეიქმნას ამ წესის 81-ე და 83-ე მუხლებში მითითებული თურქულის კონტროლის ეროვნული და რეგიონალური ცენტრები. ამ წესის მე-12 მუხლში მითითებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის განხორციელებისთვის, ამ ცენტრებს დახმარებას უწევს ამ წესის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ექსპერტთა ჯგუფი.

6. დამცავ ზონაში მდებარე სადგომებში ინფექციის დადგენიდან სააგენტომ დაგვიანების გარეშე მიკვლევადობა უნდა განახორციელოს ამ ზონიდან ინფექციის დადგენამდე 21 დღის განმავლობაში გაყვანილ ცხოველებზე.

7. თურქულის ვირუსის სავარაუდო გავრცელების დღესა და ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ზომების ძალაში შესვლის თარიღს შორის პერიოდში დამცავ ზონაში წარმოებული ამთვისებელი ცხოველების ახალ ხორცზე, ხორცის პროდუქტებზე, ნედლ რძესა და ნედლი რძის პროდუქტებზე სააგენტომ უნდა განახორციელოს მიკვლევადობა. ასეთი ახალი ხორცი, ხორცის პროდუქტები, ნედლი რძე და ნედლი რძის პროდუქტები ექვემდებარება ამ წესის 22-ე - 24-ე მუხლებით დაგენილ დამუშავებას ან დაყოვნებას თურქულის გამომწვევი ვირუსით შესაძლო დაინფიცირების გამორიცხვამდე.

მუხლი 19. ზომები შექმნილ დამცავ ზონაში მდებარე სადგომში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამცავ ზონაში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) ამთვისებელი ცხოველების სადგომებისა და ამ სადგომებში არსებული ყველა ცხოველის აღწერა შესაძლო მოკლე ვადაში, რომელთა დათვალიერებისას სახელმწიფო ვეტერინარმა უნდა შეამოწმოს:

ა.ა) ამთვისებელი ცხოველების კლინიკური მდგომარეობა ამ წესის 62-ე მუხლის თანახმად ან 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის შესაბამისად ამთვისებელი ცხოველებისგან ნიმუშების აღება;

ა.ბ) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.გ) ამთვისებელი ცხოველების სადგომიდან გაყვანის (გადაადგილების) აკრძალვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.გ“ ქვეპუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება, თუ ამთვისებელი ცხოველები პირდაპირ ტრანსპორტირებულია სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ გადაუდებელი დაკვლის მიზნით იმავე დაცვის ზონაში არსებულ სასაკლაოზე ან, თუ ზონას არ აქვს სასაკლაო სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ზონის მიღმა არსებულ სასაკლაოზე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დასუფთავებული და დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გადაადგილება ნებადართულია, თუ სააგენტოს დააკმაყოფილებს სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ ამ წესის 62-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული კლინიკური შემოწმებები და ეპიდემიოლოგიური გარემოებების შეფასების შემდეგ არ არსებობს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ სადგომში არის დაინფიცირებული ან კონტამინირებული ცხოველები. ასეთი ცხოველების ხორცი უნდა დაექვემდებაროს ამ წესის 22-ე მუხლით დადგენილ ზომებს.

მუხლი 20. ცხოველებისა და მათი პროდუქტების გადაადგილება და ტრანსპორტირება დამცავ ზონაში

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ აკრძალული იქნეს დამცავ ზონაში:

ა) სადგომებს შორის ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება და ტრანსპორტირება;

ბ) ბაზრების, ბაზრობების, შოუების და ცხოველების თავშეყრის სხვა ადგილების მოწყობა;

გ) ამთვისებელი ცხოველების გამრავლების მიზნით რეგულარული ვიზიტები;

დ) ხელოვნური განაყოფიერება, კვერცხუჯრედის და ემბრიონების მოგროვება ამთვისებელი

ცხოველებისგან.

მუხლი 21. დამატებითი ზომები და გამონაკლისები

1. სააგენტოს შეუძლია, ამ წესის მე-20 მუხლში მითითებული აკრძალვები გაავრცელოს აგრეთვე:

ა) არაამთვისებელი ცხოველების გადაადგილებასა ან ტრანსპორტირებაზე დამცავ ზონაში ან მის გარეთ არსებულ სადგომებს შორის;

ბ) ყველა სახეობის ცხოველის ტრანზიტზე დამცავი ზონის გავლით;

გ) ამთვისებელ ცხოველებთან შესაძლო კონტაქტში მყოფი ადამიანების შეკრებაზე, სადაც არსებობს თურქულის ვირუსის გავრცელების რისკი;

დ) თურქულის მიმართ არაამთვისებელი ცხოველების კვერცხუჯრედის და ემბრიონების ხელოვნურ განაყოფიერებასა ან მოგროვებაზე;

ე) ცხოველების ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებაზე;

ვ) პირადი მოხმარებისათვის ამთვისებელი ცხოველების სადგომში დაკვლაზე;

ზ) 30-ე მუხლში მითითებული საქონლის (ტვირთის) ტრანსპორტირებაზე ამთვისებელი ცხოველების სადგომში.

2. სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია:

ა) ყველა სახეობის ცხოველის ტრანზიტზე დამცავ ზონაში, რომელიც ხორციელდება მთავარი ტრასის ან ძირითადი რკინიგზის საშუალებით;

ბ) დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ არსებული სადგომიდან შემოსული ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირებაზე, რომელიც ავტორიზებულია სახელმწიფო ვეტერინარის მიერ და ტრანსპორტირდება წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით პირდაპირ წინასწარ განსაზღვრულ სასაკლაოზე დაუყოვნებელი დაკვლის მიზნით, იმ პირობით, რომ სატრანსპორტო საშუალებები დასუფთავდება და ჩაუტარდება დეზინფექცია სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ სასაკლაოზე მიყვანის შემდეგ და გაკეთდება ჩანაწერი სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავებისა და დეზინფექციის შესაბამის ჟურნალში;

გ) სადგომში ცხოველების ხელოვნურ განაყოფიერებაზე, რომელსაც ატარებს აღნიშნული სადგომის პერსონალი სადგომში მოგროვილი ან სადგომში შენახული ან ამ სადგომის ფარგლებს გარეთ სპერმის მომგროვებელი ცენტრიდან შემოტანილი სპერმის გამოყენებით;

დ) ცხენისებრების გადაადგილებაზე და ტრანსპორტირებაზე ამ წესის 70-ე მუხლში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

ე) განსაზღვრულ პირობებში ამ წესის 30-ე მუხლში მითითებული საქონლის (ტვირთის) ტრანსპორტირებაზე ამთვისებელი ცხოველების სადგომში.

მუხლი 22. დამცავ ზონაში წარმოებულ ახალ ხორცთან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონიდან ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცის, გატარებული ხორცის და ხორცის ნახევარფაბრიკატების ბაზარზე განთავსება.

2. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავ ზონაში განთავსებულ საწარმოებში წარმოებული ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცის, გატარებული ხორცის და ხორცის ნახევარფაბრიკატების ბაზარზე განთავსება.

3. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირველ პუნქტში მითითებული ახალი ხორცი, გატარებული ხორცი და ხორცის ნახევარფაბრიკატები ნიშანდებულია ამ წესის 73-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა ტრანსპორტირება შემდეგში ხდება დახურული კონტეინერებით დასამუშავებლად ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებში.

4. პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვა არ ვრცელდება იმ ახალი ხორცის, გატარებული ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების მიმართ, რომლებიც წარმოებულია დამცავ ზონაში მდებარე სადგომის დაინფიცირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და რომელიც წარმოების შემდეგ ინახება და ტრანსპორტირებულია აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოებული ასეთი ხორცისგან განცალკევებით. ასეთი ხორცი უნდა განსხვავდებოდეს დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ გასატანად აკრძალული ხორცისგან და მისი ნიშანდება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვა არ გამოიყენება ქვემოთ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად დამცავ ზონაში მდებარე საწარმოებიდან მიღებული ახალი ხორცის, გატარებული ხორცის ან ხორცის ნახევარფაბრიკატების მიმართ თუ:

ა) ასეთი საწარმო ფუნქციონირებს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

ბ) მხოლოდ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები, ან დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ გაზრდილი და დაკლული ცხოველებისგან ან ამ საწარმოებში ტრანსპორტირებული ცხოველებისა და მათი დაკვლის შედეგად მიღებული ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გადამუშავდება საწარმოში;

გ) ყველა ასეთ ახალ ხორცს, გატარებულ ხორცს ან ხორცის ნახევარფაბრიკატებს აქვს ჯანმრთელობის ნიშანდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების თანახმად;

დ) ყველა ასეთი ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები მთლიანი წარმოების პროცესში უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ტრანსპორტირებული და ინახებოდეს იმ ახალი ხორცისგან, გატარებული ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატებისგან განცალკევებით, რომლებიც ამ წესის შესაბამისად არ ექვემდებარება გაგზავნას დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ.

6. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

7. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა დასაშვებია არ იქნეს გათვალისწინებული და შეიძლება დაექვემდებაროს სააგენტოს მიერ დადგენილ კონკრეტულ პირობებს, კერძოდ, 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში შენახული დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებიდან წარმოებული ხორცის ჯანმრთელობის ნიშანდებისას არ იქნეს გამოყენებული ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ჯანმრთელობის ნიშანდება.

მუხლი 23. დამცავ ზონაში წარმოებული ხორცის პროდუქტებთან დაკავშირებულიზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველების ხორციდან წარმოებული ხორცის პროდუქტების ბაზარზე განთავსება.

2. პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა დასაშვებია არ იქნეს გათვალისწინებული იმ ხორცის პროდუქტების მიმართ, რომლებიც დაექვემდებარა ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტში მითითებული დამუშავების ერთ-ერთი სახეს ან რომელებიც წარმოებულია ამ წესის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხორცისგან.

მუხლი 24. დამცავ ზონაში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტთან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული რძის და ასეთი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

2. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავ ზონაში განთავსებულ საწარმოებში წარმოებული ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული რძის და რძის პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ რძისა და რძის პროდუქტის მიმართ, რომლებიც წარმოებულია დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებიდან სადგომის ინფიცირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და წარმოების შემდეგ ინახება და ტრანსპორტირებულია აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოებული რძისგან განცალკევებით.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან წარმოებული იმ რძის და ასეთი რძისგან წარმოებული პროდუქტის მიმართ რომელებმაც, რძის ან რძის პროდუქტის გამოყენებიდან გამომდინარე, გაიარა ამ წესის 79-ე ან მე-80 მუხლში მითითებული დამუშავების ერთ-ერთი სახე. დამუშავება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ საწარმოებში ან, თუ დამცავ ზონაში არ არის საწარმოები, დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ არსებულ საწარმოებში მე-8 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ რძისა და რძის პროდუქტების მიმართ, რომლებიც მომზადდა მე-6 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად დამცავ ზონაში მდებარე საწარმოებში.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული საწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მუდმივი და მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ;

ბ) საწარმოში გამოყენებული რძე უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან ნედლი რძე მიღებული უნდა იყოს დამცავი ზონის გარეთ არსებული ცხოველებისგან;

გ) მთლიანი საწარმოო პროცესის დროს რძე უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ტრანსპორტირებული და ინახებოდეს იმ ნედლი რძისა და ნედლი რძის პროდუქტისაგან ცალკე, რომლებიც არ არის განკუთვნილი დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ გასატანად;

დ) ნედლი რძის ტრანსპორტირება დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე სადგომებიდან საწარმოებში უნდა განხორციელდეს ავტომანქანებით, რომლებიც დასუფთავდა და ჩაუტარდა დეზინფექცია ტრანსპორტირებამდე და რომლებსაც არ აქვთ კონტაქტი დამცავ ზონაში მდებარე იმ სადგომებთან, სადაც განთავსებულია ამთვისებელი ცხოველები.

7. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

8. დამცავ ზონაში მდებარე სადგომებიდან ნედლი რძის დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში ტრანსპორტირება და აღნიშნული რძის გადამუშავება უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პირობებს:

ა) დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ნედლი რძის გადამუშავებაზე ავტორიზაცია გაცემული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ;

ბ) ავტორიზაცია უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებსა და წინასწარ განსაზღვრული საწარმოსკენ მიმავალ სატრანსპორტო მარშრუტს;

გ) ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს დასუფთავებული და დეზინფიცირებული ავტომანქანებით, რომლებიც მოწყობილი და აღჭურვილი იქნება ისე, რომ ტრანსპორტირებსას თავიდან იქნება აცილებული რძის გაჟონვა და აეროზოლის გავრცელება რძის ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს;

დ) სადგომის დატოვებამდე ამთვისებელი ცხოველების რძის შეგროვების ადგილას უნდა დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩაუტარდეს შემაერთებელ მილებს, საბურავებს, ავტომანქანის ქვედა ნაწილებს და გადმოღვრილი რძე უნდა აიწმინდოს და ჩატარდეს დეზინფექცია. დამცავი ზონის დატოვებამდე ბოლო დეზინფექციის შემდეგ ავტომანქანას აღარ უნდა ჰქონდეს დამცავ ზონაში მდებარე ამთვისებელ ცხოველების შემცველ სადგომებთან კონტაქტი;

ე) სატრანსპორტო საშუალებები განსაზღვრული და მარკირებული უნდა იქნეს გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული ერთეულის (ტერიტორიის) შესაბამისად, დასაშვებია გადაადგილება სხვა ტერიტორიაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ.

9. აკრძალულია დამცავ ზონაში მდებარე სადგომებში მყოფი ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ნედლი რძის ნიმუშების აღება, შეგროვება და ტრანსპორტირება ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით სხვა ლაბორატორიაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლაბორატორიისა, სადაც დაშვებულია თურქულის დიაგნოსტირება.

მუხლი 25. დამცავ ზონაში ამთვისებელი ცხოველებისგან შეგროვილ სპერმასთან, კვერცხუჯრედთან და ემბრიონთან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონების ბაზარზე განთავსება.

2. პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ გაყინული სპერმის, კვერცუჯრედისა და ემბრიონის მიმართ, რომლებიც მოგროვდა და ინახება ამ ზონის სადგომში თურქულის ვირუსით დაინფიცირების დადგენის თარიღამდე არანაკლებ 21 დღით ადრე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დაინფიცირების თარიღის შემდეგ შეგროვებული გაყინული სპერმა უნდა ინახებოდეს ცალკე და გაიცეს მხოლოდ:

ა) თურქულის ეპიდემიასთან დაკავშირებული ყველა ზომის დასრულების შემდეგ ამ წესის 33-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სპერმის შეგროვების ცენტრში არ არის ინფექცია, რაც დასტურდება იმით, რომ სპერმის შეგროვების ცენტრში მყოფმა ყველა ცხოველმა გაიარა კლინიკური შემოწმება და აღებულია ნიმუშები სეროლოგიურ ტესტირებაზე ამ წესის 64-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ სეროლოგიურ ტესტზე უარყოფითი შედეგის მქონე დონორი ცხოველის თურქულის გამომწვევი ვირუსის წინააღმდეგ ანტისხეულების გამოვლენა დასტურდება ნიმუშიდან, რომელიც აღებული იქნა სპერმის აღებიდან არანაკლებ 28 დღით ადრე.

მუხლი 26. დამცავ ზონაში ამთვისებელი ცხოველების ნაკელისა და ნარჩენების ტრანსპორტირება და დისტრიბუცია

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავ ზონაში მდებარე სადგომებიდან და ამ წესის მე-15 მუხლში მითითებული ობიექტებიდან, სადაც ამთვისებელი ცხოველები იმყოფებიან, ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნაკელის ტრანსპორტირება და დისტრიბუცია დამცავი ზონის ფარგლებშიც.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია დამცავ ზონაში მდებარე სადგომიდან ამთვისებელი ცხოველების ნაკელის გატანაზე სპეციალურ საწარმოში დასამუშავებლად ან შუალედური შენახვის მიზნით, თუ აკმაყოფილებს ამ წესის 76-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვის გაუთვალისწინებლად სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია ამთვისებელი ცხოველების ნაკელის გატანაზე წინაწარ განსაზღვრულ მინდვრებზე დამცავ ზონაში მდებარე იმ სადგომებიდან, რომლებიც არ ექვემდებარება ამ მუხლით, მე-4 ან მე-9 მუხლებით დადგენილ ზომებს შემდეგი პირობებით:

ა) მთლიანი ნაკელის მოცულობა მიღებულია დამცავ ზონაში მდებარე სადგომში ინფექციის

დაფიქსირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და ნაკელი განაწილდება და მყისიერად შეერევა მიწას იმ მინდვრებზე, რომლებიც საკმაოდ მოცილებულია იმ სადგომიდან, სადაც ამთვისებელი ცხოველები ჰყავთ;

ბ) მსხვილფეხა საქონლის ან ღორის ნაკელის შემთხვევაში:

ბ.ა) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ სადგომში ყველა ცხოველის შემოწმებამ გამორიცხა თურქულის გამომწვევი ვირუსით დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველების არსებობა, და

ბ.ბ) ნაკელის მთლიანი მოცულობა წარმოებულია არანაკლებ 4 დღით ადრე ,,ბ.ა“ ქვეპუნქტში მითითებულ შემოწმებამდე;

ბ.გ) ნაკელი შერეულია წინასწარ განსაზღვრული მინდვრის მიწაში მისი წარმოშობის სადგომთან ახლოს და საკმარისი დაშორებით დამცავ ზონაში მდებარე სხვა სადგომებიდან, სადაც ჰყავთ ამთვისებელი ცხოველები.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ამთვისებელი ცხოველების შემცველი სადგომები, რომლებზეც გაიცა ავტორიზაცია ნაკელის გატანის შესახებ, დაექვემდებაროს მკაცრ ზომებს თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, გაჟონვის მიმართ მედეგი სატრანსპორტო საშუალებების ჩატვირთვამდე და სადგომის დატოვებამდე ჩაუტარდეს დასუფთავება და დეზინფექცია.

მუხლი 27. დამცავ ზონაში ამთვისებელი ცხოველების ტყავსა და კანთან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ტყავისა და კანის ბაზარზე განთავსება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ ტყავისა და კანის მიმართ, რომელიც:

ა) მიღებული იქნა ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სადგომში ინფექციის დაფიქსირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და ინახებოდა ამ თარიღის შემდეგ მიღებული ტყავისა და კანისგან განცალკევებით;

ბ) დამუშავებულ ტყავს არ ჰქონია შეხება სხვა ცხოველებთან ან ცხოველურ პროდუქტთან, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს რისკს დაავადების გავრცელებისათვის და სააგენტოს მიერ გაცემულია ავტორიზაცია, სადაც მითითებული იქნება, რომ გატარებულია ყველა ზომა კონტამინაციის თავიდან აცილების მიზნით და შეესაბამება ამ წესის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

მუხლი 28. დამცავ ზონაში წარმოებულ ცხვრის მატყლთან, მცოხნავი ცხოველების ბეწვთან და ღორის ჯაგართან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავ ზონაში არსებული ცხვრის მატყლის, მცოხნავი ცხოველების ბეწვისა და ღორის ჯაგრის ბაზარზე განთავსება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვები არ ვრცელდება იმ დაუმუშავებული მატყლის, ბეწვისა და ჯაგრის მიმართ, რომლებიც:

ა) მიღებული იქნა ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სადგომში ინფექციის დაფიქსირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და ინახებოდა ამ თარიღის შემდეგ მიღებული მატყლისგან, ბეწვისა და ჯაგრისგან განცალკევებით; ან

ბ) შეესაბამება ამ წესის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

მუხლი 29. დამცავ ზონაში წარმოებული სხვა ცხოველურ პროდუქტთან დაკავშირებულიზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს ამთვისებელი ცხოველებიდან მიღებული ცხოველური პროდუქტების

ბაზარზე განთავსება, გარდა ამ წესის 22-ე - 28-ე მუხლებში მითითებული პროდუქტებისა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ ვრცელდება ამავე პუნქტში მითითებული იმ პროდუქტების მიმართ:

ა) რომლებიც მიღებულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სადგომში ინფექციის დაფიქსირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და ინახებოდა და ტრანსპორტირებული იყო ამ თარიღის შემდეგ წარმოებული პროდუქტებისგან განცალკევებით;

ბ) რომლებმაც გაირეს დამუშავება 74-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ან

გ) რომლებიც შეესაბამება ამ წესის 74-ე მუხლის მე-5-მე-9 პუნქტებით დადგენილ კონკრეტულ პროდუქტთან დაკავშირებით სათანადო მოთხოვნებს, ან

დ) რომლებიც არის შედგენილი პროდუქტი და არ ექვემდებარება შემავალი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემდგომ დამუშავებას, რადგან არ გაიარა თუქრულის გამომწვევი ვირუსის გამანეიტრალებელი დამუშავება ან მიღებული იქნა ამ წესით გათვალისწინებული შეზღუდვებზე არდაქვემდებარებული ცხოველებისგან;

ე) რომლებიც შეფუთულია და გამოიყენება ინვიტრო დიაგნოსტიკისთვის ან ლაბორატორიულ რეაგენტებად.

მუხლი 30. დამცავ ზონაში არსებულ ცხოველის საკვებთან, ფურაჟთან, თივასა დაჩალასთან დაკავშირებული ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს დამცავი ზონიდან ცხოველის საკვების, ფურაჟის, თივისა და ჩალის ბაზარზე განთავსება.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ ცხოველის საკვების, ფურაჟის, თივისა და ჩალის მიმართ, რომლებიც:

ა) მიღებულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სადგომში ინფექციის დაფიქსირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და ინახებოდა და ტრანსპორტირებული იყო ამ თარიღის შემდეგ წარმოებული ცხოველის საკვების, ფურაჟის, თივისა და ჩალისგან განცალკევებით;

ბ) გამიზნულია დამცავ ზონაში გამოსაყენებლად სააგენტოს მიერ გაცემული ავტორიზაციის თანახმად;

გ) წარმოებულია საწარმოში, სადაც არ ჰყავთ ამთვისებელი ცხოველები;

დ) წარმოებულია საწარმოში, სადაც არ ჰყავთ ამთვისებელი ცხოველები და იღებენ ნედლეულს ამ პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტში მითითებული საწარმოდან ან დამცავი ზონის მიღმა მდებარე საწარმოებიდან.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ ამთვისებელი ცხოველების მქონე სადგომებში არსებული ფურაჟის და ჩალის მიმართ, რომლებიც შეესაბამება ამ წესის 75-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 31. გამონაკლისის დაშვება

ამ წესის 21-ე - 30-ე მუხლებში წარმოდგენილი აკრძალვებიდან ნებისმიერი გამონაკლისი დაშვებული უნდა იქნეს სააგენტოს კონკრეტული გადაწყვეტილებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის დარწმუნდება რომ ყველა შესაბამისი მოთხოვნა შესრულდა შესაბამის პერიოდში და რომ არ არსებობს თურქულის ვირუსის გავრცელების რისკი.

მუხლი 32. დამცავ ზონაში სააგენტოს მიერ გამოყენებული დამატებითი ზომები

ამ წესის შესაბამისად, დამცავ ზონაში გამოყენებული ზომების გარდა, სააგენტოს შეუძლია, გაატაროს

დამატებითი ზომები, რომლებიც აუცილებელია და პროპორციულია თურქულის ვირუსის საწინაღმდეგოდ, დაზიანებულ ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული ეპიდემიოლოგიური, მეცხოველეობის, კომერციული და სოციალური პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 33. დამცავ ზონაში ზომების შეწყვეტა

1. სააგენტოს მიერ დამცავ ზონაში გამოყენებული ზომები წყდება:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სადგომიდან ყველა ამთვისებელი ცხოველის დახოცვიდან და უსაფრთხო მოცილებიდან არანაკლებ 15 დღის და აღნიშნულ სადგომში ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად განხორციელებული წინასწარი დასუფთავების და დეზინფექციის ჩატარების შემდეგ;

ბ) დამცავ ზონაში მდებარე ყველა ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომში გამოკითხვის უარყოფითი შედეგების მიღებისას.

2. დამცავ ზონაში კონკრეტული ზომების შეწყვეტის შემდეგ, საკონტროლო ზონაში გამოყენებული ამ წესის 34-ე - 39-ე მუხლებში მითითებული ზომების გამოყენება გაგრძელდება არანაკლებ 15 დღისა, სანამ ეს ზომები არ შეწყდება ამ წესის 41-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოკვლევა უნდა განხორციელდეს დაავადების არარსებობის დასასაბუთებლად ამ წესის 62-ე მუხლში მითითებული კრიტერიუმის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს 65-ე მუხლში მითითებულ ზომებს ამ წესის 63-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მუხლი 34. ზომები საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომის მიმართ

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, ამ წესის მე-19 მუხლის პირველი პუნქტში მითითებული ზომები გამოყენებულ იქნეს საკონტროლო ზონაში.

2. სააგენტოს შეუძლია, არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.გ“ ქვეპუნქტში მითითებული აკრძალვა, თუ საკონტროლო ზონაში არ არის საკმარისი სასაკლაო და დაუშვას საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომიდან ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირება საკონტროლო ზონის მიღმა მდებარე სასაკლაოზე დაკვლის მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ, შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) ამ წესის მე-19 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ჩანაწერების წარმოება ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და სადგომის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა არ მიუთითებს თურქულის ვირუსით დაინფიცირებაზე ან კონტამინაციაზე;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველი აჩვენებს უარყოფით შედეგს;

გ) ცხოველების რეპრეზენტაციული რაოდენობა, ამ წესის 64-ე მუხლში არსებული სტატისტიკური პარამეტრების გათვალისწინებით დაექვემდებარა შემდგომ კლინიკურ შემოწმებას, რათა გამოირიცხოს კლინიკურად ინფიცირებული ცხოველების არსებობა ან ეჭვი;

დ) სასაკლაო შერჩეულია სააგენტოს მიერ და მდებარეობს საკონტროლო ზონასთან რაც შეიძლება ახლოს;

ე) ასეთი ცხოველებისგან მიღებული ხორცი უნდა დაექვემდებაროს ამ წესის 36-ე მუხლში მითითებულ დამუშავებას.

მუხლი 35. საკონტროლო ზონაში ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს ამთვისებელი ცხოველების გაყვანა საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომიდან.

2. დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვის გაუთვალისწინებლობა ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნის შესრულებისას:

ა) საკონტროლო ზონაში მდებარე საძოვრებზე სხვადასხვა სადგომიდან ამთვისებელ ცხოველებთან კონტაქტის გარეშე გადაყვანა დამცავ ზონაში ბოლოს დაფიქსირებული თურქულის აფეთქებიდან არანაკლებ 15 დღის შემდეგ;

ბ) ამთვისებელი ცხოველების პირდაპირი ტრანსპორტირება საკონტროლო ზონაში მდებარე სასაკლაოში დაკვლის მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ;

გ) ამ წესის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ტრანსპორტირებისას;

დ) ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად მათი ტრანსპორტირებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველების გადაადგილება ავტორიზებულ უნდა იქნეს სააგენტოს მიერ მხოლოდ სახელმწიფო ვეტერინარის მიერ სადგომში ყველა ამთვისებელი ცხოველის შემოწმების შემდეგ, მათ შორის, ამ წესის 64-ე მუხლის შესაბამისად აღებული ნიმუშების გამოკვლევის შემდეგ, რომლებიც უნდა გამორიცხავდეს დაინფიცირებაზე და კონტამინაციაზე საეჭვო ცხოველების არსებობას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველების გადაადგილება ავტორიზებულ უნდა იქნეს სააგენტოს მიერ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ წესის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული ზომები დასრულდება დამაკმაყოფილებელი შედეგებით.

5. სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს მიკვლევადობა საკონტროლო ზონიდან გაგზავნილ ამთვისებელ ცხოველებზე, საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომში ინფექციის დაფიქსირებიდან არანაკლებ 21 დღის განმავლობაში.

მუხლი 36. საკონტროლო ზონაში არსებული ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცისადა ამ ხორცისგან წარმოებული ხორცის პროდუქტების მიმართ გასატარებელი ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს საკონტროლო ზონაში არსებული ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცის, ამ ხორცისგან მომზადებული ხორცის ნახევარფაბრიკატებისა და გატარებული ხორცის ბაზარზე განთავსება.

2. სააგენტომ უნდა აკრძალოს საკონტროლო ზონაში განთავსებულ საწარმოებში წარმოებული ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცის, გატარებული ხორცის, ხორცის ნახევარფაბრიკატებისა და ხორცის პროდუქტების ბაზარზე განთავსება.

3.ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ ახალი ხორცის, გატარებული ხორცის და ხორცის ნახევარფაბრიკატების მიმართ, რომლებიც წარმოებულია საკონტროლო ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან სადგომის დაინფიცირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და წარმოების შემდეგ ინახება და ტრანსპორტირებულია აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოებული ხორცისგან განცალკევებით. ასეთი ხორცი ადვილად უნდა განირჩეოდეს იმ ხორცისაგან, რომელიც არ ექვემდებარება საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ გატანას და მისი ჯანმრთელობის ნიშანდება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვა არ გამოიყენება იმ ახალი ხორცის, გატარებული ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების მიმართ, რომლებიც წარმოებულია სასაკლაოზე ტრასპორტირებული ცხოველებიდან ამ წესის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, იმ პირობით, რომ ხორცი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვა არ გამოიყენება ქვემოთ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად, საკონტროლო ზონაში მდებარე საწარმოებიდან მიღებული ახალი ხორცის, გატარებული

ხორცის ან ხორცის ნახევარფაბრიკატების მიმართ, თუ:

ა) ასეთი საწარმო ფუნქციონირებს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

ბ) მხოლოდ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები, ან საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ გაზრდილი და დაკლული ცხოველებისგან, ან ამ საწარმოებში ტრანსპორტირებული ცხოველებისა და მათი დაკვლის შედეგად მიღებული ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გადამუშავდება საწარმოში;

გ) ყველა ასეთ ახალ ხორცს, გატარებულ ხორცს ან ხორცის ნახევარფაბრიკატებს აქვს ჯანმრთელობის ნიშანდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ყველა ასეთი ახალი ხორცი, გატარებული ხორცი ან ხორცის ნახევარფაბრიკატები მთლიანი წარმოების პროცესში უნდა იყოს იდენტიფიცირებული და ტრანსპორტირებული და ინახებოდეს იმ ახალი ხორცისგან, გატარებული ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატებისგან განცალკევებით, რომლებიც ამ წესის შესაბამისად არ ექვემდებარება გაგზავნას საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ.

6. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება საკონტროლო ზონის ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცისგან დამზადებულ იმ ხორცის პროდუქტების მიმართ, რომლებიც ნიშანდებულია ამ წესის 73-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დამუშავების მიზნით ტრანსპორტირება ხდება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოში.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება საკონტროლო ზონაში მდებარე საწარმოებიდან მიღებული იმ ხორცის პროდუქტების მიმართ, რომლებიც შეესაბამება ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ან წარმოებულია იმ ხორცისაგან, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-5 - მე-7 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

9. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული და დაექვემდებაროს კონკრეტულ პირობებს, კერძოდ, 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში შენახული საკონტოლო ზონის ამთვისებელი ცხოველებიდან წარმოებული ხორცის ჯანმრთელობის ნიშანდებასთან დაკავშირებით.

მუხლი 37. საკონტროლო ზონაში ამთვისებელი ცხოველების რძის და რძის პროდუქტისმიმართ გასატარებელი ზომები

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს საკონტროლო ზონიდან ამთვისებელი ცხოველების რძის და ასეთი რძისგან წარმოებული რძის პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

2. სააგენტომ უნდა აკრძალოს საკონტროლო ზონაში განთავსებულ საწარმოებში წარმოებული ამთვისებელი ცხოველების რძისა და რძის პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ რძისა და რძის პროდუქტის მიმართ, რომლებიც წარმოებულია საკონტროლო ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან სადგომის დაინფიცირებამდე არანაკლებ 21 დღით ადრე და წარმოების შემდეგ ინახება და ტრანსპორტირებულია აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოებული რძისა და რძის პროდუქტისგან განცალკევებით.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება საკონტროლო ზონაში არსებული ამთვისებელი ცხოველებისგან წარმოებული იმ რძის მიმართ და ასეთი რძისგან წარმოებული პროდუქტის მიმართ, რომელმაც რძის ან რძის პროდუქტის გამოყენებიდან გამომდინარე, გაიარა ამ წესის 79-ე ან მე-80 მუხლში მითითებული დამუშავების ერთ-ერთი სახე. ეს დამუშავება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ საწარმოებში ან, თუ საკონტროლო ზონაში არ არის საწარმოები, საკონტროლო

ზონის ფარგლებს გარეთ არსებულ საწარმოებში ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვა არ გამოიყენება იმ რძისა და რძის პროდუქტის მიმართ, რომლებიც მომზადდა საკონტროლო ზონაში მდებარე საწარმოებში ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული საწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ;

ბ) საწარმოში გამოყენებული რძე უნდა შეესაბამებოდეს მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ან ნედლი რძე მიღებული უნდა იყოს დამცავი და საკონტროლო ზონის გარეთ არსებული ცხოველებისგან;

გ) მთლიანი საწარმოო პროცესის დროს რძე უნდა იყოს იდენტიფიცირებული და ტრანსპორტირებული, ინახებოდეს იმ რძისა და რძის პრდუქტებისგან ცალკე, რომლებიც არ არის გამიზნული საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ გასატანად;

დ) ნედლი რძის ტრანსპორტირება დამცავი და საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე სადგომებიდან საწარმოებში უნდა განხორციელდეს დასუფთავებული და დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომლებსაც არ აქვთ კონტაქტი საკონტროლო და დამცავ ზონებში მდებარე სადგომის ამთვისებელ ცხოველებთან.

7. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-5 - მე-7 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

8. დამცავ ზონაში მდებარე სადგომიდან ნედლი რძის ტრანსპორტირება საკონტროლო და დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში და აღნიშნული რძის გადამუშავება უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პირობებს:

ა) საკონტროლო და დამცავი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში ნედლი რძის გადამუშავება, რომლებიც წარმოებულია საკონტროლო ზონაში არსებული ამთვისებელი ცხოველებისგან, ავტორიზებული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ;

ბ) ავტორიზაცია უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებსა და განსაზღვრულ საწარმოსკენ მიმავალ სატრანსპორტო მარშრუტს;

გ) ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს უშუალოდ ტრანსპორტირების წინ დასუფთავებული და დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც მოწყობილია და აღჭურვილია ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრანსპორტირების დროს რძის გაჟონვა და აეროზოლის გავრცელება რძის ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს;

დ) სადგომის დატოვებმადე ამთვისებელი ცხოველების რძის შეგროვების ადგილას უნდა დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩაუტარდეს შემაერთებელ მილებს, საბურავებს, ავტომანქანის ქვედა ნაწილებს და გადმოღვრილი რძე უნდა აიწმინდოს და ჩაუტარდეს დეზინფექცია. საკონტროლო ზონის დატოვებამდე ბოლო დეზინფექციის შემდეგ ავტომანქანას აღარ უნდა ჰქონდეს დამცავ და საკონტროლო ზონებში მდებარე ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომებთან კონტაქტი;

ე) სატრანსპორტო საშუალებები მკაცრად განსაზღვრული და მარკირებული უნდა იქნეს საკონტროლო ზონის გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული ერთეულის (ტერიტორიის) შესაბამისად. შეიძლება გადაადგილება სხვა ტერიტორიაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ.

9. ავტორიზაციას ექვემდებარება დაავადების შესაძლო გავრცელების საწინააღმდეგო ზომები და

საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომებში მყოფი ამთვისებელი ცხოველებიდან მიღებული ნედლი რძის ნიმუშების აღება, შეგროვება და ტრანსპორტირება ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით სხვა ლაბორატორიაში გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლაბორატორიისა, სადაც დაშვებულია თურქულის დიაგნოსტირება.

მუხლი 38. საკონტროლო ზონაში ამთვისებელი ცხოველების ნაკელის და ნარჩენებისტრანსპორტირება და დისტრიბუცია

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომებიდან და ამ წესის მე-16 მუხლში მითითებულ შენობებიდან, სადაც ამთვისებელი ცხოველები იმყოფებიან, ნაკელის ტრანსპორტირება და დისტრიბუცია.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვა შეუძლია არ გაითვალისწინოს სააგენტომ და გასცეს ავტორიზაცია გამონაკლის შემთხვევებში ნაკელის და ნარჩენების ტრანსპორტირებაზე დისტრიბუციამდე (დასუფთავება და დეზინფიცირება სავალდებულოა დისტრიბუციის განხორციელების შემდეგაც) დასუფთავებული და დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალებებით საკონტროლო ზონაში წინასწარ განსაზღვრულ ადგილას და იმ სადგომიდან საკმაო მანძილზე, სადაც ამთვისებელი ცხოველები იმყოფებიან ქვემოთ მითითებულ ალტერნატიულ პირობებში:

ა) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველის შემოწმებამ გამორიცხა თურქულის ვირუსით დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველები და ნაკელის ან ნარჩენების დისტრიბუცია ხდება ნიადაგთან ახლოს ისე, რომ არ წარმოიქმნას აეროზოლები და ის მყისიერად ჩახვნით შეერევა ნიადაგს;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველის კლინიკური შემოწმებისას არ გამოვლინდა დადებითი შემთხვევა და ნაკელის ინჯექტირება (შეყვანა) ხდება ნიადაგში;

გ) ნაკელი ექვემდებარება ამ წესის 26-ე მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 39. საკონტროლო ზონაში წარმოებულ სხვა ცხოველურ პროდუქტთან დაკავშირებული ზომები

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ წესის 36-ე - 38-ე მუხლებში მითითებულის გარდა სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას დაიცვას ამ წესის 25-ე და 27-ე-29-ე მუხლებში მითითებული პირობები.

მუხლი 40. საკონტროლო ზონაში სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი დამატებითიზომები

ამ წესის შესაბამისად საკონტროლო ზონაში ამ წესის 34-ე - 39-ე მუხლებით გამოყენებული ზომების გარდა, სააგენტოს შეუძლია, გაატაროს დამატებითი ზომები, რომლებიც აუცილებელია და პროპორციული იქნება თურქულის გამომწვევი ვირუსის წინაღმდეგ დაინფიცირებულ ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული ეპიდემიოლოგიური, მეცხოველეობის, კომერციული და სოციალური პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 41. საკონტროლო ზონაში ზომების შეწყვეტა

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, საკონტროლო ზონაში გამოყენებული ზომები განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებამდე:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სადგომიდან ყველა ამთვისებელი ცხოველის მოკვლიდან და უსაფრთხო მოცილების შემდეგ არანაკლებ 30 დღის გასვლის შემდეგ და აღნიშნულ სადგომში ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად განხორციელებული წინასწარი დასუფთავების და დეზინფექციის ჩატარება;

ბ) დამცავ ზონაში შესრულდა ამ წესის 33-ე მუხლში მითითებული მოთხოვნები;

გ) გამოკვლევა დასრულდა უარყოფითი შედეგებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტში მითითებული გამოკვლევა უნდა განხორციელდეს საკონტროლო ზონაში დაავადების არ არსებობის დასასაბუთებლად ამ წესის 62-ე მუხლში მითითებული კრიტერიუმის შესაბამისად, რომლებიც უნდა მოიცავდეს ამ წესის 66-ე მუხლში მითითებულ ზომებს, ამ წესის 63-ე მუხლში მითითებული კრიტერიუმის გათვალისწინებით.

მუხლი 42. რეგიონალიზაცია

1. მიუხედავად ამ წესის შესაბამისად განხორციელებული ზომებისა, თუ თურქულის გამომწვევი ვირუსი მაინც ვრცელდება და ეპიზოოტია ინტენსიური ხდება და ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი ვაქცინაცია განხორციელდა, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ტერიტორია დაექვემდებაროს რეგიონალიზაციას ერთი ან მეტი შეზღუდული და თავისუფალი ზონებით.

2. შეზღუდული ზონის გამიჯვნამდე (შემოფარგვლამდე), უნდა განხორციელდეს ამომწურავი ეპიდემიოლოგიური შეფასება, კერძოდ თურქულის გამომწვევი ვირუსის შეტანის შესაძლო დროის, ადგილის, გავრცელების და მისი აღმოფხვრისათვის საჭირო დროის პერიოდთან დაკავშირებით.

3. შეზღუდული ზონის შემოფარგვლისას, რამდენადაც შესაძლებელია, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საზღვრები და გეოგრაფიული ბარიერები. რეგიონალიზაცია უნდა დაიწყოს უფრო დიდი ადმინისტრაციული ერთეულებით და არა რეგიონებით. შეზღუდული ზონა ამ წესის მე-12 მუხლში მითითებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება შემცირდეს იმ მოცულობამდე, რომელიც არ არის რეგიონზე ნაკლები ზომის, და თუ აუცილებელია, შეიძლება მოიცავდეს მიმდებარე რეგიონებს.

მუხლი 43. სააგენტოს მიერ შეზღუდულ ზონაში გამოსაყენებელი ზომები

1. რეგიონალიზაციის შემთხვევაში სააგენტომ უნდა განახორციელოს სულ მცირე შემდეგი ზომები:

ა) შეზღუდულ ზონაში ამთვისებელი ცხოველების, ცხოველური პროდუქტებისა და საქონლის ტრანსპორტირებისა და გადაადგილების და სატრანსპორტო საშუალებების, როგორც თურქულის გამომწვევი ვირუსის პოტენციური გადამტანების კონტროლი;

ბ) ახალი ხორცის, ნედლი რძის და მარაგში არსებული სხვა პროდუქტების, რომლებიც არ ექვემდებარება შეზღუდული ზონის ფარგლებს გარეთ გატანას, მიკვლევადობა და ნიშანდება;

გ) ამთვისებელი ცხოველების და ასეთი ცხოველებისგან მიღებული პროდუქტების და შეზღუდული ზონის ფარგლებს გარეთ გასატან სურსათზე, რომელიც გამიზნულია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, გაიცემა ავტორიზაცია სააგენტოს მიერ და ჯანმრთელობის ნიშანდება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. რეგიონალიზაციის შემთხვევაში, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ თურქულის გამომწვევი ვირუსის შემოტანის სავარაუდო თარიღსა და რეგიონალიზაციის განხორციელებამდე პერიოდში შეზღუდული ზონიდან ქვეყნის სხვა რეგიონში გაგზავნილ ამთვისებელი სახეობის ცხოველებზე განხორციელდეს დაკვირვება. ასეთი ცხოველები ექვემდებარებიან იზოლაციას, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, სანამ დაინფიცირება ან კონტამინაცია ოფიციალურად არ გამოირიცხება.

3. სააგენტომ შეზღუდულ ზონაში თურქულის გამომწვევი ვირუსის სავარაუდო შეტანის თარიღსა და რეგიონალიზაციის განხორციელების თარიღს შორის ამ ზონაში წარმოებული ამთვისებელი ცხოველების ახალ ხორცზე, ნედლ რძეზე და ნედლი რძის პროდუქტებზე აწარმოოს მიკვლევადობა. ასეთი ახალი ხორცი უნდა დამუშავდეს ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო ნედლი რძე და ნედლი რძის პროდუქტები გამოყენებიდან გამომდინარე, უნდა დამუშავდეს ამ წესის 79-ე და მე-80 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ან შეჩერდეს (დაყოვნდეს) სანამ თურქულის გამომწვევი ვირუსით შესაძლო კონტამინაცია ოფიციალურად არ გამოირიცხება.

მუხლი 44. ამთვისებელი ცხოველების იდენტიფიკაცია

1. შინაური მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონლის და ღორის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული კანონდებლობით დადგენილი მოთხოვნების თანახმად, თურქულის აფეთქების შემთხვევაში ამთვისებელმა ცხოველებმა უნდა დატოვონ სადგომი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი იდენტიფიცირება მოხდება იმგვარად, რომ სააგენტოს ექნება საშუალება, თვალყური მიადევნოს და განახორციელოს სწრაფად მიკვლევადობა მათი გადაადგილების, წარმოშობის სადგომის ან ნებისმიერი სადგომის, საიდანაც ისინი არიან.

2. ამ წესის მე-14 და მე-15 მუხლების პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, აგრეთვე, ამ წესის 49-ე და 50-ე მუხლების შესაბამისად, განხორციელებული ვაქცინაციის შემთხვევაში სააგენტოს მიერ დასაშვებია დადგინდეს და გაიცეს ავტორიზაცია ამ ცხოველების იდენტიფიკაციისა და მათი წარმოშობის სადგომების მიკვლევადობის სხვა ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 45. თურქულის აფეთქების შემთხვევაში გადაადგილების კონტროლი

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თურქულის აფეთქების შემთხვევაში, ამ წესის 42-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ შეზღუდულ ზონაში გამოიყენოს ამთვისებელი ცხოველების გადაადგილების კონტროლზე შემდეგი ზომები:

ა) მოთხოვნის შემთხვევაში მფლობელებმა უნდა მიაწოდოს სააგენტოს სადგომში შემავალ და გამომავალ ცხოველებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ყველა ამთვისებელ ცხოველთან დაკავშირებით მოიცავს არანაკლებ იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირებაში ან მარკეტინგში ჩართულმა პირებმა მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდონ სააგენტოს მათ მიერ ტრანსპორტირებული ან ბაზარზე განთავსებული ასეთი ცხოველების გადაადგილებასთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ყველა ამთვისებელ ცხოველთან დაკავშირებით ტრანსპორტიორებისათვის (გადამყვანებისათვის) მოიცავს სულ მცირე შემდეგს:

ბ.ა) სადგომის ან შემკრები ცენტრის მისამართი, თარიღი და დრო ცხოველების აყვანისა;

ბ.ბ) ცხოველთა სახეობა და რაოდენობა;

ბ.გ) დეზინფექციის თარიღი და ადგილი;

ბ.დ) თანმხლები დოკუმენტების დეტალები: მათ შორის, ცხოველების რაოდენობა, მგზავრობის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;

გ) ინფორმაცია ყველა ამთვისებელ ცხოველთან დაკავშირებით, დილერებისათვის მოიცავს სულ მცირე:

გ.ა) მფლობელის დასახელებას, შესყიდვის თარიღს, ცხოველების კატეგორიას, რაოდენობას და საიდენტიფიკაციო ნომერს ან წარმოშობის სადგომის სარეგისტრაციო ნომერს;

გ.ბ) ტრანსპორტიორის (გადამყავნის) მართვის მოწმობის ნომერს;

გ.გ) შემსყიდველის დასახელებას, მისამართსა და ცხოველის საბოლოო დანიშნულების ადილს;

გ.დ) ჯანმრთელობის სერტიფიკატის ნომერს.

2. სააგნეტოს შეუძლია, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ზოგიერთი ან ყველა ზომა გაავრცელოს ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფალ ზონაზე.

მუხლი 46. თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინების წარმოების, დისტრიბუციისა და გამოყენების კონტროლი

1. სააგენტომ უნდა აკრძალოს გარდა ამ წესში მითითებული შემთხვევებისა თურქულის

საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ჰიპერიმუნური შრატის გამოყენება.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის განხორციელება თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინების წარმოებაზე, შენახვასა და დისტრიბუციაზე.

მუხლი 47. გადაუდებელი ვაქცინაციის შემოღების გადაწყვეტილება

1. ერთ-ერთი ქვემოთ მითითებული პირობა შეიძლება გახდეს საფუძველი გადაუდებელი ვაქცინაციის განხორციელებისა:

ა) თურქულის აფეთქება თუ დადასტურდა და არსებობს მისი ფართოდ გავრცელების საფრთხე;

ბ) თუ სხვა ქვეყნები არიან რისკის ქვეშ გეოგრაფიული მდებარეობის ან არსებული მეტეოროლოგიური პირობების გამო;

გ) თუ სხვა ქვეყნები არიან რისკის ქვეშ მათ ტერიტორიაზე არსებულ სადგომებსა და ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე თურქულის აფეთქების მქონე ამთვისებელი ცხოველების სადგომებს შორის ეპიდემიოლოგიური კონტაქტების გამო;

დ) თუ ქვეყანა არის რისკის ქვეშ მეზობელი ქვეყნის, სადაც თურქულის აფეთქებაა, გეოგრაფიული მდებარეობის ან მეტეოროლოგიური პირობების გამო.

2. გადაუდებელი ვაქცინაციის გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ წესის მე-14 მუხლში მითითებული ღონისძიებები და ცხრილიში - „კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებაზე და სახელმძღვანელო მითითებები გადაუდებელი ვაქცინაციის პროგრამებზე“ ჩამოთვლილი კრიტერიუმები.

მუხლი 48. გადაუდებელი ვაქცინაციისთვის საჭირო პირობები

1. გადაუდებელი ვაქცინაციის ჩატარების გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არანაკლებ შემდეგი პირობები:

ა) ამ წესის 42-ე მუხლის შესაბამისად, იმ გეოგრაფიული ტერიტორიის შემოფარგვლა, სადაც გადაუდებელი ვაქცინაცია უნდა განხორციელდეს;

ბ) ასაცრელი ცხოველების სახეობები და ასაკი;

გ) ვაქცინაციის კამპანიის ხანგრძლივობა;

დ) აცრილი და აუცრელი ამთვისებელი ცხოველების და მათგან მიღებული პროდუქტების გადაადგილების კონკრეტული აკრძალვა;

ე) იდენტიფიკაცია რეგისტრაცია;

ვ) საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. პირველ პუნქტში მითითებული გადაუდებელი ვაქცინაციის პირობები, უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ასეთი ვაქცინაცია განხორციელდეს ამ წესის 49-ე მუხლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, აცრილი ცხოველები შემდეგში დაიკვლება თუ დარჩება ცოცხალი.

3. სააგენტომ უნდა შეიმუშაოს საინფორმაციო პროგრამა და აცნობოს საზოგადოებას ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი აცრილი ცხოვლებისგან მიღებული ხორცის, რძის და რძის პროდუქტების უვნებლობის შესახებ.

მუხლი 49. დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაცია

1. დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებისას სააგენტომ უნდა უზრუნველყოს:

ა) ვაქცინაციის ზონის რეგიონალიზაცია, ამ წესის 42-ე მუხლის შესაბამისად, თუ საჭიროა მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ბ) ვაქცინაცია განახორციელოს სწრაფად, სანიტარიული და ბიოუსაფრთხოების წესების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული თურქულის გამომწვევი ვირუსის გავრცელება;

გ) ვაქცინაციის ზონაში გამოყენებული ყველა ზომა უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის 42-ე - 45-ე მუხლებში მითითებულ მოთხოვნებს;

დ) თუ ვაქცინაციის ზონა მოიცავს დამცავი ან საკონტროლო ზონის ნაწილებს ან მთლიანად ზონას:

დ.ა) ამ წესის შესაბამისად დამცავი და საკონტროლო ზონის მიმართ გამოყენებული ზომები უნდა შენარჩუნდეს ვაქცინაციის ზონის აღნიშნულ ნაწილში, სანამ ასეთი ზომები არ შეწყდება ამ წესის 33-ე მუხლის ან 41-ე მუხლის შესაბამისად;

დ.ბ) დამცავ და საკონტროლო ზონაში გატარებული ზომების შეწყვეტის შემდეგ, 51-ე - 55-ე მუხლებში მითითებული ზომების გამოყენება ვაქცინაციის ზონაში უნდა გაგრძელდეს.

2.დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებისას სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინაციის ზონა გარშემორტყმული იყოს საზედამხედველო ზონით (დაკვირვების ზონა, რომელიც განსაზღვრულია OIE-ის მიერ) ვაქცინაციის ზონის პერიმეტრიდან სულ მცირე 10 კმ-ის მანძილზე, სადაც:

ა) აკრძალულია ვაქცინაცია;

ბ) ხორციელდება ინტენსიური დაკვირვება;

გ) ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება ექვემდებარება სააგენტოს კონტროლს;

დ) სანამ არ აღდგება თურქულისა და ინფექციისაგან თავისუფალი ზონის სტატუსი ამ წესის 58-ე მუხლის შესაბამისად, რჩება უცვლელად.

მუხლი 50. დამთრგუნავი (შემაკავებელი) ვაქცინაცია

1. თუ სააგენტო ამ წესის 47-ე მუხლის შესაბამისად და ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით გადაწყვეტს, განახორციელოს დამთრგუნავი (შემაკავებელი) ვაქცინაცია, უნდა გაითვალისწინოს სულ მცირე ამ წესის მე-18 მუხლში მითითებული ზომები.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ დამთრგუნავი (შემაკავებელი) ვაქცინაცია განხორციელდეს:

ა) მხოლოდ დამცავი ზონის ფარგლებში;

ბ) მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ სადგომებში, რომლებიც ექვემდებარება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებულ ზომებს.

3. თუმცა, ლოჯისტიკური მიზეზის გამო და ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, ასეთ სადგომებში ყველა ცხოველის დახოცვა შეიძლება გადაიდოს რაც შეიძლება ხანგრძლივი დროით, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 51. გადაუდებელი ვაქცინაციის დაწყებიდან და ამ ვაქცინაციის დასრულებიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ ვაქცინაციის ზონაში გამოსაყენებელი ზომები (ეტაპი 1)

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის მე-2 – მე-6 პუნქტებში მითითებული ზომები გამოყენებულ იქნეს ვაქცინაციის ზონაში გადაუდებელი ვაქცინაციის დაწყებიდან და ამ ვაქცინაციის

დასრულების შემდეგ არანაკლებ 30 დღის შემდეგ.

2. აკრძალულია ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ სადგომებს შორის ცოცხალი ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ცხოველების და ამ ცხოველების ჯოგების კლინიკური შემოწმების შემდეგ სააგენტო დაუშვებს დაუყოვნებელი დაკვლის მიზნით მათ პირდაპირ ტრანსპორტირებას მის მიერ შერჩეულ, ვაქცინაციის ზონაში ან გამონაკლის შემთხვევაში, აღნიშნულ ზონასთან ახლოს მდებარე სასაკლაოზე.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში დაკლული აცრილი ცხოველებისგან მიღებულ ახალი ხორცის პროდუქტებს:

ა) უნდა ჰქონდეს ამ წესის 73-ე მულში მითითებული ნიშანდება;

ბ) უნდა მოხდეს მათი შენახვა და ტრანსპორტირება ,,ა“ პუნქტში მითითებული ნიშანდების არმქონე ხორცისგან განცალკევებით, ამასთანავე მათი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული კონტეინერებით ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დამუშავებისთვის სააგენტოს მიერ შერჩეულ საწარმოში.

4. აცრილი ცხოველებისგან მიღებული რძე და რძის პროდუქტები შეიძლება განთავსებულ იქნეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ, იმ პირობით, რომ ადამიანის მოხმარებისთვის საბოლოო გამოყენებიდან გამომდინარე, ის გაივლის ამ წესის 79-ე ან მე-80 მუხლებში მითითითებულ დამუშავების სულ მცირე ერთ-ერთ სახეს. ეს დამუშავება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ პირობებში ვაქცინაციის ზონაში არსებულ საწარმოში ან, თუ ამ ზონაში არ არის ასეთი საწარმო, ვაქცინაციის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოში, სადაც ნედლი რძის ტრანსპორტირება ხდება ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული პირობებით.

5. მე-4 პუნქტში მითითებული საწარმოები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მუდმივი და მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ;

ბ) საწარმოში გამოყენებული რძე უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, ან ნედლი რძე მიღებული უნდა იქნეს ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მყოფი ცხოველებისგან;

გ) მთელი საწარმოო პროცესის დროს რძე უნდა იყოს იდენტიფიცირებული და გადაიზიდოს და შენახულ იქნეს იმ ნედლი რძის და ნედლი რძის პროდუქტებისგან განცალკევებით, რომლებიც არ არის გამიზნული ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ გასაგზავნად;

დ) ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე სადგომებიდან ნედლი რძის ტრანსპორტირება საწარმოებში უნდა განხორციელდეს უშუალოდ ტრანსპორტირების წინ, დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც არ ჰქონდა კონტაქტი შეზღუდული ზონის იმ სადგომებთან, სადაც განთავსებულია ამთვისებელი ცხოველები.

6. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

7. ვაქცინაციის ზონაში არსებული საწარმოებიდან ნედლი რძის ტრანსპორტირება ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში და რძის გადამუშავება უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პირობებს:

ა) ვაქცინაციის ზონაში არსებული ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ნედლი რძის გადამუშავება ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებში ავტორიზებული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ;

ბ) ავტორიზაცია უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებსა და განსაზღვრული საწარმოსკენ მიმავალ სატრანსპორტო მარშრუტს;

გ) ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს დასუფთავებული და დეზინფიცირებული სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც დამზადებული და აღჭურვილია ისე, რომ თავიდან იქნება აცილებული ტრანსპორტირების დროს გაჟონვა და აეროზოლის გავრცელება რძის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს;

დ) სადგომის დატოვებმადე ამთვისებელი ცხოველების რძის შეგროვების ადგილას უნდა დასუფთავდეს და დეზინფექცია ჩაუტარდეს შემაერთებელ მილებს, საბურავებს, ავტომანქანის ქვედა ნაწილებს და გადმოღვრილი რძე უნდა აიწმინდოს და ჩატარდეს დეზინფექცია. ვაქცინაციის ზონის დატოვებამდე ბოლო დეზინფექციის შემდეგ ავტომანქანას აღარ უნდა ჰქონდეს ვაქცინაციის ზონაში მდებარე ამთვისებელი ცხოველებით განთავსებულ სადგომებთან კონტაქტი;

ე) სატრანსპორტო საშუალებები მკაცრად განსაზღვრულია და მარკირებულია გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული ერთეულის (ტერიტორიის) შესაბამისად, შეიძლება გადაადგილება სხვა ტერიტორიაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ.

8. აკრძალულია ვაქცინაციის ზონაში მდებარე სადგომებში მყოფი ამთვისებელი ცხოველებიდან ნედლი რძის ნიმუშების აღება, შეგროვება და ტრანსპორტირება ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით სხვა ლაბორატორიაში გარდა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლაბორატორიისა, სადაც დაშვებულია თურქულის დიაგნოსტირება.

9. უნდა შეჩერდეს ხელოვნული განაყოფიერების მიზნით სპერმის შეგროვება ვაქცინაციის ზონაში მდებარე სპერმის შემგროვებელ ცენტრებში მყოფი დონორი ამთვისებელი ცხოველებისგან. სააგენტოს შეუძლია, გასცეს ავტორიზაცია ვაქცინაციის ზონაში სპერმის შემგროვებელ ცენტრებში სპერმის შეგროვებაზე გაყინული სპერმის მისაღებად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში შეგროვილი სპერმა ინახება ცალკე, სულ მცირე 30 დღის განმავლობაში და

ბ) სპერმის გაგზავნამდე:

ბ.ა) დონორი ცხოველი არ უნდა იყოს აცრილი და გამოყენებული ამ წესის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

ბ.ბ) დონორ ცხოველს ჩაუტარდა ვაქცინაცია თურქულის გამომწვევი ვირუსის ანტისხეულებზე უარყოფითი შედეგის მიღების შემდეგ;

ბ.ბ.ა) კარანტინის ბოლო პერიოდში სპერმის შემგროვებელ ცენტრში იმ დროს არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველისგან აღებულ ნიმუშებში მიღებული იქნა უარყოფითი შედეგი ვირუსის ან ვირუსული გენომის ან არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულის ტესტებში, და

ბ.ბ.ბ) სააგენტოს შეუძლია დაუშვას თურქულზე ვაქცინირებული ბუღა მწარმოებელიდან სპერმის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ის აცრილია თურქულის საწინააღმდეგოდ 12 თვით ადრე სპერმის შეგროვებამდე. ვაჭრობაში ჩართვამდე თითოეული შენაგროვის 5% ექვემდებარება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევას. ვაჭრობაში დაიშვება მხოლოდ უარყოფითი შედეგის მქონე სპერმის შენაგროვი.

10. აკრძალულია კვერცხუჯრედისა და ემბრიონის შეგროვება დონორი ცხოველებისგან.

11. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, გარდა ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში მითითებულისა, ბაზარზე განთავსება უნდა დაექვემდებაროს ამ წესის 27-ე-29-ე და 38-ე მუხლებში მითითებულ მოთხოვნებს.

მუხლი 52. გადაუდებელი ვაქცინაციიდან სადგომების გამოკვლევასა და კლასიფიკაციის დასრულებამდე პერიოდში ვაქცინაციის ზონაში გამოსაყენებელი ზომები (ეტაპი 2)

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებში მითითებული ზომების გამოყენება

ვაქცინაციის ზონაში გადაუდებელი ვაქცინაციის დასრულებიდან 30 დღის შემდეგ და შეწყვიტოს ამ წესის 53-ე-54-ე მუხლებში მითითებული ზომების დასრულებისას.

2. აკრძალულია ვაქცინაციის ზონაში და მის გარეთ მდებარე სადგომებს შორის ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება.

3. სააგენტოს შეუძლია, არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული აკრძალვა და დაუშვას ამ წესის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული სადგომებიდან დაუყოვნებელი დაკვლის მიზნით ამთვისებელი ცხოველების პირდაპირი ტრანსპორტირება ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ მდებარე სასაკლაოში, შემდეგი პირობებით:

ა) ტრანსპორტირების დროს და სასაკლაოში ეს ცხოველები არ უნდა იყვნენ სხვა ამთვისებელი ცხოველებთან კონტაქტში;

ბ) ცხოველებს თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ სადგომში ყველა ამთვისებელმა ცხოველმა გაირა ამ წესის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გამოკვლევა;

გ) სატრანსპორტო საშუალება ჩატვირთვამდე და ცხოველების გადაყვანის შემდეგ დასუფთავდება და უტარდება დეზინფექცია დასუფთავებისა და დეზინფექციის თარიღისა და დროის მითითებით სატრანსპორტო საშუალებების ჩანაწერების ჟურნალში;

დ) სასაკლაოში ცხოველებმა უნდა გაიარონ დაკვლისწინა შემოწმება დაკვლამდე 24 საათის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკური შემოწმება თურქულზე და არ უნდა აღინიშნებოდეს ამ დაავადების დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში აცრილი ყველა ასაკის მცოხნავი ცხოველებისგან მიღებული ახალი ხორცი, გარდა სუბპროდუქტებისა, შეიძლება განთავსებულ იქნეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში და მის გარეთ შემდეგ პირობებში:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

ბ) საწარმოში უნდა დამუშავდეს მხოლოდ ახალი ხორცი, სუბპროდუქტის გარეშე, თანახმად ამ წესის 77-ე მუხლის პირველი, მე-3 - მე-4 პუნქტებში აღწერილი დამუშავების მეთოდებისა ან ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ გაზრდილი და დაკლული ცხოველებისგან მიღებული ახალი ხორცი;

გ) ყველა ასეთ ახალ ხორცს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის ნიშანდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ყველა ასეთი ახალი ხორცი მთლიანი წარმოების პროცესში უნდა იყოს იდენტიფიცირებული და ტრანსპორტირებული და ინახებოდეს იმ ახალი ხორცისგან განცალკევებით, რომლებიც ამ წესის შესაბამისად მიღებულია ჯანმრთელობის სხვა სტატუსის მქონე ცხოველის ხორცისგან.

5. სააგენტომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს.

6. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში აცრილი ღორისებრთა ცხოველებისგან მიღებულ ახალ ხორცს უნდა ჰქონდეს ამ წესის 73-ე მუხლში მითითებული ჯანმრთელობის ნიშანდება და უნდა ინახებოდეს და ტრანსპორტირებული იყოს განცალკევებით იმ ხორცისგან, რომელსაც არ აქვს ასეთი ნიშანდება. მათი ტრანსპორტირება ხდება დახურული კონტეინერებით 74-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დამუშავების მიზნით სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეულ საწარმოში.

7. აცრილი ცხოველებისგან წარმოებული რძე და რძის პროდუქტები შეიძლება განთავსებულ იქნეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ, იმ პირობით, რომ ადამიანის მიერ მოხმარების ან არ მოხმარებისთვის საბოლოო გამოყენებისას ის გაივლის არანაკლებ ამ წესის 79-ე და მე-80 მუხლებში მითითებულ დამუშავების ერთ-ერთ სახეს. ასეთი დამუშავება უნდა განხორციელდეს ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ არსებულ საწარმოში ამ წესის, 51-ე მუხლის მე-4 – მე-8 პუნქტებში მითითებული

მოთხოვნების შესაბამისად.

8. ამთვისებელი ცხოველებისგან სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონის შეგროვებაზე უნდა გავრცელდეს ამ წესის 51-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში მითითებული ზომები.

9. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, გარდა ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებში მითითებულისა, ბაზარზე განთავსება ექვემდებარება ამ წესის 27-ე-29-ე და 38-ე მუხლებში მითითებულ მოთხოვნებს.

მუხლი 53. კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევა ვაქცინაციის ზონაში (ეტაპი 2-ა)

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ზომები გამოყენებული იქნეს ვაქცინაციის ზონაში იმ პერიოდში, რომელიც იწყება გადაუდებელი ვაქცინაციის დასრულებიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ და წყდება კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევების დასრულებისთანავე.

2. მოკვლევა უნდა განხორციელდეს იმ ამთვისებელი ცხოველების ჯოგის იდენტიფიცირების მიზნით, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა თურქულის გამომწვევ ვირუსთან და არ აღენიშნება თურქულის აშკარა კლინიკური ნიშნები. აღნიშნული გამოკვლევა უნდა მოიცავდეს ვაქცინაციის ზონაში მყოფ ჯოგებში ამთვისებელი ცხოველების კლინიკურ შემოწმებას და ლაბორატორიულ გამოკვლევას ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

3. ლაბორატორიული გამოკვლევა უნდა განხორციელდეს იმ ტესტების საშუალებით, რომლებიც აკმაყოფილებს ამ წესის 91-ე მუხლში მითითებულ დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს და უნდა შეესაბამებოდეს ერთ-ერთ ქვემოთ წარმოდგენილ პირობას:

ა) თურქულის გამომწვევი ვირუსის არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოკვლევა ან სხვა აღიარებული მეთოდით, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის 64-ე მუხლში მითითებულ სადგომში ნიმუშის აღების კრიტერიუმებს. თუ სააგენტო იყენებს დამატებით ინდიკატორულ ცხოველებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესის 68-ე - 69-ე მუხლებში მითითებულ დაინფიცირებულ სადგომებში სულადობის რეპოპულაციისათვის საჭირო პირობები;

ბ) თურქულის გამომწვევი ვირუსის არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოკვლევა უნდა განხორციელდეს ვაქცინაციის ზონაში აცრილი ამთვისებელი ცხოველებიდან და ჯოგში აუცრელი მოზარდეულიდან აღებულ ნიმუშებზე.

მუხლი 54. ვაქცინაციის ზონაში ჯოგების კლასიფიკაცია (ეტაპი 2-ბ)

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ სადგომში, სადაც განთავსებულია ამთვისებელი ცხოველები:

ა) კლასიფიცირებულია ამ წესის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გამოკვლევის შედეგებისა და ამ წესის მე-2 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) შეესაბამება ამ მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტებში მითითებულ ზომებს.

2. სადგომი, სადაც არის სულ მცირე თურქულით დაინფიცირებაზე საეჭვო ერთი ცხოველი მაინც და თურქულის გამომწვევი ვირუსის არსებობა დადასტურებულია ამ წესის მე-2 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად, ექვემდებარება ამ წესის მე-9 და მე-18 მუხლებში მითითებულ ზომებს.

3. სადგომები, რომლებიც მოიცავს თურქულის ვირუსთან ადრე შეხებაში მყოფ არანაკლებ ერთ დაინფიცირებულ ამთვისებელ ცხოველს, თუმცა სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველის შემდგომმა შემოწმებამ დაადასტურა თურქულის გამომწვევი ვირუსის არარსებობა, ექვემდებარება სულ მცირე შემდეგ ზომებს:

ა) სადგომის ტერიტორიაზე ამთვისებელი ცხოველების:

ა.ა) დახოცვას და ტანხორცის გადამუშავებას;

ა.ბ) კლასიფიცირებას;

ა.ბ.ა) ცხოველები, რომლებიც დადებითია ამ წესის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი აღიარებული ტესტის მიმართ, უნდა დაიხოცოს და მათი ტანხორცი გადამუშავდეს, და

ა.ბ.ბ) სადგომში დარჩენილი ამთვისებელი ცხოველები უნდა დაიკლას სააგენტოს მიერ ავტორიზებული პირობებით;

ბ) სადგომის დასუფთავებასა და დეზინფექციას ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად;

გ) ცხოველების სულადობის რეპოპულაციას ამ წესის 68-ე-69-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, ამ წესის 53-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში ამთვისებელი ცხოველებისგან წარმოებული პროდუქტების მიმართ გამოყენებული იყოს შემდეგი ზომები:

ა) მე-3 პუნქტის ,,ა.ბ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველის ახალი ხორცი, მცოხნავი ცხოველების ხორცთან დაკავშირებით, უნდა დაექვემდებაროს 52-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ხოლო ღორისებრთა ცხოველების ხორცთან დაკავშირებით 52-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა.ბ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველებისგან მიღებული რძე და რძის პროდუქტები, მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ექვემდებარება არანაკლებ ამ წესის 79-ე და მე-80 მუხლებში მითითებული დამუშავების ერთ-ერთ სახეს, თანახმად ამ წესის 51-ე მუხლის მე-4 - მე-8 პუნქტებისა.

5. ამთვისებელი ცხოველების სადგომში, სადაც თურქულის ვირუსის ადრინდელი ან არსებული ინფექცია ოფიციალურად გამოირიცხა ამ წესის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს ამ წესის 55-ე მუხლში მითითებულ ზომებს.

მუხლი 55. სადგომის შემოწმებისა და კლასიფიკაციის დასრულების შემდეგვაქცინაციის ზონაში გამოსაყენებელი ზომები თურქულისა და ინფექციისაგანთავისუფალი სტატუსის აღდგენამდე (ეტაპი 3)

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინაციის ზონაში ამ მუხლის მე-2 – მე-6 პუნქტებში მითითებული ზომების გამოყენება ვაქცინაციის ზონაში ამ წესის 54-ე მუხლში მითითებული ზომების დასრულების შემდეგ და ამ წესის 56-ე მუხლის შესაბამისად, თურქულისა და ინფექციისაგან თავისუფალი სტატუსის აღდგენამდე.

2. სააგენტომ უნდა გასცეს ავტორიზაცია ვაქცინაციის ზონაში მდებარე სადგომებს შორის ამთვისებელი ცხოველების გადაადგილებაზე.

3. ვაქცინაციის ზონის გარეთ ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება აკრძალულია, გარდა სააგენტოს მიერ გაცემული ამ წესის 52-ე მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად, ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირებისა პირდაპირ სასაკლაოზე დაუყოვნებლივი დაკვლის მიზნით.

4. სააგენტოს შეუძლია, არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნა და დაუშვას აუცრელი ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირება შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) ჩატვირთვიდან 24 საათში, სადგომში არსებული ყველა ამთვისებელი ცხოველი დაექვემდებარა კლინიკურ შემოწმებას და არ გამომჟღავნდა თურქულის კლინიკური ნიშნები;

ბ) ცხოველები წარმოშობის სადგომში სულ მცირე 30 დღე იყვნენ განთავსებულნი, რა პერიოდშიც არცერთი სხვა ამთვისებელი ცხოველი არ შესულა სადგომში;

გ) წარმოშობის სადგომი არ მდებარეობს დამცავ ან საკონტროლო ზონაში;

დ) ტრანსპორტირებისთვის გამიზნული ცხოველები ინდივიდუალურად დაექვემდებარა იზოლაციის ბოლოს თურქულის ვირუსის ანტისხეულის საწინააღმდეგო გამოკვლევებს ან სეროლოგიურ გამოკვლევას, აღნიშნულ სადგომში ამ წესის 64-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) წარმოშობის სადგომიდან დანიშნულების ადგილამდე ტრანპორტირებისას ცხოველებს არ ჰქონიათ კონტაქტი ინფექციის წყაროსთან.

5. აკრძალულია აცრილი მდედრის აუცრელ მოზარდისთვის წარმოშობის სადგომის დატოვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი ტრანსპორტირება მოხდება:

ა) ვაქცინაციის ზონაში წარმოშობის სადგომის მსგავს ჯანმრთელობის სტატუსის მქონე სადგომში;

ბ) სასაკლაოზე დაუყოვნებელი დაკვლის მიზნით;

გ) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სადგომში, საიდანაც მოზარდეული უნდა გაიგზავნოს პირდაპირ სასაკლაოზე;

დ) ნებისმიერ სადგომში, იმ პირობით, რომ წარმოშობის სადგომიდან გაგზავნამდე აღებული სისხლის ნიმუში უარყოფითია თურქულის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოსავლენ სეროლოგიურ ტესტზე.

6. აუცრელი ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ახალი ხორცი შეიძლება განთავსებულ იქნეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ შემდეგი პირობებით:

ა) ვაქცინაციის ზონაში ამ წესის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ზომები დასრულდა ან ცხოველების ტრანსპორტირება სასაკლაოზე მოხდა ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებულ პირობებში;

ბ) საწარმო ფუნქციონირებს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

გ) საწარმოში დამუშავდება მხოლოდ ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველებისგან ან ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ გაზრდილი და/ან დაკლული ცხოველებისგან მიღებული ახალი ხორცი ან ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული ახალი ხორცი;

დ) ყველა ასეთ ახალ ხორცს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის ნიშანდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) მთლიან საწარმოო პროცესში ახალი ხორცი უნდა იყოს იდენტიფიცირებული და მისი ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს ჯანმრთელობის სხვა სტატუსის მქონე ცხოველის ხორცისგან განცალკევებით, ამ წესის შესაბამისად.

7. აცრილი ამთვისებელი ცხოველებისგან ან ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პერიოდში აცრილი მდედრის აუცრელი სეროდადებითი დაკლული მოზარდეულისგან მიღებულ ახალ ხორცს უნდა ჰქონდეს ამ წესის 73-ე მუხლში მითითებული ჯანმრთელობის ნიშანდება და უნდა ინახებოდეს და მისი ტრანსპორტირება უნდა ხდებოდეს ამ ნიშანდების არმქონე ხორცისგან ცალკე. მათი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული კონტეინერებით ამ წესის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამუშავებისთვის სააგენტოს მიერ წინასწარ შერჩეულ საწარმოში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, აცრილი ყველა ასაკის მცოხნავი ცხოველების ახალი ხორცი და სუბპროდუქტის ანაჭრები (ტრიმინგი) ან მათი აუცრელი სეროდადებითი მოზარდეული შეიძლება განთავსდეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ, შემდეგ პირობებში:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

ბ) საწარმოში უნდა გადამუშავდეს მხოლოდ ახალი ხორცი, გარდა სუბპროდუქტებისა, რომელიც დაექვემდებარა ამ წესის 77-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 პუნქტებში აღწერილ დამუშავებას ან ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული ახალი ხორცი ან ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ გაზრდილი და/ან დაკლული ცხოველების ახალი ხორცი;

გ) ყველა ასეთ ახალ ხორცს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის ნიშანდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

დ) მთელ საწარმოო პროცესში ახალი ხორცი უნდა იყოს იდენტიფიცირებული და მისი ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს ჯანმრთელობის სხვა სტატუსის მქონე ცხოველის ხორცისგან განცალკევებით, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, აცრილი ღორისებრთა და მათი აუცრელი სეროპოზიტიული მოზარდეულის ახალი ხორცი, რომელიც წარმოებულია მოკვლევის დაწყებიდან და გრძელდება ვაქცინაციის ზონაში ამ წესის 54-ე მუხლში მითითებული ზომების დასრულებამდე და ამ ზონაში დაფიქსირებული ბოლო აფეთქებიდან არანაკლებ 3 თვის შემდეგ, შეიძლება განთავსებულ იქნეს მხოლოდ ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ შემდეგ პირობებში:

ა) საწარმო უნდა მუშაობდეს მკაცრი ვეტერინარული კონტროლის ქვეშ;

ბ) ამ საწარმოში გადამუშავდება მხოლოდ იმ სადგომის ცხოველების ახალი ხორცი, რომლებიც შეესაბამება ამ წესის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ პირობებს ან ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მოშენებული და დაკლული ცხოველების ახალი ხორცი;

გ) მთლიან საწარმოო პროცესში ახალი ხორცი უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და მისი ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს ჯანმრთელობის სხვა სტატუსის მქონე ცხოველის ხორცისგან განცალკევებით, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ყველა ასეთ ახალ ხორცზე შეიძლება სააგენტოს მიერ გაცემულ იქნეს ავტორიზაცია ჯანმრთელობის ნიშანდებაზე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული პერიოდის გასვლის შემდეგ ვაქცინაციის ზონიდან აცრილი ღორისებრთა ახალი ხორცის გაგზავნის წესებს, ამ წესის 61-ე მუხლის შესაბამისად თავისუფალი სტატუსის დაბრუნებამდე, ადგენს სააგენტო.

11. აცრილი ცხოველებისგან მიღებული რძე და რძის პროდუქტები შეიძლება განთავსდეს ბაზარზე ვაქცინაციის ზონაში ან მის გარეთ, იმ პირობით, რომ მან გაიარა ამ წესის 79-ე და მე-80 მუხლებში მითითებული დამუშავების არანაკლებ ერთ-ერთი სახე, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია ადამიანის მოხმარებისათვის თუ – არა. ასეთი დამუშავება უნდა განხორციელდეს ვაქცინაციის ზონაში არსებულ საწარმოში ან ამ წესის 51-ე მუხლის მე- 4 – მე-7 პუნქტებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

12. საკონტროლო ზონაში მდებარე სადგომის ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული ნედლი რძის ნიმუშების შეგროვება და ტრანსპორტირება ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით დასაშვებია სააგენტოს მიერ გაცემული ავტორიზაციის საფუძველზე სხვა ლაბორატორიაში, სადაც დაშვებულია თურქულის დიაგნოსტირება და ასრულებენ სათანადო ღონისძიებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თურქულის ვირუსის შესაძლო გავრცელება.

13. ამ მუხლის მე-6 - მე-10 და მე-11 - მე-12 პუნქტებში მითითებულის გარდა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ბაზარზე განთავსება ექვემდებარება ამ წესის 27-ე-29-ე და 31-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 56. თურქულისა და ინფექციისგან თავისუფალი სტატუსი

ქვეყანაში ან მის რეგიონში თურქულისა და ინფექციისგან თავისუფალი სტატუსი უნდა აღდგეს ამ წესის 57-ე და 58-ე მუხლებში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 57. გადაუდებელი ვაქცინაციის გარეშე თურქულის აღმოფხვრის შემდეგსტატუსის აღდგენა

ქვეყანამ ან რეგიონმა, რომელიც რეგიონალიზებულია ამ წესის 42-ე მუხლის შესაბამისად, უნდა აღადგინოს თურქულისა და ინფექციისაგან თავისუფალი სტატუსი თურქულის ერთი ან მეტი აფეთქების კონტროლისა და აღმოფხვრის შემდეგ, ვაქცინაციის გარეშე შემდეგ პირობებში:

ა) ამ წესის 33-ე და 41-ე მუხლებში წარმოდგენილი ყველა ღონისძიება დასრულებულია, და

ბ) სულ მცირე გამოიყენება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ბ.ა) შესრულებულია OIE-ის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსით დადგენილი რეკომენდაციები თურქულთან დაკავშირებით;

ბ.ბ) ბოლოს რეგისტრირებული თურქულის აფეთქებიდან სამი თვის შემდეგ ამ წესის 62-ე - 67-ე მუხლების შესაბამისად განხორციელებულმა კლინიკურმა და ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა არ დაადასტურა თურქულის დაავადება ქვეყანაში ან მის რეგიონში.

მუხლი 58. ვაქცინაციით თურქულის აღმოფხვრის შემდეგ სტატუსის აღდგენა

ქვეყანამ ან რეგიონმა, რომელიც რეგიონალიზებულია 42-ე მუხლის შესაბამისად, უნდა აღადგინოს თურქულისა და ინფექციისაგან თავისუფალი სტატუსი თურქულის ერთი ან მეტი აფეთქების ვაქცინაციით კონტროლისა და აღმოფხვრის შემდეგ, თუ:

ა) შესრულებულია ამ წესის 33-ე, 41-ე, 51-ე - 54-ე მუხლებში მითითებული ყველა ღონისძიება და

ბ) გამოიყენება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ბ.ა) შესრულებულია OIE-ის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსით დადგენილი რეკომენდაციები თურქულთან დაკავშირებით;

ბ.ბ) ბოლოს აცრილი ცხოველის დაკვლიდან გასულია სულ მცირე სამი თვე და განხორციელდა სეროლოგიური გამოკვლევა;

ბ.გ) თურქულის ბოლო აფეთქებიდან ან გადაუდებელი ვაქცინაციიდან გასულია არანაკლებ ექვსი თვე, ამ ორიდან რომელიც უფრო გვიან დადგება და თურქულის ვირუსის არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოვლენის საფუძველზე ჩატარებულმა სეროლოგიურმა გამოკვლევამ არ აჩვენა აცრილ ცხოველებში ინფექციის არსებობა.

მუხლი 59. თურქულისა და ინფექციისგან თავისუფალი სტატუსის აღდგენისღონისძიებების მოდიფიკაცია

1. ამ წესის 57-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად დასაშვებია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, გაუქმდეს ამ წესის შესაბამისად გამოყენებული შეზღუდვები მას შემდეგ, რაც შესრულდება ამ წესის 33-ე და 41-ე მუხლებში მითითებული მოთხოვნები და კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევით არ დადასტურდება თურქულის დაავადება.

2. ამ წესის 58-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად დასაშვებია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, გაუქმდეს ამ წესის შესაბამისად გამოყენებული შეზღუდვები მას შემდეგ, რაც შესრულდება ამ წესის 53-ე და 54-ე მუხლებში მითითებული მოთხოვნები და კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევით არ დადასტურდება თურქულის დაავადება.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, სააგენტომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არც ერთმა ამთვისებელმა ცხოველმა არ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია ან მისი რეგიონი, სადაც თურქულის აფეთქებას ჰქონდა ადგილი, ვიდრე თურქულისა და ინფექციისგან თავისფალი სტატუსი არ აღდგება OIE-ის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის პირობების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კი ასეთი ცხოველები:

ა) არ იქნენ აცრილები და გაგზავნილია პირდაპირ სასაკლაოზე დაუყოვნებელი დაკვლის მიზნით;

ბ) არ იქნენ იზოლირებული არანაკლებ 30 დღე ჩატვირთვამდე და არ ექნებათ გავლილი ჩატვირთვამდე 10 დღით ადრე თურქულის გამომწვევი ვირუსის სტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულზე სეროლოგიური გამოკვლევა, უარყოფითი შედეგებით;

გ) გამიზნულია ექსპორტისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით შესაძლოა სააგენტოს მიერ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ OIE–ის ცხოველთა ჯანმრთელობის კოდექსის პირობების შესაბამისად თურქულისა და ინფექციისაგან თავისუფალი სტატუსის აღდგენამდე ამ წესის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვაქცინაციის ზონის დაკვირვების რადიუსი შემცირდეს ამ წესის 54-ე მუხლში მითითებული დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემდეგ.

მუხლი 60. საგანგებო გეგმები

1. სააგენტო ვალდებულია, ჰქონდეს შემუშავებული თურქულის აფეთქების შემთხვევაში განსახორციელებელი საგანგებო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება:

ა) თურქულის შესახებ ცნობიერების ამაღლების, მისი აფეთქებისას მზადყოფნისა და გარემოს დაცვის შენარჩუნებისთვის საჭირო ზომები;

ბ) აფეთქების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი დაზიანების მინიმუმამდე შემცირება, კერძოდ, თუ აუცილებელია დაიწვას ან დაიმარხოს ადგილზე მკვდარი ან დახოცილი ცხოველების ტანხორცი;

გ) თურქულის აფეთქების სწრაფი და ეფექტიანი აღმოფხვრისათვის საჭირო ყველა მოწყობილობის, პერსონალისა და სხვა სათანადო მასალების ხელმისაწვდომობა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებთან კოორდინაცია და თანამშრომლობა;

ე) ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მითითების გათვალისწინებით:

ე.ა) გადაუდებელი ვაქცინაციის შემთხვევაში საჭირო ვაქცინის მოთხოვნები; და

ე.ბ) რეგიონში ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვე, ცხრილით – „კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებაზე და სახელმძღვანელო მითითებები გადაუდებელი ვაქცინაციის პროგრამებზე“ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

2. საგანგებო გეგმების შედგენისას სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს არანაკლებ შემდეგი კრიტერიუმები და მოთხოვნები:

ა) უნდა განისაზღვროს მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება საკანონმდებლო ბაზას და უზრუნველყოფს სწრაფი და ეფექტური აღმოფხვრის კამპანიის განხორციელებას;

ბ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საგანგებო სარეზერვო ფონდებზე და ფინანსურ რესურსებზე წვდომა თურქულის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ასპექტის მოცვის მიზნით;

გ) უნდა შეიქმნას მექანიზმი თურქულის დაავადების ეპიდემიასთან დაკავშირებით სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით. სააგენტო, მათ შორის, მთავარი ვეტერინარი, პასუხისმგებელი უნდა იყოს კონტროლის სტრატეგიების ერთობლივ მართვაზე;

დ) ეპიდემიის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შექმნას თურქულის კონტროლის ეროვნული

ცენტრი მუდმივმოქმედი კოორდინატორით, რომელიც განახორციელებს სააგენტოში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების კოორდინაციას.

ე) თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრს, თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრებს და ეკოლოგიის კუთხით კომპეტენტურ ორგანოებს შორის ვეტერინარიის და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინაცია და თანამშრომლობა;

ვ) მუდმივმოქმედი ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, ექსპერტიზის ჩატარების და დაავადების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებების სათანადო მომზადებაში შესაბამისი ორგანოსთვის დახმარების გაწევის მიზნით;

ზ) უნდა განსაზღვროს სწრაფი და ეფექტური კამპანიის განსახორციელებლად ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ლაბორატორიის პერსონალის, მოწყობილობის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისთვის;

თ) ხელმისაწვდომი უნდა იქნეს შექმნილი და საჭიროებისამებრ განახლებული ინსტრუქციული სახელმძღვანელო, სადაც დეტალურად, სრულყოფილად და პრაქტიკული წესით უნდა იყოს წარმოდგენილი თურქულის დაავადების აფეთქების შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურა, ინსტრუქცია და კონტროლის ზომები;

ი) საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს გადაუდებელი ვაქცინაციის დეტალური გეგმები;

კ) პერსონალმა რეგულარულად უნდა მიიღოს მონაწილეობა:

კ.ა) კლინიკურ ნიშნებთან, ეპიდემიოლოგიურ მოკვლევასთან და დაავადებების კონტროლთან დაკავშირებულ ტრენინგებში;

კ.ბ) რეალური დროის რეჟიმში სიმულაციურ სწავლებებში, რომლებიც ტარდება შემდეგნაირად:

კ.ბ.ა) ორჯერ ხუთი წლის განმავლობაში, რომელთაგან პირველი არ უნდა დაიწყოს გეგმის დამტკიცებიდან 3 წელზე გვიან, ან

კ.ბ.ბ) ხუთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეფექტურად გაკონტროლდა და აღმოიფხვრა თურქულის აფეთქება;

ლ) ტრენინგები კომუნიკაციის უნარ-ჩვევებში რათა უზრუნველყონ დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლება ფერმერების, ვეტერინარებისათვის და სხვადასხვა ორგანოებისათვის;

მ)საგანგებო გეგმები უნდა მომზადდეს მოკლე დროში მომხდარი და რამდენიმე ანტიგენურად განსხვავებული სეროტიპების ან შტამების მიერ გამოწვეული ხშირი აფეთქების კონტროლისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინებით;

ნ) ვეტერინარული მოთხოვნების დაცვით, საგანგებო გეგმები უნდა მომზადდეს იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ თურქულის დაავადების აფეთქების შემთხვევაში, ცხოველების ტანხორცის და ცხოველური ნარჩენების მასობრივი მოცილება განხორციელდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვისა და გარემოს ზიანის მიყენების გარეშე, კერძოდ:

ნ.ა) ნიადაგისთვის, ატმოსფეროსთვის, მიწისზედა და მიწისქვეშა წყლებისთვის, მცენარეებისა და ცხოველებისთვის მინიმალური რისკით;

ნ.ბ) ხმაურით ან სუნით გამოწვეული მინიმალური ზიანით;

ნ.გ) სოფლის დასახლებაზე ან სპეციალური ინტერესის მქონე ადგილებზე მინიმალური უარყოფითი ზემოქმედებით.

3. ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს შესაბამისი ობიექტებისა და საწარმოების ჩამონათვალს, სადაც

ცხოველის ტანხორცის და ცხოველური ნარჩენების დამუშავება და განადგურება მოხდება აფეთქების შემთხვევაში.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ფერმერების, სოფლის მოსახლეობის და ზოგადად მოსახლეობის ინფორმირება. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ზონების მაცხოვრებლებთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირდაპირი კონტაქტი და წვდომა (მათ შორის, სატელეფონო მომსახურება), ასევე ინფორმირება ეროვნული და რეგიონული მედიასაშუალებებით.

5. საგანგებო გეგმები, აგრეთვე სიტუაციის განვითარების გათვალისწინებით შესწორებული საგანგებო გეგმები, მტკიცდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ.

6. ყოველ ხუთ წელიწადში სააგენტომ უნდა განაახლოს საგანგებო გეგმა 61- ე მუხლში მითითებულ რეალური დროის რეჟიმში სიმულაციური სწავლებების შედეგებიდან გამომდინარე და წარუდგინოს ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დასამტკიცებლად.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 61. რეალური დროის რეჟიმში სიმულაციური სწავლებები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს რეალური დროის რეჟიმში სიმულაციური სწავლებების განხორციელება ამ წესის მე-60 მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტებისა და დამკიცებული საგანგებო გეგმების შესაბამისად.

2. სააგენტომ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს რეალური დროის რეჟიმში სიმულაციური სწავლებების განხორციელება მეზობელი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით.

მუხლი 62 . კლინიკური შემოწმება

კლინიკური შემოწმებისას:

ა) სადგომში უნდა ჩატარდეს ყველა ამთვისებელი ცხოველის კლინიკური შემოწმება თურქულის დაავადების ნიშნებზე ან სიმპტომებზე;

ბ) განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ცხოველებზე, რომელთაც მაღალი ალბათობით ემუქრებათ თურქულის გამომწვევი ვირუსით დაინფიცირება;

გ) გათვალისწინებული უნდა იყოს თურქულის დაავადების გადაცემის გზები, მათ შორის, ამ წესის მე-2 მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტში მითითებული საინკუბაციო პერიოდი და ამთვისებელი ცხოველების შენახვის პირობები;

დ) დეტალურად უნდა შემოწმდეს სადგომში არსებული შესაბამისი ჩანაწერები, განსაკუთრებით იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში უნდა შემოწმდეს მონაცემები დაავადების, სიკვდილიანობის, აბორტის, პროდუქტიულობისა და კვების რაციონში ცვლილებების შესახებ, აგრეთვე, ცხოველების ყიდვა-გაყიდვის, პირთა ვიზიტების (რომლებიც სავარაუდოდ არიან დაავადების აღმძვრელის მექანიკური გადამტანები) შესახებ და სხვა ანამნეზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

მუხლი 63 . ნიმუშის აღების ზოგადი დებულებები

1. სეროლოგიური სინჯის აღება უნდა განხორციელდეს:

ა) ამ წესით დადგენილი და ექსპერტთა ჯგუფში შემავალი ეპიდემიოლოგიური გუნდის რეკომენდაციების შესაბამისად; და

ბ) მიკვლევადობის, მტკიცებულების, აგრეთვე, ამ წესის მე-2 მუხლის ,,ლ” ქვეპუნქტში წარმოდგენილი განსაზღვრების გათვალისწინებით, წინა ინფექციის გამორიცხვისთვის.

2. თუ ნიმუშის აღება ხორციელდება დაავადების აფეთქების შემდეგ დაავადების ზედამხედველობის ფარგლებში, მოქმედებები არ უნდა იქნეს დაწყებული მანამ, სანამ დაინფიცირებულ სადგომ(ებ)ში ამთვისებელი ცხოველების მოცილებიდან და წინასწარი დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარებიდან არ გავა არანაკლებ 21 დღე, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ამ წესის 62-ე-67-ე მუხლებში.

3. ამთვისებელი ცხოველებიდან ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ნიმუშების აღება ხდება იმ თითოეულ შემთხვევაშიც, როდესაც ცხვარი, თხა ან სხვა ამთვისებელი ცხოველები, რომლებიც არ ავლენენ მკაფიო კლინიკურ ნიშნებს, იზოლირებულნი არიან მსხვილფეხა საქონლისგან და ღორებისგან, მაგრამ იმყოფებიან დაავადების აფეთქების ზონაში.

მუხლი 64. ნიმუშის აღება სადგომში

იმ სადგომში, სადაც არსებობს ეჭვი თურქულის დაავადების შესახებ, მაგრამ არ არის გამოხატული კლინიკური ნიშნები, ცხვრებიდან და თხებიდან და ეპიდემიოლოგიური ჯგუფის რეკომენდაციით სხვა ამთვისებელი ცხოველებიდანაც აღებულ უნდა იქნეს ნიმუშები ისე, რომ გამოვლინდეს 5% პრევალენტობა, მინიმუმ 95%-იანი სანდოობით.

მუხლი 65. ნიმუშის აღება დამცავ ზონაში

1.ამ წესის მე-18-32-ე მუხლებით დადგენილი ზომების გაუქმებისათვის, თანახმად ამ წესის 33-ე მუხლის მოთხოვნებისა, დამცავი ზონის ყველა სადგომში, სადაც ცხვრებს და თხებს ნიმუშის აღებამდე არანაკლებ 21 დღე არ ჰქონიათ პირდაპირი და ახლო კონტაქტი მსხვილფეხა საქონელთან. ნიმუშები აღებული უნდა იქნეს ისე, რომ გამოვლინდეს 5%-იანი გავრცელების ფარგლები (პრევალენტობა), მინიმუმ 95%-იანი სანდოობით.

2. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე ამ წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ზომების გამოყენებისას, სააგენტომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ნიმუშების აღების შესახებ დაინფიცირებულ სადგომ(ებ)ში ამთვისებელი ცხოველების მოცილებიდან და წინასწარი დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარებიდან არაუადრეს 14 დღისა, იმ პირობით, რომ ნიმუშის აღება ხორციელდება ამ მუხლის შესაბამისად, სტატისტიკური პარამეტრების გამოყენებით, რომელიც ჯოგში დაავადების გავრცელების ფარგლებს (პრევალენტობა) ავლენს 2%-ით, მინიმუმ 95% სანდოობით.

მუხლი 66. ნიმუშის აღება საკონტროლო ზონაში

ამ წესის 34-ე-მე-40 მუხლებით დადგენილი ზომების გაუქმებისათვის, თანახმად ამ წესის 41-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, უნდა შემოწმდეს საკონტროლო ზონაში მდებარე ყველა სადგომი, სადაც კლინიკური ნიშნების გამოვლენის გარეშე არსებობს თურქულის დაავადების ეჭვი, განსაკუთრებით ის სადგომები, სადაც ჰყავთ ცხვრები და თხები. ამ გამოკვლევისათვის დამაკმაყოფილებელია ნიმუშის აღების მრავალსაფეხურიანი მოდელი, იმ პირობით, რომ ნიმუშები აღებული იქნება:

ა) საკონტროლო ზონაში მდებარე ყველა ადმინისტრაციული ერთეულის სადგომებიდან, სადაც ცხვრებს და თხებს ნიმუშების აღებამდე არანაკლებ 30 დღე არ ჰქონდათ პირდაპირი კონტაქტი მსხვილფეხა საქონელთან;

ბ) ზემოთ მითითებული იმდენი სადგომიდან, რამდენიც საჭიროა არანაკლებ ერთი დაინფიცირებული სადგომის არანაკლებ 95%-იანი სანდოობის გამოსავლენად, თუ დაავადების პრევალენტობა აღწევდა 2%-ს თანაბრად განაწილებულ მთელ ზონაზე, და

გ) იმდენი ცხვრიდან და თხიდან თითოეულ სადგომში, რამდენიც საჭიროა სადგომის ფარგლებში 5%-იანი დაავადების გავრცელების (პრევალენტობის) გამოსავლენად, არანაკლებ 95%-იანი სანდოობით, და ყველა თხიდან და ცხვრიდან, თუ სადგომში 15 ცხვარზე და თხაზე ნაკლებია.

მუხლი 67. ნიმუშის აღება მონიტორინგისთვის

1. ამ წესის მე-18 მუხლით დადგენილი ზონების ფარგლებს გარეთ არსებული ტერიტორიის მონიტორინგისთვის, და კერძოდ ცხვრების და თხების იმ პოპულაციაში ინფექციის არარსებობის დადასტურების მიზნით, რომელიც არ იმყოფება პირდაპირ ან ახლო კონტაქტში არავაქცინირებულ მსხვილფეხა საქონელთან ან ღორებთან, გამოყენებულ უნდა იქნეს მონიტორინგის მიზნებისთვის OIE-ის მიერ რეკომენდებული ნიმუშის აღების პროტოკოლი ან ამ წესის 66-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის აღების მოთხოვნები, ამ წესის 66-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტთან შედარებით იმ განსხვავებით, რომ დაავადების გავრცელება (პრევალენტობა) შეადგენდეს 1%-ს.

2. ამ წესის 64-ე-65-ე მუხლებსა და 66-ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად, გამოთვლილი ნიმუშების რაოდენობის გაზრდა უნდა მოხდეს გამოყენებული დიაგნოსტიკუმის მგრძნობელობის გათვალისწინებით.

მუხლი 68. სადგომის რეპოპულაცია

1. დაუშვებელია სადგომის რეპოპულაცია (აღწარმოება), ამ წესის მე-10 მუხლით დადგენილი დასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან არანაკლებ 21 დღემდე.

2. ცხოველების სადგომში შეყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ შემდეგი პირობების საფუძველზე:

ა) ცხოველები არ უნდა იქნეს გადმოყვანილი იმ ზონიდან, რომელიც ექვემდებარება თურქულის დაავადებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს;

ბ) სააგენტო უნდა დარწმუნდეს, რომ შესაძლებელია თურქულის დაავადების შესაძლო ნარჩენი ვირუსის გამოვლენა რეპოპულაციისათვის განკუთვნილ ცხოველებში კლინიკური ნიშნების საფუძველზე მსხვილფეხა საქონლის ან ღორების შემთხვევაში, ან რეპოპულაციისათვის განკუთვნილ სხვა ამთვისებელი ცხოველების შემთხვევაში ლაბორატორიული გამოკვლევით, რომელიც განხორციელებულია ამ პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული დაკვირვების პერიოდის ბოლოს;

გ) რეპოპულაციისათვის განკუთვნილ ცხოველებში ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ადეკვატური იმუნური რეაქციის უზრუნველყოფის მიზნით, ცხოველები:

გ.ა) წარმოშობილი ან გადმოყვანილი უნდა იყვნენ სადგომიდან, რომელიც მდებარეობს მინიმუმ 10 კმ რადიუსში იმ სადგომიდან, სადაც ბოლო 30 დღის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია თურქულის დაავადების აფეთქებას, ან

გ.ბ) სადგომში შეყვანამდე გამოკვლეულია ამ წესის 91-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებით და გამოვლენილია უარყოფითი შედეგები თურქულის გამომწვევი ვირუსის ანტისხეულებზე;

დ) სადგომში განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის მიუხედავად, ცხოველების რეპოპულაცია უნდა მოხდეს შემდეგი პროცედურების დაცვით:

დ.ა) თუ სადგომი შედგება ერთზე მეტი განყოფილებისგან ან შენობისგან, სავალდებულო არ არის ცხოველების რეპოპულაცია ყველა განყოფილებაში ან შენობაში ერთდროულად; თუმცა, არცერთმა ამთვისებელმა ცხოველმა არ უნდა დატოვოს სადგომი, სანამ ყველა განყოფილებასა და შენობაში შეყვანილი ცხოველები არ გაივლიან რეპოპულაციის ყველა პროცედურას;

დ.ბ) ცხოველებს უნდა ჩაუტარდეთ კლინიკური შემოწმება ყოველ სამ დღეში ერთხელ, სადგომში შეყვანის შემდეგ პირველი 14 დღის განმავლობაში;

დ.გ) 15-დან 28 დღემდე პერიოდის განმავლობაში ცხოველებმა კლინიკური შემოწმება უნდა გაიარონ კვირაში ერთხელ;

დ.დ) 28 დღის შემდეგ ყველა ცხოველმა უნდა გაიაროს კლინიკური შემოწმება და აღებულ უნდა იქნეს ნიმუშები, 64-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თურქულის გამომწვევი ვირუსის ანტისხეულების არსებობაზე;

3. სადგომის შევსების პროცედურა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამოკვლევები დასრულდება უარყოფითი შედეგით.

4. სააგენტოს შეუძლია გამოიყენოს:

ა) ინდიკატორული ცხოველები ღია სადგომებში და იმ სადგომებში, რომელთა დასუფთავება და დეზინფექცია რთულია;

ბ) სადგომის რეპოპულაციის ფარგლებში დამატებითი უსაფრთხოების და კონტროლის ზომები.

5. სააგენტოს შეუძლია არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ.ა“- ,,დ.გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ზომები, თუ სადგომის რეპოპულაცია განხორციელდა შესავსები სადგომის 10 კმ რადიუსის ზონაში ბოლო აფეთქებიდან 3 თვის შემდეგ.

მუხლი 69. სადგომის რეპოპულაცია გადაუდებელ ვაქცინაციასთან დაკავშირებით

1. სადგომის რეპოპულაცია ამ წესის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ვაქცინაციის ზონაში უნდა განხორციელდეს 68-ე მუხლის ან ამ წესის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის ან მე-4 პუნქტის ,,ა“ ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

2. სააგენტოს შეუძლია დაუშვას ვაქცინაციის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე სადგომების ვაქცინირებული ცხოველებით შევსება ამ წესის 58-ე მუხლში გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ იმ პირობით, რომ:

ა) სადგომის რეპოპულაციისათვის გამოყენებული ვაქცინირებული ცხოველების წილი აღემატება 75%-ს და ამთვისებელი ცხოველების ბოლო შეყვანიდან არაუადრეს 28 დღისა, ვაქცინირებული ცხოველები შემთხვევითი შერჩევით გამოკვლეულ იქნება არასტრუქტურული ცილების ანტისხეულებზე ამ წესის 64-ე მუხლში გათვალისწინებული სტატისტიკური პარამეტრების გამოყენებით, ხოლო არავაქცინირებული ცხოველებისთვის ამ წესის 68-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები უნდა იქნეს გამოყენებული;

ბ) ვაქცინირებული ცხოველების პროპორციული წილი არ აღემატება 75%-ს, რა შემთხვევაშიც, არავაქცინირებული ცხოველები უნდა ჩაითვალოს ინდიკატორულ ცხოველებად და გამოყენებულ უნდა იქნეს ამ წესის 68-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 70. შეზღუდვები ცხენისებრი ცხოველების გადაადგილებაზე

1. თუ ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად დადასტურდება თურქულის დაავადების არანაკლებ ერთი აფეთქება, დაუშვებელია ცხენისებრი ცხოველების გადაადგილება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თუ ასეთ ცხოველებს თან არ ახალავს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ჯანმრთელობის სერტიფიკატი.

2. თუ სააგენტო მიმართავს სრულ უმოქმედობას, როგორც გათვალისწინებულია ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში, შეზღუდვებდაწესებული სადგომებიდან, რომელიც დადგენილია მე-4 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებით და ამ წესის მე-9 მუხლით, სპეციალურ ვეტერინარულ მკურნალობას დაქვემდებარებულ ცხენისებრთა ცხოველების ტრანსპორტირებაზე შეიძლება გაიცეს ავტორიზაცია მხოლოდ ამთვისებელი ცხოველებისგან თავისუფალ შენობებში გადაადგილებაზე, იმ პირობით რომ:

ა) გადაუდებელი ქირურგიული მდგომარეობა დოკუმენტურად დამოწმებულია ვეტერინარის მიერ;

ბ) ტრანსპორტირებაზე ავტორიზაცია გაცემულია სააგენტოს მიერ;

გ) ტრანსპორტირების დროს ცხენისებრთა ცხოველებს თან ახლავს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი;

დ) სახელმწიფო ვეტერინარი ინფორმირებულია ცხოველების გაგზავნამდე მარშრუტის შესახებ;

ე) ცხენისებრი ცხოველები მოვლილი და დამუშავებულია ეფექტური სადეზინფექციო საშუალებებით;

ვ) ცხენისებრი ცხოველების გადაადგილება განხორციელდება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტით, რომლის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ უნდა დასუფთავდეს და ჩაუტარდეს დეზინფექცია.

3. ამ წესის მე-18 მუხლის თანახმად დადგენილ დამცავ და საკონტროლო ზონებში ცხენისებრთა ცხოველების გადაადგილება ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

ა) დამცავ და საკონტროლო ზონის ამთვისებელი ცხოველებისგან თავისუფალ სადგომებში დასაშვებია ცხენისებრთა ცხოველების დამცავ ზონაში გამოყენებაზე გაცემულ იქნეს ავტორიზაცია შესაბამისი დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოების ჩატარების შემდეგ;

ბ) ცხენისებრთა ცხოველების ტრანსპორტირება შესაძლებელია შეზღუდვის გარეშე, სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტით ამთვისებელი ცხოველებისგან თავისუფალ სადგომში;

გ) სააგენტოს შეუძლია გამონაკლის შემთხვევებში დაუშვას ცხენისებრთა ცხოველების ტრანსპორტირება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტით ამთვისებელი ცხოველებისაგან თავისუფალი სადგომიდან დამცავ ზონაში მდებარე ამთვისებელი ცხოველების შემცველ სხვა სადგომში; ცხოველების ჩატვირთამდე და დანიშნულების სადგომის დატოვებამდე სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დასუფთავებასა და დეზინფექციას;

დ) ცხენისებრთა ცხოველების გადაადგილება შეიძლება ავტორიზებულ იქნეს საერთო სარგებლობის გზებზე, საწვრთნელ ბაზებზე და ამთვისებელი ცხოველებისაგან თავისუფალი სადგომების საკუთრებაში არსებულ საძოვრებზე.

4. დასაშვებია დამცავ და საკონტროლო ზონაში ცხენისებრთა ცხოველების სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონის შეგროვება ამთვისებელი ცხოველებისაგან თავისუფალ სადგომებში მყოფი დონორი ცხოველებიდან, და მათი ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ცხენისებრთა ცხოველების იმ სადგომებში, სადაც არ ჰყავთ ამთვისებელი ცხოველები.

5. საკონტროლო ზონაში მდებარე ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომში, რომელიც არ ექვემდებარება ამ წესის მე-4 მუხლის პირველ- მე-3 პუნქტებისა და მე-9 მუხლში გათვალისწინებულ შეზღუდვებს, ცხენისებრთა ცხოველების მფლობელების, ვეტერინარის, ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტის და ცხენის მჭედლის ვიზიტები ექვემდებარება შემდეგ პირობებს:

ა) ცხენისებრი ცხოველები იზოლირებულია ამთვისებელი ცხოველებისგან და ზემოთ ჩამოთვლილი პირების წვდომა ამთვისებელ ცხოველებთან ეფექტურად არის დაცული;

ბ) ყველა ვიზიტორი უნდა იყოს რეგისტრირებული;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვიზიტორების ფეხსაცმელების და სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და დეზინფექცია.

მუხლი 71. ზომები გარეულ ცხოველებში თურქულის დადასტურების შემთხვევაში

1. გარეულ ამთვისებელ ცხოველებში თურქულის პირველადი შემთხვევის დადასტურებისთანავე, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა:

ა) განაცხადოს პირველადი შემთხვევის გამოვლენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) მოიწვიოს ეპიდემიოლოგები (ექსპერტთა ჯგუფი), რომელიც სააგენტოს დაეხმარება:

ბ.ა) ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესწავლაში და დაინფიცირებული ზონის განსაზღვრაში ამ წესის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ.ბ) სათანადო ზომების განსაზღვრაში, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს დაინფიცირებულ ზონაში; აღნიშნული ზომები შესაძლოა მოიცავდეს ნადირობის შეჩერებას და გარეული ცხოველების მისატყუებლად გამოკვების აკრძალვას;

ბ.გ) აღმოფხვრის გეგმის შედგენაში, რომელიც უნდა წარედგინოს სამინისტროს ამ წესის 72-ე მუხლის შესაბამისად;

ბ.დ) აუდიტების ჩატარებაში, დაინფიცირებული ზონიდან თურქულის აღმოფხვრისათვის გატარებული ზომების ეფექტიანობის დასადგენად.

გ) განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა დაინფიცირებულ ზონაში მდებარე ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომებზე, რომლის დროსაც:

გ.ა) უნდა განხორციელდეს ყველა სახეობისა და კატეგორიის ამთვისებელი ცხოველების ოფიციალური აღწერა ყველა სადგომში. მფლობელმა ყოველთვის უნდა გაანახლოს აღწერის მონაცემები და მოპოვებული ინფორმაცია მოთხოვნისთანავე წარადგინოს სააგენტოში. ღია ტიპის სადგომებში პირველი აღწერა შეიძლება განხორციელდეს შეფასების საფუძველზე; აღრიცხვა შეიძლება შემოწმდეს თითოეული ინსპექტირების დროს.

გ.ბ) დაინფიცირებულ ზონაში მდებარე სადგომებში მყოფი ყველა ამთვისებელი ცხოველი რჩება თავის სადგომში ან სხვა ადგილას, სადაც შესაძლებელია მათი იზოლირება გარეული ცხოველებისგან. გარეულ ცხოველებს არ უნდა ჰქონდეთ წვდომა ისეთ მასალაზე, რომელიც შესაძლოა კონტაქტში მოხვდეს სადგომში მყოფ ამთვისებელ ცხოველებთან;

გ.გ) არცერთი ამთვისებელი ცხოველი არ უდა იქნეს შეყვანილი ან გამოყვანილი სადგომიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ავტორიზაცია გაცემული იქნება სააგენტოს მიერ;

გ.დ) გამოყენებული იქნება დეზინფექციის სათანადო საშუალებები იმ შენობების შესასვლელებში, გამოსასვლელებსა და სადგომებში, სადაც განთავსებულია ამთვისებელი ცხოველები;

გ.ე) გარეულ ცხოველებთან კონტაქტში მყოფი ყველა პირის მიერ გამოყენებული იქნება შესაბამისი ჰიგიენური ზომები, ვირუსის გავრელების რისკის შემცირების მიზნით; დასაშვებია ამ პირებისთვის ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომში შესვლაზე დროებითი აკრძალვის დაწესება;

გ.ვ) სადგომში თურქულის დაავადების სიმპტომების მქონე ყველა ამთვისებელი დაავადებული და მკვდარი ცხოველი მოწმდება თურქულის არსებობაზე;

გ.ზ) მოკლული ან მკვდარი გარეული ცხოველის არცერთი ნაწილი, ასევე არცერთი მასალა ან მოწყობილობა, რომელიც სავარაუდოდ დაბინძურებული იყო თურქულის გამომწვევი ვირუსით, არ უნდა იქნეს შეტანილი სადგომში, სადაც იმყოფებიან ამთვისებელი ცხოველები;

გ.თ) ამთვისებელი ცხოველები, მათი სპერმა, ემბრიონი ან კვერცხუჯრედი არ უნდა იქნეს გატანილი დაინფიცირებული ზონიდან;

დ) განსაზღვრულ დაინფიცირებულ ზონაში მოკლული ან მკვდარი ყველა გარეული ცხოველი შემოწმდეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ თურქულის გამორიცხვის ან დადასტურების მიზნით, ამ წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტში მითითებული აფეთქების განსაზღვრების შესაბამისად. ყველა გარეული ცხოველის ტანხორცი, რომელიც დადებით შედეგს აჩვენებს თურქულის დაავადებასთან დაკავშირებით, უნდა გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. თუ ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგი უარყოფითია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ცხოველის სახეობიდან გამომდინარე, სააგენტოს შეუძლია, გასცეს ავტორიზაცია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის. ის ნაწილები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, უნდა გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ;

ე) თურქულის გამომწვევი ვირუსის იზოლატზე ჩაატაროს ლაბორატორიული გამოკვლევა, რომელიც საჭიროა ვირუსის გენეტიკური ტიპის და მისი ანტიგენური ხასიათის დასადგენად.

2. თუ თურქულის დაავადება გარეულ ცხოველებში დაფიქსირდა სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ახლოს, სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან თურქულის კონტროლის ზომების დადგენის პროცესში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება მიღებულ იქნეს შესაბამისი სპეციალური ზომები, იმ შემთხვევაში, თუ თურქული გაჩნდება გარეულ ცხოველებში ისეთ ტერიტორიაზე, სადაც შინაური ამთვისებელი ცხოველების მასობრივი შენახვა არაეფექტურს ხდის ამ მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებულ კონკრეტულ მოთხოვნებს.

მუხლი 72. თურქულის აღმოფხვრის გეგმა გარეულ ცხოველებში

1. ამ წესის 71-ე მუხლში განსაზღვრული ზომების გათვალისწინებით, სააგენტომ გარეულ ცხოველებში თურქულის პირველადი შემთხვევის დადასტურებიდან 90 დღის განმავლობაში უნდა წარუდგინოს სამინისტროს გეგმა დაინფიცირებულ ზონაში დაავადების აღმოსაფხვრელად და ასეთ ზონაში მდებარე სადგომებში დაგეგმილი და გამოყენებელი ზომების შესახებ.

2. გეგმა შესაძლებელია შესწორდეს ან შეივსოს დამატებითი ინფორმაციით განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაცია:

ა) ეპიდემიოლოგიური მოკვლევის და ამ წესის 71-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის შედეგების და დაავადების გეოგრაფიული განაწილების შედეგების შესახებ;

ბ) მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში განსაზღვრული დაინფიცირებული ზონის შესახებ, რომლის განსაზღვრისას, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ბ.ა) განხორციელებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის და დაავადების გეოგრაფიული განაწილების შედეგები;

ბ.ბ) გარეული ცხოველების პოპულაცია აღნიშნულ ზონაში;

ბ.გ) გარეული ცხოველების გადაადგილებაში სერიოზული ბუნებრივი თუ ხელოვნური ბარიერების არსებობა;

გ) მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებაზე ბიოლოგებს, მონადირეებს, მონადირეთა ორგანიზაციებს, გარემოს დაცვის და სხვა შესაბამის სამსახურებს (ცხოველების ჯანმრთელობა და ადამიანების ჯანდაცვა) შორის;

დ) საინფორმაციო კამპანიის განხორციელებაზე აღმოფხვრის გეგმის ფარგლებში მონადირეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;

ე) სპეციალური ზომების შესახებ გარეული ცხოველების იმ ჯგუფების ადგილმდებარეობისა და რაოდენობის განსაზღვრისთვის, რომლებსაც შეზღუდული კონტაქტი აქვთ გარეული ცხოველების სხვა ჯგუფებთან დაინფიცირებულ ზონაში და მის გარშემო;

ვ) ამ პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტში მითითებული გარეული ცხოველების ჯგუფების დაახლოებით რაოდენობასა და მასშტაბზე დაინფიცირებულ ზონაში და მის გარშემო;

ზ) გარეულ ცხოველებში ინფექციის ფარგლების(მასშტაბის) განსაზღვრისთვის განხორციელებული სპეციალური ზომების შესახებ, მონადირეთა მიერ მოკლული ან მკვდრად ნაპოვნი გარეული ცხოველების შემოწმებასა და ლაბორატორიული გამოკვლევაზე;

თ) გარეული ცხოველების გადაადგილებების და/ან გარეული ცხოველების ჯგუფებს შორის კონტაქტის შედეგად დაავადების გავრცელების შემცირების მიზნით მიღებული ზომების შესახებ; აღნიშნული ზომები შესაძლოა მოიცავდეს ნადირობის აკრძალვას;

ი) გარეული ცხოველების პოპულაციის შემცირების და კერძოდ, გარეული ცხოველების პოპულაციაში ახალგაზრდა ამთვისებელი ცხოველების პოპულაციის შემცირების მიზნით გატარებული ზომების შესახებ;

კ) იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც უნდა შეასრულონ მონადირეებმა დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ლ) მოკლული ან მკვდრად ნაპოვნი გარეული ცხოველების განადგურების მეთოდების შესახებ:

ლ.ა) გადამუშავებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ, ან

ლ.ბ) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ განხორციელებული შემოწმებებზე ან 91-ე მუხლში მითითებული ლაბორატორიულ გამოკვლევებზე. ყველა გარეული ცხოველის ტანხორცი, რომელმაც აჩვენა თურქულზე დადებითი შედეგი, უნდა გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. თუ ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგი უარყოფითია ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და ცხოველის სახეობიდან გამომდინარე სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია ადმიანის მიერ მოხმარებისათვის. ის ნაწილები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, უნდა გადამუშავდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ;

მ) ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შესახებ, რომელიც ხორციელდება თითოეულ ნაპოვნ მკვდარ ან მოკლულ გარეულ ამთვისებელი ცხოველზე. აღნიშნული მოკვლევა უნდა მოიცავდეს კითხვარის შევსებას, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია:

მ.ა) იმ გეოგრაფიული ზონის შესახებ, სადაც ცხოველები იპოვეს მკვდარი ან მოკლული;

მ.ბ) თარიღის შესახებ, როდესაც ცხოველები იპოვეს მკვდარი ან მოკლული;

მ.გ) პირის შესახებ, რომელმაც მოკლა ან იპოვა მკვდარი ცხოველი;

მ.დ) ცხოველის სქესის და ასაკის შესახებ;

მ.ე) მოკვლის შემთხვევაში: მოკვლამდე სიმპტომების შესახებ,

მ.ვ) იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი მკვდარი იპოვეს ტანხორცის მდგომარეობის შესახებ;

მ.ზ) ლაბორატორიული გამოკვლევის მონაცემების შესახებ;

ნ) პრევენციული ზომებისა და ზედამხედველობის პროგრამების შესახებ განსაზღვრულ დაინფიცირებული ზონის ამთვისებელი ცხოველების შემცველ სადგომებში და საჭიროების შემთხვევაში ამ სადგომის გარშემო, მათ შორის აღნიშნული ზონიდან, ზონისკენ ან ზონაში ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირების და გადაადგილების შესახებ; აღნიშნული ზომები უნდა მოიცავდეს სულ მცირე ამთვისებელი ცხოველების, მათი სპერმის, ემბრიონის ან კვერცხუჯრედის გადაადგილების აკრძალვას;

ო) სხვა კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს განსაზღვრულ ზონაში და ამ ზონის სადგომებში დაავადების აღმოფხვრისათვის;

პ) იმ ორგანოს შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია გეგმის ზედამხედველობაზე, კოორდინაციასა და განხორციელებაზე;

ჟ) სისტემის შესახებ, რომელიც შეიქმნა იმ მიზნით, რომ ამ წესის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეუნქტის შესაბამისად დანიშნულმა ექსპერტთა ჯგუფმა შეძლოს აღმოფხვრის გეგმის შედეგების რეგულარული გადახედვა;

რ) დაავადების მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს

განსაზღვრულ დაინფიცირებულ ზონის გარეულ ცხოველებში თურქულის დაავადების ბოლო დადასტურებული შემთხვევიდან 12 თვის გასვლის შემდეგ; აღნიშნული მონიტორინგის ღონისძიებები ადგილზე უნდა გატარდეს სულ მცირე 12 თვის განმავლობაში და მინიმუმ უნდა მოიცავდეს ამ პუნქტის ,,ზ“, ,,ლ“ და ,,მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად უკვე განხორციელებულ ზომებს.

4. განსაზღვრულ ზონაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ანგარიში და აღმოფხვრის გეგმის შედეგები უნდა გაეგზავნოს სამინისტროს ყოველ 6 თვეში ერთხელ.

მუხლი 73. ახალი ხორცის, გატარებული ხორცისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების სპეციალური ნიშანდება

1. ნიშანდება უნდა განხორციელდეს ორი სწორი ურთიერთგადამკვეთი დიაგონალური ხაზის მქონე ოვალური, სიგანით 6,5 სმ და სიმაღლით 4,5 სმ დამღით, რომელიც მოიცავს მკაფიო, ადვილად წასაკითხ შემდეგი ინფორმაციას:

ა) ზედა ნაწილში ISO 3361 სტანდარტის მიხედვით საქართველოს ორასოიან კოდს: - GE

ბ) შუა ნაწილში - სასაკლაოს აღიარების ნომერს, რომელიც არ უნდა იქნეს დაფარული ორი ურთიერთ გადამკვეთი ხაზით.

2. ასოების ზომა უნდა იყოს არაუმცირეს 0,8 სმ სიგრძის, ხოლო რიცხვები არაუმცირეს 1 სმ სიგრძის.

3. ჯანმრთელობის ნიშანდება უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ვეტერინარის საიდენტიფიკაციო კოდს, რომელმაც ჩაატარა ცხოველის დაკვლისშემდგომი შემოწმება.

მუხლი 74. თურქულის გამომწვევი ვირუსის განადგურების მიზნით ცხოველურიპროდუქტების დამუშავება

1. თურქულის ვირუსის განადგურების მიზნით ხორც-პროდუქტები ექვემდებარება ქვემოთ მითითებული დამუშავების არანაკლებ ერთ-ერთ სახეს:

ა) თერმული დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში, როდესაც F_0 არის 3,00 ან მეტი;

ბ) თერმული დამუშავება არანაკლებ 70°C, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს მთლიანად ხორცში;

გ) წინასწარ ძვალგამოცლილი და ცხიმგამოცლილი ხორცის მომზადება ისე, რომ გაცხელებისას ხორცის შუაგულის ტემპერატურამ მიაღწიოს 70°C ან მეტს და ეს ტემპერატურა შენარჩუნებულ იქნეს 30 წუთის განმავლობაში;

დ) თერმული დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში არანაკლებ 60°C არანაკლებ 4 საათისა, რომლის დროსაც შუაგულის (ცენტრის) ტემპერატურა უნდა იყოს 70°C არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში;

ე) ბუნებრივი ფერმენტაცია და მომწიფება არანაკლებ 9 თვის განმავლობაში უძვლო ხორცისათვის, რის შედეგადაც მისი მახასიათებლებია: Aw არა უმეტეს 0,93 ან pH არაუმეტეს 6,0;

ვ) ,,ე“ ქვეპუნქტში მითითებული დამუშავება იმ ხორცისთვის, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ძვალს იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

ზ) თერმული დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს შუაგულის ტემპერატურას არანაკლებ 65°C იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რომ პასტერიზაციის დონე (pv) გაუთანაბრდეს ან გადააჭარბოს 40-ს.

2. თურქულის ვირუსის განადგურების მიზნით ტყავი და კანი ექვემდებარება - 12 –დან 13-მდე pH-ის მქონე კირსა და მარილხსნარში დამუშავებას არანაკლებ 8 საათის განმავლობაში.

3. ცხვრის მატყლი, მცოხნავი ცხოველების ბეწვი და ღორის ჯაგარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დაუმუშავებელი - უნდა იქნეს მშრალი და საიმედოდ შეფუთული და მიღებული ჯანმრთელი ცხოველისაგან, რომელიც არ აჩვენებს დაავადების არანაირ სიმპტომებს, რაც შეიძლება გავრცელდეს ადამიანზე ან ცხოველზე;

ბ) დამუშავებული (გარდა ღორის ჯაგარისა) - თუ გავლილი აქვს ქარხნული რეცხვის პროცედურა, რომელიც მოიცავს მატყლისა და ბეწვის ჩაშვებას (იმერსია) წყლის სხვადასხვა აბაზანაში, საპნის ან ნატრიუმის ან კალიუმის ჰიდროქსიდში; ან

გ) თუ პირდაპირ მიეწოდება საწარმოს, ტექსტილის საწარმოებლად ექვემდებარება ქვემოთ მითითებული დამუშავების ერთ-ერთ სახეს:

გ.ა) ქიმიური დეპილაცია ჩამქრალი კირის ან ნატრიუმის სულფიდის საშუალებით;

გ.ბ) ფუმიგაცია ფორმალდეჰიდით ჰერმეტულად დახურულ კამერაში არანაკლებ 24 საათისა;

გ.გ) სამრეწველო დასუფთავება (გახეხვა), რომელიც მოიცავს მატყლის და თმის ჩაშვებას (იმერსია) წყალში და გაჩერებას 60–70 °C-ზე;

გ.დ) შენახვა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს გადაადგილებას, 37°C-ზე 8 დღის განმავლობაში, 18°C-ზე 28 დღის განმავლობაში ან 4°C-ზე 120 დღის განმავლობაში.

4. თურქულის ვირუსის განადგურების მიზნით ამთვისებელი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტები, ექვემდებარება ერთ-ერთ შემდეგ დამუშავების სახეს:

ა) თერმული დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში 3,00 ან მეტი ცენტრიდანული ძალით (Fo-თი);

ბ) თერმული დამუშავება, რომლის დროსაც შუაგულის ტემპერატურა იზრდება არანაკლებ 70 °C -მდე არანაკლებ 60 წუთის განმავლობაში.

5. ამთვისებელი ცხოველების სისხლი და სისხლის პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ტექნიკური მიზნებისთვის, მათ შორის, ფარმაცევტულ პროდუქტებში, ინ-ვიტრო დიაგნოსტიკის და ლაბორატორიული რეაგენტებისათვის, ექვემდებარება ქვემოთ მითითებული დამუშავების ერთ-ერთ სახეს ეფექტურობის კონტროლით, რომლის დროსაც მიიღწევა პათოგენების სრული განადგურება:

ა) თერმული დამუშავება არანაკლებ 65 °C-ზე არანაკლებ სამი საათისა;

ბ) ირადიაცია 2,5 kGy ან გამა გამოსხივებით;

გ) pH-ის ცვლილება 5-მდე ორი საათის განმავლობაში;

დ) მთლიანი პროდუქტის თერმული დამუშავება არანაკლებ 80 °C -ზე.

6. ქონი და გადამდნარი ცხიმი ექვემდებარება თერმული დამუშავების ერთ-ერთ სახეს:

ა) არანაკლებ 70 °C 30 წუთის განმავლობაში;

ბ) არანაკლებ 90°C 15 წუთის განმავლობაში.

7. შინაური ბინადარი ცხოველების საკვები და ძაღლის საღრღნელი ძვალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შინაური ბინადარი ცხოველის დაკონსრვებული საკვები ექვემდებარება ისეთ თერმულ დამუშავებას,

რომლის დროსაც Fc არანაკლებ 3-ის ტოლია;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვები, გარდა დაკონსერვებულისა, ექვემდებარება:

ბ.ა) მთლიანი საბოლოო (მზა) პროდუქტი თერმულ დამუშავებას არანაკლებ 90 °C -ზე;

ბ.ბ) ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტები თერმული დამუშავებას არანაკლებ 90°C, ან

ბ.გ) უნდა იყოს წარმოებული ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტებისგან, სადაც გამოიყენება:

ბ.გ.ა) ხორცი ან ხორცის პროდუქტები, რომლებიც მთლიანად დაექვემდებარა თერმული დამუშავებას არანაკლებ 90°C -ზე;

ბ.გ.ბ) რძე და რძის პროდუქტები, ჟელატინი, ჰიდროლიზებული ცილა, კვერცხის პროდუქტები, კოლაგენი, სისხლისგან წარმოებული პროდუქტები, გადამუშავებული ცხოველური ცილა, მათ შორის, თევზის ფქვილი, გადამდნარი ცხიმი, თევზის ცხიმი, კალციუმის დიფოსფატი, კალციუმის ტრიფოსფატი ან შინაგანი ორგანოებიდან მიღებული სანელებლები;

გ) თერმული დამუშავების შემდეგ, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული შინაური ბინადარი ცხოველის საკვების დაბინძურება;

დ) შინაური ბინადარი ცხოველის გადამუშავებული საკვები ექვემდებარება ხელახალ შეფუთვას;

ე) ძაღლის საღრღნელი ძვლები გადამუშავების პროცესში ექვემდებარება თერმულ დამუშავებას, რომლის დროსაც უნდა მოხდეს პათოგენების განადგურება. თერმული დამუშავების შემდეგ, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის დაბინძურება. გადამუშავებული ძაღლის საღრღნელი ძვლები ექვემდებარება ხელახალ შეფუთვას.

8. ჩლიქოსნების ნანადირევი ხორცი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნანადირევი, რომელიც მთლიანად შეიცავს ძვალს, რქას, ჩლიქებს, ბრჭყალს, კლანჭს, კბილებს უნდა:

ა.ა) მოთავსდეს მთლიანად (ჩაიძიროს) მდუღარე წყალში დროის იმ პერიოდით, რომელიც უზრუნველყოფს ძვლის, რქის, ჩლიქის, ბრჭყალის, კლანჭის და კბილების მოცილებას;

ა.ბ) მოხდეს ძვლის შემცველი ნაწილების დეზინფიცირება წყალბადის ზეჟანგით ან სააგენტოს მიერ ნებადართული სადეზინფექციო საშუალებით;

ა.გ) დამუშავების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს, ისე რომ ადგილი არ ჰქონდეს არანაირ კონტაქტს სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის დაბინძურება;

ა.დ) თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ამ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ პუნქტის ,,ა.ა“, ,,ა.ბ“ და ,,ა.გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) ნანადირევი, რომელიც შედგება მთლიანად ტყავის (ბეწვის) და კანისაგან, ის უნდა:

ბ.ა) გაშრეს (გამოშრეს);

ბ.ბ) გაგზავნამდე 14 დღით ადრე გაშრეს ან მოექცეს სველი დამარილების ქვეშ;

ბ.გ) დამუშავდეს სხვა მეთოდით, გარდა მოთრიმვლისა;

ბ.დ) დამუშავების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს, ისე რომ ადგილი არ ჰქონდეს არანაირ კონტაქტს სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი სახის დაბინძურება;

ბ.ე) თან უნდა ახლდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ,,ბ.ა-ბ.დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

9. ცხოველის ნაწლავის გარსი უნდა იქნეს დამზადებული/გადამუშავებული (დამარილებული ან გამომშრალი), გასუფთავებული, გაფხეკილი და დამარილებული ქვა-მარილით 30 დღის განმავლობაში ან გაფხეკის შემდეგ გათეთრებული ან გამომშრალი სააგენტოს მიერ აღიარებულ საწარმოში. ცხოველის ნაწლავის გარსი დაცული უნდა იქნეს დაბინძურებისგან დამუშავების შემდეგ.

მუხლი 75. თურქულის გამომწვევი ვირუსის განადგურების მიზნით არაცხოველური წარმოშობის პროდუქტების დამუშავება

1. ფურაჟი და ჩალა ექვემდებარება დამუშავების ერთ-ერთ სახეს:

ა) ორთქლის მოქმედება დახურულ კამერაში არანაკლებ 10 წუთის განმავლობაში და არანაკლებ 80^{o}C ტემპერატურაზე;

ბ) ფორმალინის ორთქლის (ფორმალდეჰიდის გაზი) მოქმედება დახურულ კამერაში არანაკლებ 8 საათის განმავლობაში და არანაკლებ 19^{o}C ტემპერატურაზე, გამხსნელების გამოყენებით, რომლებიც შეიცავს მოქმედი ნივთიერების 35-40%-ს;

2. პაკეტებში დაფასოებული ჩალა და ფურაჟი, რომელიც ინახება თურქულის დაავადების აფეთქების უახლოესი ზონიდან 2კმ-ზე ნაკლებ მანძილზე მდებარე შენობა-ნაგებობებში, არ უნდა გავიდეს შენობა-ნაგებობიდან მანამ, სანამ მე-10 მუხლში მითითებული დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან არ გავა სულ მცირე სამი თვე ან დამცავ ზონაში - შეზღუდვების მოხსნამდე.

მუხლი 76. ნაკელის ბაზარზე განთავსება

1. გადამუშავებული ნაკელის და მისგან მიღებული პროდუქციის ბაზარზე განთავსება უნდა მოხდეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) გავლილი აქვს თერმული დამუშავება არანკლებ 70 ^{o}C არანაკლებ 60 წუთისა სპორაწარმომქმნელი ბაქტერიების და ტოქსინების შემცირების მიზნით;

ბ) დამუშავებისას თითოეული ნაწილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 12 მმ-ს.

2. სააგენტო უფლებამოსილია, მოახდინოს სხვა პროცედურის და პარამეტრების ავტორიზაცია, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნებისა, თუ ბიზნესოპერატორი დაასაბუთებს, რომ ეს პარამეტრები უზრუნველყოფს ბიოლოგიური რისკის მინიმუმამდე დაყვანას.

3. შესაბამისი საწარმოო პროცესის პარამეტრების და სხვა კრიტიკული საკონტროლო წერტილებზე გამოყენებული დეტალები უნდა იქნეს ჩაწერილი და შენახული იმგვარად, რომ ბიზნესოპრატორს, ოპერატორს ან მათ წარმომადგენელს და სააგენტოს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააკონტროლონ საწარმოს საქმიანობა. სააგენტოსთვის, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჩანაწერები.

4. შენახვა უნდა განხორციელდეს კარგად დახურულ და იზოლირებულ სასილოსე ორმოებში ან სათანადოდ თავმოკრულ პაკეტებში (პოლიეთილენის პარკი ან „დიდი ჩანთები“) რათა დამაბინძურებლები ან მეორადი ინფექციები და სინესტე იქნეს მინიმუმამდე დაყვანილი.

მუხლი 77. ახალი ხორცის დამუშავება

1. ადამიანის მოხმარებისათვის გამიზნული შინაური მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხის და კენტჩლიქიანების ახალი ხორციდან, დიაფრაგმიდან, გარდა სხვა სუბ-პროდუქტებისა, ძვალი და მთავარი ლიმფური ჯირკვლები უნდა იქნეს მოცილებული.

2. სუბპროდუქტის ანაჭრები (ტრიმინგი):

ა) გულიდან ლიმფური ჯირკვლები, შემაერთებელი ქსოვილები და დამცავი ცხიმი უნდა იქნეს მთლიანად მოცილებული;

ბ) ღვიძლიდან ლიმფური ჯირკვლები, დამცავი შემაერთებელი ქსოვილები და ცხიმი უნდა იქნეს მთლიანად მოცილებული;

გ) საღეჭი კუნთებიდან უნდა იქნეს მთლიანად მოცილებული ლიმფური ჯირკვლები, შემაერთებელი ქსოვილი და დამცავი ცხიმი. ამასთან სახელმწიფო ვეტერინარი უზრუნველყოფს: ექვსი კვირის ასაკზე მეტი მსხვილფეხა საქონლის თავისა და საყლაპავი მილის ვიზუალურ დათვალიერებას, ყბისქვეშა, ხახისა (Lnn. retropharyngiales) და ყბაყურა ლიმფური კვანძების გაკვეთასა და დათვალიერებას, გარე საღეჭი კუნთების გამოკვლევას, რომელიც ქვედა ყბამდე უნდა გაიჭრას ორ პარალელურ ნაწილად, შიდა საღეჭი კუნთების (შიდა ფრთისებრი კუნთების) გამოკვლევას, რომლებიც უნდა გაიკვეთოს სიგრძეზე. უნდა მოცილდეს ენა, რათა შესაძლებელი გახდეს პირის ღრუსა და ხახის დეტალური დათვალიერება, აუცილებელია ენის დათვალიერება, პალპაცია და ჯირკვლების მოცილება;

დ) ენა ეპითელიუმით და ძვლის, ხრტილის და ნუშისებრი ჯირკვლების გარეშე;

ე) ფილტვები, საიდანაც ტრაქეა და მთავარი ბრონქები, შუასაყრის და ბრონქიალური ლიმფური ჯირკვლები მოცილებულია;

ვ)სხვა სუბპროდუქტი ძვლების ან ხრტილების გარეშე, საიდანაც ლიმფური ჯირკვლები, შემაერთებელი ქსოვილები, დამცავი ცხიმი და ლორწოვანი გარსი მთლიანად მოცილებულია.

3. მომწიფება ტან-ხორცის $+2^0$C-ზე მეტ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის განმავლობაში და ზურგის უგრძესი კუნთის შუა ნაწილში pH < 6,0-ზე.

4. ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ეფექტური ზომები.

მუხლი 78. საკონტროლო ზონის ამთვისებელი ცხოველების ახალი ხორცისწარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ღონისძიებები

1. ახალი ხორცი, გარდა თავის, შინაგანი ორგანოების და სუბპროდუქტებისა, რომელიც გამიზნულია დამცავი და საკონტროლო ზონის ფარგლებს გარეთ არსებულ ბაზარზე განსათავსებლად, წარმოებულ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი არანაკლებ ერთი დამატებითი პირობის შესაბამისად:

ა) მცოხნავი ცხოველების შემთხვევაში:

ა.ა) ცხოველები ექვემდებარებიან ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ კონტროლის ზომებს;

ა.ბ) ხორცი ექვემდებარება ამ წესის 77-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებულ დამუშავებას და მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ამთვისებელი ცხოველების შემთხვევაში:

ბ.ა) ცხოველები იმყოფებიან სადგომში არანაკლებ 21 დღის განმავლობაში და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საშუალებით შესაძლებელია წარმოშობის სადგომის მიკვლევადობა;

ბ.ბ) ცხოველები ექვემდებარებიან ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ კონტროლის ზომებს;

ბ.გ) ხორცი იდენტიფიცირებულია და დაყოვნებულია სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ არანაკლებ 7 დღის განმავლობაში და არ გაიცემა მანამ, სანამ ოფიციალურად არ გამოირიცხება წარმოშობის სადგომში თურქულის გამომწვევი ვირუსით დაინფიცირების ეჭვი;

გ) ამთვისებელი ცხოველის შემთხვევაში:

გ.ა) ცხოველებმა დაასრულეს 21-დღიანი უმოქმედობის პერიოდი წარმოშობის სადგომში და ამ პერიოდში არცერთი ამთვისებელი ცხოველი არ ყოფილა შეყვანილი აღნიშნულ სადგომში;

გ.ბ) ცხოველები ექვემდებარებიან ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩატვირთვისათვის გათვალისწინებულ კონტროლის ზომებს 24 საათის განმავლობაში;

გ.გ) ამ წესის 64-ე მუხლში გათვალისწინებული სტატისტიკური მოთხოვნების შესაბამისად, ჩატვირთვის 48 საათის განმავლობაში აღებულმა ნიმუშებმა აჩვენა უარყოფითი შედეგი თურქულის გამომწვევი ვირუსის ანტისხეულებზე;

გ.დ) ხორცი დაყოვნებულია სახელმწიფო კონტროლის ქვეშ 24 საათის განმავლობაში და არ გაიცემა, სანამ წარმოშობის სადგომში ცხოველების განმეორებით კლინიკური შემოწმების საფუძველზე არ გამოირიცხება დაინფიცირებული ან დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველების არსებობა.

2. უნდა მოხდეს სუბპროდუქტის ანაჭრების (ტრიმინგის) ჯანმრთელობის ნიშანდება ამ წესის 73-ე მუხლში მითითებული ნიშანდებით და უნდა დაექვემდებაროს ამ წესის 74-ე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ ერთ-ერთ დამუშავებას.

3. სხვა პროდუქტები უნდა დაექვემდებაროს 29-ე მუხლში გათვალისწინებულ დამუშავებას.

მუხლი 79. თურქულის გამომწვევი ვირუსის განადგურების მიზნით ადამიანისმოხმარებისთვის განკუთვნილი რძის დამუშავების მეთოდები

1. ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი რძე უნდა დაექვემდებაროს არანაკლებ ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ დამუშავებას:

ა) სტერილიზაცია არანაკლებ F_0 3 დონეზე;

ბ) ულტრა-მაღალ ტემპერატურაზე (UHT) დამუშავება არანაკლებ 1 წამში 132^0C -ზე.

გ) მაღალ ტემპერატურაზე მოკლევადიანი (HTST) პასტერიზაციით (72^0C-ზე არანაკლებ 15 წამში ან ეკვივალენტური პასტერიზაციის ეფექტი, ფოსფატაზას ტესტზე უარყოფითი რეაქციის მიღწევით) დამუშავება, რომელიც გამოიყენება ორჯერ იმ რძესთან დაკავშირებით, რომელის pH≥7,0-ზე;

დ) მაღალ ტემპერატურაზე მოკლევადიანი (HTST) პასტერიზაციით (72^0C -ზე არანაკლებ 15 წამში ან ეკვივალენტური პასტერიზაციის ეფექტი, ფოსფატაზას ტესტზე უარყოფითი რეაქციის მიღწევით) დამუშავება იმ რძის, რომელის pH < 7,0-ზე;

ე) მაღალ ტემპერატურაზე მოკლევადიანი (HTST) პასტერიზაციით (72^0C-ზე არანაკლებ 15 წამში ან ეკვივალენტური პასტერიზაციის ეფექტი, ფოსფატაზას ტესტზე უარყოფითი რეაქციის მიღწევით) დამუშავება სხვა ფიზიკურ დამუშავებასთან კომბინაციით:

ე.ა) pH მაჩვენებლის 6-ს ქვემოთ შემცირებით არანაკლებ ერთი საათის განმავლობაში;

ე.ბ) დამატებითი გათბობა 72^0C -ზე ან უფრო მაღალ ტემპერატურაზე, დესიკაციასთან (გამოშრობასთან) ერთად.

2. რძის პროდუქტებმა უნდა გაიარონ ერთ-ერთი ზემოთ მითითებული დამუშავება ან წარმოებული უნდა იყოს რძისგან, რომელიც დამუშავებულია პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. ნებისმიერი სხვა სახის დამუშავების შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებულ უნდა იქნეს სააგენტოსთან განსაკუთრებით იმ ნედლი რძის პროდუქტთან დაკავშირებით, რომელთა ხანგრძლივი

ვადით მომწიფებას თან სდევს pH-ის 6-ზე ქვემოთ შემცირება.

4. დამუშავების შემდეგ რძისა და რძის პროდუქტების თურქულის გამომწვევი ვირუსის ნებისმიერ პოტენციურ წყაროსთან კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით მიღებულ უნდა იქნეს საჭირო ზომები.

მუხლი 80. რძე და რძის პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ცხოველის საკვებად

რძე, რომელიც განკუთვნილია ცხოველის საკვებად, უნდა დაექვემდებაროს სულ მცირე ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ დამუშავებას:

ა) სტერილიზაცია არანაკლებ $F_0 3$ დონეზე;

ბ) ულტრა-მაღალ ტემპერატურაზე (UHT) დამუშავება არანაკლებ 1 წამში 132^0C -ზე. დამუშავება ,,დ.ა“ ან ,,დ.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სხვა ფიზიკურ დამუშავებასთან კომბინაციით;

გ) მაღალ ტემპერატურაზე მოკლევადიანი ორჯერადი პასტერიზაცია (HTST) 72^0C ზე არანაკლებ 15 წამში ან ეკვივალენტური პასტერიზაციის ეფექტი, ფოსფატაზას ტესტზე უარყოფითი რეაქციის მიღწევით;

დ) მაღალ ტემპერატურაზე მოკლევადიანი პასტერიზაცია (HTST) 72^0C -ზე არანაკლებ 15 წამში ან ეკვივალენტური პასტერიზაციის ეფექტი, ფოსფატაზას ტესტზე უარყოფითი რეაქციის მიღწევით, სხვა ფიზიკურ დამუშავებასთან კომბინაციით:

დ.ა) pH მაჩვენებლის 6-ს ქვემოთ შემცირება არანაკლებ ერთი საათის განმავლობაში, ან

დ.ბ) დამატებითი გათბობა 72^0C -ზე ან უფრო მაღალ ტემპერატურაზე, დესიკაციასთან (გამოშრობასთან) ერთად.

მუხლი 81. თურქულის კონტროლის ეროვნული ცენტრის – ფუნქციები და მოვალეობები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თურქულის აფეთქების შემთხვევაში თურქულის კონტროლის ეროვნული ცენტრი შექმნა.

2. თურქულის კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა უნდა მართოს და შეამოწმოს თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრების მუშაობა 83-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრს მიკუთვნებული გარკვეული ფუნქციები შეიძლება შემდეგში გადაეცეს თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრებს, იმ პირობით, რომ თურქულის კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ შესასრულებელ ამოცანებს ზიანი არ მიადგება.

3. თურქულის კონტროლის ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) აუცილებელი კონტროლის ზომების განსაზღვრაზე;

ბ) თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრების მიერ ამ ზომების მყისიერად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფაზე;

გ) თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრების პერსონალის და სხვა რესურსების ამოქმედებაზე;

დ) სხვა ქვეყნების და ეროვნული კომპეტენტური ორგანოებისთვის, მათ შორის გარემოს დამცველი ორგანოების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, ინფორმაციის მიწოდებაზე;

ე) გადაუდებელი ვაქცინაციის კამპანიის ორგანიზებაზე და ვაქცინაციის ზონების შემოსაზღვრაზე;

ვ) დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებთან კავშირზე;

ზ) კომპეტენტურ გარემოს დამცველ ორგანოებთან კავშირზე, ვეტერინარული და გარემოს დაცვის უსაფრთხოების ზომების კოორდინაციაზე;

თ) მედიასთან კავშირზე;

ი) სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირზე, რათა გარანტირებული იყოს სპეციალური სამართლებრივი ღონისძიებების ადეკვატურად განხორციელება.

მუხლი 82. თურქულის კონტროლის ეროვნული ცენტრი – ტექნიკური მოთხოვნები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრს ჰქონდეს დაავადების ეფექტურად აღმოფხვრის კამპანიის მართვისთვის საჭირო ყველა აუცილებელი საშუალება, მათ შორის, პერსონალი და მოწყობილობა.

2. პირველ პუნქტში მითითებული საშუალებები სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) ცხოველთა ლოკაციის და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის კომპიუტერიზებული სისტემა;

ბ) კომუნიკაციის ყველა შესაფერისი საშუალება;

გ) კომუნიკაციის კომპიუტერიზებული სისტემა, რომელიც უშვებს ინფორმაციის გაცვლას თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრებთან, ლაბორატორიებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან;

დ) რუკები და ინფორმაციის სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს კონტროლის ღონისძიებების სამართავად;

ე) ყოველდღიური ჟურნალი, რომელშიც თურქულის ყოველ აფეთქებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ჩანაწერების წარმოება უნდა ხდებოდეს ქრონოლოგიურად, რაც სხვადასხვა აქტივობის ერთმანეთთან დაკავშირების და კოორდინაციის საშუალებას იძლევა;

ვ) ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების სია, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდნენ თურქულის აფეთქების შემთხვევაში;

ზ) პერსონალისა და ყველა პირის სია, რომელთაც შეიძლება დაუკავშირდნენ, რათა მათ მყისერი მომსახურება გაუწიონ თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრს ან ამ წესის 85-ე მუხლში მითითებულ ექსპერტთა ჯგუფებს თურქულის აფეთქების შემთხვევაში;

თ) კომპეტენტური გარემოს დამცველი ორგანოებისა და ორგანიზაციების სია, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდნენ თურქულის აფეთქების შემთხევაში;

ი) რუკები, რომლებზეც იდენტიფიცირებულია სათანადო გადამამუშავებელი საწარმოები;

კ) დამუშავებისა და გადამუშავების განხორციელების უფლების მქონე საწარმოების სია (სადაც მითითებული იქნება მათი სიმძლავრე, მისამართი და სხვა საკონტაქტო დეტალები), რომლებსაც უფლება აქვთ დაამუშაონ ან გადაამუშაონ ცხოველების ტანხორცი და ნარჩენები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას თურქულის აფეთქების შემთხვევაში;

ლ) სადეზინფექციო საშუალებების გაფრქვევის (ხმარების, გამოყენების) მონიტორინგისა და კონტროლის შესახებ ღონისძიებების ჩამონათვალი, ასევე ტანხორცის გახრწნის შედეგად, სხეულის ქსოვილებისა და სითხის გარემოში, კერძოდ ზედაპირულ და გრუნტის წლებში გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 83. თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრები – შექმნა, ფუნქციები დამოვალეობები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრების შექმნა მყისიერად, თურქულის აფეთქებისთანავე.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს სააგანგებო გეგმის ფარგლებში გაითვალისწინოს თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრებისათვის სავარაუდო ლოკაცია, მათი მოწყობა, პერსონალი, საცხოვრებელი, მოწყობილობები, მართვის სისტემები, საკომუნიკაციო ხაზები და საინფორმაციო არხები.

3. თურქულის კონტროლის რეგიონალურმა ცენტრებმა უნდა ითანამშრომლონ თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრთან და იმოქმედონ მათთან კოორდინაციით.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრებს ჰქონდეთ ამ წესში მითითებული ღონისძიებების მყისიერად განხორციელების შესაძლებლობა თურქულის აფეთქების შემთხვევაში.

მუხლი 84. თურქულის კონტროლის რეგიონალური ცენტრები – ტექნიკური მოთხოვნები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თურქულის კონტროლის რეგიონალურ ცენტრებს ჰყავდეს საჭირო პერსონალი და ჰქონდეს შესაბამისი მოწყობილობა, მკაფიო მართვის სტრუქტურა და ეფექტური მენეჯმენტი, რომელიც უზრუნველყოფს იმ ზომების მყისიერ განხორციელებას, რაც უკავშირდება ეპიდემიოლოგიურ მოკვლევას, გარემოს დაცვას, დაინფიცირებული ჯოგის ტანხორცის გადამუშავებას, ზონებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას, მიკვლევადობას, კეთილდღეობას, გადაუდებელ დაკვლას, დასუფთავება-დეზინფექციას და სანიტარიული დამუშავების სხვა ღონისძიებებს, გადაუდებელ ვაქცინაციას და ყველა სხვა გადაწყვეტილებას.

2. თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე:

ა) თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრთან დამაკავშირებელი სატელეფონო ხაზი, რომლითაც ფერმერებიც და სოფლის სხვა მაცხოვრებლებიც მიიღებენ უკანასკნელ, ზუსტ ინფორმაციას განხორციელებული ზომების შესახებ;

ბ) კომუნიკაციისა და ყველა აუცილებელი მონაცემის ეფექტური მართვისათვის საველე პერსონალი საჭირო საკომუნიკაციო აღჭურვილობით;

გ) კომპიუტერული ჩანაწერების სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება თურქულის კონტროლის ეროვნულ ცენტრთან და ყველა აუცილებელ მონაცემთა ბაზასთან, ლაბორატორიებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

დ) ყოველდღიური ჟურნალი, რომელშიც თურქულის აფეთქებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ჩანაწერების წარმოება უნდა ხდებოდეს ქრონოლოგიურად, რაც სხვადასხვა აქტივობის ერთმანეთთან დაკავშირების და კოორდინაციის საშუალებას იძლევა;

ე) პირთა განახლებული სია, მათ შორის, კერძო ვეტერინარების (ვეტერინარი ექიმების) და თითოეულ რეგიონში არსებული ადგილობრივი ორგანიზაციების სია, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდნენ თურქულის აფეთქების შემთხვევაში;

ვ) სადგომების განახლებული სია, რომელთა მიმართაც თურქულის აფეთქების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იყოს ამ წესის მე-14 და მე-16 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები;

ზ) დაწვის ან დამარხვის ადგილების კადასტრი ამ წესის შესაბამისად მოკლული ცხოველებისთვის, რომლებიც გადამუშავდება ამ წესში მითითებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

თ) თითოეულ რეგიონში კომპეტენტური გარემოს დამცველი ორგანიზაციების განახლებული სია, რომლებთანაც დაკავშირება უნდა მოხდეს თურქულის აფეთქებისთანავე;

ი) რუკები, რომლებზეც იდენტიფიცირებულია ტანხორცის დასამარხი შესაფერისი ადგილები, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის გარემოს, კერძოდ ზედაპირულ და გრუნტის წყლებს;

კ) დასამუშავებელი და გადამამუშავებელი (უტილიზაცია) საწარმოების ჩამონათვალი, რომლებსაც

უფლება აქვთ, დაამუშაონ ან გაანადგურონ ცხოველების ტანხორცი და ცხოველების ნარჩენები;

ლ) ტანხორცის გახრწნის, კერძოდ, ზედაპირულ და გრუნტის წყლებში გავრცელების, ასევე სხეულის ქსოვილებისა და სითხის გარემოში გავრცელების თავიდან ასაცილებლად დეზინფექციის ჩატარების ღონისძიებებისა და კონტროლის ჩამონათვალი.

მუხლი 85. ექსპერტთა ჯგუფი

სააგენტოს მიერ იქმნება ექსპერტთა მუდმივმოქმედი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ვეტერინარი ეპიდემიოლოგი, ვეტერინარი ვირუსოლოგი და მეცნიერი ვერტერინარი, რომელიც დაეხმარება სააგენტოს:

ა) თურქულის დაავადების აფეთქებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში:

ა.ა) კლინიკური სურათისა და ეპიდემიოლოგიურ შეფასებაში;

ა.ბ) განსახორციელებელ დამატებით ზომებთან ერთად ნიმუშის აღებასა და გამოკვლევებთან დაკავშირებით, თუქრულის დიაგნოსტიკისათვის;

ბ) თურქულის ეპიდემიის შემთხევაში სულ მცირე:

ბ.ა) კლინიკური სურათის ადგილზე შეფასებასა და ეპიდემიოლოგიური მოკვლევის ჩატარებაში, რათა მოაგროვოს საჭირო ინფორმაცია შემდეგის დასადგენად:

ბ.ა.ა) ინფექციის წარმოშობა;

ბ.ა.ბ) ინფექციური აგენტების შეტანის თარიღი;

ბ.ა.გ) დაავადების შესაძლო გავრცელება;

ბ.ბ) სკრინინგის, ნიმუშის აღებასა და გამოკვლევებთან დაკავშირებით;

ბ.გ) თურქულის კონტროლის ზომებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში, მათ შორის კონსულტაციის გაწევაში სადგომებსა ან მე-15 მუხლში მითითებულ შენობებში ბიო-უსაფრხოების ღონისძიებებისა და გადაუდებელი ვაქცინაციის შესახებ;

ბ.დ) გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და სხვა აუცილებელი ინფორმაციით ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვებაში;

ბ.ე) ეპიდემიოლოგიური მონაცემების გაანალიზებასა და რისკის შეფასების განახორციელებაში რეგულარული ინტერვალებით;

ბ.ვ) ცხოველების ტანხორცისა და ნარჩენების გადამუშავების განხორციელებაში გარემოზე მინიმალური ზიანის მიყენებით.

გ) თურქულის დაავადების აფეთქების შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ანგარიში უნდა წარუდგინოს სააგენტოს.

მუხლი 86. თურქულის პრევენციისა და კონტროლის დამატებითი ღონისძიებები

1. აკრძალულია საზოგადოებრივი კვების ნარჩენების გამოყენება ცხოველების საკვებად.

2. დეტალური წესები თურქულის საწინააღმდეგო ზომებისთვის მღრღნელებისა ან ხორთუმიანების შემთხვევაში დგინდება სააგენტოს მიერ.

3. თუ არსებობს ეჭვი გარეული ცხოველების თურქულით დაინფიცირების შესახებ, სააგენტომ უნდა გააჩაროს სათანადო ზომები დაავადების დასადასტურებლად ან გამოსარიცხად ყველა ამთვისებელი

დახოცილი ან ნაპოვნი მკვდარი ცხოველის შემოწმებით, მათ შორის, ლაბორატორიული გამოკვლევით. ეჭვის შესახებ სააგენტომ უნდა აცნობოს ამთვისებლი ცხოველების მფლობელებს და მონადირეებს.

4. გარეულ ცხოველებში თურქულის პირველადი შემთხვევის დადასტურებისას სააგენტომ დაავადების გარცელების შესამცირებლად დაუყოვნებლივ უნდა გამოიყენოს ამ წესის 71-ე მუხლში მითითებული ზომები და უნდა შეადგინოს ამ წესის 72-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად თურქულის აღმოფხვრის გეგმა. დაავადების დადასტურების შესახებ მან უნდა აცნობოს ამთვისებელი ცხოველების მფლობელებს და მონადირეებს.

მუხლი 87. განსაკუთრებული ეპიდემიოლოგიური ზომების გატარება

თუ ამ წესში მითითებული ზომების განხორციელებისას, სააგენტო ჩათვლის, რომ რომელიმე ზომა არ შეესაბამება ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, ან თუ ამ წესის შესაბამისად გატარებული ზომების მიუხედავად თურქულის ვირუსის გავრცელების საფრთხე მაინც არსებობს, სააგენტოს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განახორციელოს ეპიდემიოლოგიური გარემოების შესაბამისი ეკვივალენტური ეპიდემიოლოგიური ეფექტის მქონე ალტერნატიული ზომები.

მუხლი 88. ვაქცინის შესყიდვა, შემოწმება და მარაგები

1. სააგენტოს მიერ ვაქცინის შესყიდვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ვაქცინის შესყიდვის ტექნიკურ პირობებს ადგენს სააგენტო;

3. ტექნიკური პირობების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სულ მცირე შემდეგი მოთხოვნები:

ა) ვაქცინის დოზის ერთეულად აღებულ უნდა იქნეს მსხვილფეხა საქონლის საიმუნიზაციო დოზა;

ბ) ვაქცინის შემადგენლობაში შემავალ თითოეულ სეროტიპზე დამცველობითი დოზა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6PD50;

გ) ვაქცინას მოწოდებისას თან უნდა ახლდეს: თითოეულ სერიაზე ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი ან ამ სერტიფიკატის ეკვივალენტური დოკუმენტი, GMP სერტიფიკატი, წარმოშობის სერტიფიკატი, საქართველოში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვაქცინის ინსტრუქცია (ნოტარიულად ნათარგმნი ქართულ ენაზე) და ვაქცინის დახასიათება. დოკუმენტაციაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ფლაკონის გახსნიდან მისი გამოყენების ვადა, ვაქცინაციის სქემა;

დ) მომწოდებლის პასუხისმგებლობა ვაქცინის ინსტრუქციით გათვალისწინებულ შენახვის პირობების, ვაქცინის ტრანსპორტირებისას შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის (ცივი ჯაჭვის პრინციპი) დაცვაზე, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ჩანაწერებით;

ე) ვაქცინის ფლაკონის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი სახის ინფორმაცია: ვაქცინის დასახელება, ვაქცინის მოცულობა, სხვადასხვა სახეობის ცხოველებისათვის რეკომენდებული დოზა, ვაქცინის გამოშვების, ვარგისიანობის ვადა, ვაქცინის შემცველი სეროტიპები, სერიის ნომერი, ვაქცინის შენახვის პირობები და მისი გამოყენების მეთოდები, ხოლო ვაქცინის ყუთზე (რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს თერმო კონტეინერის სახით) მითითებული უნდა იყოს: ვაქცინის დასახელება, ყუთში ფლაკონების რაოდენობა, ვაქცინის გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, ვაქცინის შემცველი სეროტიპები, სერიის ნომერი, ვაქცინის შენახვის პირობები;

ვ) ვაქცინა ცხოველის ორგანიზმში არ უნდა იწვევდეს სამი ABC არასტრუქტურული ცილების (NSP) საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნას;

ზ) ინფორმაცია ვაქცინაში შემავალი შტამების, თითოეულ სეროტიპზე დამცველობითი დოზის, სამი ABC არასტრუქტურული ცილების (NSP) საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნის სტატუსის შესახებ უნდა დასტურდებოდეს OIE-ის ან FAO-ის რეფერალური ლაბორატორიის მიერ;

თ) მზა ვაქცინებს გავლილი უნდა ჰქონდეს წარმოებისა და ხარისხის კონტროლი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის OIE-ის (სადიაგნოსტიკო ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელო) და ევროპული ფარმაკოპეის სტანდარტებს.

4.სააგენტომ საგანგებო ზომების გეგმის ფარგლებში უნდა იქონიოს საქართველოში რეგისტრირებული ვაქცინ(ებ)ის გადაუდებელი ვაქცინაციისთვის საჭირო რეზერვები.

5. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინების უსაფრთხო შენახვისა და გამოყენების პირობების დაცვა.

6. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე ვაქცინის შეცვლის საჭიროებისას, მათ შორის, ქვეყნისათვის ეგზოტიკური შტამის დადასტურებისას, სააგენტომ მოკლე ვადაში უნდა უზრუნველყოს არსებული ვაქცინის შეცვლა შესაბამისი ვაქცინით.

7. სააგენტო უფლებამოსილია, შეამოწმოს გამოყენებისთვის გამიზნული ვაქცინების იმუნოგენობა და უვნებლობა.

მუხლი 89. თურქულის გამომწვევ ვირუსზე მომუშავე ლაბორატორია

1. თურქულის გამომწვევ ცოცხალ ვირუსზე ლაბორატორიული გამოკვლევის, ასევე დამადასტურებელი დიაგნოსტიკის მიზნით, მუშაობა ნებადართულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (შემდგომში - ლაბორატორია), რომელიც განსაზღვრულია ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებულ ეროვნულ სისტემაში მონაწილე ლაბორატორიად.

2. ლაბორატორია, რომელიც მუშაობს თურქულის გამომწვევ ცოცხალ ვირუსზე, უნდა აკმაყოფილებდეს ან ზედმიწევნით ასრულებდეს ევროკომისიის მიერ დადგენილ ბიო-უსაფრთხოების სტანდარტებს - ,,მინიმალური სტანდარტები ლაბორატორიებისთვის, რომლებიც მუშაობენ თურქულის გამომწვევ ვირუსზე ხელოვნურ პირობებში და ცოცხალ ორგანიზმში”.

3. ლაბორატორიაში დაცულ უნდა იქნეს ბიოუსაფრთხოების სტანდარტები.

4. ლაბორატორია, რომელსაც თურქულის გამომწვევ ცოცხალ ვირუსთან, მის გენომთან, ანტიგენებთან ან ასეთი ანტიგენებისგან წარმოებულ ვაქცინებთან აქვს შეხება კვლევის, დიაგნოსტიკის ან წარმოების მიზნით უნდა იქნეს გაკონტროლებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტროს) მიერ.

5. ლაბორატორია, რომელიც მუშაობს თურქულის გამომწვევ ცოცხალ ვირუსზე ან ინაქტივირებულ ანტიგენზე ექვემდებარება არანაკლებ ორ შემოწმებას სამინისტროს მიერ ხუთი წლის განმავლობაში, ერთ-ერთი შემოწმება ხორციელდება გაფრთხილების გარეშე.

6. სამინისტრო შემოწმებას ახორციელებს მაკონტროლებელი ჯგუფის საშუალებით, რომელიც შედგება არანაკლებ თურქულის დაავადების ექსპერტისაგან და ლაბორატორიებში ბიოუსაფრთხოების საკითხებზე, კერძოდ მიკრობიოლოგიურ რისკებზე მომუშავე ერთი დამოუკიდებელი ექსპერტისგან.

7. მაკონტროლებელი ჯგუფი ვალდებულია, ანგარიში წარუდგინოს სოფლის მეურნეობის მინისტრს.

მუხლი 90. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

1. ლაბორატორიამ უნდა ითანამშრომლოს რეფერენს ლაბორატორიასთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სათანადო ნიმუშების გაგზავნას.

2. ამ წესში მითითებული ლაბორატორიული გამოკვლევები პირველ რიგში ხორციელდება თურქულის დადასტურებით ან გამორიცხვით, ასევე სხვა ვაზიკულარული დაავადებების გამორიცხვით.

3. თუ თურქულის ეპიდემია დადასტურდება და ვირუსის სეროტიპი დადგინდება, ეს ვირუსი ანტიგენურად უნდა დახასიათდეს ვაქცინის შტამებთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში

გამოყენებულ უნდა იქნეს რეფერენს ლაბორატორია.

4. ვეზიკულარული დაავადების ნიშნების მქონე ღორებიდან აღებული ნიმუშები, რომლებიც უარყოფითია თურქულის გამომწვევ ვირუსზე, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი გამოკვლევასათვის უნდა გაიგზავნოს რეფერენს ლაბორატორიაში.

5. ამ წესით დადგენილ ლაბორატორიულ გამოკვლევებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესასრულებლად ლაბორატორია აღჭურვილი უნდა იქნეს ადეკვატურად და დაკომპლექტებული სათანადო რაოდენობის მომზადებული პერსონალით.

6. ლაბორატორია თურქულის და სხვა ვეზიკულარული დაავადებების გამოკვლევებთან, კვლევებთან და დადასტურებასთან დაკავშირებით ახორციელებს არანაკლებ ქვემოთ მითითებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს, კერძოდ:

ა) ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს უწყვეტი მომსახურება ვეზიკულარული ვირუსული დაავადებების დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით და სწრაფი თავდაპირველი დიაგნოსტირების უზრუნველყოფისთვის უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი და კვალიფიციური;

ბ) ლაბორატორიამ უზრუნველყოს მარაგი თურქულის გამომწვევი ვირუსის ყველა სეროტიპის ინაქტივირებული რეფერენტული შტამების და ვირუსების საწინააღმდეგო იმუნური შრატების, ასევე სწრაფი დიაგნოსტიკისთვის საჭირო სხვა ყველა რეაგენტის. შესაბამისი უჯრედოვანი კულტურები მუდმივად მზად უნდა იყოს უარყოფითი დიაგნოზის დადასტურებისთვის;

გ) ლაბორატორია სათანადოდ აღჭურვილი და კვალიფიციური უნდა იყოს მსხვილ მასშტაბიანი სეროლოგიური კონტროლისთვის;

დ) პირველადი ეპიდემიის დროს ყველა საეჭვო სინჯები უნდა შეგროვდეს და სწრაფად იქნეს ტრანსპორტირებული, პროტოკოლის შესაბამისად, ლაბორატორიაში. ამასთან, მზადყოფნაში უნდა იქნეს მოყვანილი ნიმუშების შეგროვებისათვის საჭირო ხელსაწყოები და აღჭურვილობა.

ე) ანტიგენების სკრინინგი და გენური დახასიათება უნდა განხორციელდეს ყველა ვირუსზე, რომელიც განსაზღვრავს დაავადებების ახალი აფეთქების დაწყებას. ზემოხსენებული ქმედებები შეიძლება შეასრულოს ლაბორატორიამ, თუ ამის საშუალებები არსებობს. სხვა შემთხვევაში, პირველი შესაძლებლობისთანავე, ლაბორატორიამ პირველადი შემთხვევის ვირუსის ნიმუში უნდა გადააგზავნოს რეფერენს ლაბორატორიაში დასადასტურებლად და შემდგომი დახასიათებისთვის;

ვ) ლაბორატორია გამოკვლევის შედეგებს აწვდის სააგენტოს;

ზ) ლაბორატორიამ უნდა ითანამშრომლოს რეფერენს ლაბორატორიასთან და სხვა ქვეყნის ეროვნულ ლაბორატორიებთან დიაგნოსტიკის გაუმჯობესებული მეთოდების შემუშავებისა და შესაბამისი მასალების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

თ) ლაბორატორიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს რეფერენს ლაბორატორიის მიერ ორგანიზებულ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტანდარტიზაციის ღონისძიებებში (ლაბორატორიათშორისი გამოცდა);

ი) ლაბორატორიამ უნდა გამოიყენოს ის ტესტები და სტანდარტები, რომლებიც აკმაყოფილებს ან აღემატება ამ წესის 91-ე მუხლში განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ლაბორატორიამ დაინტერესებულ მხარეს მოთხოვნისთანავე უნდა მიაწოდოს მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ გამოყენებული ტესტი აკმაყოფილებს ან აღემატება აღნიშნულ მოთხოვნებს;

კ) სააგენტოს მიერ კონტროლის ზომების დროულად განხორციელების მიზნით (დაგვიანების თავიდან აცილების მიზნით), ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია იმისათვის, რომ დაადგინოს ვეზიკულარული დაავადების გამომწვევი ვირუსები და ენცეფალომიოკარდიტის ვირუსი;

ლ) ლაბორატორიის ტერიტორიულ ორგანოებს, რომლებიც არ ახორციელებენ ვირუსის გამოვლენას ვეზიკულარული დაავადებების საეჭვო შემთხვევიდან აღებულ ნიმუშებში, არ მოეთხოვებათ ამ წესის

89-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ბიო-უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, მაგრამ ვალდებულნი არიან, ჰქონდეთ დადგენილი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თურქულის გამომწვევი ვირუსის შესაძლო გავრცელების ეფექტურ პრევენციას.

7. ლაბორატორიამ უნდა ითანამშრომლოს სხვა ლაბორატორიებთან, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვთ სხვადასხვა ტესტის, მათ შორის, სეროლოგიური ტესტის ჩატარების უფლება.

მუხლი 91. სტანდარტები და ტესტები თურქულის დიაგნოზისა და სხვავეზიკულარული დაავადებების დიფერენციალური დიაგნოსტიკისთვის

1. ლაბორატორია ვალდებულია დანერგოს და გამოიყენოს OIE-ის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული სტანდარტები და ტესტები.

2. ლაბორატორიის მიერ თურქულის დაავადებასთან და სხვა ვეზიკულარული ვირუსული დაავადებების დიაგნოზისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ტესტები (ლაბორატორიული დიაგნოსტიკური პროცედურა):

ა) რეკომენდებული პროცედურები - OIE-ის სახელმძღვანელოში აღწერილი დიაგნოსტიკური ტესტები;

ბ) ალტერნატიული პროცედურები - OIE-ის სახელმძღვანელოში "ალტერნატიულ ტესტებად" განსაზღვრული ან სხვა ტესტები, რომლებიც არ არის შეტანილი OIE-ის სახელმძღვანელოში, რომელთა გამოყენება ნებადართულია იმ პირობით, რომ ტესტის შესრულება დაადასტურებს OIE-ის სახელმძღვანელოში განსაზღვრული ყველაზე მკაცრი მგრძნობელობის და სპეციფიურიობის შესაბამისობას ან გადაჭარბებას.

3. ლაბორატორიამ უნდა აწარმოოს და შეინახოს საჭირო ჩანაწერები, რომლებიც ასახავენ მათი ტესტირების პროცედურების შესაბამისობას OIE-ის მოთხოვნებთან.

4. ლაბორატორია ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს რეფერენს ლაბორატორიის, საერთაშორისო ორგანიზაციის, როგორიცაა OIE, გაერთიანებული ერების სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია (FAO) ან ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ პერიოდული სტანდარტიზაციის და ხარისხის უზრუნველყოფის ლაბორატორიათშორის გამოცდებში.

5. ლაბორატორია ვალდებულია, შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროგრამები, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ლაბორატორიის ხარისხის შეფასების შესახებ OIE-ის სახელმძღვანელოში მითითებული სპეციფიკაციები და ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში უნდა დაადასტუროს ჩვეულებრივ რეჟიმში ტესტების შესაბამისობა OIE-ის სახელმძღვანელოში განსაზღვრულ ყველაზე მკაცრ მგრძნობელობის და სპეციფიურობის მოთხოვნებთან.

6. საველე პირობებში აღებული მასალა უნდა გაეგზავნოს ლაბორატორიას თუ ასეთი ნიმუშები ხელმისაწვდომი ან შესაფერისი არ არის ტრანსპორტირებისთვის, მისაღებია იმავე მასპინძელი სახეობებიდან მიღებული ცხოველის პასაჟირებული მასალა ან მოკლევადიანი პასაჟირებული უჯრედოვანი კულტურის მასალის აღება ეროვნული ლაბორატორიის მიერ. წარმოდგენილ უნდა იქნეს აგრეთვე ცხოველის ან უჯრედოვანი პასაჟირების მასალის ისტორია.

7. ვეზიკულარული დაავადების გამომწვევი ვირუსის დიაგნოსტიკისთვის ნიმუშების ტრანსპორტირება შესაძლებელია 4^0 C-ზე, თუ მიმღებ ლაბორატორიამდე ტრანსპორტირების დრო ნაკლებია 24 საათზე.

8. ეზოფაგურ-ფარინგალური (ზონდი) ნიმუშების ტრანსპორტირებისას რეკომენდებულია მათი განთავსება მყარ ნახშირორჟანგზე ან თხევად აზოტზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხული არ არის დაგვიანება/შეფერხება აეროპორტებში ტრანსპორტირებისას.

9. საჭიროა სპეციალური წინასწარი ზომების მიღება თურქულის დაავადებაზე საეჭვო შემთხვევებიდან აღებული მასალის უსაფრთხო შეფუთვისთვის, როგორც ქვეყნების ფარგლებში, ასევე ფარგლებს გარეთ გაგზავნისას, კონტეინერების გატეხის ან გაჟონვის და დაბინძურების რისკის პრევენციისთვის, ასევე

მნიშვნელოვანია ნიმუშების დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ჩამოსვლის უზრუნველყოფა. შეფუთვიდან წყლის გაჟონვის პრევენციისათვის უმჯობესია ,,სველი“ ყინულის პაკეტების გამოყენება.

10. ნიმუშების გაგზავნამდე მიმღებ ლაბორატორიას უნდა ეცნობოს მასალის გაგზავნის შესახებ და შედგეს მიღების შესახებ შეთანხმება.

11. ლაბორატორიის მიერ თურქულის დაავადებასთან და სხვა ვეზიკულარული ვირუსული დაავადებების დიაგნოზისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი სტანდარტები (რეფერენტული რეაგენტი, რომელიც გახდა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი რამდენიმე სხვადასხვა ლაბორატორიაში განხორციელებული შედარებითი ტესტირების პროცედურის შემდეგ) - OIE-ის სახელმძღვანელოში მითითებული პროტოკოლები, რომლებიც ითვალისწინებს ვირუსის გამოყოფის, ანტიგენის, ნუკლეინის მჟავას და ანტისხეულის (სტრუქტურული და არასტრუქტურული ცილის) გამოვლენის სტანდარტულ პროცედურას ვეზიკულარულ დაავადებებთან დაკავშირებით.

ცხრილი

კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დამცავი(პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებაზე და სახელმძღვანელო მითითებები გადაუდებელი ვაქცინაციის პროგრამებზე

1. კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება დამცავი (პროფილაქტიკური) ვაქცინაციის გამოყენებაზე

კრიტერიუმი	გადაწყვეტილება	
	ვაქცინაციისათვის	ვაქცინაციის საწინააღმდეგოდ
ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვე	მაღალი	დაბალი
კლინიკურად დაავადებული დომინირებული სახეობები	ღორები	მცოხნავი ცხოველები
პოტენციურად დაინფიცირებული ცხოველების ან მათი პროდუქტების გადაადგილება დამცავი ზონის გარეთ	მტკიცებულება	მტკიცებულების გარეშე
დაინფიცირებული სადგომებიდან ვირუსის პროგნოზირებული ჰაერ-წვეთოვანი გზით გავრცელება	მაღალი	დაბალი ან არარსებული
შესაბამისი ვაქცინა	ხელმისაწვდომია	არ არის ხელმისაწვდომი
აფეთქების წარმოშობა(მიკვლევადობა)	უცნობია	ცნობილია
აფეთქების სიხშირის მრუდი	სწრაფად მზარდი	მცირე ან ნელი ზრდა
აფეთქების გავრცელება	ფართოდ გავრცელებული	შეზღუდული
საზოგადოების რეაქცია სრული აღმოფხვრის პოლიტიკაზე	ძლიერი	სუსტი
რეგიონალიზაციის დაშვება ვაქცინააციის შემდეგ	დიახ	არა

2. დამატებითი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება გადაუდებელი ვაქცინაციის შემოღების შესახებ

	გადაწყვეტილება

კრიტერიუმი	ვაქცინაციისთვის	ვაქცინაციის საწინააღმდეგოდ
რეგიონალიზაციის აღქმა სხვა ქვეყნების მიერ	ცნობილია	უცნობია
კონტროლის სტრატეგიის ეკონომიკური შეფასება	თუ გათვალისწინებულია, რომ კონტროლის სტრატეგია გადაუდებელი ვაქცინაციის გარეშე გამოიწვევს მნიშვნელოვნად მაღალ ეკონომიკურ ზარალს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში.	თუ გათვალისწინებულია, რომ კონტროლის სტრატეგია გადაუდებელი ვაქცინაციით გამოიწვევს მნიშვნელოვნად მაღალ ეკონომიკურ ზარალს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში.
თუ გათვალისწინებულია, რომ 24/48-საათიანი წესის შესრულება შეუძლებელია ეფექტურად მომდევნო ორი დღის განმავლობაში	დიახ	არა
ამთვისებელი ცხოველების სრული დახოცვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი სოციალური და ფსიქოლოგიური გავლენა	დიახ	არა
ცხოველური პროდუქტების ინტენსიური მწარმოებელი სადგომების არსებობა ამთვისებელი ცხოველების დაბალ სიმჭიდროვეში	დიახ	არა

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის დადგენილება №274 – ვებგვერდი, 10.06.2021წ.

ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ჯილეხი – შინაური და გარეული ცხოველის, აგრეთვე ადამიანის განსაკუთრებით საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადება, რომელიც ხასიათდება სეპტიცემიის მოვლენებით, მძიმე ინტოქსიკაციით და კარბუნკულების წარმოქმნით. დაავადებას ახასიათებს ზემწვავე (ელვისებური), მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკული და აბორტული მიმდინარეობა. დაავადების აღმძვრელი მიეკუთვნება სპორაწარმომქმნელ მიკროორგანიზმებს, რომლებსაც ნიადაგში განსაზღვრულ პირობებში გამრავლების უნარი აქვთ და შეუძლიათ წლობით შეინარჩუნონ თავისი ცხოველმყოფელობა და ვირულენტური თვისებები. სპორებით დაინფიცირებული ნიადაგი ხანგრძლივი დროით რჩება ინფექციის აღმძვრელის გადაცემის ფაქტორად.

2. დაავადების აღმძვრელია გრამდადებითი, სპორაწარმომქმნელი, ჩხირისებური აერობული ბაქტერია Bacillus anthracis. ჯილეხის ამთვისებელია მრავალი სახის შინაური და გარეული ცხოველი, ზოგიერთი სახეობის ფრინველი. ავადდება აგრეთვე ადამიანი. უპირატესად ამთვისებელია მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი და სხვა კენტჩლიქიანი ცხოველი – ვირი, ჯორი, აქლემი, ირემი, შველი, ჯიხვი და სხვა გარეული ბალახისმჭამელები. შედარებით ნაკლებად ამთვისებელია ღორი, ძაღლი, კატა და სხვა ხორცისმჭამელი შინაური ბინადარი და გარეული ცხოველები, ისინი ავადდებიან მხოლოდ აღმძვრელის დიდი დოზით მიღების შემთხვევაში. ჯილეხი დიაგნოსტირებულია აფრიკულ სირაქლემაში, იხვსა და არწივში.

3. ინფექციის აღმძვრელის წყაროა ჯილეხით დაავადებული ცხოველი ან ცხოველის ლეში. დაავადების აღმძვრელი ხვდება გარემოში და ახდენს ნიადაგის დაბინძურებას (ლეში, დაინფიცირებული სისხლი და ორგანიზმის სხვა ბიოლოგიური ქსოვილები ან/და გამონაყოფები), შედეგად კი ფორმირდება ნიადაგობრივი კერა. დაავადების ინკუბაციური პერიოდი ხშირად მერყეობს 1-3 დღემდე, შესაძლებელია გაგრძელდეს 20 დღემდე.

4. ცხოველის დასნებოვნების ძირითადი გზა არის ალიმენტალური, დაავადების აღმძვრელი საჭმლის მომნელებელ სისტემაში ხვდება ინფიცირებულ საკვებთან ან წყალთან ერთად, დასნებოვნებას ხელს უწყობს პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანება, გამორიცხული არ არის დასნებოვნების აეროგენული გზა - აღმძვრელის სპორების შემცველი მტვერის ჩასუნთქვისას, შესაძლოა ცხოველი დასნებოვნდეს ტრანსმისიული გზითაც, ამ შემთხვევაში ძირითადი გადამტანებია ბუზანკალი, მაწუხარა და კოღო. ჯილეხის აღმძვრელი გამოიყოფა ასევე მღრღნელებისაგან, გარეული ცხოველებისაგან (მელა, ტურა), ფრინველისაგან (ქორი, ქორცქვიტა, ბუ და სხვა). ისინი იჭერენ და ჭამენ მღრღნელებს, აღმძვრელებს გამოყოფენ ფეკალიებთან ერთად და იწვევენ ნიადაგის (საძოვრის) დაბინძურებას. ამის გამო ჯილეხს მიაკუთვნებენ ფაკულტატურ ტრანსმისიულ ინფექციათა ჯგუფს. ჯილეხი უპირატესად სეზონურ ხასიათს ატარებს და იგი გვხვდება წლის თბილ პერიოდში, კერძოდ უკავშირდება საძოვრულ პერიოდს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ეპიზოოტიური ანალიზის დროს.

5. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-3 დღე, შესაძლებელია გაგრძელდეს 20 დღემდე. ჯილეხის ორი ძირითადი ფორმა არსებობს; სეპტიკური და კარბუნკულური. პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის მიხედვით არჩევენ კანის, ნაწლავების, ფილტვებისა და ანგინის ფორმას. ჯილეხი ჩვეულებრივად მიმდინარეობს ელვისებურად და მწვავედ, რაც შეეხება ქრონიკულ მიმდინარეობას ის ძალიან იშვიათია და ცხოველებში შეუმჩნევლად მიმდინარეობს.

6. ცხოველთა ორგანიზმის ქსოვილებში დაზიანებული ლორწოვანი გარსიდან ან კანიდან მოხვედრილი ჯილეხის სპორა განიცდის ჟანგბადით შიმშილს, სწრაფად გადადის ვეგეტატიურ ფორმაში და იწყებს ინტენსიურ გამრავლებას. მიკრობი თავისი აგრესიით ანეიტრალებს ორგანიზმის დამცავ საშუალებებს, შეაღწევს ლიმფურ სისტემაში, შემდგომ კი სისხლში და იწვევს ღრმა პათოლოგიურ ცვლილებებს. ჯილეხის აღმძვრელი ხელს უშლის ცხოველის დამცველობით კერძოდ ფაგოციტოზის მოქმედებას. სამაგიეროდ თვითონ ბაქტერიული უჯრედის მიერ გამოყოფილი ტოქსიური პროდუქტები შლიან უჯრედებს, განთავისუფლებული ბაცილები ხელახლა გადადიან სისხლში, იწვევენ სეპტიცემიას და ორგანიზმის ძლიერ ინტოქსიკაციას, ვითარდება ჰიპოქსია, რის გამოც სისხლი კარგავს შედედების უნარს. თუ ცხოველი სუსტია ან დაბალრეზისტენტული, ჯილეხით მისი მაღალვირულენტური შტამით დასნებოვნებისას, შეიძლება განვითარდეს პირველადი სეპტიცემია და ცხოველი რამდენიმე საათში მოკვდეს. კარბუნკულოზური მიმდინარეობისას, ადგილი აქვს კარბუნკულებში ჯილეხის აღმძვრელის გამრავლებას, შემდეგ ლიმფურ სისტემაში მოხვედრას, იქიდან კი სისხლში, რასაც მოჰყვება სეპტიცემია და 2-3 საათში ცხოველის სიკვდილი.

7. დაავადებულ ცხოველს აღენიშნება წონაში კლება, ცხელება, წველისა და მადის დაქვეითება ან/და შეწყეტა, დიარეა, ტიმპანია, ქოშინი, ლორწოვანი გარსის შეშუპება, ციანოზი (ცხენებში - კოლიკი, სისხლიანი შარდი), რასაც მოყვება კრუნჩხვები, სისხლნარევი ქაფიანი გამონადენი ბუნებრივი ხვრელებიდან, სიკვდილი ან/და უეცარი სიკვდილი. დაავადებული ცხოველის ლეში გაბერილია, სწრაფად იხრწნება, აღენიშნება არასრული გაშეშება, შეუდედებელი სისხლი, მუქი სისხლიანი გამონადენი ბუნებრივი ხვრელებიდან. ყბისქვეშა მიდამოში, კისერზე,

მკერდის ქვეშ, მუცელზე შეიძლება აღენიშნებოდეს ცომისებური შემსივნებები.

8. დიფერენციალური დიაგნოზისას უნდა გამოირიცხოს:

ა) მხსხვილფეხა საქონელში – ემფიზემატოზური კარბუნკული (ემკარი), ავთვისებიანი შეშუპება, ჰემორაგიული სეპტიცემია (პასტერელოზი), არაინფექციური ტიმპანია, პიროპლაზმიდოზები და მოწამვლები;

ბ) წვრილფეხა საქონელში – ბრადზოტი, ინფექციური ენტეროტოქსემია, ჰემორაგიული სეპტიცემია (პასტერელოზი), პიროპლაზმიდოზები და მოწამვლები;

გ) ღორში – აფრიკული ცხელება (ჭირი), კლასიკური ჭირი, წითელი ქარი, პასტერელოზი და მოწამვლები;

დ) ცხენებში – ავთვისებიანი შეშუპება, ინფექციური ანემია, პიროპლაზმიდოზები, მოწამვლები.

9. ცხოველებში ჯილეხზე დიაგნოზის დადგენა ხდება, კლინიკური ნიშნების, ლეშის დათვალიერების, ეპიზოოტიური მონაცემების გათვალისწინებითა და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) მიერ რეკომენდირებული მეთოდებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals-ის განახლებული ვერსიის შესაბამისად).

10. ჯილეხით ადამიანის დაინფიცირება ხდება დაავადებულ ცხოველთან, ინფიცირებულ ლეშთან, ინფიცირებულ ცხოველურ პროდუქტებთან (ხორცი, ტყავი, ძვალი და სხვა) უშუალო კონტაქტით. აგრეთვე, შესაძლებელია დაინფიცირება მოხდეს აღმძვრელით დაბინძურებულ ნიადაგთან კონტაქტით, ასევე ასპირაციული და ტრანსმისიური გზით.

11. ჯილეხთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებზე პასუხისმგებელია სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (შემდგომში – წესი) მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეპიზოოტიური კერა – კონკრეტული ადგილი ან/და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც არის აღმძვრელის წყარო და შესაძლებელია ამთვისებელი ცხოველის ან/და ადამიანის დაავადება. ეპიზოოტიური კერის საზღვრებს ადგენს სააგენტო;

ბ) საფრთხის შემცველი ტერიტორია – დასახლებული პუნქტი, ცხოველთა გადასარეკი ტრასა, საძოვარი, ადმინისტრაციული ერთეული, სადაც არის ცხოველისა და ადამიანის ჯილეხით დაავადების საშიშროება. საფრთხის შემცველი ტერიტორიის საზღვრებს ადგენს სააგენტო, ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, მანიფესტური და არამანიფესტური პუნქტების, ნიადაგურ - გეოგრაფიული, ბუნებრივ – კლიმატური პირობების და ცხოველთა მომთაბარეობის გათვალისწინებით;

გ) მანიფესტური პუნქტი – ადგილი, სადაც პერიოდულად ვლინდება ჯილეხის დაავადების შემთხვევები 1-დან 10 წლის ინტერვალით;

დ) არამანიფესტური პუნქტი – ადგილი, სადაც ჯილეხის დაავადების ბოლო რეგისტრაციიდან გასულია 10 წელი და მეტი;

ე) რისკის ქვეშ მყოფი ცხოველები – დაავადების მიმართ მაღალი მგრძნობელობის ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ ან/და უწევთ გადაადგილება საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე;

ვ) დაავადების საეჭვო შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას ან/და ცხოველის უეცარ სიკვდილს;

ზ) დაავადების სავარაუდო შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას ან/და ცხოველის უეცარ სიკვდილს ეპიზოოტიურ კერაში ან/და სხვა ეპიდკავშირს ადამიანის/ცხოველის დადასტურებულ შემთხვევასთან. ასევე დაავადების სავარაუდო შემთხვევად მიიჩნევა ლაბორატორიული გამოკვლევით - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (PCR) აღმოჩენილი შემთხვევა;

თ) დაავადების დადასტურებული შემთხვევა – შემთხვევა, რომელიც დადასტურებულია ლაბორატორიულად;

ი) პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ცხოველს ან/და პასუხისმგებელია ცხოველის მოვლა-შენახვაზე;

კ) ცხოველური პროდუქტი – ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;

ლ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (ცწადპ (animal by-products) – ცხოველის მთლიანი სხეული ან მისი ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, მათ შორის, ოოციტი, ემბრიონი და სპერმა.

მუხლი 3. ჯილეხის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ჯილეხის დაავადების საეჭვო, სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. დაავადების საეჭვო და სავარაუდო შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ცხოველების ტრანსპორტირებისას, მათ შორის, გადარეკვისას;

გ) კერძო ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ცხოველების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს, სმსლ-ს ან კერძო ლაბორატორიებს;

ე) ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც პროფესიული შეხება აქვს ცხოველების ამთვისებელ სახეობებთან ან ასეთი ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებთან.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია ცხოველის ჯილეხით დაავადების დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოსა და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – დკსჯეც) შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს.

5. ადამიანის ჯილეხით საეჭვო, სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დკსჯეც ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევის, ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, დეზინფექციის/დეზინსექციის/დერატიზაციისა და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) ჯილეხის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ცხოველის დაკვლა განახორციელოს ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის გათვალისწინებით;

გ) ჯილეხის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ცხოველებიდან მიღებული რძე და ხორცი გამოიყენოს ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის გათვალისწინებით;

დ) დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდო შემთხვევის თაობაზე აცნობოს სააგენტოს დაუყოვნებლივ;

ე) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

ე.ა) დაუყოვნებლივ მოახდინოს დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველების იზოლირება;

ე.ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველთა ჯგუფების ცალ-ცალკე კვება და დაწყურება;

ე.გ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, არ დაუშვას ჯილეხით დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველების გადაადგილება, რეალიზაცია და დაკვლა;

ე.დ) არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველის ლეშის გაკვეთა და გატყავება;

ე.ე) უზრუნველყოს დაავადებაზე საეჭვო ან სავარაუდოდ დაავადებული ცხოველიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, ცწადპ-ის, სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების გადატანა და რეალიზაცია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე;

ე.ვ) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები;

ე.ზ) სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე არსებულ სადგომში ახალი ცხოველების შეყვანის შესახებ.

მუხლი 5. სააგენტოს ვალდებულებები

1. სააგენტო ვალდებულია ზრუნველყოს:

ა) საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე ცხოველების (მსხვილფეხა, წვრილფეხა, კენტჩლიქიანი) ჯილეხის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის საორიენტაციო გეგმის შემუშავება, ვაქცინაციის ღონისძიების ორგანიზება, ჩატარება და მონიტორინგი;

ბ) საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე შემოყვანილი ყველა არაიმუნიზირებული ცხოველის ვაქცინაცია, პასუხისმგებელი პირის შეტყობინების საფუძველზე.

2. დაავადებაზე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ამ მუხლის 3-4 პუნქტების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ცხოველების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი, დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველების ცალ-ცალკე ჯგუფებად განცალკევებაზე და სადგომში არსებული ცხოველური პროდუქტების, ასევე ცხოველის საკვების მარაგის დადგენა/აღწერა და მონაცემების შენახვა;

დ) აიღოს მკვდარი ან დაკლული ცხოველისაგან პათოლოგიური მასალა ან/და ნიადაგის, ცხოველის საკვების, წყლის ან სხვა საჭირო ნიმუში და ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება დაავადებების ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეის);

ვ) დაადგინოს საფრთხის შემცველი ტერიტორიის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილება რისკის ქვეშ მყოფი ცხოველების ვაქცინაციასთან დაკავშირებით;

ზ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ან/და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

3. ჯილეხის საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა ხორციელდება კითხვარების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებულია ამ წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული საგანგებო გეგმის ფარგლებში.

4. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, ჯილეხის გამომწვევის სადგომში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) სადგომში ჯილეხის შესაძლო წარმოშობასა და სხვა სადგომების იდენტიფიკაციას, სადაც ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდეს იმავე წყაროდან;

გ) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც სხვა ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდნენ ან მოხდა კონტამინაცია;

დ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ამთვისებელი ცხოველების, ცხოველური პროდუქტის ან ნებისმიერი მასალის გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია გამომწვევის გადატანა დაინფიცირებული სადგომიდან სხვა სადგომ(ებ)ში.

5. დაავადების სავარაუდო შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტიპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაავადებაზე სავარაუდო ცხოველის სადგომში, ცხოველის დაკვლის ან/და ლეშის განთავსების ადგილზე, ჩაატაროს შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოები.

6. დაავადების დადასტურებულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი ქმედებები:

ა) GPS-აპარატით დააფიქსიროს ყოველი ახალი კერა და აღრიცხოს კერები;

ბ) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები;

გ) შეიმუშავოს პროექტი კარანტინის დაწესებაზე სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

დ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება (ცხოველების ვაქცინაცია, დეზინფექცია, საჭიროების შემთხვევაში პათოლოგიური მასალის აღება, დეზინფექციის ჩატარების შემდგომ ჯილეხის დაავადების აღმძვრელის არსებობაზე ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, ლაბორატორიაში გადაგზავნა), შესრულება ან/და ზედამხედველობა.

მუხლი 6. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. ჯილეხის დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, ჯილეხის გამომწვევის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 7. ჯილეხის დაავადებაზე გამოსაკვლევი მასალის აღება

1. დაავადების საეჭვო ან/და სავარაუდო შემთხვევის დროს:

ა) დაუშვებელია ლეშის გაკვეთა;

ბ) გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება და სმსლ-ში გადაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ვეტერინარის მიერ, ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით;

გ) ვეტერინარი აღჭურ ვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით (ბიოუსაფრთხოების სპეციალური ტანსაცმელი, ჩექმა, ორმაგი ხელთათმანი, ქუდი, რესპირატორი, სათვალე).

2. ჯილეხის დაავადებაზე გამოსაკვლევად (ცხოველიდან, ცხოველის სადგომიდან, ცხოველის საკვებიდან და გარემოდან: ნიადაგიდან, წყლიდან) ნიმუშების აღებას ახორციელებს ვეტერინარი ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით.

3. ჯილეხზე სადიაგნოსტიკოდ შეიძლება აღებული იქნეს: სისხლი, მკვდარი ცხოველის მოკვეთილი ყური, ტყავი, პარენქიმული ორგანოები, ცხოველის სხვა ქსოვილები, მატყლი, ბეწვი, ჯაგარი, ცხოველის საკვები, ნიადაგისა და წყლის ნიმუშები, ნაცხი (საეჭვო ადგილებიდან ჩამონარეცხი/ჩამონაფხეკი), კერძოდ:

ა) სისხლი – ანტიკოაგულანტიან ვაკუუმურ სინჯარაში არანაკლებ 3-5 მლ;

ბ) ჯილეხით მკვდარი ცხოველის ლეშიდან – ყურის ნიჟარას ფუძეზე მჭიდროდ უნდა დაედოს ლიგატურა, პირველი ლიგატურიდან 1 – 1,5 სმ-ის ზემოთ უნდა დაედოს მეორე ლიგატურა. ლიგატურებს შორის ყური უნდა მოიჭრას და მოთავსდეს შესაბამის კონტეინერში. ყურის მოჭრის ადგილი უნდა მოიწვას;

გ) მატყლი, ბეწვი, ჯაგარი აღებული უნდა იქნეს 20 - 30 გ.-ის ოდენობით;

დ) ტყავის ნიმუშები აღებული უნდა იქნეს თითოეული ტყავიდან სულ მცირე 5სმX5სმ რამოდენიმე ნაჭერი, არანაკლებ 2 გრამისა;

ე) წყლის ნიმუში – ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავების ზედაპირიდან (10 – 15სმ. სიღრმიდან) და ფსკერიდან. თოთოეული ნიმუში უნდა იყოს არანაკლებ 0.5 ლიტრის ოდენობის, რომლის საერთო რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ ერთი ლიტრისა;

ვ) ბუნებრივი ნალექის შედეგად მიღებული გუბურებიდან – ნიმუშები აღებული უნდა იქნეს გუბურის ნაპირებიდან, ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ზ) ცხოველის საკვების (მარცვლეული, კომბინირებული საკვები, ქატო) ჯილეხის აღმძვრელით დაბინძურებაზე საეჭვო შემთხვევაში – ნიმუში აღებული უნდა იქნეს შენახვის პირობის გათვალისწინებით, კერძოდ:

ზ.ა) შეუფუთავი გროვებიდან (ნაყარიდან) ნიმუშებს იღებენ შემდეგი გაანგარიშებით: 1 ნიმუში არანაკლებ 400 გრ-ს ოდენობით 4 $მ^2$ ზედაპირიდან, ერთ პარტიაზე არანაკლებ 5 ნიმუშისა;

ზ.ბ) შეფუთული საკვებიდან ნიმუშებს იღებენ თანაბრად, როგორც ზედაპირიდან, ასევე მისი სიღრმიდან. ნიმუშის აღება ხდება ყოველი შეფუთული ერთეულიდან, მშრალი სტერილური ნიმუშის ასაღები მოწყობილობით;

ზ.გ) უხეში საკვების (ნამჯა, თივა) ზვინებიდან (ბულულებიდან) 1 ნიმუშს იღებენ 4 მ ფართობიდან 40 გ-ის ოდენობით;

ზ.დ) საკვები ძირხვენებიდან (მისი სიდიდის მიხედვით) ნიმუშს იღებენ 4 მ^2 -ზე 1 ცალის ოდენობით. აღებული ძირხვენებიდან უნდა მოხდეს ნიადაგის ნაწილების მოცილება, რომელიც შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს დიაგნოსტიკისათვის;

თ) ცხოველის დაკვლის ან დამუშავების პროცესში, ჯილეხის დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მუშაობის შეჩერება, ლაბორატორიაში უნდა გაიგზავნოს - პარენქიმული ორგანოები (ელენთის ნაწილი) და დაზიანებული ლიმფური ჯირკვლები (3-5 გრ.), პატარა ცხოველების მთლიანი ტანხორცი;

ი) ჯილეხის გამომწვევით დაბინძურებაზე (კონტამინაციაზე) საეჭვო ადგილიდან ნიადაგის ნიმუშების აღებისას:

ი.ა) გამოსაკვლევი ნაკვეთი უნდა დაიყოს კვადრატებად (კონვერტისებურად), გვერდები არაუმეტეს 4 მეტრისა. ნიადაგის ნიმუშები აღებული უნდა იქნეს თითოეული კვადრატის კუთხეებში და ცენტრში, რომლის საერთო წონა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 გრამს;

ი.ბ) ნიადაგის ზედაპირულ ინფიცირებაზე (ცხოველის იძულებით დაკვლის ან/და სიკვდილის ადგილი, სადგომი) ეჭვის შემთხვევაში ნიმუშები აღებული უნდა იქნეს 15 სმ-ის სიღრმიდან, ამ პუნქტის „ი.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ი.გ) ცხოველის სამარხებიდან მიწის ზედაპირული ნაწილის 2-3 სმ-ის მოცილების შემდეგ ნიმუშები აღებული უნდა იქნეს 1,5 მ - 2 მ-ის სიღრმეზე ყოველ 25 სმ-ზე, გამოსაკვლევი სამარხიდან კონვერტისებურად, თითოეული ნიმუში არანაკლებ 200 გრამისა (სასურველია სამუშაოები განხორციელდეს ნიადაგის ბურღის საშუალებით);

კ) დიდი ფართობზე კვლევების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ნიადაგის ნიმუში მინიმალური რაოდენობის შერჩევისას უნდა იყოს არანაკლებ 200 გრამი და აღებული არანაკლებ: 0,5 ჰა-ზე 15 ნიმუშისა, 1 ჰა-ზე 25 ნიმუშისა, 5 ჰა-ზე 85 ნიმუშისა, 0,25 მ-ზე 6 ნიმუშისა.

მუხლი 8. ჯილეხის დაავადებაზე გამოსაკვლევი მასალის ნიმუშის შეფუთვა-ტრანსპორტირება.

ჯილეხის დაავადებაზე გამოსაკვლევად აღებული ნიმუში უნდა მოთავსდეს ძირითად კონტეინერში, უნდა იყოს გაჟონვისაგან დაცული და წყალგაუმტარი, მჭიდროდ უნდა დაეხუროს თავსახური. კონტეინერს ჩაუტარდეს გარე ზედაპირის დეკონტამინაცია 0,5%-იანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარით, თუ დეკონტამინაცია შეუძლებელია უნდა მოთავსდეს ბიოუსაფრთხოების პარკში. ძირითად კონტეინერზე სათანადოდ უნდა იყოს მონიშნული თარიღი, ცხოველის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ნიმუშის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ნიმუშის სახე და ა.შ). წარწერა გარკვევით უნდა გაკეთდეს კონტეინერის იმ ნაწილზე, რომელშიც უშუალოდ ნიმუშია მოთავსებული და არა თავსახურზე. ნიმუში შენახული უნდა იქნეს გრილად. ლაბორატორიაში ტრანსპორტირებისთვის ძირითადი კონტეინერი უნდა მოთავსდეს მეორად კონტეინერში (ისე, რომ ჩვეულებრივ პირობებში ტრანსპორტირებისას არ დაზიანდეს ან არ მოხდეს სითხის გაჟონვა მეორად კონტეინერში). რამდენიმე ძირითადი კონტეინერი შეიძლება მოთავსდეს ერთ მეორად კონტეინერში. ძირითად კონტეინერში თხევადი მასალის მოთავსების შემთხვევაში მეორად კონტეინერში უნდა მოთავსდეს საკმარისი რაოდენობის აბსორბენტი, (ძირითადი კონტეინერის დაზიანების შემთხვევაში დაღვრილი სითხის შეწოვის მიზნით). დაუშვებელია მინის კონტეინერის გამოყენება.

მუხლი 9. გაუვნებლობა

1. გამოსაკვლევი მასალის აღების შემდეგ ერთჯერადი სპეციალური ტანსაცმელი, გარდა სათვალეებისა, უნდა მოთავსდეს ბიოუსაფრთხოების პარკში, შეიკრას, დამუშავდეს 0.5%-ანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარით, მოთავსდეს მეორე პარკში, შეიკრას და მოთავსდეს პლასტმასის ან მეტალის ჭურჭელში, სათვალეები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით. ხელები უნდა იქნეს დამუშავებული 70%-იანი სპირტით ან სადეზინფექციო ჟელეთი და დაბანილი წყლით. 0,5%-იანი აქტიური ქლორის შემცველი ხსნარით უნდა დამუშავდეს ნიმუშის აღების დროს გამოყენებული მრავალჯერადი

გამოყენების ინვენტარი. ბიოუსაფრთხოების პარკები უნდა დაიწვას ინსენერატორში.

2. ცხოველის სიკვდილის, იძულებით დაკვლის ან ლეშის გაკვეთის ადგილს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია. მოირწყას ქლორიანი კირის ხსნარით (რომელიც შეიცავს 5% აქტიურ ქლორს, დოზით: 10 ლიტრი 1მ^2 -ზე. ამის შემდეგ ნიადაგი უნდა გადაიხნას ან გადაიბაროს 20-25 სმ-ის სიღრმეზე და მოეყაროს მშრალი ქლორიანი კირი – 5 კგ/მ^2 -ზე, რომელიც უნდა შეიცავდეს არანაკლებ 25% აქტიურ ქლორს). ასევე დასაშვებია ნიადაგის მოჭრა 20 სმ-ის სიღრმეზე, მოწვა ან სითბურად გაუვნებლობა (121^0 C ტემპერატურაზე 60 წთ-ის განმავლობაში). თუ არა არის შესაძლებელი ნიადაგის სითბურად და მოწვით გაუვნებლობა, უნდა ჩატარდეს დეზინფექცია 10% ფორმალინით ყოველ მ^2-ზე 50 ლიტრის ოდენობით. გაუვნებლობის შემდეგ ნიადაგის კერა ითვლება ლიკვიდირებულად და შეზღუდვები იხსნება.

3. სადაც აუცილებელია ცხოველთა სამარხების ნიადაგის დეკონტამინაცია, რათა ცხოველთა სამარხების გაუვნებლობა მოხდეს მეტ სიღრმეში 30 მლ-ი 10%-იანი ფორმალინი უნდა მოესხას ყოველ 10 სმ სიღრმეზე, დაბინძურებული ტერიტორიიდან ჰორიზონტალურად 0.5მ ინტერვალით.

4. ნიადაგის ნიმუშის აღების შემდეგ არასაანალიზო მიწას გაუვნებლობის მიზნით ურევენ მშრალ ქლორიან კირს (25% აქტიური ქლორის შემცველობით) შეფარდებით: 1 ნაწილი ქლორიანი კირი, 3 ნაწილი ნიადაგი. ხდება ნარევის დატენიანება და ორმოში ჩაყრა. ნიმუშების აღების ადგილის სადეზინფექციოდ გამოიყენება ქლორიანი კირის ხსნარი, რომელიც უნდა შეიცავდეს 5%-იან აქტიურ ქლორს.

5. ავადმყოფი ცხოველის გამონადენით დასვრილ ნაკელს, ქვეშსაფენს და საკვების ნარჩენებს დეზინფექცია უტარდება ნატრიუმის ტუტის 10 %-იანი ცხელი ხსნარით, ხოლო შემდეგ იწვება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვით. ნაკელის წუნწუხს ერევა ანაბაკლებ 25%-ანი აქტიური ქლორის შემცველი ქლორიანი კირი, გაანგარიშებით: ყოველ 20 ლიტრ ნაკელის წუნწუხზე 1 კგ. კირის ოდენობით.

6. ცხოველის სადგომში, სადაც იმყოფებოდა დაავადებული ან/და მკვდარი ცხოველი იატაკის დეზინფექცია ტარდება 10%-იანი ნატრიუმის ტუტის ცხელი ხსნარით ან 4%-იანი ფორმალდეჰიდის ხსნარით, ასევე გამოიყენება ქლორის შემცველი პრეპარატების ხსნარები: ქლორიანი კირი, კალციუმის ნეიტრალური ჰიპოქლორიდი, ან ტექსანიტი და სხვა. ხსნარში 5 %-იანი აქტიური ქლორის შემცველობით. 10 %-იანი ერთქლორიანი იოდი, მხოლოდ ხის ზედაპირისათვის. წყალბადის ზეჟანგის 7%-იანი ხსნარი ან 2 %-იანი გლუტარის ალდეჰიდის ხსნარი. დეზინფექცია მითითებული საშუალებებით ერთქლორიანი იოდის წყალბადის ზეჟანგის და გლუტარის ალდეჰიდის გარდა, ტარდება 3-ჯერადად 1 საათის შუალედით, 1მ^2 -ზე 1ლ. ხსნარის გაანგარიშებით ტიპიურ სადგომებში და 2ლ. ხსნარი 1 მ^2 -ზე ცხოველის შენახვისათვის გამოყენებულ არატიპიურ შენობაში. ერთქლორიანი იოდის გამოყენებისას შენობის დამუშავება ხდება 2-ჯერადად, 15-30 წთ-ის შუალედით 1 ლიტრა 1მ^2 ფართობზე, ხოლო წყალბადის ზეჟანგი და გლუტარის ალდეჰიდი გამოიყენება იმავე რაოდენობის გაანგარიშებით 1 საათის შუალედით.

7. დეზინფექტანტის უკანასკნელი მოსხურების შემდეგ შენობები იკეტება 3 საათის განმავლობაში და შემდეგ ნიავდება. საკვებური და საწყურებელი ჩამოირეცხება წყლით.

8. ხის იატაკი და ტიხრები უნდა დაიწვას, ნიადაგს აუვნებლებენ მშრალი ქლორიანი კირით, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მეთოდით.

9. ამ მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დეზინფექციის შემდეგი მეთოდები:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკელი, ექსკრემენტები ან ქვეშსაფენი შეიძლება იყოს დაბინძურებული Bacillus anthracis (B. anthracis) სპორებით, რეკომენდებულია ერთ-ერთი შემდეგი:

ა.ა) მცირე მოცულობების ინსინერაცია;

ა.ბ) ქიმიოთერმული დამუშავება კომპოსტირების საშუალებით შემდეგი მეთოდით:

ა.ბ.ა) ნაკელის, ექსკრემენტების ან ქვეშსაფენის ერთ-ერთ ქვემო აღნიშნულთან შერევა თანაფარდობით 1-1.5 ლიტრი/მ^3:

ა.ბ.ა.ა) 10% ფორმალდეჰიდი (დაახლოებით 30% ფორმალინი);

ა.ბ.ა.ბ) 4% გლუტერალდეჰიდი (pH 8.0–8.5);

ა.ბ.ბ) ხუთი კვირის შემდეგ ნარევის არევა;

ა.ბ.გ) შემდგომი ხუთი კვირისათვის მასალის დატოვება;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც წუნწუხი შეიძლება იყოს დაბინძურებული B. anthracis სპორებით, რეკომენდებულია დეზინფექცია ფორმალინით (ფორმალდეჰიდის 35%-იანი წყალხსნარი) ყოველ დღე ერთი საათის განმავლობაში შემდეგთან არევით:

ბ.ა) წუნწუხისთვის, რომელიც 5%-მდე მშრალ მასას შეიცავს, 50 კგ ფორმალინი მ^3-ზე 4 დღის განმავლობაში;

ბ.ბ) წუნწუხისთვის, რომელიც 5%-დან 10%-მდე მშრალ მასას შეიცავს, 100 კგ ფორმალინი მ^3-ზე 4 დღის განმავლობაში;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც ზედაპირები ცხოველთა სადგომებში, თავლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში და ა.შ. შეიძლება დაბინძურებული იყოს B. anthracis სპორებით, რეკომენდებულია შემდეგი სამსაფეხურიანი გეგმა:

გ.ა) წინასწარი დეზინფექცია უნდა ჩატარდეს ქვემოთ მოცემული დეზინფექტებიდან ერთ-ერთის საშუალებით, თანაფარდობით 1-1.5 ლიტრი/მ^3-ზე, ორი საათის განმავლობაში;

გ.ა.ა) 10% ფორმალდეჰიდი (დაახლოებით 30% ფორმალინი);

გ.ა.ბ) 4% გლუტარალდეჰიდი (pH 8.0–8.5);

გ.ბ) ყოველი ზედაპირი უნდა იყოს გარეცხილი და გაწმენდილი საკმარისი რაოდენობის ცხელი წყლით, და, როდესაც ისინი გასუფთავებულია და ჩამდინარე წყალი თავისუფალია ნაწილაკებისგან, ზედაპირები უნდა გაშრეს;

გ.გ) დეზინფექციის ბოლო საფეხური უნდა განხორციელდეს ქვემოთ მოცემული დეზინფექტანტებიდან ერთ-ერთი საშუალებით, გამოყენებული თანაფარდობით 0.4 ლიტრი/მ^3, ორი საათის განმავლობაში;

გ.გ.ა) 10% ფორმალდეჰიდი (დაახლოებით 30% ფორმალინი), გამეორებული ერთი საათის შემდეგ;

გ.გ.ბ) 4% გლუტარალდეჰიდი (pH 8.0–8.5) გამეორებული ერთი საათის შემდეგ;

გ.გ.გ) 3% წყალბადის პეროქსიდი;

გ.გ.დ) 1% პეროქსიძმარმავა, გამეორებული ერთი საათის შემდეგ;

გ.გ.ე) 5-10% ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარი.

10. დაავადებული, საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველის რძე ნადგურდება, მას ემატება 25%-იანი აქტიური ქლორის შემცველი 1 კგ. კირი 20 ლიტრ რძეზე. რძე გაუვნებელყოფილად ითვლება 6 სთ ექსპოზიციის შემდეგ.

11. ჯილეხის აღმძვრელით დაინფიცირებული შენობის ფუმიგაციის მეთოდები:

დასნებოვნებული შენობები, რომელთა განთავისუფლება ვერ ხერხდება მორეცხვისა და დეზინფექციის წინ, შესაძლებელია ჩაუტარდეს ფუმიგაცია, რომლისთვისაც რეკომენდებულია შემდეგი მეთოდები:

ა) ყველა ფანჯარა, კარი და შენობის სხვა ღია ადგილი, რომელიც დაკავშირებულია გარემოსთან, უნდა ჩაიკეტოს მჭიდროდ, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მკვრივი წებოვანი ლენტი;

ბ) შენობის 30მ3 მოცულობაზე საჭიროა 4 ლ წყალზე 400 მლ კონცეტრირებული ფორმალინი (ფორმალდეჰიდი 37% წყლის მოცულობით), დასამუშავებელ შენობაში უნდა იქნეს დატოვებული მთელი ღამის განმავლობაში. შენობაში ტემპერატურა უნდა იყოს 15 °C-ზე მეტი.

შენიშვნა:

1) ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ფორმალდეჰიდი და გლუტარალდეჰიდი არ უნდა იქნეს გამოყენებული 10°C -ზე ნაკლები ტემპერატურის დროს. წყალბადის პეროქსიდი და პეროქსიძმარმჟავა არ არის მიზანშეწონილი გამოყენებულ იქნეს სისხლის არსებობის შემთხვევაში. როგორც ყველა სხვა ქიმიკატის შემთხვევაში, საჭიროა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და შესაბამისი უსაფრთოხების ტრენინგის ჩატარება საშიში ქიმიკატების დამმუშავებელი პერსონალისთვის. 2) ფორმალინი საშიში ქიმიკატია და მასთან მუშაობისას, საჭიროა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და შესაბამისი უსაფრთოხების ტრენინგის ჩატარება დამმუშავებელი პერსონალისთვის. ფორმალდეჰიდის ფუმიგაციის დროს ოპერატორი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი რესპირატორით. 3) ფუმიგაციის პროცესის ეფექტურობა უნდა დადასტურდეს B. subtilis var. globigii ან B. cereus სპორების ან შტერნის B. anthracis ვაქცინის შტამების სუსპენზიაში ჩაშვებული საფილტრავი ქაღალდის მშრალი დისკების ექსპოზიციითა და ფუმიგაციის დაწყებამდე მათი ოთახში მოთავსებით. ფუმიგაციის დასრულებისას, დისკები უნდა მოთავსდეს საკვებ აგარზე, რომლებიც შეიცავენ 0.1% ჰისტიდინს და ინკუბირებულები არიან ღამით 37°C ტემპერატურაზე. თუ ფუმიგაცია ეფექტურია, ბაქტერიული ზრდა არ იქნება.

მუხლი 10. ჯილეხთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. დადასტურებული შემთხვევის დროს ეპიზოოტიური კერა ცხადდება საკარანტინო ზონად, სადაც იკრძალება:

ა) ყველა სახეობის ცხოველის შეყვანა და გამოყვანა;

ბ) ცხოველის სახორცედ დაკვლა;

გ) ცხოველთა გადაჯგუფება;

დ) ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, გადაუდებელი შემთხვევების გარდა;

ე) ცხოველის დაწყურება საერთო გუბურიდან და სხვა წყალსაცავიდან;

ვ) დაავადებული, დაავადებაზე საეჭვო და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველების რძის გამოყენება;

ზ) ცხოველური პროდუქტების დამზადება და გამოტანა;

თ) ცხოველებით და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობა;

ი) ბაზრობის, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და ცხოველების თავშეყრასთან;

კ) მკვდარი ცხოველის ლეშის გაკვეთა ან/და გატყავება;

ლ) უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა/გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული არ არის საკარანტინო ზონაში არსებულ ობიექტების მომსახურებასთან;

მ) ცხოველის გადაადგილების და სიკვდილის ადგილზე ცხოველების დაშვება შესაბამისი ღონისძიებების გატარებამდე.

2. კეთილსაიმედო სათესი მონაკვეთიდან, საძოვრიდან, სათიბ-სავარგულიდან დამზადებული მარცვლის, უხეში და წვნიანი საკვები, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ ჯილეხით ავადმყოფ ცხოველთან და არ არიან დაბინძურებული მისი გამონადენებით მათი გამოტანა დაიშვება მხოლოდ კარანტინის მოხსნის შემდეგ.

3. მარცვალი, უხეში და წვნიანი ცხოველის საკვები, რომლებიც დამზადებულია ან ინახება იმ ადგილებში, რომელიც უშუალო შეხებაშია ჯილეხით დაავადებულ ან მკვდარ ცხოველებთან დაუშვებელია საკარანტინო ზონიდან გატანა და გამოიყენება ადგილზე ჯილეხის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ცხოველის საკვებად.

4. საკარანტინო ზონაში ცხოველების მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს სპეციალური ტანსაცმლით. ერთჯერადი გამოყენების სპეც. ტანსაცმელი ექვემდებარება გამოყენების შემდეგ განადგურებას, ხოლო მრავალჯერადი - გაუვნებლობას.

5. საკარანტინო ზონაში ყველა ცხოველის შემოწმების შემდეგ ვეტერინარი ჰყოფს მათ ორ ჯგუფად:

ა) პირველი ჯგუფი – ჯილეხით დაავადებული და სავარაუდოდ დაავადებული ცხოველები, რომლებსაც აღენიშნებათ დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები;

ბ) მეორე ჯგუფი – ყველა დანარჩენი ამთვისებელი ცხოველი, რომელსაც არ აქვს დაავადების კლინიკური ნიშნები და იმყოფება საკარანტინო ზონაში.

6. პირველი ჯგუფის ცხოველების მკურნალობას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი. კლინიკური გამოჯანმრთელებიდან 14 დღის შემდეგ ცხოველები ექვემდებარებიან ვაქცინაციას, რომლის ორგანიზებასაც ახდენს სააგენტო.

7. მეორე ჯგუფის ცხოველები ექვემდებარებიან ვაქცინაციას.

8. მკვდარი ცხოველის სხეულის ყველა ნაწილი უნდა დაექვემდებაროს განკარგვას „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის,, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად.

9. მკვდარი ცხოველის დამარხვის შემთხვევაში, ცხოველის სამარხს უნდა გაუკეთდეს დემარკაცია, ხოლო სამრხზე არსებული ნიადგის გროვის დაწევის შემდეგ - მოეწყოს ბეტონის საფარი არანაკლებ 10 სმ-ის სიმაღლის, ადგილი შემოიღობოს და გაუკეთდეს წარწერა „ჯილეხი“.

10. სააგენტოს პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები.

11. ცხოველის პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა განხორციელდეს სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები.

მუხლი 11. კარანტინის მოხსნა

1. ჯილეხზე კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ბოლო შემთხვევიდან 20 დღის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნულ პერიოდში:

ა) ადგილი არ ჰქონდა ცხოველის სიკვდილს ან/და ჯილეხით დაავადების კლინიკურ გამოვლინებას;

ბ) ვაქცინაციიდან გასულია ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციით იმუნიტეტის ჩამოსაყალიბლებლად გათვალისწინებული პერიოდი;

გ) ადგილი არ ჰქონდა დეზინფექციის ჩატარების შემდგომ, ჯილეხის დაავადების აღმძვრელის არსებობას ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე.

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 12. ზოგიერთი საქმიანობის დროს განსახორციელებელი ქმედებები

1. ხაზობრივი (ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, გზა, რკინიგზა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზი, სამელიორაციო და საკანალიზაციო სისტემები, არხი, ტრანშე), კაშხლების, ჯილეხის ამთვისებელი ცხოველების (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, კენტჩლიქიანებისა და მეღორეობის) ფერმების მშენებლობის პროექტების განხორციელებისას/მშენებლობისას, წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებისას და მათთან დაკავშირებული სამუშაოების დაგეგმვამდე დაინტერესებულმა პირმა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ჯილეხის შესაძლო აღმძვრელის არსებობაზე უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია სააგენტოდან ან უზრუნველყოს ნიადაგის ნიმუშების აღება და სმსლ-ში ლაბორატორიული გამოკვლევა. ჯილეხის დაავადებისაგან პერსონალის დაცვის მიზნით ნიმუშის აღება უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მქონე ვეტერინარის მიერ.

2. დაავადების შესაძლო ან მოსალოდნელი აფეთქების რისკის განსაზღვრის და საფრთხის (ეპიზოოტიურ-ეკოლოგიური) მინიმიზებისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების განხორციელებამდე, ტერიტორიის ეპიზოოტიურ კეთილსაიმედოობაზე ინფორმაციის გამოთხოვა სააგენტოდან. ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ან/და იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია, არ შეიცავს ეპიზოოტიურ კერას და მოიცავს მხოლოდ საფრთხის შემცველ ტერიტორიაზე დაავადების აღმძვრელის არსებობის შესახებ ინფორმაციას ან/და ცხოველთა სიკვდილი გამოწვეულია სპონტანურად და სააგენტოსთვის უცნობია აღნიშნული ფაქტები, უნდა მოხდეს ნიადაგიდან ნიმუშების აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა სმსლ-ში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რათა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შეიცავდეს ინფორმაციას – სამუშაოების დაწყებამდე ან/და შემდგომი სამშენებლო სამუშაოებების ჩატარების პროცესში – პროექტის განხორციელების ადგილზე, გეოგრაფიულ არეალში/ლანდშაფტებში, ჯილეხის დაავადების მონიტორინგის/გამოკვლევის შედეგების შესახებ. აღნიშნული რედაქციით დაზუსტდება ის გარემოებები, თუ რა შემთხვევებში ხდება სააგენტოსთვის მიმართვა ან/და ნიმუშის აღება.

3. იმ საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს მშენებლობის ნებართვის ან/და სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გამცემ კომპეტენტურ ორგანოში.

4. აკრძალულია ჯილეხით მკვდარი ცხოველის ლეშის სამარხის ტერიტორიის გამოყენება რაიმე სამშენებლო და მიწის სხვა სამუშაოებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს სამარხის გაუვნებლობას ჯილეხის აღმძვრელისაგან.

5. სამუშაოების წარმოების პროცესში ჯილეხზე ეჭვის მიტანისას ან/და ჯილეხის შემთხვევის დაფიქსირებისას დაინტერესებულმა პირმა უნდა შეაჩეროს საქმიანობა და აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 13. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშავოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაციისათვის, ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, პერსონალისა და ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა სხვა მასალისადმი წვდომა;

დ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტური ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტური კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ჯილეხის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურის, ინსტრუქციის და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა;

ზ) საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ვაქცინაციის, მათ შორის, გადაუდებელი ვაქცინაციის, დეტალური გეგმები (გადაუდებელ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რეგიონები, ვაქცინაციისათვის საჭირო ვაქცინის რაოდენობა, სახეობა და სხვ.).

2. პერსონალმა რეგულარულად უნდა გაიაროს სწავლებები ჯილეხის ეპიზოოტოლოგიურ (ეპიდემიოლოგიურ) გამოკითხვას, კლინიკურ ნიშნებსა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა.

მუხლი 14. კომპენსაცია

1. ცხოველის ჯილეხით დაცემის შემთხვევაში, კომპენსაციის გადახდისა და ამ კომპენსაციის ოდენობის საკითხს ადგენს საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პასუხისმგებელ პირზე კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ადგილი აქვს ამ წესის შესაბამისად ჯილეხის დადასტურებულ შემთხვევას;

ბ) „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის N483 დადგენილების შესაბამისად:

ბ.ა) სადგომი რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ.ბ) პასუხისმგებელი პირი რეგისტრირებულია ცხოველის მფლობელად მონაცემთა ერთიან ბაზაში და ასრულებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ბ.გ) ცხოველი იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია შემთხვევამდე არანაკლებ 15 დღით ადრე;

გ) პასუხისმგებელი პირის მიერ დაცულია ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) სააგენტოში არსებულ ჩანაწერებში ცხოველი დაფიქსირებულია, როგორც „ობიექტურად აუცრელი“.

3. კომპენსაცია არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (ცხოველის ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაცია) პასუხისმგებელმა პირმა უარი განაცხადა ცხოველის ვაქცინაციაზე და არსებობს სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული ჩანაწერი,

პასუხისმგებელი პირის მხრიდან უარის განცხადების თაობაზე.

მუხლი 15. ვაქცინის შესყიდვა, გამოყენება და მარაგები

1. აკრძალულია გარდა ამ წესში მითითებული შემთხვევებისა ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენება.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინების წარმოებაზე, შენახვასა და დისტრიბუციაზე.

3. სააგენტოს მიერ ვაქცინის შესყიდვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ვაქცინის შესყიდვის ტექნიკურ პირობებს ადგენს სააგენტო.

5. სააგენტომ საგანგებო გეგმის ფარგლებში უნდა იქონიოს საქართველოში რეგისტრირებული ვაქცინ(ებ)ის გადაუდებელი ვაქცინაციისთვის საჭირო რეზერვები.

6. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინების უსაფრთხო შენახვისა და გამოყენების პირობების დაცვა.

7. სააგენტო უფლებამოსილია, შეამოწმოს გამოყენებისთვის გამიზნული ვაქცინების იმუნოგენობა და უვნებლობა.

დანართი №3

ცხოველების ბრუცელოზთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო

წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ბრუცელოზი – ცხოველის ინფექციური, ქრონიკულად მიმდინარე ზოონოზური დაავადებაა, რომლის ძირითადი კლინიკური გამოვლინებაა აბორტი. ადამიანისთვის განსაკუთრებით საშიშია თხისა და ცხვრის ბრუცელოზის აღმძვრელი.

2. ცხოველებში, ბრუცელოზზე დიაგნოზს ადგენენ სეროლოგიური, ბაქტერიოლოგიური და ალერგიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე, ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და დაავადების კლინიკური ნიშნების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მიხედვით ფერმერულ მეურნეობებსა და დასახლებულ პუნქტებს ყოფენ ამ დაავადებაზე კეთილსაიმედო ან არაკეთილსაიმედო ზონებად.

4. ბრუცელოზზე გამოკვლევისას დადებითად მორეაგირე ერთეული ცხოველების გამოვლენის შემთხვევაში, ფერმერული მეურნეობა, დასახლებული პუნქტი არაკეთილსაიმედო ზონად ითვლება, თუ 20-25 დღის ინტერვალით ჩატარებული ორჯერადი გამოკვლევისას კიდევ გამოვლინდება დადებითად მორეაგირე ცხოველი.

5. ცხოველების ბრუცელოზზე კეთილსაიმედოობას უზრუნველყოფენ პროფილაქტიკური ღონისძიებებითა და გეგმური დიაგნოსტიკური გამოკვლევებით, ინფექციის კერაში და მის გარშემო დაავადების აღმძვრელის გაუვნებლების გზით.

6. ბრუცელოზთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კეთილსაიმედო ზონა - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან ფერმა, რომლის ტერიტორიაზეც არ ფიქსირდება არცერთი ეპიზოოტიური კერა;

ბ) არაკეთილსაიმედო ზონა - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან ფერმა, რომლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ერთი ან მეტი ეპიზოოტიური კერა;

გ) დეზინფექცია - მიკროორგანიზმების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

დ) დეზინვაზია - პარაზიტების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

ე) დეზინსექცია - მწერების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

ვ) დერატიზაცია - მღრნელების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

ზ) ბიოთერმული გაუვნებლობა - პროცესი, რომლის დროსაც თერმოგენული მიკროფლორის გამრავლების შედეგად მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით იღუპებიან ინფექციური დაავადებების აღმძვრელები, ჰელმინთების კვერცხები და ლარვები;

თ) იძულებითი დაკვლა – დაავადებული ცხოველის დაკვლა ვეტერინარი ექიმის მითითებითა და კონტროლის ქვეშ ცხოველების დაცემის თავიდან აცილების მიზნით ან მათი მკურნალობის ეკონომიკური მიზანშეუწონლობის გამო;

ი) ფერმერული მეურნეობა - ობიექტი სადაც ხდება ცხოველების მოშენება ან შენახვა, მუდმივად ან დროებით.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ბრუცელოზთან ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. კეთილსაიმედო ზონაში გეგმურად უნდა განხორციელდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. ბრუცელოზზე კეთილსაიმედოობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოველთა ჯანმრთელობაზე, გადაჯგუფებაზე, გადაადგილებაზე ვეტერინარულ-სანიტარიული წესების შესრულებაზე შესაბამისი მონიტორინგისა და ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელებით.

2. დაავადების თავიდან აცილების მიზნით, ცხოველის მფლობელი ვალდებულია:

ა) არ დაუშვან დაავადებული ან/და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების შემოყვანა სხვა ცხოველის სადგომიდან, ფერმიდან;

ბ) ფერმაში, დასახლებულ პუნქტში შემოყვანილი ცხოველები ამყოფონ კარანტინში 30 დღის განმავლობაში;

გ) კარანტინში ყოფნის დროს ცხოველები უნდა გამოიკვლიონ ბრუცელოზზე სეროლოგიურად (როზბენგალის სინჯით, აგლუტინაციის რეაქციით, კომპლემენტის ხანგრძლივი ფიქსაციის რეაქციით). წვრილფეხა პირუტყვი გამოკვლეული უნდა იქნეს დამატებით ალერგიულად, ხოლო ერკემლები და მომსახურე პერსონალი უნდა შემოწმდნენ აგრეთვე ინფექციურ ეპიდიდიმიტზე;

დ) ცხოველები საერთო ჯგუფში შეიყვანონ მხოლოდ მათი ბრუცელოზზე კეთილსაიმედოობის დადგენის შემდეგ;

ე) იმ შემთხვევაში, თუ კარანტინის პერიოდში ცხოველები აღმოჩნდნენ ბრუცელოზზე დადებითად მორეაგირენი, უნდა განხორციელდეს ღონისძიებები დიაგნოზის დასაზუსტებლად. ბრუცელოზის დადგენის შემთხვევაში, ჯგუფის მთელი სულადობა უნდა დაიკლას ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით;

ვ) არ დაუშვან ცხოველების კონტაქტი ბრუცელოზის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონის ცხოველებთან;

ზ) სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნისთანავე, წარუდგინონ ცხოველები კლინიკური შემოწმებისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევისათვის, ასევე საპროფილაქტიკო აცრების ჩასატარებლად;

თ) ბრუცელოზის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების (აბორტი, ადრეული მშობიარობა და ა.შ.) აღმოჩენისთანავე, ასეთი ცხოველები გამოაცალკეონ საერთო ჯგუფიდან, მოათავსონ ცალკე სადგომში და აცნობონ სახელმწიფო ვეტერინარს.

3. სახელმწიფო ვეტერინარი, ცხოველებში ბრუცელოზზე საეჭვო ნიშნების გამოჩენისთანავე, ვალდებულია დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს და მიიღოს ზომები დიაგნოზის დასადგენად.

4. ბრუცელოზით ცხოველების დაავადების დროულად აღმოჩენის მიზნით, კეთილსაიმედო ზონაში უნდა ჩატარდეს გეგმური პროფილაქტიკური დიაგნოსტიკური გამოკვლევები.

5. პროფილაქტიკის მიზნით კეთილსაიმედო ზონაში მყოფი ცხოველები ბრუცელოზზე გამოკვლევას ექვემდებარებიან წელიწადში ერთხელ.

6. გამოკვლევას ექვემდებარება მომთაბარე მეცხვარეობის ცხოველები და მოზარდი სულადობა 6 თვის ასაკიდან, ასევე კეთილსაიმედო ზონებში არსებული ცხვარი (თხა), რომელიც ტერიტორიულად ესაზღვრება ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო ზონას.

7. ერთმანეთის მოსაზღვრე ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო ზონებში არსებული წვრილფეხა პირუტყვი ექვემდებარება გამოკვლევას წელიწადში ორჯერ.

8. კეთილსაიმედო ფერმერულ მეურნეობაში, რომელიც განლაგებულია არაკეთილსაიმედო ზონაში, ბრუცელოზზე გამოკვლევას ექვემდებარებიან ცხოველები წელიწადში არანაკლებ ორჯერ, დეკეულები დათესვლის წინ და მის შემდეგ.

9. ბრუცელოზის სალიკვიდაციო ღონისძიებებს ახორციელებენ თითოეული არაკეთილსაიმედო კერისათვის შემუშავებული ღონისძიებათა გეგმის მიხედვით.

10. გამაჯანსაღებელი ღონისძიებების (დაავადების ლიკვიდაციის) გეგმაში ასახული უნდა იქნეს: ფერმის, დასახლებული პუნქტის ბრუცელოზის ეპიზოოტიური მდგომარეობა (დაავადების მიმდინარეობა, გავრცელების ხარისხი, ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინებით აცრილი ცხოველების რაოდენობა და სხვა),ბრუცელოზის საწინააღმდეგო იმუნიზაციის, დეზინფექციის, დერატიზაციის ჩატარების ვადები და თანმიმდევრობა, დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ვადები და მოცულობა, ცხოველების სეროლოგიური გამოკვლევით გამოვლენილი დაავადებული ცხოველების დაკვლის ვადები და თანმიმდევრობა, გასაჯანსაღებელ ფერმაში არაკეთილსაიმედო სულადობის ჯანმრთელი ცხოველებით შეცვლის ვადები და წყაროები, რძის გადამუშავების მეთოდები და საშუალებები.

11. უნდა განისაზღვროს არაკეთილსაიმედო ფერმის, დასახლებული პუნქტის გაჯანსაღების (დაავადების ლიკვიდაციის) მეთოდები და ვადები, მითითებულ იქნეს გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

12. არაკეთილსაიმედო ზონაში აკრძალულია:

ა) კურო მწარმოებლების შეყვანა;

ბ) დროებითი სადგომის (ჯგუფის) გადაადგილება სახელმწიფო ვეტერინართან შეთანხმების გარეშე;

გ) ფურებისგან მიღებული უმი რძის სარეალიზაციო ქსელში გატანა. დაავადების კლინიკური ნიშნების მქონე (აბორტი და სხვ.) ცხოველებისგან მიღებული რძე უნდა განადგურდეს;

დ) საძოვრების გამოყენება, რომელზეც ძოვდა ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო დროებითი სადგომი ჯგუფი) 3 თვის განმავლობაში. ასეთი საძოვრებიდან აღებული თივა ექვემდებარება 2 თვით შენახვას, რის შემდეგაც ეძლევა ცხოველებს საკვებად იმავე დასახლებულ პუნქტში;

ე) ჯანმრთელი ცხოველების შეყვანა სადგომებში, რომლებშიც ადრე მოთავსებული იყვნენ დაავადებული ცხოველები მათი მექანიკური გაწმენდის, სასეირნო მოედნების და სხვა ობიექტების დეზინფექციისა და დერატიზაცის გარეშე;

ვ) ცხვრისა და თხის წველა, არადეზინფიცირებული სამაჟდაკე ტყავის დამუშავება (გაშრობა-გაწმენდა და სხვა), ბატკნებისაგან მიღებული სამაჟდაკე ტყავები ტანხორციდან მოცილებისთანავე ექვემდებარებიან დეზინფექციასა და დაკონსერვებას;

ზ) ბრუცელოზზე დადებითად მორეაგირე ყველა სახის, ასევე აბორტირებული ცხოველები, დაუყოვნებლივ გამოყოფილი უნდა იქნეს საერთო ჯოგიდან და დაიკლას ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით;

თ) ბრუცელოზზე დადებითად მორეაგირე ყველა სახის, ასევე აბორტირებული ცხოველების ყოფნა საერთო ჯგუფში. აღნიშნული ცხოველები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ იზოლირებას საერთო ჯგუფიდან და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით დაკვლას;

ი) რძის გასაფილტრი ქსოვილის, პირადი ჰიგიენის საგნების და სპეცტანსაცმლის სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავების ან დუღილით გაუვნებელყოფის გარეშე გამოყენება. სადეზინფექციოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს კალციუმის ჰიპოქლორიდი, ქლორიანი კირი, ქლორიან სარეცხ საშუალებებთან ერთად;

კ) ცხოველთა სადგომების გამოყენება დასუფთავებისა და სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავების, სასანაციო ღონისძიებების ჩატარების გარეშე. ასეთ სადგომებში ჯანმრთელი ცხოველების შეყვანა შეიძლება სახელმწიფო ვეტერინართან შეთანხმებით.

13. ბრუცელოზიანი ცხოველების დაკვლა ხდება ცხოველთა სასაკლაოზე სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვით. ასეთი ცხოველების დაკვლის შედეგად მიღებული ხორცისა და სხვა პროდუქტების გამოყენება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

14. არაკეთილსაიმედო პუნქტში ცხოველთა სადგომებში და ირგვლივ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს სათანადო ღონისძიებები დეზინფექციის, დეზინვაზიის, დეზინსექციის და დერატიზაციის ინსტრუქციების შესაბამისად.

15. ნაკელი ექვემდებარება ბიოთერმულ გაუვნებლებას.

16. ცხოველთა მფლობელები ვალდებულნი არიან:

ა) უზრუნველყონ ბრუცელოზთან ბრძოლის საკითხებზე სახელმწიფო ვეტერინარის მითითებების შესრულება;

ბ) მეცხოველეობის საკუთარ მეურნეობებში გაატარონ დაავადების პროფილაქტიკისა და გაჯანსაღების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები;

გ) უზრუნველყონ ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველთა ჯგუფების ცალ-ცალკე ძოვება და დაწყურება, რომ გამოირიცხოს ბრუცელოზის დაავადების გავრცელება;

დ) ზუსტად დაიცვან ვეტერინარულ-საკარანტინო წესები დაავადების აცილების მიზნით;

ე) გაუწიონ სისტემატური დახმარება სახელმწიფო ვეტერინარებს ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევის, ბრუცელოზის საწინააღმდეგო აცრების, დეზინფექციის, დერატიზაციის ჩატარებაში, ასევე უზრუნველყონ გამოსაკვლევი პათმასალის მიტანა ვეტერინარიულ ლაბორატორიაში.

17. ადამიანის ბრუცელოზისაგან დაცვის ღონისძიებებია:

ა) ყველა პირი, რომელიც უშუალოდ ემსახურება ბრუცელოზზე არაკეთილსაიმედო ცხოველებს, ვალდებულია მკაცრად დაიცვას პირადი ჰიგიენა და სახელმწიფო ვეტერინარის მითითებები;

ბ) მეცხოველეობის ყველა მუშაკი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი ჰიგიენის საგნებითა და სპეცტანსაცმლით.

18. დასახლებული პუნქტი, ცხოველთა სადგომი ითვლება ბრუცელოზზე კეთლსაიმედოდ, თუ მათში აღარ იმყოფებიან დაავადებული ცხოველები და თუ გატარებულია დაავადებასთან ბრძოლის ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებები, სააგენტო მიმართავს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს კარანტინის მოხსნის თაობაზე.

დანართი №4

ცხოველების ტუბერკულოზთან ბრძოლის

პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტუბერკულოზი ცხოველთა ინფექციური, ზოონოზური, ხშირ შემთხვევაში ქრონიკულად მიმდინარე დაავადებაა, რომელიც რეგისტრირებულია მრავალი სახეობის შინაურ და გარეულ ცხოველებსა და ფრინველებში. შინაურ ცხოველთაგან უფრო ხშირია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დასნებოვნება. ცხოველთა ტუბერკულოზის გამომწვევია Mycobacterium bovis (ხარის ტიპი), Mycobacterium avium (ფრინველის ტიპი).

2. ტუბერკულოზით ავადმყოფი ცხოველისაგან (ფრინველისაგან) შეიძლება დაავადდეს ადამიანიც, ხოლო ტუბერკულიოზიანი ადამიანიდან – ცხოველი.

3. ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე, ფერმერულ მეურნეობებსა და დასახლებულ პუნქტებს ყოფენ ამ დაავადებაზე კეთილსაიმედო ან არაკეთილსაიმედო ზონებად.

4. ცხოველთა მფლობელნი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ამ წესით დადგენილი ტუბერკულოზთან ბრძოლის საწინააღმდეგო მოთხოვნების შესრულება.

5. სახელმწიფო ვეტერინარები ვალდებულნი არიან აწარმოონ მუდმივი კონტროლი ცხოველთა ტუბერკულოზის პროფილაქტიკურ და სალიკვიდაციო ღონისძიებეთა შესრულებაზე.

6. ტუბერკულოზზე დიაგნოზს ადგენენ ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური, პათანატომიური, ალერგიული და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე.

7. ტუბერკულოზთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეპიზოოტიური კერა - ცხოველის სადგომი ან მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც იმყოფება ინფექციის აღმძვრელის ერთი ან რამდენიმე წყარო;

ბ) არაკეთილსაიმედო პუნქტი - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან ფერმა, რომლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ერთი ან მეტი ეპიზოოტიური კერა;

გ) არაკეთილსაიმედო კერა - ცხოველის სადგომი ან მიმდებარე ტერიტორია სადაც დაფიქსირებულია დაავადება;

დ) არაკეთილსაიმედო ტერიტორია - ტერიტორია, რომელიც მოიცავს დაავადების კერიდან 10-კილომეტრიან რადიუსს;

ე) საშიში ბუფერული ზონა - ტერიტორია, რომელიც მოიცავს დაავადების კერიდან 3-კილომეტრიან რადიუსს;

ვ) ზოონოზური დაავადება - ცხოველის ისეთი გადამდები დაავადება, რომელიც ბუნებრივად გადაედება ცხოველიდან ადამიანს და ადამიანიდან ცხოველს;

ზ) კეთილსაიმედო ზონა - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან ფერმა, რომლის ტერიტორიაზეც არ ფიქსირდება არცერთი ეპიზოოტიური კერა;

თ) არაკეთილსაიმედო ზონა - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან ფერმა, რომლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ერთი ან მეტი ეპიზოოტიური კერა;

ი) დეზინფექცია - მიკროორგანიზმების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

კ) დერატიზაცია - მღრღნელების განადგურების ან რაოდენობის შემცირების ღონისძიება;

ლ) ტუბერკულინიზაცია - ცხოველებში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის ერთ-ერთი მეთოდი.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. პირუტყვის მფლობელები ვალდებულნი არიან:

ა) არ დაუშვან დაავადებული ან/და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების შემოყვანა სხვა ცხოველის სადგომიდან, ფერმიდან;

ბ) შემოყვანილი პირუტყვი 30 დღის განმავლობაში მოათავსონ იზოლირებულად და ჩაუტარონ ტუბერკულინიზაცია. საერთო ჯგუფში შეიყვანონ მხოლოდ არამორეაგირე პირუტყვი, ხოლო მორეაგირე პირუტყვის გამოვლენისას დიაგნოზი დააზუსტონ და ტუბერკულოზის დადგენის შემთხვევაში შემოყვანილი პირუტყვის მთელი სულადობა დაკლან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

გ) არ დაუშვან ცხოველთა კონტაქტი ტუბერკულოზზე არაკეთლსაიმედო კერებთან;

დ) სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნისთანავე უზრუნველყონ პირუტყვის გამოყვანა დათვალიერებისთვის, სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისთვის შექმნან სათანადო პირობები კომპლექსური ღონისძიების გასატარებლად.

2. ტუბერკულოზზე კეთილსაიმედო ზონიდან ცხოველის გაყვანა ნებადართულია, თუ დაავადება არ დაფიქსირებულა ბოლო 4 წლის განმავლობაში.

3. სახელმწიფო ვეტერინარი მის სამოქმედო ტერიტორიაზე ვალდებულია აკონტროლოს ტუბერკულოზზე ეპიზოოტიური მდგომარეობა.

4. დაინფიცირებული საძოვარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნიადაგში მიკობაქტერიების გამძლეობის გათვალისწინებით 4 – 6 თვის შემდეგ.

5. ტუბერკულოზის დადგენისას ცხოველი უნდა დაიკლას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით. დანარჩენ სულადობას უნდა ჩაუტარდეს გამოკვლევა.

6. აკრძალულია ტუბერკულოზზე არაკეთილსაიმედო ცხოველთა ჯგუფის საძოვარზე გადარეკვა.

მუხლი 4. არაკეთილსაიმედო კერებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვეტერინარული და საკარანტინო ღონისძიებები

1. ტუბერკულოზის გამოვლინების შემთხვევაში ცხოველის მფლობელის ტერიტორია უნდა გამოცხადდეს ამ ინფექციის მიმართ არაკეთილსაიმედოდ.

2. ტუბერკულოზის პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა გეგმები უნდა შედგეს ცხოველის ცალკეული სახეობის, დასახლებული პუნქტისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. ტუბერკულოზის ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესება და მოხსნა ხორციელდება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ.

3. ცხოველების მფლობელები ვალდებულნი არიან:

ა) შეასრულონ სახელმწიფო ვეტერინარების მოთხოვნები ტუბერკულოზის ლიკვიდაციისთვის;

ბ) სწორად გამოიყენონ კეთილსაიმედო ცხოველების ჯგუფის საძოვარი სავარგულები, დასარწყულებელი ადგილები, უზრუნველყონ ჯანმრთელი პირუტყვის განთავსება ვეტერინარულ-საკარანტინო პირობების დაცვით;

გ) არაკეთილსაიმედო კერებში განახორციელონ რძის და რძის ნაწარმის საიმედო გაუვნებლობა;

დ) სახელმწიფო ვეტერინარებს გაუწიონ სათანადო დახმარება ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო გამოკვლევების, დეზინფექციების და სხვა ღონისძიებების ჩატარებაში, არ დაუშვან უცხო პირთა შესვლა, ტრანსპორტის მოძრაობა და ცხოველთა გადაჯგუფება მისი თანხმობის გარეშე;

ე) დროულად უზრუნველყონ მომსახურე პერსონალის გამოკვლევა ტუბერკულოზზე და სამედიცინო შემოწმების გარეშე არ დაუშვან ისინი ცხოველებთან, უზრუნველყონ სპეცტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

4. აკრძალულია:

ა) ცხოველთა გადაადგილება არაკეთილსაიმედო ზონაში;

ბ) არაკეთილსაიმედო ზონიდან თივის, ნამჯის და სხვა უხეში საკვების გატანა;

გ) ბაზრობებისა და გამოფენების მოწყობა;

დ) დაავადებული, დაავადებაზე დადებითად მორეაგირე ცხოველების და მათგან მიღებული თაობის გამოყენება აღწარმოებისათვის;

ე) არაკეთილსაიმედო ზონიდან ცხოველების გაყიდვა გამოზრდისა და გასუქების მიზნით;

ვ) ცხოველთა სადგომებში ტუბერკულოზიანი პირუტყვის შენახვა;

ზ) არაკეთილსაიმედო კერიდან გაუვნებელყოფილი რძის გატანა სარეალიზაციოდ. ასეთი რძე დაავადების საბოლოო ლიკვიდაციამდე სისტემატიურად საჭიროებს ადგილზე თერმულ დამუშავებას;

თ) დაავადებაზე საეჭვო ცხოველთა ჯგუფის ძოვება, დარწყულება და სხვაგვარი კონტაქტი კეთილსაიმედო ჯგუფის ცხოველებთან ერთად;

ი) დაავადებაზე საეჭვო ცხოველების ჯგუფის გადარეკვა-გადაყვანა მომთაბარე საძოვარზე.

5. ტუბერკულოზზე დადებითად მორეაგირე და ავადმყოფი ცხოველი ნამატთან ერთად უნდა განცალკევდეს და დაიკლას მიუხედავად მისი კონდიციისა, ასაკისა, მაკეობისა და საწარმოო ღირებულებისა, სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობით. ხორცი და ხორცპროდუქტები გამოყენებულ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. ტუბერკულოზიანი ცხოველის ლეში დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

7. ტუბერკულოზზე არაკეთილსაიმედო სადგომებსა და ტერიტორიაზე დაცულ უნდა იქნეს სისუფთავე. ჩატარდეს დეზინფექცია, დერატიზაცია და სხვა ვეტერინარული ღონისძიებები.

8. ტუბერკულოზიანი ცხოველის მიერ გამოყოფილი ნაკელი, ქვეშსაფენი, საკვები და ნარჩენები უნდა მოისპოს ან გაუვნებლდეს ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური მეთოდით.

9. ყველა პირი, რომელიც უშუალოდ ემსახურება ტუბერკულოზზე არაკეთილსაიმედო ცხოველებს, ვალდებულია მკაცრად დაიცვას პირადი ჰიგიენა და ვეტერინარი სპეციალისტის მითითებები.

დანართი №5

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის დადგენილება №116 – ვებგვერდი, 21.03.2023წ.

ცხოველების ცოფთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ცოფი ინფექციური, ზოონოზური დაავადებაა, რომლითაც ავადდება ძუძუმწოვარი ცხოველი და ადამიანი. დაავადების აღმძვრელი აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რომელსაც თან ახლავს მომატებული აღგზნებადობა, ნერვული სისტემის დათრგუნვა, აგრესიულობა, დამბლა და სიკვდილი. საქართველოს პირობებში ინფექციის გავრცელების ძირითადი წყაროა ცოფით დაავადებული ძაღლი, მელა, ტურა, მგელი და კატა.

2. დაავადების გამომწვევია რნმ-ის შემცველი ვირუსი Rhabdoviridae-ს ოჯახიდან, სახეობა Lyssavirus, ჯგუფი Mononegavirales. ვირუსი ორგანიზმიდან გამოიყოფა ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვის საშუალებით. ცხოველის ან ადამიანის დასნებოვნება ძირითადად ხდება დაკბენით, ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვის ჭრილობაში მოხვედრის გზით. შესაძლებელია ცხოველის, ადამიანის დასნებოვნება მოხდეს დაინფიცირებული საგნების ჭრილობაზე ან ლორწოვან გარსზე მოხვედრით. ასევე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეიძლება მოხდეს აეროგენული დაინფიცირებაც (მაგ.: გამოქვაბულებში ღამურებისაგან დაინფიცირება), ამ გზით დასნებოვნება შესაძლებელია, ორგანიზმში, ვირუსის დიდი დოზის მოხვედრისას.

3. ცოფის ვირუსი მგრძნობიარეა 60^0C ტემპერატურის (5-10 წთ-ის განმავლობაში), ულტრაიისფერი სხივების და სადეზინფექციო საშუალებების მიმართ. ცოფის ვირუსი გაყინულ ხორცში ცოცხლობს დიდი ხნის განმავლობაში. ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვის გაშრობისას, ვირუსი იღუპება რამდენიმე საათში.

4. ცოფის ვირუსს აქვს ნეიროტროპული ხასიათი, შესაბამისად, დაავადების დროს ზიანდება თავის და ზურგის ტვინი, ასევე ნერვული განგლიები. ვირუსი დიდი ხნის განმავლობაში რჩება ჭრილობის

ადგილას არსებულ ქსოვილებში. ჭრილობის ადგილიდან, მოტორული ნერვების ფირფიტების გავლით, ან ნეიროეპითელური უჯრედებით, ვირუსი ხვდება ნერვებში (აქსონებში) და ნელა მოძრაობს ცენტრალური ნერვული სისტემის მიმართულებით. პერიოდი, რომელიც საჭიროა ვირუსის მოსახვედრად ზურგისა და თავის ტვინში დამოკიდებულია ჭრილობის ადგილზე, ინერვაციაზე, ვირუსის ვირულენტობაზე, რაოდენობასა და ჭრილობის დამუშავების ხარისხზე.

5. ცხოველებში დაავადების ინკუბაციური პერიოდი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ - ჭრილობის დიამეტრის სიდიდეზე, სიღრმეზე, თავის ტვინთან სიახლოვეზე, ნერვული დაბოლოებებით მდიდარ ადგილზე და ა.შ. ინკუბაციური პერიოდი განსაკუთრებით ხანმოკლეა მოზარდ ცხოველებში. როგორც წესი, ინკუბაციური პერიოდი 10 დღიდან 6 თვემდეა. ყველაზე ხშირად – 2 კვირიდან 3 თვემდე.

6. ცოფისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები ვლინდება ზურგის ან თავის ტვინში ვირუსის შეღწევის შემდეგ. რაც უფრო მეტად ზიანდება თავის ტვინი, მით უფრო მძიმეა კლინიკური ნიშნები. ცენტრალური ნერვული სისტემიდან პერიფერიული, სენსორული და მოტორული ნერვული ბოჭკოების გზით ვირუსის გადაადგილებისას, იგი ასევე უმეტეს შემთხვევაში ხვდება სანერწყვე ჯირკვლებში. სანერწყვე ჯირკვლებში ვირუსი შეიძლება მოხვდეს კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდეც. ცოფის ვირუსი სისხლში არ არის გამოვლენილი.

7. ცოფით ძაღლის დაავადების შემთხვევაში, დაავადების კლინიკური ნიშნები ვლინდება რამდენიმე სტადიით:

ა) პროდრომალური ან მელანქოლიური სტადია (დასაწყისი) – გამოიხატება ქცევის ცვლილება (აგრესია და სხვა), მგრძნობელობის მომატება, ჰალუცინაცია, მადის შეცვლა, გუგების გაფართოება. გამოხატულია სიელმე, ცხოველი ლოკავს ან კბენს დაზიანებულ (ნაკბენ) ადგილს. მოგვიანებით ცხოველს შეიძლება განუვითარდეს წყლის შიში, გაძლიერებულია ნერწყვდენა (ჰიპერსალივაცია), დამახასიათებელია უნებლიე დეფეკაცია და შარდის შეკავება. რამდენიმე დღის შემდეგ იწყება აღგზნების სტადია;

ბ) აღგზნების სტადია – ცხოველი მოუსვენრადაა, პროგრესირებს ჰალუცინაციური მოვლენები, იკბინება, გლეჯს საგნებს, გარბის, თავს ესხმის როგორც ცხოველებს, ასევე ადამიანს. შეტევებს შორის პერიოდში ცხოველი ძალაგამოცლილი წევს, თვალის კუნთების დამბლის გამო შეცვლილია მზერა. ყეფა ხრინწიანია, საყლაპავი კუნთების კრუნჩხვის გამო მნიშვნელოვნად გაძლიერებულია ნერწყვდენა. დახურულ სივრცეში მობინადრე ძაღლებში შესაძლებელია აღგზნების სტადია საერთოდ არ იყოს გამოხატული;

გ) დამბლის სტადია – დაავადება მთავრდება დამბლის სტადიით, რა დროსაც ძაღლის პირი ღია მდგომარეობაშია, ენა გადმოგდებულია, იწყება კიდურებისა და სხეულის დამბლა. სასუნთქი სისტემის კუნთების დამბლის გამო ცხოველი კვდება ასფიქსიით;

დ) იშვიათ შემთხვევაში გვხვდება დაავადების ატიპური ფორმა, რა დროსაც შესაძლებელია არ გამოვლინდეს ცოფისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები.

8. ცოფით კატის დაავადების კლინიკური ნიშნები ძაღლის დაავადების კლინიკური ნიშნების მსგავსია, მაგრამ, როგორც წესი, აგრესიულობა უფრო მეტადაა გამოხატული.

9. ცოფით გარეული ცხოველების (მელა, ტურა, მგელი) დაავადების კლინიკური ნიშნები მსგავსია ძაღლის დაავადების კლინიკური ნიშნებისა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათ დაკარგული აქვთ შიში და არ ერიდებიან შინაურ ბინადარ ცხოველებთან და ადამიანებთან ახლო მანძილზე მიახლოებას.

10. ცოფით მსხვილფეხა საქონლის დაავადების პირველი კლინიკური ნიშანია კუდის მოდუნება, ვერ ამოძრავებს მას, არხევს სხეულის უკანა ნაწილს, მგრძნობელობა დაქვეითებულია. გამოხატულია გაძლიერებული ნერწყვდენა, შებერილობა, ატონია. შემდგომ პერიოდში ცხოველი ხშირად წვება, ფეხებს ამოძრავებს, სუნთქვა გაძნელებულია, გამოხატულია კუნთების უნებლიე მოძრაობა, ოფლიანობა, ცდილობს ხმები გამოსცეს და პირის მოძრაობა ჰგავს მთქნარებას. აგზნების ფორმა გამოიხატება აღგზნებადობასა და აგრესიაში, რა დროსაც თავს ესხმის სხვა ცხოველებს და საგნებს, მოძრაობა არაკოორდინირებულია, საქციელი არაადეკვატური. შეინიშნება ხანგრძლივი, ყრუ,

ხრინწიანი ღმუილი, რომელიც ჰგავს ხბოს ღმუილს ან ძაღლის ყეფას. გარშემო ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებს, განსაკუთრებით მგრძნობიარეა ხმებზე და მოძრაობაზე. მამრობით ცხოველში გამოხატულია სქესობრივი ლტოლვა. აგრესიული ფორმა გრძელდება 1-2 დღეს და შესაძლებელია უეცრად დამთავრეს დამბლით. სხეულის ტემპერატურამ შესაძლებელია მცირედ მოიმატოს, მადა ცვალებადია, ზოგიერთი ცხოველი თავს იკავებს საკვებისა და წყლის მიღებისაგან, გაძნელებულია ყლაპვა. ზოგიერთ შემთხვევაში ცხოველს არ აქვს საკვებისა და წყლის მიღების პრობლემა და ჩვეულებრივ იღებს მას.

11. ცოფით ცხვრის დაავადების კლინიკური ნიშნები მსგავსია მსხვილფეხა საქონლის კლინიკური ნიშნებისა. შესაძლებელია დაფიქსირდეს მომატებული აგრესიულობა, სქესობრივი ლტოლვა, ცხოველი იგლეჯს ბეწვს, გაძლიერებულია ნერწყვდენა და კუნთების კანკალი.

12. ცოფით თხის დაავადების კლინიკური ნიშნები იგივეა როგორც, ცხვარში, მაგრამ ისინი უფრო აგრესიულები არიან და ხშირად ახასიათებთ ღებინება.

13. ცოფით ცხენის დაავადებას ხშირ შემთხვევაში ახასიათებს დამბლითი ფორმა. თავდაპირველად შეინიშნება მოთენთილობა, აპათია (უხალისობა), ცალი ფეხით კოჭლობა, ატაქსია (კოორდინაციის დარღვევა), რასაც მოყვება ფეხების, კუდის, ანუსისა და სხეულის სხვა ნაწილების დამბლა. შესაძლებელია ახასიათებდეს აღგზნება, გაშმაგებით თავის ქნევა, აგრესიულობა, თავდასხმა ძაღლებზე და სხვა ცხოველებზე, დაცემა (ვერ დგება). გუგები გაფართოებულია, ვითარდება საღეჭი და საყლაპავი კუნთების კრუნჩხვები. მომატებულია სქესობრივი ლტოლვა, კოლიკა, ძლიერი ოფლიანობა, რომელიც მთავრდება დამბლით.

14. ცოფით ღორის დაავადების კლინიკური ნიშნები არაერთგვაროვანია – ახასიათებს, როგორც აღგზნება, თავდასხმის მცდელობა, თავბრუსხვევა, კოორდინაციის დარღვევა, ისე, შესაძლებელია შეინიშნებოდეს ძლიერი ნერწყვდენა, სწრაფი ღეჭვითი, უკუსვლითი მოძრაობები.

15. ძაღლის ან მტაცებელი ცხოველის ლეში ჩვეულებრივ გამოფიტულია, ნაკბენი ადგილის ირგვლივ კანი დაზიანებულია. პირის გარშემო, ბეწვიანი ადგილები დასვრილია ნერწყვით. პირი დაკეტილ მდგომარეობაშია, ენა მშრალია. შესაძლებელია დაზიანებული იყოს ენა, ლორწოვანი გარსი და ხშირ შემთხვევაში კბილებიც (ჩამტვრეული). კუჭის ლორწოვანი გარსი ანთებითია, მასში შესაძლებელია ნანახი იქნეს უცხო საგნები. მცოხნავებს და სხვა სახეობის ცხოველებს ზემოთ ჩამოთვლილი პათანატომიური ცვლილებები შესაძლებელია არ ჰქონდეთ გამოხატული.

16. ცოფის დაავადება გამიჯნული უნდა იქნეს:

ა) ძაღლებში – ძაღლის ჭირისაგან, ინფექციური ჰეპატიტისაგან, აუესკის დაავადებისაგან;

ბ) მცოხნავი ცხოველების დაავადების შემთხვევაში – აუესკის დაავადებისგან, გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიისაგან, კეტოზისაგან, გაგუდვისაგან;

გ) ცხენის დაავადების შემთხვევაში – ენცეფალომიელიტისაგან;

დ) ღორის დაავადების შემთხვევაში – აუესკის დაავადებისგან, ტეშენის დაავადებისაგან, ღორის კლასიკური ჭირისაგან, ინტოქსიკაციისაგან, მენინგიტისაგან და სხვა დაავადებებისაგან.

17. ცოფის დაავადების მსგავსი სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს ცხოველის ტყვიით, პესტიციდებით და სხვა შხამებით მოწამვლის დროს.

18. ცხოველებში ცოფის დაავადებაზე ეჭვის მიტანა ხდება კლინიკური ნიშნების და ეპიზოოტიური მონაცემების გათვალისწინებით.

19. ცოფის დაავადებაზე დიაგნოზი ისმევა ცხოველის სიკვდილის შემდგომ, ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული გამოკვლევის მეთოდებით ხმელეთის ცხოველების სადიაგნოსტიკო ტესტების და ვაქცინების სახელმძღვანელოს (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals) განახლებული ვერსიის შესაბამისად.

20. ცოფთან დაკავშირებული ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებს ახორციელებს სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – ლაბორატორია).

21. ცოფის საწინააღმდეგო საინფორმაციო კამპანიას ცოფის დაავადების არსის და ცხოველთა სავალდებულო პროფილაქტიკური ვაქცინაციის შესახებ, მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ასევე ახორციელებს სააგენტო.

22. ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების იზოლირება და პოპულაციის კონტროლი.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ცხოველების ცოფთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის (შემდგომში - წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ამთვისებელი ცხოველი** – ნებისმიერი ძუძუმწოვარი ცხოველი;

ბ) **შინაური ბინადარი ცხოველი** – ნებისმიერი ჯიშის ძაღლი და კატა;

გ) **პატრონიანი შინაური ბინადარი ცხოველი** – ძაღლი, კატა, რომელსაც ჰყავს მფლობელი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), კონკრეტული მომენტისთვის ეს პირი, ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი ფლობს მას როგორც საკუთარს, ან რეგისტრირებულია როგორც საკუთრება;

დ) **მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი** – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად მობინადრე ძაღლი ან/და კატა, რომელზე მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) **უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველი** – ძაღლი, კატა, რომელიც იმყოფება მფლობელის, ან მიმკედლებლის მეთვალყურეობის გარეშე და ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ არ დაუდგინდება ცხოველის მფლობელი ან მიმკედლებელი;

ვ) **გარეული ცხოველი** – ცხოველთა სახეობები, რომელიც ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობენ ბუნებრივ, ნახევრად ბუნებრივ ან ხელოვნურ გარემოში, გარდა შინაური ცხოველებისა და მათი გაველურებული ფორმებისა;

ზ) **ცხოველის მიმკედლებელი** – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ძაღლის, კატის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი;

თ) **ცხოველის მფლობელი** – ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფორმით, სისტემატურად ახდენს ამთვისებელი ცხოველის შენახვას, რჩენას, მოვლას, მოშენებას და ა.შ.;

ი) **პროფილაქტიკური ვაქცინაცი**ა – ცოფის თავიდან აცილების მიზნით ჩატარებული ვაქცინაცია;

კ) **გადაუდებელი ვაქცინაცია** – ვაქცინაცია, რომელიც ტარდება დადასტურებული შემთხვევის დროს კარანტინის პერიოდში დაინფიცირებულ პუნქტში ან/და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ცოფის დაავადების ან მისი გავრცელების შეწყვეტის მიზნით;

ლ) **ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც დაინფიცირებულ პუნქტსა და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ცხოველი იმყოფებოდა კონტაქტში ან არსებობს ეჭვი, რომ მას კონტაქტი ჰქონდა ცოფით დაავადებულ ცხოველთან, ან შესაძლებელია, რომ ცხოველი დაკბენილი, დაკაწრული ან დასვრილია ცოფით დაავადებული ცხოველის ნერწყვით (მათ შორის ნადირობის

დროს) ან ლორწოვანი გარსი და კანი იყო კონტაქტში ცოფის შესაძლო წყაროსთან (ნერწყვთან, სხვა ცხოველების ნერვულ ქსოვილებთან);

მ) ცოფით დაავადებაზე საეჭვო შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ცხოველს ახასიათებს ნერწყვდენა, მადის შეცვლა, წყლისა და საკვების მიღების გაძნელება, ჯიშისათვის არადამახასიათებელი ნიშნები ან/და ცხოველმა უმიზეზოდ დაკბინა, დაკაწრა, ნერწყვით დასვარა სხვა ცხოველი ან/და ადამიანი, ან თავს დაესხა მათ. მათ შორის შემთხვევა, როდესაც ურბანულ, დასახლებულ ტერიტორიაზე იმყოფება გარეული ცხოველი და ავლენს სახეობისათვის არადამახასიათებელ ქცევას;

ნ) ცოფით დაავადებული ცხოველი – ცხოველი, რომელსაც ცოფის დიაგნოზი დაუდასტურდა ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე;

ო) ცოფის დადასტურებული შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ცხოველს ცოფის დიაგნოზი დადასტურებული აქვს ლაბორატორიული გამოკვლევით;

პ) დაინფიცირებული პუნქტი – ტერიტორია, სადაც აღმოჩენილია ცოფით დაავადებული ცხოველი, შესაძლებელია ადამიანის ან ცხოველის ცოფით დასნებოვნება, წესდება კარანტინი და ხორციელდება ცოფის საწინააღმდეგო ზომები;

ჟ) საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორია – ტერიტორია, დაინფიცირებული პუნქტიდან არაუმეტეს 3 კილომეტრის რადიუსში, სადაც წესდება კარანტინი და ხორციელდება ცოფის საწინააღმდეგო ზომები;

რ) ზედამხედველობა – პროცესი გარკვეული დროის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც ცხოველი იმყოფება იზოლირებულად (მფლობელთან/მიმკედლებელთან ან ცხოველთა თავშესაფარში, რა დროსაც გამორიცხული უნდა იყოს პირდაპირი კონტაქტი სხვა ცხოველებთან და ადამიანებთან) ვეტერინარის დაკვირვების ქვეშ, რათა გამოვლენილი იქნეს ცოფისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები;

ს) კარანტინი – ცოფის დადასტურებული შემთხვევის შემდგომი მდგომარეობა, რომელიც გრძელდება კარანტინის დაწესებიდან 30 დღე და რომლის განმავლობაშიც ხორციელდება ღონისძიებები დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ტ) ევთანაზია – ვეტერინარის მიერ ცხოველისთვის სიცოცხლის შეწყვეტა ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ;

უ) უფლებამოსილი პირი – სააგენტოს ან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც ამ წესიდან გამომდინარე მოქმედებს კომპეტენციის ფარგლებში;

ფ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო – მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ან მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული;

ქ) ცხოველის სადგომი/დროებითი სადგომი – სხვადასხვა ტიპის სათავსო, ნაგებობა, ღია ტიპის სადგომი, სადაც ხდება ცხოველის დგომა, შენახვა, მოვლა და რომელიც წარმოადგენს ცხოველის მუდმივ ან დროებით ფიზიკურ ადგილსამყოფელს;

ღ) ცხოველთა თავშესაფარი – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ან სხვა კერძო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვას, ცოფის დაავადებაზე პროფილაქტიკის მიზნით ზედამხედველობის გაწევას, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობას ან/და მეპატრონის მოძიებას;

ყ) ვაქცინირებული ცხოველი – ცხოველი, რომელსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩატარებული აქვს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

შ) არავაქცინირებული ცხოველი – ცხოველი, რომელსაც ბოლო 12 თვის განმავლობაში არ აქვს ჩატარებული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,

ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ცოფის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის ცხოველის მფლობელი, ცხოველის მიმკედლებელი, ვეტერინარი, ლაბორატორია, ცხოველთა თავშესაფარი და ა.შ., რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ამთვისებელ ცხოველებთან, ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს ცოფით დაავადებაზე საეჭვო შემთხვევის ან/და ცოფის დადასტურებული შემთხვევის შესახებ.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ, სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინიტროს სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტომ, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილმა ორგანომ, გარემოში გარეულ მტაცებელ ძუძუმწოვარ ცხოველებში ცოფის ვირუსის გავრცელების (პრევალენტობის) შესწავლის მიზნით უზრუნველყონ გარემოში მკვდარი გარეული ძუძუმწოვარი ცხოველის (მგელი, ტურა, მელა და სხვა) აღმოჩენის შემთხვევაში სააგენტოს ინფორმირება მისი ცოფზე გამოკვლევის მიზნით.

3. სააგენტო ვალდებულია:

ა) ცხოველის სახეობებისა და მფლობელის/მიმკედლებლის მიხედვით, ცოფის დადასტურებული შემთხვევის შესახებ, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს;

ბ) ადამიანის დამზარალებელ ცხოველზე განხორციელებული 10-დღიანი ვეტერინარული ზედამხედველობის შედეგის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს;

გ) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WOAH) მიაწოდოს 6-თვიანი და წლიური ანგარიში ცხოველებში ცოფის დაავადების შესახებ.

4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის, ცხოველის ვაქცინაციის სტატუსის და ცხოველზე განხორციელებული ზედამხედველობის შემდგომი მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 4. ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის უფლება-მოვალეობები

1. ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-შენახვის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესები;

ბ) უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველების პროფილაქტიკური ვაქცინაცია 3 თვის ასაკიდან. ცხოველებს, რომელთაც ჩაუტარდათ ვაქცინაცია სამ თვემდე, კვლავ უნდა იყვნენ ვაქცინირებულნი სამი თვის ასაკში (პირველ და მეორე ვაქცინაციას შორის დაცული უნდა იყოს სულ მცირე 14-დღიანი შუალედი) და შემდგომ ყოველწლიურად. ვაქცინაციის მონაცემები უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტში (ცხოველის პასპორტი, მონაცემთა ელექტრონული ბაზა, აცრის დამადასტურებელი ნებისმიერი აღრიცხვის ფორმა და ა.შ.);

გ) ამთვისებელი ცხოველის ცოფით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე ეჭვის მიტანისთანავე, ასევე, ამთვისებელი ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის ფაქტის შემთხვევისას, დაუყოვნებლივ მოახდინოს ცოფით დაინფიცირებაზე/ დაავადებაზე საეჭვო ამთვისებელი ცხოველის იზოლაცია და 24 საათის განმავლობაში ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს;

დ) ამ წესის შესაბამისად, ამთვისებელი ცხოველის ლეშის (საიდანაც აღებული იქნა პათანატომიური მასალა ცოფზე ლაბორატორიული გამოკვლევისათვის) განადგურებამდე/დამარხვამდე, უზრუნველყოს ლეშის იზოლირება სხვა ცხოველისაგან და ადამიანისაგან;

ე) ზედამხედველობის პერიოდში:

ე.ა) განათავსოს ამთვისებელი ცხოველი სხვა ცხოველებისგან და ადამიანებისგან იზოლირებულად;

ე.ბ) დაიცვას ამთვისებელი ცხოველი არასასურველი ბუნებრივი პირობებისაგან;

ე.გ) არ დაუშვას ცხოველის დაკარგვა, გაყიდვა ან გაჩუქება;

ე.დ) არ გაიყვანოს ამთვისებელი ცხოველი იმ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რომელზეც ის იმყოფება ფლობისას/მიკედლებისას და სადაც დაწესდა ზედამხედველობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის გადაყვანას და მოვლა შენახვას მთელი საზედამხედველო პერიოდის განმავლობაში. თუ ცხოველი იმყოფება მრავალბინიან საცხოვრებელში, ამ შემთხვევაში დასაშვებია ცხოველის გამოყვანა საცხოვრებელი ფართის გარეთ, თუ ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი უზრუნველყოფს მის იზოლაციას სხვა ცხოველების ან/და ადამიანებისაგან;

ვ) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და აცნობოს ზედამხედველობის განმახორციელებელ ვეტერინარს ინფორმაცია თუ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ცხოველი:

ვ.ა) გამოამჟღავნებს ცოფისთვის დამახასიათებელ, ამ წესის პირველი მუხლის მე-6-მე-14 პუნქტებით განსაზღვრულ, კლინიკურ ნიშნებს;

ვ.ბ) ცხოველი მოკვდა ან დაიკარგა;

ზ) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ცხოველების ცოფთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

თ) არ დაუშვას ცხოველის მოკვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველი ექვემდებარება ევთანაზიას.

2. თუ ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას, მაშინ ცხოველი ექვემდებარება ევთანაზიას.

მუხლი 5. ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინების შესყიდვა, ვაქცინის მარაგები, ვაქცინაცია და პოსტვაქცინალური გამოკვლევები

1. სააგენტოს მიერ გამოსაყენებელი ვაქცინის სახელმწიფო შესყიდვის ტექნიკურ პირობებს ადგენს სააგენტო.

2. სააგენტო უზრუნველყოფს ვაქცინის მარაგების შექმნას.

3. სააგენტო უზრუნველყოფს, გეგმის შესაბამისად, ვაქცინირებული ცხოველების პოსტვაქცინალური გამოკვლევების ჩატარებას.

4. კარანტინის პერიოდში, ცოფით დაინფიცირებულ პუნქტში ან/და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, სააგენტო შესაბამის სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებთან ან ფიზიკურ პირთან ურთიერთთანამშრომლობით, ატარებს ამთვისებელი ცხოველების გადაუდებელ ვაქცინაციას,

მიუხედავად წინა ვაქცინაციის ჩატარების ვადებისა, ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის გათვალისწინებით - გარდა იმ შემთხვისა როდესაც უკვე ჩატარებულია ცხოველის ვაქცინაცია და ვაქცინაციიდან არ არის გასული 14 დღე.

5. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების კონტროლის ქვეშ მყოფმა და სხვა კერძო ცხოველთა თავშესაფრებმა, ასვე ვეტერინარულმა კლინიკებმა, უნდა აწარმოონ მათ მიერ ცოფის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ცხოველების აღრიცხვიანობა სააგენტოს მიერ დადგენილი წესით და ინფორმაცია უნდა წარუდგინონ სააგენტოს ყოველწლიურად (გასული წლის ინფორმაცია არა უგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა). მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს: გამოყენებული ვაქცინის დასახელება, მწარმოებელი ქვეყანა, ვაქცინის სერია, აცრილი ცხოველების რაოდენობა სახეობების მიხედვით.

მუხლი 6. ზომები ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევაში

1. შინაური ბინადარი ცხოველის ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ადგილზე აფასებს ეპიზოოტიურ (ეპიდემიოლოგიურ) სიტუაციას, შინაური ბინადარი ცხოველების შემთხვევაში ამოწმებს ცოფის საწინააღმდეგოდ ჩატარებული ვაქცინაციის მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს (ცხოველის პასპორტი, მონაცემთა ელექტორნული ბაზა, აცრის დამადასტურებელი ნებისმიერი აღრიცხვის ფორმა და ა.შ.); ახორციელებს ცხოველის კლინიკურ შემოწმებას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პატრონიანი/მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის შემთხვევაში:

ა.ა) ცოფზე ვაქცინირებულ შემთხვევაში:

ა.ა.ა) დაუყოვნებლივ ჩატარდეს მისი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (გარდა იმ შემთხვისა, როდესაც უკვე ჩატარებულია ცხოველის ვაქცინაცია და ვაქცინაციიდან არ არის გასული 14 დღე) და ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით მოხდეს მასზე 45-დღიანი ზედამხედველობის დაწესება;

ა.ა.ბ) თუ ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი უარს განაცხადებს 45 დღის განმავლობაში შინაური ბინადარი ცხოველის ზედამხედველობაზე, მოხდეს მისი ევთანაზია;

ა.ბ) ცოფზე არავაქცინირებული ან ვაქცინაციის განუსაზღვრელი სტატუსის მქონე პატრონიანი/მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის შემთხვევაში:

ა.ბ.ა) დაუყოვნებლივ ჩატარდეს მისი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით მასზე მოხდეს 6-თვიანი ზედამხედველობის დაწესება;

ა.ბ.ბ) თუ შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი უარს განაცხადებს ცხოველის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციასა და 6 თვის განმავლობაში ცხოველის ზედამხედველობაზე, მოხდეს შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია;

ბ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ უნდა მოხდეს არა უმეტეს 10 დღის ვადით შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანა ცხოველთა თავშესაფარში და მისი ვაქცინაციის სტატუსის დადგენა, რის შემდეგაც:

ბ.ა) ცოფზე ვაქცინირებული უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველის შემთხვევაში, თუ 10 დღის ვადაში მას ოფიციალურად გამოუჩნდება მზრუნველობის ქვეშ აყვანის (მფლობელობა, მიკედლება) მსურველი, ცხოველის მფლობელის/მიმკედებლის პასუხისმგებლობით მოხდეს მასზე 45-დღიანი ზედამხედველობის დაწესება;

ბ.ბ) ცოფზე არავაქცინირებული (უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველის შემთხვევაში, თუ 10 დღის ვადაში მას ოფიციალურად გამოუჩნდება მზრუნველობის ქვეშ აყვანის (მფლობელობა, მიკედლება) მსურველი, ცხოველის მფლობელის/მიმკედებელის პასუხისმგებლობით მოხდეს მასზე 6 თვიანი

ზედამხედველობის დაწესება;

ბ.გ) თუ 10 დღის ვადაში უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველს არ გამოუჩნდება მზრუნველობის ქვეშ აყვანის (მფლობელობა, მიკედლება) მსურველი, მოხდეს მისი ევთანაზია;

გ) იმ შინაური ბინადარი ცხოველის (მიუხედავად ვაქცინაციის ან მფლობელობის სტატუსისა) შემთხვევაში რომელმაც დაკბინა/დადორბლა/დაკაწრა ადამიანი, წესდება 10-დღიანი ზედამხედველობა (უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების შემთხვევაში ზედამხედველობა ხორციელდება ცხოველთა თავშესაფარში), ხოლო ზედამხედველობის ვადის გასვლის შემდგომ, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ხორციელდება ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქმედებები.

2. დაავადების ამთვისებელ ისეთი სახეობის ცხოველზე (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი, ღორი და სხვა), ცხოველის ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ადგილზე აფასებს ეპიზოოტიურ სიტუაციას, ამოწმებს ცხოველების ცოფის საწინააღმდეგოდ ჩატარებული ვაქცინაციის მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ცოფზე ვაქცინირებული ცხოველის შემთხვევაში:

ა.ა) დაუყოვნებლივ მოხდეს საკლავი ცხოველის სასაკლაოზე გადაუდებელი დაკვლა და ხორცის გამოყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ა.ბ) დაუყოვნებლივ ჩაუტარდეს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობით მოხდეს მასზე 45-დღიანი ზედამხედველობის დაწესება;

ა.გ) თუ მფლობელის მიერ ვერ ხდება ამ პუნქტის ,,ა.ა“ და ,,ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესრულება – მოხდეს ცხოველის დაუყოვნებლივ ევთანაზია;

ბ) ცოფზე არავაქცინირებული ან ვაქცინაციის განუსაზღვრელი სტატუსის მქონე ცხოველის შემთხვევაში:

ბ.ა) დაუყოვნებლივ მოხდეს საკლავი ცხოველის სასაკლაოზე გადაუდებელი დაკვლა და ხორცის გამოყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ან

ბ.ბ) ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობით მოხდეს ცხოველის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და მასზე 6 თვის განმავლობაში ზედამხედველობის დაწესება; ან

ბ.გ) თუ მფლობელის მიერ ვერ ხდება ამ პუნქტის ,,ბ.ა“ და ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესრულება – მოხდეს ცხოველის დაუყოვნებლივ ევთანაზია.

3. ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველზე ზედამხედველობის განხორციელების პერიოდში, ამ ცხოველისაგან მიღებული რძის ადამიანის მიერ სურსათად ან ცხოველის საკვებად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ თერმული დამუშავების – ადუღების ან პასტერიზაციის შემდეგ.

4. ცხოველის მფლობელისაგან/მიმკედლებლისგან ან თავშესაფრიდან ზედამხედველობის პერიოდში ცხოველის ცოფის დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ცხოველის ევთანაზიაზე ან ზედამხედველობის გაგრძელებაზე.

5. ზედამხედველობის პერიოდში ცხოველის სიკვდილის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ან ცხოველის ევთანაზიის შემთხვევაში, სააგენტოს ან მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილი პირი:

ა) აგზავნის ლაბორატორიაში პათოლოგიურ მასალას ცოფზე გამოსაკვლევად;

ბ) ატარებს ცხოველის ევთანაზიის/სიკვდილის ადგილის დეზინფექციას.

მუხლი 7. ზომები ცოფით დაავადებაზე საეჭვო შემთხვევაში

1. ცოფით ცხოველის დაავადებაზე საეჭვო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ადგილზე აფასებს ეპიზოოტიურ სიტუაციას, ამოწმებს ცოფით დაავადებაზე საეჭვო ამთვისებელი ცხოველის ცოფის საწინააღმდეგოდ ჩატარებული ვაქცინაციის მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს (ცხოველის პასპორტი, მონაცემთა ელექტორნული ბაზა, აცრის დამადასტურებელი ნებისმიერი აღრიცხვის ფორმა და ა.შ.) და ახორციელებს ცხოველის კლინიკურ შემოწმებას, რის საფუძველზეც იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პატრონიანი/მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველის შემთხვევაში, ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით განხორციელდეს 10-დღიანი ზედამხედველობა, რომლის დასრულების შემდგომ:

ა.ა) თუ ცოფზე ვაქცინირებულ შინაურ ბინადარ ცხოველს არ აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, შეწყდეს ზედამხედველობა;

ა.ბ) თუ ცოფზე არავაქცინირენულ შინაურ ბინადარ ცხოველს არ აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, ჩაუტარდეს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და შეწყდეს ზედამხედველობა;

ა.გ) თუ შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი უარს განაცხადებს 10 დღის განმავლობაში შინაური ბინადარი ცხოველის ზედამხედველობაზე, ცხოველი ექვემდებარება ევთანაზიას;

ბ) უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ უნდა მოხდეს 10-დღიანი ზედამხედველობის დაწესების მიზნით შინაური ბინადარი ცხოველის გადაყვანა ცხოველთა თავშესაფარში:

ბ.ა) თუ ცოფზე ვაქცინირებულ უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველს არ აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, შეწყდეს ზედამხედველობა;

ბ.ბ) თუ ცოფზე არავაქცინირენულ უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველს არ აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, ჩაუტარდეს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და შეწყდეს ზედამხედველობა;

გ) დაავადების ამთვისებელ ისეთი სახეობის ცხოველზე (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი, ღორი და სხვა), რომელზეც სააგენტოს მიერ არ არის ჩატარებული გეგმით გათვალისწინებული ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, განხორციელდეს 15-დღიანი ზედამხედველობა, თუ ცხოველს არ აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, შეწყდეს ზედამხედველობა;

დ) დაინფიცირებულ პუნქტსა და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე:

დ.ა) ცოფზე ვაქცინირებულ პატრონიან/მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველზე, რომელსაც აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით წესდება 10-დღიანი ზედამხედველობა, რომლის გასვლის შემდეგ:

დ.ა.ა) იმ შინაურ ბინადარ ცხოველს, რომელსაც არ აღენიშნება კლინიკური ნიშნები უტარდება ვაქცინაცია და მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით წესდება 45-დღიანი ზედამხედველობა;

დ.ა.ბ) იმ შინაურ ბინადარ ცხოველს, რომელსაც აღენიშნება კლინიკური ნიშნები უკეთდება ევთანაზია;

დ.ბ) ცოფზე არავაქცინირებული პატრონიანი/მიკედლებული შინაური ბინადარი ცხოველი, რომელსაც აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები დაუყოვნებლივ ექვემდებარება

ევთანაზიას;

დ.გ) ცოფზე ვაქცინირებულ პატრონიან/მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველზე, რომელმაც დაკბინა/დადორბლა/დაკაწრა ადამიანი, ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით წესდება 10-დღიანი ზედამხედველობა, რომლის გასვლის შემდეგ:

დ.გ.ა) კლინიკური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, შინაურ ბინადარ ცხოველს უტარდება ვაქცინაცია და მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით წესდება 45-დღიანი ზედამხედველობა;

დ.გ.ბ) კლინიკური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ცხოველი ექვემდებარება ევთანაზიას;

დ.დ) ცოფზე არავაქცინირებულ პატრონიან/მიკედლებულ შინაურ ბინადარ ცხოველზე, რომელმაც დაკბინა/დადორბლა/დაკაწრა ადამიანი, ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის პასუხისმგებლობით წესდება 10-დღიანი ზედამხედველობა, რომლის გასვლის შემდეგ:

დ.დ.ა) კლინიკური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, შინაურ ბინადარ ცხოველს უტარდება ვაქცინაცია და წესდება 6-თვიანი ზედამხედველობა;

დ.დ.ბ) კლინიკური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ცხოველი ექვემდებარება ევთანაზიას;

დ.ე) უპატრონო შინაურ ბინადარ ცხოველზე ან იმ პატრონიან შინაურ ბინადარ ცხოველზე, რომელზეც ცხოველის მფლობელი/მიმკედლებელი ვერ უზრუნველყოფს ზედამხედველობას ან უარს განაცხადებს ზედამხედველობაზე, ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ - ,,დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, 10-დღიანი ზედამხედველობა დაწესდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თუ 10 დღის ვადაში ცხოველს არ გამოუჩნდება მზრუნველობის ქვეშ აყვანის (მფლობელობა, მიკედლება) მსურველი, ასეთ შემთხვევაში განხორციელდეს უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველის ევთანაზია;

ე) ცხოველის მფლობელის/მიმკედლებლის მიერ ზედამხედველობის პერიოდში ცხოველის სიკვდილის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას ან/და ცხოველის ევთანაზიის შემდგომ:

ე.ა) ლაბორატორიაში გადაიგზავნოს პათოლოგიური მასალა ცოფზე გამოსაკვლევად ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად;

ე.ბ) განხორციელდეს ცხოველის სიკვდილის/ევთანაზიის ადგილის დეზინფექცია.

2. გარეულ ცხოველში (მგელი, ტურა, მელა) ცოფის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტოს მოთხოვნის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდება გარეული მტაცებელი (მგელი, ტურა, მელა) ცხოველების გარემოდან ამოღება, ცოფზე გამოსაკვლევად მასალის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

3. გარეული ცხოველის ლეშის პოვნის/მოწოდების შემთხვევაში, მოხდება ცოფზე გამოსაკვლევად მასალის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

4. ამთვისებელი ცხოველის ზედამხედველობის პერიოდში, მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების ადამიანის მიერ სურსათად გამოყენება დაუშვებელია და ექვემდებარება განადგურებას.

მუხლი 8. ცოფის დაავადებაზე გამოსაკვლევი ნიმუშის აღება, ტრანსპორტირება და ლაბორატორიული დიაგნოსტიკა

1. ცოფის დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ლეშზე დაუცველი (შიშველი) ხელით შეხება დაუშვებელია, ლეშის გაკვეთა, გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა ხორციელდება ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით.

2. ცოფზე დიაგნოზის დასადგენად ლაბორატორიაში გამოსაკვლევად უნდა გაიგზავნოს პატარა ზომის

ლეში მთლიანად, ან თავი, ხოლო საშუალო ან დიდი ზომის ლეშის შემთხვევაში თავი.

3. ცოფზე გამოსაკვლევი ნიმუშის შეფუთვა უნდა მოხდეს ორ წყალგაუმტარ პოლიეთილენის პაკეტში და შემდეგ მოთავსდეს მყარ კონტეინერში.

4. ცოფის დაავადებაზე დიაგნოზი ისმევა ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული გამოკვლევის მეთოდებით - პირდაპირი ფლუორესცენტული ანტისხეულების ტესტით (DFA) და რეალურ დროში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (PCR), ხმელეთის ცხოველების სადიაგნოსტიკო ტესტების და ვაქცინების სახელმძღვანელოს (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals) განახლებული ვერსიის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორია განახორციელებს ვირუსის ტიპირებას.

მუხლი 9. ზომები ცოფის დადასტურებული შემთხვევის დროს

1. ცოფის დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო განსაზღვრავს ცოფით დაინფიცირებულ პუნქტს და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიას.

2. თუ საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორია ვრცელდება სააგენტოს სხვადასხვა სამოქმედო სტრუქტურული ქვედანაყოფის და ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე, ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და ტერიტორიული ორგანო ერთობლივად ახორციელებენ ცოფის საწინააღმდეგოდ გასატარებელ ღონისძიებებს.

3. სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი და ტერიტორიული ორგანო დაინფიცირებული პუნქტის და საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიის განსაზღვრისას, მხედველობაში იღებს კონკრეტული ტერიტორიის ეპიზოოტიურ სიტუაციას, გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ საზღვრებს, სოციალურ ფაქტორს და ცხოველთა პოპულაციის სიმჭიდროვეს.

4. სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს -ცოფის დადასტურებული შემთხვევის დროს, ცოფის გამომწვევის გავრცელების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას; მათ შორის მკვდარი ცხოველების ლეშების დამარხვის მიზნით შესაბამისი ტერიტორიის და ტექნიკის გამოყოფას.

5. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

6. კარანტინის პერიოდში დაინფიცირებულ პუნქტში და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე:

ა) ცოფით დაინფიცირებაზე საეჭვო შემთხვევაში ტარდება ამავე წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ზომები;

ბ) ცოფით დაავადებაზე საეჭვო შემთხვევაში ტარდება ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით და მე-7 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ზომები:

გ) იკრძალება ცხოველთა გამოფენების, შეჯიბრებების და ამთვისებელ ცხოველთა მონაწილეობით სხვა ღონისძიებების მოწყობა (მათ შორის ნადირობა ძაღლების გამოყენებით და ა.შ.);

დ) ტარდება ცოფის ამთვისებელი ყველა სახეობის ჯანმრთელი ცხოველის გადაუდებელი ვაქცინაცია, ვაქცინის ინსტრუქციით განსაზღვრული სქემის გათვალისწინებით, განურჩევლად მათი იმუნიტეტის ვადისა – გარდა იმ შემთხვევისა როდესაც უკვე ჩატარებულია ცხოველის ვაქცინაცია და ვაქცინაციიდან

არ არის გასული 14 დღე;

ე) ცოფის დადასტურებული და დაავადებაზე საეჭვო ან/და დაინფიცირებაზე საეჭვო ცხოველების სადგომები, ცხოველების მოვლის საგნები, ცხოველების მომვლელი პერსონალის დადორბლილი ტანსაცმელი და სხვა გამონაყოფებით დასვრილი საგნები ექვემდებარება დეზინფექციას ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

7. კარანტინის პერიოდში დაინფიცირებული პუნქტიდან და საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან იკრძალება ცხოველთა გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცხოველის გადაადგილება მასზე ზედამხედველობის განხორციელების ან სასაკლაოში დაკვლის მიზნით.

8. გარეულ მტაცებელ (მგელი, ტურა, მელა) ცხოველში ცოფის დადასტურებული შემთხვევის დროს, დაინფიცირებული პუნქტიდან და საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან, საჭიროებიდან გამომდინარე, სააგენტოს მოთხოვნის და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე განხორციელდება გარეული მტაცებელი (მგელი, ტურა, მელა) ცხოველების გარემოდან ამოღება და ცოფის დაავადებაზე ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება.

9. მკვდარი ცხოველის სხეულის ყველა ნაწილი უნდა დაექვემდებაროს განკარგვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე მისი დაწესებიდან ან/და ცოფის უკანასკნელი დადასტურებული შემთხვევიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ.

11. საკარანტინო ზონაში კლინიკურად ჯანმრთელი ვაქცინირებული ცხოველებისაგან მიღებული რძე და ხორცი (ცოფზე აცრილი ცხოველების ჩათვლით) დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ადამიანის საკვებად, ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად.

12. კარანტინის პერიოდში, ამ წესით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამის დამრღვევ პირს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 10. დეზინფექცია, გაუვნებლობა

1. გამოსაკვლევი მასალის აღების შემდეგ ერთჯერადი გამოყენების ინვენტარი უნდა განადგურდეს, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი ექვემდებარება დეზინფექციას და შემდეგ გარეცხვას. ხელები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით ან დაბანილი იქნეს საპნით და გამდინარე წყლით.

2. სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ და სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული მითითებების და დეზინფექტანტის გამოყენების ინსტრუქციის გათვალისწინებით.

3. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ დეზინფქციის სამუშაოები ადეკვატურად იყოს დოკუმენტირებული.

4. სადეზინფექციო საშუალების განზავება უნდა მოხდეს უშუალოდ მისი გამოყენების წინ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკრეტული სადეზინფექციო საშუალების მოქმედების შესუსტება.

5. დეზინფექცია შესაძლებელია განხორციელდეს პრეპარატის შესხურებით ან დასხმით.

6. დაავადების აღმძვრელის გარემოში მოსპობის მიზნით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე საეჭვო ან დაავადებული ცხოველების:

ა) სადგომი, მოვლის საგნები, მომვლელი პერსონალის დადორბლილი ტანსაცმელი და გამონაყოფებით სავარაუდოდ დასვრილი სხვა საგნები ექვემდებარება დეზინფექციას ან/და განადგურებას;

ბ) ლეშების ტრანსპორტირების შემდგომ ხდება სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია.

მუხლი 11. კომპენსაცია

1. ცხოველის (მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონელი, ღორი და ცხენი) ცოფის დაავადებით სიკვდილის შემთხვევაში, კომპენსაციის გადახდისა და ამ კომპენსაციის ოდენობის საკითხს ადგენს საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ცხოველის მფლობელზე კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ადგილი აქვს ამ წესის შესაბამისად ცოფის დაავადების დადასტურებულ შემთხვევას;

ბ) „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილების შესაბამისად:

ბ.ა) სადგომი რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ.ბ) ცხოველის მფლობელი რეგისტრირებულია ცხოველის მფლობელად მონაცემთა ერთიან ბაზაში და ასრულებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ბ.გ) ცხოველი იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია დადასტურებელ შემთხვევამდე არანაკლებ 15 დღით ადრე.

დანართი №6

ღორის კლასიკურ ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო

წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ღორის კლასიკური ჭირი (Pestis suum) – (შემდგომში - ჭირი), ღორის ინფექციური ვირუსული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ცხელება, სისხლძარღვებისა და სისხლმბადი ორგანოების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანება, მსხვილი ნაწლავების კრუპოზულ-დიფთერიული ანთება.

2. ჭირთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ღორი - ცხოველი ღორების ოჯახიდან, მათ შორის,, გარეული ღორი;

ბ) გარეული ღორი - ღორი, რომლის შენახვა და მოშენება არ ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე;

გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი არ მოიცავს სასაკლაოს, სატრანსპორტო საშუალებას და, ასევე, შემოღობილ ტერიტორიას, სადაც ბინადრობენ გარეული ღორები და მათზე ნებადართულია ნადირობა;

დ) ფერმა - ობიექტი, სადაც ხდება ღორების მოშენება ან შენახვა, მუდმივად ან დროებით;

ე) ჭირით ინფიცირებული ღორი – ღორი ან ღორის სხეული, რომელშიც კლინიკური სიმპტომებით, სიკვდილის შემდგომი დაზიანებებით ან დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევით დასტურდება ჭირის არსებობა;

ვ) ჭირის ეპიზოოტია - ჭირის ერთი ან მეტი შემთხვევის გამოვლენა მოცემულ ტერიტორიაზე;

ზ) ჭირის პირველადი ეპიზოოტია - დაავადების გამოვლენა, რომელიც ეპიზოოტიურად არ არის დაკავშირებული ქვეყნის იმავე რეგიონში წინა გამოვლენასთან, ან პირველი გამოვლენა ქვეყნის სხვა რეგიონში;

თ) ინფიცირებული ზონა - ტერიტორია, სადაც გარეულ ღორებში დადასტურებულია ჭირის ერთი ან მეტი შემთხვევა და ადგილზე განხორციელდა წინამდებარე წესის მე-15 ან მე-16 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ი) გარეული ღორების მეტაპოპულაცია - გარეული ღორების ნებისმიერი ჯგუფი ან ქვეპოპულაცია, რომელთაც შეზღუდული კონტაქტი აქვთ სხვა ჯგუფებთან ან ქვეპოპულაციასთან;

კ) მფლობელი - პირი, რომელსაც ჰყავს ღორები საკუთრებაში ან ფლობს აღნიშნულ ცხოველებს ფინანსური მოგების ან სხვა მიზნით;

ლ) სააგენტოს მიერ უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმი (შემდგომში - უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმი) - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის;

მ) დამუშავება - მაღალი რისკის მასალისადმი განხორციელებული ქმედების ერთ-ერთი სახე ჭირის ვირუსის განეიტრალების მიზნით;

ნ) სურსათის ნარჩენი - ნარჩენი რესტორნიდან, საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან ან სამზარეულოდან, ფერმერების ან ღორების მომვლელი პირების საოჯახო მეურნეობიდან;

ო) მარკერი ვაქცინა – ვაქცინა, რომელსაც შეუძლია, გამოიმუშაოს დამცავი იმუნიტეტი, რომელიც განასხვავდება საველე ტიპის ვირუსით გამოწვეული ბუნებრივი ინფექციის იმუნური პასუხისგან დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების საშუალებით;

პ) დაკვლა - ცხოველის სიკვდილის გამოწვევა სისხლის გამოშვებით;

ჟ) ღორების მაღალი სიმჭიდროვის ზონები - ნებისმიერი გეოგრაფიული ზონა 6 კილომეტრის რადიუსით იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გარშემო, სადაც მოთავსებულია ჭირის ვირუსით სავარაუდოდ ინფიცირებული ღორები, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე ღორების განთავსების სიმჭიდროვე აღემატება 800 ღორს ერთ კვადრატულ კილომეტრზე ან ფერმებში - 300 ღორს ერთ კვადრატულ კილომეტრზე;

რ) კონტაქტური ფერმა - ობიექტი, სადაც ჭირი შეიძლება გამოვლინდეს ადგილმდებარეობის, პირების, ღორების ან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებების შედეგად ან სხვა გზით;

ს) ეპიზოოტიური კერა - ღორის სადგომი ან ირგვლივ მყოფი ტერიტორია, რომელზეც იმყოფება ჭირის აღმძვრელის ერთი ან რამდენიმე წყარო;

ტ) არაკეთილსაიმედო პუნქტი - დასახლებული ადგილი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან მეღორეობის ფერმა, რომლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ერთი ან მეტი ეპიზოოტიური კერა;

უ) დიაგნოსტიკური სახელმძღვანელო – „ტექნიკური რეგლამენტის – ღორის კლასიკური ჭირის

დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №498 დადგენილება;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 3. ჭირის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ჭირის საეჭვო ან დადასტურებული ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, მფლობელი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს.

2. ჭირის დადასტურების ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია დაავადების შესახებ გაუგზავნოს შეტყობინება და მიაწოდოს ინფორმაცია საერთაშორისო ეპიზოოტიურ ბიუროს (OIE), დადგენილი წესით.

მუხლი 4. ჭირის პროფილაქტიკა და ზომები ჭირის არსებობაზე ეჭვის მიტანის შეთხვევაში

1. ჭირის ვირუსის შეტანისაგან ფერმის დაცვის მიზნით, მფლობელი ვალდებულია:

ა) ფერმა დააკომპლექტოს ჭირზე კეთილსაიმედო ფერმიდან შეყვანილი ჯანმრთელი ღორებით;

ბ) ახლად შეყვანილი ღორები შეინახოს იზოლირებულად 30 დღის განმავლობაში. მხოლოდ ჭირის ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, დაუშვას ისინი საერთო კოლტში ან გადაიყვანოს სხვა სადგომში ვეტერინარი ექიმის თანხმობით;

გ) არ დაუშვას:

გ.ა) ჭირის მიმართ არაკეთილსაიმედო ფერმასთან სამეურნეო კავშირი;

გ.ბ) კავშირი ისეთ ფერმასთან, რომელიც იყენებს ღორების საკვებად სასაკლაოს და სურსათის ნარჩენებს;

გ.გ) სხვა ღორების დაგრილება ფერმის ტერიტორიაზე მათი კუთვნილი კერატებით (მწარმოებლებით);

გ.დ) ტერიტორიაზე და ფერმაში უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ტერიტორიის და ფერმის მომსახურებასთან. ცალკეულ შემთხვევაში, ტერიტორიაზე შესვლა დასაშვებია მფლობელის ნებართვით, ვეტერინარი ექიმის თანხმობით;

გ.ე) ტერიტორიაზე და ფერმაში შემსვლელი პირი, სანიტარიულ გამშვებში შხაპის მიღების, სპეციალური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლით შემოსვის გარეშე;

გ.ვ) ღორების გადაჯგუფება სხვა სადგომში ან მის ფარგლებს გარეთ, ვეტერინარი ექიმის ნებართვის გარეშე;

დ) დაიცვას ვეტერინარული და ზოოჰიგიენური მოთხოვნები.

2. ფერმები უნდა იმყოფებოდეს დახურული ტიპის საწარმოო რეჟიმზე. მოსახლეობაში ღორების ეზოებრივი შენახვისას, მათი გამოზრდა უნდა ხდებოდეს იზოლირებულად, სპეციალურად აგებულ სადგომებში, ვეტერინარული წესების დაცვით.

3. საკვები სამზარეულოები განლაგებული უნდა იქნეს ფერმიდან მოშორებით და საკვების მიღების, შენახვის, მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ტარდებოდეს იზოლირებულად, ამ საქმიანობისათვის სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის მეშვეობით.

4. საერთო პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად, ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენების საკითხს წყვეტს სააგენტო, ამ წესის და ვაქცინის დარიგების მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) ეპიზოოტიური კერიდან ჭირის აღმძვრელის შეტანის უშუალო საშიშროების დროს;

ბ) ფერმაში, რომელიც კომპლექტდება ნაკრები სულადობით, ასევე რომლებიც იყენებენ ღორების საკვებად სასაკლაოს და სურსათის ნარჩენებს;

გ) ფერმაში, რომელიც მდებარეობს ხორცის გადამამუშავებელ საწარმოსთან ახლოს, ასევე ჭირის მიმართ არაკეთილსაიმედო ქვეყნის სახელმწიფო საზღვართან ახლოს;

დ) ფერმაში, რომელიც განლაგებულია ზონაში, სადაც არის, ან უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აღინიშნებოდა გარეული ღორების ჭირით დაავადების შემთხვევები.

5. ჭირზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ სააგენტოს და, უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმის მოსვლამდე, გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გამოაცალკევოს ავადმყოფი და დაავადებაზე საეჭვო ღორები და მიამაგროს მათ მოსავლელად სპეცტანსაცმლითა და ცალკე ინვენტარით აღჭურვილი მომვლელი პერსონალი;

ბ) არ დაუშვას ტერიტორიაზე და ფერმაში უცხო პირთა შესვლა, ასევე კავშირი ფერმებს შორის;

გ) აკრძალოს ღორების შეყვანა და გაყვანა, საკვების, მოწყობილობების და ინვენტარის, ღორების დაკვლისას მიღებული ხორცის და სხვა პროდუქტების, ასევე ნედლეულის გატანა, ღორების სულადობის გადაჯგუფება ტერიტორიის შიგნით;

დ) არ დაუშვას ტრანსპორტის გამოსვლა ტერიტორიიდან სადეზინფექციო დამუშავების გარეშე, ასევე ნაკელისა და ქვეშსაფენის გატანა ტერიტორიის გარეთ;

ე) ჭირზე ეჭვის მიტანის ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმის გამოცხადება ადგილზე, რომელიც ვეტერინარ ექიმთან ერთად ღებულობს ზომებს დიაგნოზის დასადგენად და დაავადების გავრცელების ასაცილებლად.

6. ჭირის საეჭვო ნიშნების არსებობისას, სააგენტოს გადაწყვეტილებით, მთლიან სულადობაზე წესდება დაკვირვება. სააგენტომ, ვეტერინარ ექიმთან და მფლობელთან ერთად, უნდა უზრუნველყოს:

ა) სხვადასხვა კატეგორიის ყველა ღორის კლინიკური დათვალიერება და დათვლა, მკვდარი და თითოეული კატეგორიის მიხედვით, სავარაუდოდ ინფიცირებული ღორების ჩამონათვალის შედგენა, რომელიც უნდა ახლდებოდეს თაობების დაბადების ან სიკვდილიანობის შემთხვევაში, მთელი საეჭვო პერიოდის განმავლობაში (საბოლოო დიაგნოზის დადგომამდე);

ბ) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვისა და ანალიზის ჩატარება, კონტაგიოზურობის ხარისხის დადგენა ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად;

გ) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) სიტუაციის დაზუსტება ირგვლივ მყოფ პოპულაციაში;

დ) მკვდარი ღორების ლეშების განადგურება ან უტილიზაცია, საეჭვო ფერმის ტერიტორიაზე;

ე) ფერმაში და მის ტერიტორიაზე ცოცხალი ღორების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ცხოველთა სხვა სახეობების შეყვანისა და გაყვანის აკრძალვა. სააგენტომ უნდა გააგრძელოს აკრძალვები და მოითხოვოს შესაბამისი ზომების გამოყენება მღრღნელების და მწერების გასანადგურებლად.

7. დაუშვებელია დაკლული ცხოველის ტანხორცის, სავარაუდოდ ჭირით ინფიცირებული ღორის ხორცის, მისი პროდუქტების, სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონის, ცხოველის საკვების, ჭურჭლის, მასალების ან ნარჩენების გატანა სააგენტოს ნებართვის გარეშე.

8. უცხო პირების ან სატრანსპორტო საშუალებების ფერმის ტერიტორიაზე და ფერმის ტერიტორიიდან გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ სააგენტოს წერილობითი ნებართვის საფუძველზე. სატრანსპორტო საშუალებას შესვლა-გასვლის დროს უკეთდება დეზინფექცია.

9. ფერმის ტერიტორიაზე და ფერმის შესასვლელ - გასასვლელებში ეწყობა დეზობარიერი და

დეზოხალიჩები. ფერმაში შემსვლელმა და გამომსვლელმა პირებმა უნდა შეასრულონ შესაბამისი ჰიგიენური პროცედურები, რომლებიც საჭიროა ჭირის ვირუსის გავრცელების რისკის შესამცირებლად.

10. ჭირის დიაგნოზს ადგენენ ეპიზოოტოლოგიური, კლინიკური და პათანატომიური მონაცემების საფუძველზე. საბოლოო დიაგნოზი დგინდება ლაბორატორიის მიერ. დიფერენციალური დიაგნოზისთვის უნდა გამოირიცხოს ღორის აფრიკული ცხელება, ვირუსული გასტროენტერიტი, დიზენტერია, სალმონელოზი, პასტერელოზი, წითელი ქარი და ჭირის ნიშნების მქონე სხვა დაავადებები.

მუხლი 5. ზომები ფერმაში ჭირის დადასტურების შემთხვევაში

1. ჭირის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ვეტერინარული კარანტინის დროს ცხოველთა საკარანტინო დაავადებების აღმძვრელის გავრცელების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, კარანტინის დაწესებას, მოხსნას და მისი განხორციელების ხელშეწყობას;

ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას.

2. ჭირზე კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

3.არაკეთილსაიმედო პუნქტის ტერიტორიაზე კარანტინის პირობებით იკრძალება:

ა) ფერმიდან ღორების გაყვანა და ფერმაში შეყვანა, ასევე უმი ხორცის, ორგანოებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების გატანა;

ბ) ვეტერინარი ექიმის ნებართვის გარეშე ღორების გადაჯგუფება და დაკვლა;

გ) ყველა სახის ტრანსპორტის გასვლა, ასევე მომსახურე პერსონალის გასვლა ზედა ტანსაცმლის და ფეხსაცმლის სანიტარიული დამუშავების გარეშე;

დ) კარანტინს დაქვემდებარებული, დამცავი და საკონტროლო ზონებიდან ცოცხალი ღორის, ღორის ხორცის და მისი უმი პროდუქტების ბაზრებსა და ბაზრობებზე გაყიდვა;

ე) მოსახლეობისა და სხვა უცხო პირების, ტრანსპორტის შესვლა, თუ ის დაკავშირებული არ არის არაკეთილსაიმედო პუნქტის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ობიექტების მომსახურებასთან;

ვ) მეცხოველეობაში გამოსაყენებელი ცხოველის საკვების დამზადება და გატანა.

4. სააგენტომ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ზომების გარდა უნდა გამოიყენოს სხვა ზომები, მათ შორის,:

ა) ჭირის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ფერმაში არსებული ყველა ღორის დაუყოვნებლივ დაკვლა სააგენტოს ზედამხედველობით;

ბ) ღორების დაკვლის შემდეგ დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად აღებული სათანადო რაოდენობის ნიმუშების გამოკვლევისათვის გადაგზავნა შესაბამის ლაბორატორიაში, რათა დადგინდეს

ჭირის შეტყობინებამდე ფერმაში ჭირის შეტანის გზები და მისი შესაძლო არსებობის დროის ხანგრძლივობა;

გ) მკვდარი ან დაკლული ღორის გამოშიგნული სხეულის დამუშავება სააგენტოს ზედამხედველობით;

დ) ფერმაში ჭირის სავარაუდო შეტანის და სათანადო ზომების გატარების პერიოდებს შორის შეგროვებული ღორის სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონების აღრიცხვა და განადგურება სააგენტოს ზედამხედველობით;

ე) სავარაუდოდ ინფიცირებული ყველა ნარჩენის, მათ შორის, ფურაჟის განადგურება, ასევე, ყველა ერთჯერადი მასალის განადგურება, რომელიც შეიძლება დაინფიცირდეს დაკვლის დროს. აღნიშნული განადგურებული უნდა იქნეს სააგენტოს ზედამხედველობით;

ვ) ღორების მოცილების შემდეგ, ღორების განთავსებისათვის გამოყენებული სადგომები, გატყავებული და გამოშიგნული სხეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული საშუალებები და მოწყობილობა, ექსკრემენტები და სუსპენზიები, რომლებიც შესაძლოა დაინფიცირდეს, უნდა გაიწმინდოს, მოხდეს მათი დეზინფექცია ან დამუშავება ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

ზ) ჭირის პირველადი ეპიზოოტიის შემთხვევაში, ჭირის ვირუსის გამოყოფა დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად გენეტიკური ტიპის დასადგენად;

თ) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის განხორციელება ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად;

ი) ფერმის შემდგომი დაკომპლექტებისას, ღორების ვაქცინაციის საკითხის გადაწყვეტა ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და ვაქცინის დარიგების მოთხოვნათა შესაბამისად.

5. რეპროდუქტიულ ფერმაში, სადაც არაკეთილსაიმედო სულადობის დაკვლა მიზანშეწონილად არ მიიჩნევა, სააგენტო აწარმოებს ღორების ყოველდღიურ კლინიკურ დათვალიერებას და თერმომეტრიას. კლავენ ყველა ავადმყოფ და ავადმყოფობაზე საეჭვო ღორს, ასევე ზრდა - განვითარებაში ჩამორჩენილ და სუსტ, ფილტვისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე სულადობას. ნორმალური ტემპერატურის მქონე ყველა დანარჩენ სულადობას, სააგენტოს გადაწყვეტილებით, ცრიან ჭირის საწინააღმდეგოდ ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და ვაქცინის დარიგების მოთხოვნათა შესაბამისად - შემჭიდროვებულ ვადაში. ვაქცინაციის შემდეგ ახდენენ აცრილ ღორებზე კლინიკურ დათვალიერებას და მაღალი ტემპერატურის, ძლიერი დათრგუნვისა და უმადობის გამოვლენისას, სულადობა იკვლება.

6. ზოოპარკებში, ნაკრძალებში, ლაბორატორიებში, სადაც ღორების შენახვა ხდება მეცნიერული მიზნებისთვის ან სახეობების ან იშვიათი ჯიშების დაცვის მიზნებისთვის, ჭირის ეპიზოოტის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტომ შეიძლება განახორციელოს გადაუდებელი ვაქცინაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ეპიზოოტიურ კერებში ჭირის შეჭრა-შეტანის გზებისა და დროის დადგენა.

8. ჭირის შეჭრა-შეტანის და ოფიციალური ზომების მიღების პროცედურებს შორის შეგროვებული სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონი უნდა აღირიცხოს და განადგურდეს სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

9. სავარაუდოდ ინფიცირებული ყველა ნივთი, ინვენტარი და ნარჩენი უნდა დამუშავდეს. ყველა ერთჯერადი მასალა, რომელიც შეიძლება დაიფინცირდეს (მათ შორის,, დაკვლის პროდუქტებისთვის გამოყენებული) უნდა განადგურდეს. აღნიშნული ზომები უნდა განხორციელდეს უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმის მითითებების შესაბამისად.

10. სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო ღორები იკვლება სანიტარიულ სასაკლაოზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სასაკლაოზე ცალკე ცვლაში. ხორცისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება-გამოყენების საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სასაკლაოზე ღორების დასაკლავად შეყვანა და დაკვლის პროდუქტების შეტანა ხდება სითხეგაუმტარი ძარიანი ავტოტრანსპორტით. იკრძალება გზაზე გაჩერება და ღორების დაკვლა. გადაზიდვის ყოველ შემთხვევაზე გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ვეტერინარული დოკუმენტი. სასაკლაოდან გამოსვლისას ავტომანქანები გულმოდგინედ იწმინდება (ირეცხება) და უტარდება დეზინფექცია, ჭირის გასანეიტრალებლად დატვირთვა - გადმოტვირთვაზე მომუშავე პირთა სპეცტანსაცმელი დეზინფიცირდება.

12. სასაკლაოზე ჭირით დაავადებული და სავარაუდოდ დაინფიცირებული ღორების გადაყვანისა და ტანხორცის გადატანისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება ღორების მფლობელსა და სასაკლაოს მფლობელ ბიზნესოპერატორს.

13. ჭირით დაავადებული, დაავადებაზე და გაუვნებლებაზე საეჭვო ღორების, ასევე ჭირის საწინააღმდეგოდ აცრილ და დაკვლის წინ მაღალი ტემპერატურის მქონე ღორის პროდუქტების გამოყენება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ჭირით მკვდარი ცხოველების ლეშებს სპობენ დაწვით და ღრმად ჩამარხვით, ხოლო უტილიზაციის დანადგარის არსებობის შემთხვევაში კი უტარებენ უტილიზაციას.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 6. ზომები ფერმებში ჭირის დადასტურების შემთხვევაში

ჭირის დადასტურების შემთხვევაში, ღორების გასუქებისათვის, სააგენტოს შეუძლია არ განახორციელოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები ისეთ ფერმებში, სადაც გამოყოფილია ცალკე სადგომები ღორების განთავსებისათვის, მოვლა-შენახვისა და კვებისათვის და ჭირის გავრცელება ერთი სადგომიდან მეორეში შეუძლებელია.

მუხლი 7. ზომები კონტაქტურ ფერმებში

1. კონტაქტურია ფერმა, თუ უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმი ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგად აღმოაჩენს ან ჩათვლის, რომ ჭირი შეტანილია ამ წესის მე-4 ან მე-5 მუხლში მითითებული ფერმიდან.

2. ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები გამოყენებულ უნდა იქნეს ასეთ ფერმებში, თუ ეპიზოოტოლოგიური მდომარეობა ასე მოითხოვს. დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად საკმარისი რაოდენობის ნიმუშები უნდა იქნეს აღებული მოკლული ღორებიდან, რათა ფერმაში გამოირიცხოს ან დადასტურდეს ღორის კლასიკური ჭირის არსებობა.

3. ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე, სააგენტომ კონტაქტურ ფერმებში უნდა გამოიყენოს ამ წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ზომები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 8. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა

ჭირის ეპიზოოტიასთან ან საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით, ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა წარმოებს ამ წესის მე-20 მუხლში მითითებული საგანგებო გეგმების ფარგლებში მომზადებული კითხვარის საფუძველზე. თუ გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ჭირი შეიძლება გავრცელდეს სხვა მეზობელ სახელმწიფოებში, მათ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამის შესახებ.

მუხლი 9. დამცავი და საკონტროლო ზონების შექმნა

1. ჭირის დიაგნოზის ოფიციალურად დადასტურებისთანავე, სააგენტომ, ეპიზოოტიის კერის გარშემო, არანაკლებ 6 კმ რადიუსით, უნდა შექმნას საკონტროლო ზონა, რომელიც თავისთავად მოიცავს დამცავ ზონას, არანაკლებ 3 კმ რადიუსის ფარგლებში. ამ წესის მე-10 და მე-11 მუხლებში მითითებული ზომები მიღებულ უნდა იქნეს შესაბამის ზონებში.

2. ზონების შექმნისას, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგები;

ბ) ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები;

გ) ფერმების ადგილმდებარეობა და სიახლოვე;

დ) გადაადგილების და ღორებით ვაჭრობის პრინციპები და სასაკლაოს ხელმისაწვდომობა;

ე) სადგომები და პერსონალი, რომელიც აკონტროლებს ღორების ნებისმიერ გადაადგილებას აღნიშნულ ზონებში, დასაკლავი ღორების ფერმიდან გაყვანის აუცილებლობა.

3. თუ ზონა მოიცავს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ნაწილსაც, შესაბამისმა უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ სააგენტოსთან ზონის დადგენის საკითხზე.

4. სააგენტომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის,, გამოიყენოს შესამჩნევი აღნიშვნები და გამაფრთხილებელი შეტყობინებები, მედიარესურსები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამცავ და საკონტროლო ზონებში მყოფი პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი ამ წესის მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად მოქმედი შეზღუდვების შესახებ.

მუხლი 10. ზომები შექმნილ დამცავ ზონებში

1. საკარანტინო მოთხოვნებით, სააგენტო, ეპიზოოტიის კერის გარშემო, არანაკლებ 6 კმ რადიუსით, ქმნის საკონტროლო ზონას, რომელიც შედის არანაკლებ 3 კმ რადიუსის ფარგლების მქონე დამცავ ზონაში. სააგენტომ, დამცავ ზონებში, უნდა უზრუნველყოს შემდეგი ზომების განხორციელება:

ა) ღორების კლინიკური შემოწმების, საიდენტიფიკაციო ნიშნების და რეგისტრაციის შემოწმებისათვის, ყველა ფერმის უმოკლეს დროში აღწერა, ვეტერინარი ექიმის მიერ;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ან ფიზიკურ პირთა მფლობელობაში არსებულ გზებზე ღორების გადაადგილების და ტრანსპორტირების აკრძალვა, თუ ეს ღონისძიებები არ ზღუდავს ფერმებთან დაკავშირებას და ამ მუხლის მე-5 პუნქტით მითითებული გადაადგილება ნებადართული არ იქნება სააგენტოს მიერ. აღნიშნული აკრძალვა არ გამოიყენება ღორების ავტომაგისტრალით ან რკინიგზით გადაყვანისას, გადმოტვირთვის ან შესვენების გარეშე. შეზღუდვა ვრცელდება დამცავი ზონის ფარგლებს გარე ტერიტორიიდან მომავალი და აღნიშნულ ზონაში მდებარე სასაკლაოსკენ მიმავალ გზაზეც.

2. სატვირთო ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა, რომელიც შეიძლება ინფიცირებული იყოს (გატყავებული და გამოშიგნული ღორი, ფურაჟი, ნაკელი და სხვა) უნდა გაიწმინდოს (გაირეცხოს), მოხდეს მათი დეზინფექცია ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ღორების გადაზიდვაში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება არ შეიძლება გავიდეს დამცავი ზონიდან გაწმენდისა (გარეცხვის) და დეზინფექციის, შემდგომში კი სააგენტოს ნებართვის გარეშე.

3. დაუშვებელია სხვა შინაური ცხოველის ფერმაში შეყვანა ან ფერმიდან გაყვანა სააგენტოს თანხმობის გარეშე.

4. ფერმაში ღორების დაავადებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები უნდა ეცნობოს სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს დაავადებული და მკვდარი ღორების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ლაბორატორიულ გამოკვლევას.

5. დაუშვებელია ღორების ფერმიდან გაყვანა, სადაც ისინი იმყოფებიან ინფიცირებული ფერმის დასუფთავების და დეზინფექციის დასრულებიდან არანაკლებ 30 დღის მანძილზე. 30 დღის შემდგომ ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირობის საფუძველზე, სააგენტოს შეუძლია დაუშვას

აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა მხოლოდ:

ა) მის მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე;

ბ) გადასამუშავებელ საწარმოში ან შესაბამის ადგილზე, სადაც მოხდება ღორების დაუყოვნებლივ დაკვლა და მათი სხეულის დამუშავება სააგენტოს ზედამხედველობით.

6. სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონი არ უნდა იქნეს გატანილი დამცავ ზონაში მდებარე ფერმიდან.

7. პირი, რომელიც შედის ფერმაში ან გამოდის ფერმიდან, ვალდებულია დაიცვას შესაბამისი ჰიგიენური მოთხოვნები.

8. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვების 30 დღეზე მეტი ხნის გაგრძელების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია, მფლობელის დასაბუთების შემდეგ, დაუშვას ღორების ფერმიდან გაყვანა დამცავ ზონაში, საიდანაც ღორები პირდაპირ გადაყვანილი უნდა იქნენ:

ა) დაუყოვნებლივ დაკვლის მიზნით სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე, რომელიც უმჯობესია მდებარეობდეს დამცავ ან საკონტროლო ზონაში;

ბ) გადასამუშავებელ ქარხანაში ან შესაბამის ადგილზე, სადაც ხდება ღორების დაუყოვნებლივ დაკვლა და მათი ტანხორცის დამუშავება სააგენტოს ზედამხედველობით.

9. ამ მუხლის მე-10 პუნქტის გამოყენებაზე მითითების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია დაუშვას აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა იმ პირობით, რომ:

ა) უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმი განახორციელებს ფერმაში არსებული ამ ღორების კლინიკურ შემოწმებას. შემოწმებისას აუცილებელია სხეულის ტემპერატურის გაზომვა, საიდენტიფიკაციო ნიშნების და რეგისტრაციის შემოწმება;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოწმება არ ადასტურებს ჭირის არსებობას;

გ) სატრანსპორტო საშუალებები, სადაც მოთავსებულია ღორები დალუქული უნდა იყოს სააგენტოს მიერ;

დ) სატრანსპორტო საშუალება და მოწყობილობა დაუყოვნებლივ გასუფთავდება (გაირეცხება) და მოხდება მისი დეზინფექცია ტრანსპორტირების შემდეგ ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ე) ღორების მოკვლის ან დაკვლის შემდეგ დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად აღებული საკმარისი რაოდენობის ნიმუშები გაიგზავნება ლაბორატორიაში, ფერმაში ჭირის არსებობის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით;

10. თუ ღორების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სასაკლაოზე, აუცილებელია, რომ:

ა) სასაკლაოზე პასუხისმგებელი პირი წინასწარ ინფორმირებული იყოს სასაკლაოზე ღორის გადაყვანის შესახებ;

ბ) სასაკლაოზე ღორების განთავსება და დაკვლა უნდა მოხდეს ღორების სხვა პარტიისაგან განცალკევებით;

გ) განსაზღვრულ სასაკლაოზე ღორების დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმების დროს, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს ღორის ჭირის არსებობის ნიშნები;

დ) ასეთი ღორის ხორცის ნიშანდება მოხდეს სპეციალური შტამპით. შტამპი უნდა იყოს ოვალური ფორმის, რომელზეც გავლებულია ორი პარალელური სწორი ხაზი, მათ შორის, მანძილი სულ მცირე 1 სმ-ს უნდა შეადგენდეს, ხაზი უნდა კვეთდეს ოვალური ფორმის წრეს ისე, რომ მასზე დატანებული ინფორმაცია გარკვევით იკითხებოდეს. ამასთან, ორი პარალელური ხაზი ისევე აშკარა უნდა იყოს,

როგორც ნიშნის გარე კიდე/ნაპირი ან ასეთი ღორის ხორცი ექვემდებარება განაცალკევებით გადამუშავებას და ის შეიძლება ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში იმ შემთხვევაში, თუ ხორცს გავლილი აქვს დამუშავების შემდეგი სახე:

დ.ა) სითბური დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში, ცენტრისკენული ძალით 3,00 ან მეტი;

დ.ბ) დამუშავება ჰერმეტულ, დალუქულ ჭურჭელში (კონტეინერში) არანაკლებ 60^0C ტემპერატურაზე 4 საათის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხორცის ნაჭრების სისქეში ტემპერატურა 30 წუთის განმავლობაში უნდა იყოს 70^0 C . აღნიშნული პროცესი უნდა ხორციელდებოდეს მუდმივი მონიტორინგის ქვეშ;

ე) ამ პუნქტის „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დამუშავება განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრულ დაწესებულებაში, სადაც ხორცი უნდა გაიგზავნოს დალუქულ მდგომარეობაში.

11. ამ მუხლის პირველი-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ზომების გამოყენება დამცავ ზონაში უნდა გაგრძელდეს არანაკლებ:

ა) ინფიცირებული ფერმის გაწმენდის და დეზინფექციის განხორციელებამდე;

ბ) ყველა ფერმის ღორების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმების განხორციელებამდე, ჭირის შესაძლო გამოვლინების მიზნით, ინფიცირებული ფერმების წინასწარი გასუფთავებისა და დეზინფექციის დასრულებიდან 30 დღის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 11. საკონტროლო ზონებში გასატარებელი ზომები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს საკონტროლო ზონებში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) ზონის ყველა ფერმაში არსებული სულადობის აღწერა;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ან ფიზიკურ პირთა მფლობელობაში არსებულ გზებზე ღორების გადაადგილების და ტრანსპორტირების აკრძალვა, თუ ეს ღონისძიებები არ ზღუდავს ფერმებთან დაკავშირებას. აღნიშნული არ ეხება ღორების ავტომაგისტრალით ან რკინიგზით გადაყვანას გადმოტვირთვის ან შეჩერების გარეშე. სააგენტოს გადაწყვეტილებით, შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს საკონტროლო ზონის ფარგლების გარე ტერიტორიიდან მომავალ და სასაკლაოს (თუ ის მდებარეობს საკონტროლო ზონაში) მიმართულებით ღორების დაუყოვნებლივ დაკვლისათვის გამოყენებულ გზაზეც;

გ) ღორების ან სხვა მასალის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იმ სატვირთო ავტომობილების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის გადაადგილების აკრძალვა, ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული პროცედურებით დადგენილი გაწმენდის, გარეცხვის და დეზინფექციის ჩატარებამდე;

დ) სხვა შინაური ცხოველის ფერმაში შეყვანისა და ფერმიდან გამოყვანის აკრძალვა საკონტროლო ზონის შექმნიდან პირველი 7 დღის განმავლობაში; გამონაკლისი დაიშვება სააგენტოს ნებართვით;

ე) მფლობელისგან ფერმაში ღორების ავადობის ან სიკვდილიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება;

ვ) ფერმიდან ღორების გაყვანის დაუშვებლობა ინფიცირებული ფერმის დასუფთავების და დეზინფექციის დასრულებიდან სულ მცირე 21 დღის მანძილზე. 21 დღის შემდეგ, ამ წესის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პირობების თანახმად, სააგენტოს შეუძლია დაუშვას აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა იმ პირობით, რომ მათი გადაყვანა მოხდება:

ვ.ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე;

ვ.ბ) გადამამუშავებელ საწარმოში ან ისეთ ადგილზე, სადაც შესაძლებელია ღორების დაუყოვნებლივ დაკვლა და მათი სხეულის დამუშავება სააგენტოს კონტროლის ქვეშ, ან გამონაკლის შემთხვევაში, დამცავი ზონის ფარგლებში მდებარე სხვა სადგომებში;

ზ) ღორების სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონის დამცავ ზონაში მდებარე ფერმიდან გატანის აკრძალვა.

2. საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორთან შეთანხმების გათვალისწინებით, სააგენტოს შეუძლია სასაკლაოზე ტრასპორტირებულ და დაკლულ ღორებთან დაკავშირებით არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-10 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, ღორის ხორცის ნიშანდებასთან, მის შემდგომ გამოყენებასთან, დამუშავებული პროდუქტის საბოლოო გამოყენების ადგილთან დაკავშირებით.

3. ნებისმიერი პირი, რომელიც შედის ან გამოდის ფერმიდან ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენური წესი, რომელიც საჭიროა ჭირის გავრცელების რისკის შემცირების მიზნით.

4. თუ ამ წესის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვები გაგრძელდა 30-ზე მეტი დღის განმავლობაში, სააგენტოს შეუძლია, ფერმის მფლობელის დასაბუთების შემდეგ, დაუშვას ღორების ფერმიდან გაყვანა საკონტროლო ზონაში, რომელიც პირდაპირ გადაყვანილი უნდა იქნეს:

ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრული სასაკლაოზე, უმჯობესია დამცავი ან საკონტროლო ზონის ფარგლებში;

ბ) გადასამუშავებელ ქარხანაში ან სხვა ადგილზე, სადაც შესაძლებელი იქნება ღორების დაუყოვნებელი დაკვლა და მათი სხეულის დამუშავება სააგენტოს კონტროლის ქვეშ, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დამცავი ზონის ფარგლებში მდებარე სხვა შენობა - ნაგებობებში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ზომების გამოყენება დამცავ ზონაში კვლავ უნდა გაგრძელდეს:

ა) ინფიცირებული ფერმის გაწმენდის (გარეცხვის), დასუფთავების და დეზინფექციის განხორციელებამდე;

ბ) ფერმის ყველა ღორის კლინიკურ და დიაგნოსტიკურ სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრულ ლაბორატორიულ შემოწმებამდე ჭირის შესაძლო გამოვლინების მიზნით;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული შემოწმებების განხორციელება დაუშვებელია ინფიცირებული ფერმის წინასწარი გასუფთავების და დეზინფექციის დასრულებიდან 20 დღის გასვლამდე.

6. დამცავ და საკონტროლო ზონებში ჭირის საწინააღმდეგოდ ვაქცინის გამოყენების საკითხს წყვეტს სააგენტო ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენების დარიგების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 12. დასუფთავება და დეზინფექცია

1. დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურების საერთო პრინციპებია:

ა) დასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოები და, საჭიროების შემთხვევაში, ზომების განხორციელება მღრნელების და მწერების გასანადგურებლად, სააგენტოს მითითებებითა და ზედამხედველობით;

ბ) გამოსაყენებელი სადეზინფექციო საშუალებების შერჩევა საგენტოს მიერ;

გ) სავალდებულოა სადეზინფექციო საშუალებების მოქმედების ეფექტურობის შემოწმება გამოყენების წინ;

დ) სადეზინფექციო საშუალებების და დეზინფექციის პროცედურების შერჩევა დასამუშავებელი შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და ობიექტის ტიპის გათვალისწინებით;

ე) ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებების და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება ისეთ პირობებში, რომ ზიანი არ მიადგეს ან არ შემცირდეს აღნიშნული ნივთიერებების მოქმედების ეფექტურობა. დაცული უნდა იქნეს მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობები, როგორიცაა წნევა, მინიმალური ტემპერატურა და საჭირო საკონტაქტო დრო.

2. დასუფთავებისა და დეზინფექციისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) სადენზიფექციო საშუალებებით ქვეშსაფენის და ფეკალური მასის სრული გაჟღენთვა;

ბ) სადგომების დემონტაჟის შემდეგ მიწის, იატაკის, ჭერისა და კედლების, ასევე მოწყობილობებისა და ინსტალაციების გაწმენდა-გასუფთავება და ჯაგრისით გახეხვა;

გ) გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოყენებული წყლის გამოყენება უნდა მოხდეს იმდაგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭირის გავრცელების რისკი;

დ) თუ გაწმენდა წარმოებს სითხეებით, რომლებიც გამოიყენება წნევით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული უკვე გასუფთავებული ნაწილის ხელახალი დაბინძურება;

ე) უნდა განხორციელდეს სავარაუდოდ დაბინძურებული მოწყობილობის, ინსტალაციის და საგნების გაწმენდა, დეზინფექცია ან განადგურება;

ვ) დეზინფექციის დამთავრების შემდეგ, თავიდან უნდა იქნეს აცილებული განმეორებითი დაბინძურება;

ზ) დასუფთავებისა და დეზინფექციების პროცედურებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების შესახებ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერები. ჩანაწერები უნდა ინახებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთან და უნდა მიეწოდოს სააგენტოს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას.

3. ინფიცირებული ფერმების დასუფთავებისა და დეზინფექციის სპეციფიკური მოთხოვნებია:

ა) ცხოველების დაკვლის დროს, ჭირის ვირუსის გავრცელების აცილების ან ასეთი საფრთხის მინიმუმამდე დაყვანისათვის ისეთი ზომების მიღება, რომელიც მოიცავს დროებითი სადეზინფექციო მოწყობილობების დამონტაჟებას, დამცავი ტანსაცმლით, შხაპებით უზრუნველყოფას, გამოყენებული მოწყობილობების, ინსტრუმენტების და შენობა-ნაგებობების გაწმენდას, ვენტილაციისთვის ენერგომომარაგების შეწყვეტას;

ბ) დაკლული ცხოველების გატყავებული და გამოშიგნული სხეულების სადეზიფექციო საშუალებებით გაჟღენთვა:

გ) დამუშავების მიზნით, გატყავებული და გამოშიგნული სხეულების ფერმიდან გატანის აუცილებლობისას, დახურული და წყალგაუმტარი კონტეინერების გამოყენება;

დ) ღორების დაკვლის დროს დაბინძურებული მიდამოს ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული გამოსაყენებლად ნებადართული სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავება;

ე) ნებისმიერი ქსოვილის ან სისხლის, რომელმაც შეიძლება გაჟონოს დაკვლის ან გვამის გაკვეთის დროს, ფრთხილად შეგროვება და დამუშავება;

ვ) გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებების, დამუშავებულ ზედაპირზე, არანაკლებ 24 საათის

განმავლობაში შენარჩუნება;

ზ) საბოლოო დასუფთავება და დეზინფექცია:

ზ.ა) ნაკელისა და გამოყენებული ქვეშსაფენის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გატანა და დამუშავება;

ზ.ბ) ყველა ზედაპირიდან, ცხიმებისა და ჭუჭყის, ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებების გამოყენებით მოცილება და ზედაპირის წყლით დამუშავება;

ზ.გ) წყლით გარეცხვის შემდეგ, დამატებითი სადეზინფექციო საშუალებების შესხურება;

ზ.დ) შვიდი დღის შემდეგ, შენობა-ნაგებობების ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებებით დამუშავება, წყლის გადავლება, სადეზინფექციო საშუალებების შესხურება და განმეორებით წყლის გადავლება.

4. დაბინძურებული ქვეშსაფენის, ნაკელის და წუნწუხის დეზინფექციისას:

ა) ქვეშსაფენის, ნაკელის და წუნწუხის სუსპენზია შენახული უნდა იქნეს სითბოში და მოხდეს სადეზინფექციო საშუალებების შესხურება. ასეთი სუსპენზია დაყოვნებული უნდა იქნეს არანაკლებ 42 დღის განმავლობაში, ან განადგურდეს მიწაში ჩაფლვით;

ბ) სუსპენზია შენახული უნდა იქნეს ინფიცირებული მასალის ბოლო დამატებიდან არანაკლებ 42 დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სააგენტო დაუშვებს შენახვის შემცირებულ ვადას.

5. ღია ფერმის შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს დასუფთავების და დეზინფექციის სპეციალური პროცედურები, ფერმის ტიპის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 13. ღორის დაავადების შემდგომი რეპოპულაცია (აღწარმოება) ფერმაში

1. დაუშვებელია ამ წესის მე-5 მუხლში მითითებული ფერმის ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება), ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი გასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან არანაკლებ 30 დღის განმავლობაში.

2. ღორის რეპოპულაციის (აღწარმოება) დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ფერმაში გამოყენებული ღორების გამოზრდის ტექნოლოგია, რომელიც უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პროცედურებს:

ა) ღია ტიპის ფერმასთან დაკავშირებით, ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) უნდა მოხდეს ინდიკატორული ღორების შეყვანით, რომლებიც შემოწმებულია და რომლებზეც გამოვლენილია ჭირის მიმართ ანტისხეულების არსებობის ნეგატიური შედეგი ან არიან იმ ფერმიდან, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას ჭირთან დაკავშირებით. ინდიკატორული ღორები უნდა განთავსდნენ სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად, ინფიცირებული ფერმის მთელ ტერიტორიაზე. ფერმაში განთავსებიდან 40 დღის შემდეგ, უნდა მოხდეს ნიმუშის აღება და დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად შემოწმება ანტისხეულების არსებობაზე. თუ არცერთ ღორს არ განუვითარდა ანტისხეულები ჭირის მიმართ, შესაძლებელი იქნება მათი სრული გამრავლება;

ბ) სხვა ტიპის ფერმებში ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) უნდა განხორციელდეს ამ მუხლის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში წარმოდგენილი საერთო რეპოპულაციის საფუძველზე იმ პირობით, რომ:

ბ.ა) ყველა ღორი შეყვანილი იქნება 20 დღის განმავლობაში იმ ფერმებიდან, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ შეზღუდვებს ჭირთან დაკავშირებით;

ბ.ბ) განმეორებით გამრავლებულ კოლტში არსებული ღორები დაექვემდებარება დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად სეროლოგიურ გამოკვლევას. ასეთი შემოწმებისათვის ნიმუშების აღება უნდა განხორციელდეს ღორების ბოლო შეყვანიდან არაუგვიანეს 40 დღის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 14. ზომები ჭირის არსებობის შესახებ ეჭვის მიტანის და დადასტურების შემთხვევაში სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში

1. სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში ჭირის გაჩენის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს კვლევის ოფიციალური საშუალებების ამოქმედება აღნიშნული დაავადების დადასტურების ან გამორიცხვისთვის დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად.

2. სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში, ჭირის გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს რომ:

ა) დაუყოვნებლივ დაიკლას ყველა ღორი;

ბ) დაკლული ღორების გამოშიგნული და გატყავებული სხეული, შინაგანი ორგანოები და ცხოველური ნარჩენი დამუშავდეს სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

გ) შენობების და მოწყობილობების, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების გასუფთავებისა და დეზინფექციის განხორციელება უფლებამოსილი ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

დ) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა განხორციელდეს ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად;

ე) ჭირის ვირუსის იდენტიფიკაცია გენეტიკური ტიპის დასადგენად განხორციელდეს დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად;

ვ) ამ წესის მე-7 მუხლში მითითებული ზომები გამოყენებულ იქნეს იმ ფერმაში, საიდანაც არიან ინფიცირებული ღორები;

ზ) არ მოხდეს სასაკლაოზე სხვა ცხოველის დაკვლა ან სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვა, გასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოს დასრულებიდან არანაკლებ 24 საათის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 15. ზომები გარეულ ღორებში ჭირის არსებობის ეჭვის ან დადასტურების შემთხვევაში

1. სააგენტომ, გარეული ღორების სავარაუდო დაინფიცირების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა ჭირის არსებობის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით და მიაწოდოს ინფორმაცია მფლობელებს, მონადირეებს, გამოიკვლიონ და ლაბორატორიულად შეამოწმონ ყველა ნანადირევი და დაკლული ღორი.

2. გარეულ ღორებში ჭირის პირველადი ეპიზოოტიის დადასტურებისთანავე, დაავადების გავრცელების აღსაკვეთად ან შესამცირებლად, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა შექმნას ექსპერტთა ჯგუფი ვეტერინარი ექიმების, მონადირეების, ბიოლოგების, ეპიდემიოლოგების შემადგენლობით, რომელიც სააგენტოს დაეხმარება:

ა) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) სიტუაციის დადგენაში;

ბ) დაინფიცირებულ ტერიტორიაზე გამოსაყენებელი შესაბამისი ზომების განსაზღვრაში. აღნიშნული ზომები შეიძლება მოიცავდეს ნადირობისა და გარეული ღორის ხორცით კვების აკრძალვას;

გ) ჭირის ლიკვიდაციის გეგმის შედგენაში;

დ) მონიტორინგის ჩატარებაში, ინფიცირებული ტერიტორიიდან ჭირის ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომებიდან ეფექტურობის შემოწმების მიზნით.

მუხლი 16. გარეული ღორების პოპულაციაში ჭირის ლიკვიდაციის გეგმები

ამ წესის მე-15 მუხლით დადგენილი ზომების თანახმად, სააგენტომ, გარეულ ღორებში ჭირის პირველადი ეპიზოოტიის დადასტურებიდან 90 დღის განმავლობაში, უნდა შეიმუშაოს დაინფიცირებულ ტერიტორიაზე ჭირის ლიკვიდაციისათვის მისაღები და აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ ფერმებში გამოსაყენებელი ზომების წერილობითი გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვების, ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის შედეგების და ჭირის გავრცელების არეალის შესახებ;

ბ) ინფიცირებული ზონის შესახებ, რომლის განსაზღვრისას სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ბ.ა) განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგები და დაავადების გავრცელების არეალი;

ბ.ბ) გარეული ღორების პოპულაცია აღნიშნულ ზონაში;

გ) ექსპერტთა ჯგუფის შესახებ;

დ) საინფორმაციო კამპანიის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს მონადირეების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ უნდა მიიღონ სალიკვიდაციო გეგმის ფარგლებში;

ე) დაინფიცირებულ ზონაში და მის გარშემო გარეული ღორების მეტაპოპულაციის, ადგილმდებარეობის და რაოდენობის განსაზღვრისათვის განხორციელებული სპეციალური ზომების შესახებ;

ვ) ინფიცირებულ ზონაში და მის გარშემო გარეული ღორების მეტაპოპულაციის დაახლოებითი რაოდენობის შესახებ;

ზ) გარეული ღორების პოპულაციაში, ჭირის ფარგლების განსაზღვრისათვის, განხორციელებული სპეციალური ზომების შესახებ, მონადირეების მიერ მოკლული გარეული ღორების ან მკვდარი ღორების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების შესახებ;

თ) გარეული ღორების გადაადგილების ან/და გარეული ღორების მეტაპოპულაციებს შორის კონტაქტის გამო, დაავადების გავრცელების შემცირების მიზნით მიღებული ზომების შესახებ;

ი) შესაძლო ინფიცირებული გარეული ღორების პოპულაციის და გოჭების შესამცირებლად მიღებული ზომების შესახებ;

კ) ნადირობისათვის დაწესებული მოთხოვნების შესახებ;

ლ) მკვდარი ან მოკლული გარეული ღორების მოცილების მეთოდების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს სააგენტოს ზედამხედველობით;

მ) დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ლაბორატორიული გამოკვლევებით, ჭირზე დადებითად მორეაგირე ყველა ცხოველისა და ტანხორცის ყველა ნაწილის დამუშავების ან/და განადგურების შესახებ.

ნ) თითოეულ მოკლულ ან მკვდარ გარეულ ღორზე განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შესახებ. აღნიშნული გამოკითხვა უნდა მოიცავდეს კითხვარის შევსებას, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

ნ.ა) იმ ტერიტორიის შესახებ, სადაც ნაპოვნია მოკლული ან მკვდარი ცხოველი;

ნ.ბ) იმ თარიღის შესახებ, როდესაც ნაპოვნია მოკლული ან მკვდარი ცხოველი;

ნ.გ) იმ პირის შესახებ, რომელმაც იპოვნა მოკლული ან მკვდარი ცხოველი;

ნ.დ) მკვდარი ღორის შემთხვევაში გამოშიგნული სხეულის შესახებ;

ნ.ე) ლაბორატორიული მონაცემების და შედეგების შესახებ;

ო) კონტროლის პროგრამების ან პრევენციის ღონისძიებების შესახებ, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ და ინფიცირებულ ტერიტორიაზე მდებარე ფერმებში და, საჭიროების შემთხვევაში, მის გარშემო, მათ შორის, ტრანსპორტში, ინფიცირებულ ზონაში ან ზონიდან გადაადგილების ფარგლებში;

პ) სხვა კრიტერიუმების შესახებ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს განსაზღვრულ ზონაში დაავადების ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომების ხელშეწყობისათვის;

ჟ) იმ ორგანოს შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია გეგმის განხორციელების მეთვალყურეობასა და კოორდინაციაზე;

რ) ამ წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დანიშნულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სალიკვიდაციო გეგმის შედეგების რეგულარულად განხილვის შესაძლებლობის შესახებ;

ს) დაავადების მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ ინფიცირებულ ზონაში გარეულ ღორებში ჭირის ბოლო დადასტურებული შემთხვევიდან არანაკლებ 12 თვის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 17. დიაგნოსტიკური პროცედურები და ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები

1. დიაგნოსტიკური პროცედურები, ნიმუშების აღება და ლაბორატორიული გამოკვლევები ღორის კლასიკური ჭირის არსებობის დასადგენად ხორციელდება დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად.

2. ლაბორატორიამ გამოკვლევისას უნდა გამოიყენოს კვლევის თანამედროვე სტანდარტები და მეთოდები.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი ქმედებების დროს დაცული უნდა იქნეს ბიოუსაფრთხოების წესები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 18. გადაუდებელი (იძულებითი) ვაქცინაცია ღორების ფერმაში

1. ფერმაში ჭირის დადასტურების შემთხვევაში, თუ ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მონაცემები მიუთითებს გავრცელების რისკს, ფერმაში შეიძლება განხორციელდეს გადაუდებელი ვაქცინაცია ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად.

2. გადაუდებელი ვაქცინაციის გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ვაქცინაციის გამოყენებით გამოწვეული მთავარი კრიტერიუმები და რისკფაქტორები, რომლებიც შეიძლება შესწორდეს ან შეიცვალოს მეცნიერული მიღწევების ან გამოცდილების გათვალისწინებით.

3. სააგენტოს მიერ ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო ვალდებულია შეადგინოს ღორების გადაუდებელი ვაქცინაციის გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

ა) დაავადების მიმდინარეობის შესახებ, რამაც გამოიწვია გადაუდებელი ვაქცინაციის მოთხოვნა;

ბ) იმ ტერიტორიის შესახებ, რომლებშიც უნდა განხორციელდეს გადაუდებელი ვაქცინაცია და ამ ტერიტორიაზე ღორების ფერმების რაოდენობის შესახებ;

გ) ღორების კატეგორიებისა და იმ ღორების მიახლოებითი რაოდენობის შესახებ, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ ვაქცინაცია;

დ) გამოსაყენებელი ვაქცინის შესახებ;

ე) ვაქცინაციის ხანგრძლივობის შესახებ;

ვ) ვაქცინირებული ცხოველის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის შესახებ;

ზ) ღორებისა და მათი პროდუქტების გადაადგილებასთან დაკავშირებული ზომების შესახებ;

თ) კრიტერიუმების შესახებ, რომლითაც გადაწყვეტილი უნდა იქნეს ვაქცინაცია კონტაქტურ ფერმებში;

ი) საგანგებო სიტუაციის სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის, „კლინიკური ან ლაბორატორიული გამოკვლევები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ვაქცინირებულ და ვაქცინაციის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით, თუ მარკერი ვაქცინა იქნა გამოყენებული) მდებარე სხვა ფერმებში აღებულ ნიმუშებზე. გადაუდებელი ვაქცინაციის გეგმა შეიძლება შემდგომში შეიცვალოს ან შესწორდეს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

4. გადაუდებელი ვაქცინაციის განხორციელებისას:

ა) არცერთმა ღორმა არ უნდა დატოვოს ვაქცინაციის ზონა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საჭიროა მათი ტრანსპორტირება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაომდე;

ბ) ვაქცინირებული ღორებისაგან წარმოებული ახალი ღორის ხორცი დამუშავებული უნდა იყოს ამ წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული დებულებების შესაბამისად;

გ) ასაცრელი ღორებიდან შეგროვებული სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონები ვაქცინაციამდე 30 დღის განმავლობაში უნდა განადგურდეს სააგენტოს ზედამხედველობით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები გამოყენებული უნდა იქნეს საეჭვო ტერიტორიაზე ვაქცინაციის დასრულებიდან არანაკლებ 6 თვის განმავლობაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ექვსთვიანი პერიოდის დასრულებამდე, მიღებული უნდა იქნეს ზომები რათა აიკრძალოს:

ა) სეროდადებითი ღორების ფერმიდან გაყვანა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მათი დაუყოვნებლივ დაკვლის საჭიროება;

ბ) სპერმის, ემბრიონის, კვერცხუჯრედის შეგროვება სეროდადებითი ღორებიდან;

გ) სეროდადებითი ღორებიდან მიღებული გოჭების გაყვანა ფერმიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საჭიროა მათი ტრანსპორტირება:

გ.ა) სასაკლაოზე დაუყოვნებლივ დაკვლისთვის;

გ.ბ) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ფერმაში, საიდანაც ისინი უნდა გაიგზავნოს პირდაპირ სასაკლაოზე;

გ.გ) ფერმაში ჭირის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებზე სეროლოგიური გამოკვლევიდან მიღებული უარყოფითი შედეგების შემდეგ.

7. გადაუდებელი ვაქცინაციის გეგმაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა, უნდა მიეთითოს, რომ ფერმაში, სადაც ვაქცინა უნდა იქნეს გამოყენებული, ყველა ღორი უნდა დაიკლას ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვაქცინაციის დასრულებიდან გონივრულ დროში. წარმოებული ახალი ხორცი უნდა დამუშავდეს ან მოხდეს მისი ნიშანდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში განსაზღვრული დებულებების მიუხედავად, ამ მუხლის მე-4 პუნქტში წარმოდგენილი ზომები შესაძლოა მიღებულ იქნეს მას შემდეგ რაც:

ა) ყველა ღორი ფერმაში, სადაც ვაქცინაა გამოყენებული, დაიკვლება ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ასეთი ღორებისაგან წარმოებული ახალი ხორცი დამუშავდება ან მისი ნიშანდება მოხდება ამ წესის მე-10 მუხლში განსაზღვრული დებულებების შესაბამისად;

ბ) ყველა ფერმა, სადაც იმყოფება ვაქცინირებიული ღორები გასუფთავდება და მოხდება მათი დეზინფექცია ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

9. ამ მუხლის მე-4 პუნქტში წარმოდგენილი ზომების მიღებისას, სააგენტომ:

ა) არ დაუშვას ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) მანამ, სანამ ვაქცინირებული ღორის დაკვლიდან და დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან 10 დღე არ გავა;

ბ) რეპოპულაციის (აღწარმოება) შემდეგ ვაქცინაციის ზონაში ყველა ფერმის ღორს ჩაუტაროს კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმება დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჭირის ვირუსის შესაძლო არსებობის გამოვლენის მიზნით, სულ მცირე, 40 დღის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში დაუშვებელია ფერმიდან ღორების გაყვანა.

10. ვაქცინირებული ღორების ხორცის ნიშანდება, მათი შემდგომი გამოყენება და დამუშავებული პროდუქტის დანიშნულების განსაზღვრა ხდება სააგენტოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 19. გარეული ღორების გადაუდებელი (იძულებითი) ვაქცინაცია

1. გარეულ ღორებში ჭირის დადასტურების შემთხვევაში, ასევე ეპიზოოტოლოგიურ გამოკითხვის მონაცემებით, საფრთხის გავრცელების არსებობისას, გარეულ ღორებში შეიძლება განხორციელდეს გადაუდებელი ვაქცინაცია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. სააგენტოს მიერ ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო ვალდებულია შეადგინოს გარეული ღორების გადაუდებელი ვაქცინაციის გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

ა) დაავადების მიმდინარეობის შესახებ, რამაც გამოიწვია გადაუდებელი ვაქცინაციის საჭიროება;

ბ) იმ ტერიტორიის შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს გადაუდებელი ვაქცინაცია. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ზონა უნდა იყოს ინფიცირებული ტერიტორიის ნაწილი;

გ) გამოსაყენებელი ვაქცინის ტიპისა და ვაქცინაციის პროცედურის შესახებ;

დ) გოჭების ვაქცინაციისათვის განხორციელებული სპეციალური ღონისძიებების შესახებ;

ე) ვაქცინაციის ხანგრძლივობის შესახებ;

ვ) ასაცრელი გარეული ღორების მიახლოებითი რაოდენობის შესახებ;

ზ) გარეული ღორების პოპულაციის მაღალი ბრუნვის თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომების შესახებ;

თ) ვაქცინაციის ზონაში ვაქცინირებული ღორებისაგან ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გატარებული ზომების შესახებ;

ი) ვაქცინაციის მოსალოდნელი შედეგისა და იმ პარამეტრების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ეფექტურობის შემოწმების მიზნით;

კ) გეგმის შესრულებაზე, მეთვალყურეობასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ორგანოს (ორგანოები) შესახებ;

ლ) საგანგებო გარემოებებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინაციის ზონა მდებარეობს სხვა ქვეყნების ტერიტორიასთან ახლოს, საჭიროა ვაქცინაციის განხორციელება ჩატარდეს კოორდინირებულად.

4. სააგენტოს მიერ გადაუდებელი ვაქცინაციის გეგმა შესაძლოა შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

მუხლი 20. საგანგებო გეგმები

1. სააგენტო ვალდებულია ჰქონდეს შემუშავებული ჭირის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში განსახორციელებელი საგანგებო გეგმა, რომელშიც ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა სახის რესურსებსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა. გეგმაში ასევე განსაზღვრულ უნდა იქნეს:

ა) გადაუდებელ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რეგიონები, ვაქცინაციისათვის საჭირო ვაქცინის რაოდენობა და სახეობა;

ბ) რეგიონებში ღორების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, ასევე დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები.

2. საგანგებო გეგმის შედგენისას გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები და მოთხოვნები:

ა) ჭირის ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კოორდინირებულად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს გადაუდებელი ვაქცინაციის დეტალური გეგმები.

3. პერსონალმა რეგულარულად უნდა გაიაროს სწავლებები ჭირზე ეპიდემიოლოგიურ გამოკითხვასა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 21. კვების ობიექტების ნარჩენების გამოყენება

დაუშვებელია ღორების საკვებად სურსათის ნარჩენების გამოყენება.

მუხლი 22. ღორის ხორცში ჭირის ვირუსის დაშლის (გაუვნებლობის) პროცედურები

ღორის ხორცში ჭირის ვირუსის დაშლის მეთოდებია:

ა) თერმული დამუშავება, რომლის დროსაც ხორცი უნდა დამუშავდეს ერთ-ერთი მეთოდით:

ა.ა) დამუშავება 70^0 C ტემპერატურაზე, რომელიც უნდა აღწევდეს ხორცის ნაჭრების მთელ სისქეში;

ა.ბ) დამუშავება ჰერმეტულ დალუქულ ჭურჭელში (კონტეინერში) შემდეგი მაჩვენებლის გათვალისწინებით - Fo - 3,00 ან უფრო მაღალი;

ა.გ) დამუშავება ჰერმეტულ, დალუქულ ჭურჭელში (კონტეინერში) არანაკლებ 60^0 C ტემპერატურაზე 4 საათის განმავლობაში, რა პერიოდშიც ხორცის ნაჭრების სისქეში ტემპერატურა 30 წუთის

განმავლობაში უნდა იყოს 70^0 C;

ბ) ბუნებრივი ფერმენტაცია და მომწიფება:

ბ.ა) ძვლოვანი და უძვლო ღორის ხორცი უნდა დაექვემდებაროს დამუშავებას არანაკლებ 9 თვე ბუნებრივი ფერმენტაციით და მომწიფებით შემდეგი პარამეტრების მიღწევამდე Aw - 0,93 ან მეტი, pH - 6,0 ან მეტი;

ბ.ბ) შაშხი უნდა დაექვემდებაროს ბუნებრივ ფერმენტაციას და მომწიფებას სულ მცირე 190 დღე, ხოლო კისრის ნაწილები - 140 დღე;

გ) ღორის ხორცის მშრალი დამარილებით დამუშავება:

გ.ა) იტალიური ტიპის ძვლოვანი შაშხისათვის ღორის ხორცი ჯერ ექვემდებარება დამარილებას, შემდეგ გამოშრობას არანაკლებ 313 დღის განმავლობაში;

გ.ბ) ესპანური ტიპის ძვლოვანი შაშხისათვის ღორის ხორცი ჯერ ექვემდებარება დამარილებას და შემდეგ გამოშრობას 252 დღე, იბერიული შაშხისათვის - 252 დღე, 140 დღე იბერიული ბარკლისათვის, 126 დღე იბერიული კისრისათვის და 140 დღე სერანარსკის შაშხისათვის.

მუხლი 23. ღორის ტყავში და ნანადირევში ჭირის ვირუსის დაშლის პროცედურები

ღორის ტყავში და ნანადირევში, ჭირის ვირუსის შესაძლო არსებობისას, მისი დაშლისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ერთ-ერთი მეთოდი:

ა) წყალში ხარშვა იმ ხანგრძლივობით, რის შემდეგაც ცალკ-ცალკე გამოიყოფა ძვლები, კბილები და ეშვები;

ბ) გამა-სხივებით ირადიაცია 20 KG მინიმალური დოზის ოთახის ტემპერატურაზე (20^0C და მეტი);

გ) 4% კაუსტიკური სოდის ხსნარში დასველებით, არანაკლებ 48 საათი, pH 11,5-ის და მეტის პირობებში არანაკლებ 48 საათისა;

დ) ჭიანჭველამჟავას ხსნარში დასველებით (100 კგ NaCl და 12 კგ ფორმალდეჰიდი, 1000 ლ. წყალზე), pH 3,0 ან დაბალი, არანაკლებ 48 საათისა;

ე) დაუმუშავებელი ტყავის შემთხვევაში - ზღვის მარილით გაჯერებით, რომელიც უნდა შეიცავდეს 2%-იან კაუსტიკურ სოდას არანაკლებ 48 დღისა.

დანართი №7

ღორის აფრიკულ ჭირთან (ცხელებასთან) ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ღორის აფრიკული ჭირი (ცხელება) - Pestis Africana suis (შემდგომში - „აფრიკული ჭირი“) მაღალკონტაგიოზური, მწვავე ფორმით მიმდინარე ინფექციური დაავადებაა. დაავადების ამთვისებელია ყველა ასაკის და ჯიშის გარეული და შინაური ღორი. დაავადების აღმძვრელია ფილტრში გამავალი ვირუსი, რომელიც განსხვავებულია ღორის კლასიკური ჭირის გამომწვევისაგან იმუნობიოლოგიური თვისებებით. ვირუსი მდგრადია გამოშრობის, გაყინვისა და ლპობის მიმართ, სისხლსა და შრატში ძლებს 5 წელზე მეტ ხანს, ხორცსა და ძვლის ტვინში, $2^0 – 8^0$ C ტემპერატურაზე, 150 დღეს, შარდში - 60 დღეს, ხოლო ნიადაგში ვირუსი ინარჩუნებს ვირულენტობას 190 დღე.

2. ბუნებრივ პირობებში ღორის დასნებოვნება ხდება დაავადებული ცხოველის ჯანმრთელთან

კონტაქტის დროს. უმთავრესად ცხოველი ავადდება ალიმენტარული გზით (დაინფიცირებული გადაუმუშავებელი ღორის სასურსათო და არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის) საკვების ნარჩენების მიღებით, ასევე ჰაერწვეთოვანი გზით დაზიანებული კანიდან და ვირუსის მატარებელი ტკიპების კბენით. ინფექციის წყაროა ასევე შენობები, რომელშიც იმყოფებოდა დაავადებული ღორი, სასაკლაოს, საწარმოს, ხორცის დამამუშავებელი საამქროების აღჭურვილობა - იარაღები, ტრანსპორტი, ტანსაცმელი და სხვ.

3. ვირუსის გადატანა შეუძლიათ მწერებს, ტკიპებს, ხოლო სხვადასხვა ცხოველები, ფრინველები, ადამიანი, მღრღნელები წარმოადგენენ აღმძვრელის მექანიკურ გადამტანებს. ინკუბაციური პერიოდი ბუნებრივი დასნებოვნების დრო 3-დან 12 დღეა.

4. აფრიკული ჭირის დროს კლინიკური ნიშნების ჩამოყალიბება ხდება სხეულის ტემპერატურის აწევიდან 2–3 დღეში, შემდეგ ვითარდება დეპრესია, მადის დაკარგვა, სისუსტე, ყურის ნიჟარის, ცხვირის სარკის, კიდურების შიგნითა ზედაპირის, მუცლისა და მკერდის ქვედა ნაწილების სიწითლე, ციანოზი, ცხვირიდან, სწორი ნაწლავიდან სისხლის დენა, დიარეა. ღორი კვდება სხეულის ტემპერატურის აწევიდან მე-3 –მე-10 დღეს.

5. დაავადების სწრაფი მიმდინარეობა და მაღალი სიკვდილიანობა (98–100%) იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს. ზომიერად ვირულენტური ვირუსი იწვევს ნაკლები ინტენსივობის სიმპტომებს და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც 30-70%-ში მერყეობს. დაავადების ქრონიკული მიმდინარეობის სიმპტომებია: წონის დაკარგვა, წყვეტილი ცხელება, რესპირატორული სიმპტომები, კანის ქრონიკული წყლულები და ართრიტი.

6. აფრიკულ ჭირთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ღორი - ცხოველი ღორების ოჯახიდან, მათ შორის, გარეული ღორი;

ბ) გარეული ღორი - ღორი, რომლის შენახვა ან მოშენება არ ხდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე;

გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის – მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი არ მოიცავს სასაკლაოს, სატრანსპორტო საშუალებას და ასევე შემოღობილ ტერიტორიას, სადაც ბინადრობენ გარეული ღორები და მათზე ნებადართულია ნადირობა;

დ) ინფიცირებული ღორი – ღორი ან ღორის სხეული, რომელშიც კლინიკური სიმპტომებით, სიკვდილის შემდგომი დაზიანებებით ან დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით დასტურდება აფრიკული ჭირის არსებობა;

ე) აფრიკული ჭირის ეპიზოოტია (ეპიდემია) - ჭირის ერთი ან მეტი შემთხვევის გამოვლენა მოცემულ ტერიტორიაზე;

ვ) აფრიკული ჭირის პირველადი ეპიზოოტია (ეპიდემია) - დაავადების გამოვლენა, რომელიც არ არის დაკავშირებული ქვეყნის იმავე რეგიონში წინა გამოვლენასთან, ან პირველადი გამოვლენა ქვეყნის სხვა რეგიონში;

ზ) ინფიცირებული ზონა - ტერიტორია, სადაც გარეულ ღორებში დადასტურებულია აფრიკული ჭირის ერთი ან მეტი შემთხვევა და ადგილზე განხორციელდა ამ წესის მე-15 ან მე-16 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

თ) აფრიკული ჭირის პირველადი შემთხვევა გარეულ ღორებში -ნებისმიერი გამოვლენილი შემთხვევა გარეულ ღორში იმ ტერიტორიაზე, სადაც არ გატარებულა ღონისძიებები ამ წესის მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად;

ი) კონტაქტური ფერმა - ობიექტი, სადაც აფრიკული ჭირი შეიძლება გამოვლინდეს ადგილმდებარეობის, ადამიანის, ღორების ან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შედეგად ან სხვა გზით;

კ) მფლობელი - პირი, რომელსაც ჰყავს ღორი საკუთრებაში ან მფლობელობაში ფინანსური მოგების ან სხვა მიზნით;

ლ) სახელმწიფო ვეტერინარი ექიმი (შემდგომში - სახელმწიფო ვეტერინარი) - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

მ) ვეტერინარი ექიმი - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) აუდიტი - დასახული მიზნის მისაღწევად სისტემატური ან დამოუკიდებელი შემოწმება განხორციელებული საქმიანობის დაგეგმვის ეფექტიანობისა და შედეგების შესაბამისობის დასადგენად;

ო) დამუშავება - მაღალი რისკის მასალისადმი განხორციელებული ქმედების ერთ-ერთი სახე აფრიკული ჭირის ვირუსის განეიტრალების მიზნით;

პ) დაკვლა - ცხოველის სიკვდილის გამოწვევა სისხლის გამოშვებით;

ჟ) მოკვლა - ნებისმიერი პროცესი, რომელმაც გამოიწვია ცხოველის სიკვდილი;

რ) გადამტანი - Ornithodorus erraticus-ის სახეობების ტკიპა, რომელიც წარმოადგენს აფრიკული ჭირის ვირუსის გამავრცელებელს;

ს) ფერმა - ობიექტი (ფერმერული მეურნეობა, ოჯახური წარმოება), სადაც ხდება ღორების მოშენება ან შენახვა, მუდმივად ან დროებით;

ტ) დაინფიცირებაზე საეჭვო ღორი – ღორი ან ღორის სხეული, რომელშიც გამოვლენილია კლინიკური სიმპტომები ან სიკვდილის შემდგომი დაზიანებები ან დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევებით ვლინდება რეაქცია, რომელიც მიუთითებს აფრიკული ჭირის (ცხელების) შესაძლო არსებობას;

უ) დაიგნოსტიკური სახელმძღვანელო – „ტექნიკური რეგლამენტის – ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №496 დადგენილება.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 3. აფრიკული ჭირის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. აფრიკული ჭირის საეჭვო ან დადასტურებული ნებისმიერი შემთხვევის შესახებ მფლობელი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს.

2. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგებისა და აფრიკული ჭირის დადასტურების ნებისმიერი შემთხვევის (ფერმებში, სასაკლაოებში, სატრანსპორტო საშუალებებში, გარეულ ღორებში) შესახებ, სააგენტო ვალდებულია დაავადების შესახებ გაუგზავნოს შეტყობინება და

მიაწოდოს ინფორმაცია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (OIE), დადგენილი წესით.

მუხლი 4. აფრიკული ჭირის პრევენცია და საწინააღმდეგო ზომები მის არსებობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში

1. აფრიკული ჭირის ვირუსის შეტანისაგან ფერმის დაცვის მიზნით, მფლობელი ვალდებულია:

ა) ფერმა დააკომპლექტოს აფრიკულ ჭირზე კეთილსაიმედო ფერმიდან შეყვანილი ჯანმრთელი ღორებით;

ბ) ახლად შეყვანილი ღორები განათავსოს იზოლირებულად 40 დღის განმავლობაში. მხოლოდ აფრიკული ჭირის ნიშნების არარსებობის შემთხვევაში დაუშვას ისინი საერთო კოლტში ან გადაიყვანოს სხვა სადგომში ვეტერინარი ექიმის თანხმობით;

გ) არ დაუშვას:

გ.ა) აფრიკული ჭირის მიმართ არაკეთილსაიმედო ფერმასთან სამეურნეო კავშირი;

გ.ბ) კავშირი ისეთ ფერმასთან, რომელიც იყენებს ღორების საკვებად სასაკლაოს და სურსათის ნარჩენებს;

გ.გ) სხვა ღორების დაგრილება ფერმის ტერიტორიაზე მათი კუთვნილი კერატებით (მწარმოებლებით);

გ.დ) ტერიტორიაზე და ფერმაში უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ტერიტორიის და ფერმის მომსახურებასთან. ცალკეულ შემთხვევაში, ტერიტორიაზე შესვლა დასაშვებია მფლობელის ნებართვით, ვეტერინარი ექიმის თანხმობით;

გ.ე) ტერიტორიაზე და ფერმაში შესვლა სანიტარიულ გამშვებში შხაპის მიღების, სპეციალური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარეშე, ოჯახურ წარმოებაში - სპეციალური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარეშე;

გ.ვ) ღორების გადაჯგუფება სხვა სადგომში ან მის ფარგლებს გარეთ ვეტერინარი ექიმის თანხმობის გარეშე;

დ) დაიცვას ვეტერინარულ - სანიტარიული და ზოოჰიგიენური მოთხოვნები.

2. ფერმები უნდა იმყოფებოდეს დახურული ტიპის საწარმოო რეჟიმზე. ოჯახურ წარმოებაში ღორების ეზოებრივი შენახვისას, მათი გამოზრდა უნდა ხდებოდეს იზოლირებულად, სპეციალურად აგებულ სადგომებში, ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დაცვით.

3. საკვების მოსამზადებელი სათავსები განლაგებული უნდა იქნეს ფერმიდან მოშორებით და საკვების მიღების, შენახვის, მომზადების ტექნოლოგიური პროცესები ტარდებოდეს იზოლირებულად, ამ საქმიანობისათვის სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის მეშვეობით.

4. აფრიკული ჭირზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ სააგენტოს და სახელმწიფო ვეტერინარის მოსვლამდე გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გამოაცალკევოს დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო ღორები და მიამაგროს მათ მოსავლელად სპეცტანსაცმლითა და ცალკე ინვენტარით აღჭურვილი მომვლელი პერსონალი;

ბ) არ დაუშვას ტერიტორიაზე და ფერმაში უცხო პირთა შესვლა, ასევე კავშირი ფერმებს შორის;

გ) აკრძალოს ღორების შეყვანა და გაყვანა, საკვების, მოწყობილობების და ინვენტარის, ღორების დაკვლისას მიღებული ხორცის და არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის, ასევე ნედლეულის გატანა, ღორების სულადობის გადაჯგუფება ტერიტორიის შიგნით;

დ) არ დაუშვას ტრანსპორტის გამოსვლა ტერიტორიიდან სადეზინფექციო დამუშავების გარეშე, ასევე ნაკელისა და ქვეშსაგების გატანა ტერიტორიის გარეთ.

5. აფრიკულ ჭირზე ეჭვის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფო ვეტერინარის გამოცხადება ადგილზე.

6. თუ არსებობს ეჭვი, რომ ფერმაში არის აფრიკული ჭირის ვირუსით დაინფიცირებული ერთი ან მეტი ღორი, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს დაავადების არსებობის დადასტურება ან გამორიცხვა ლაბორატორიული გამოკვლევებით.

7. სახელმწიფო ვეტერინარმა ფერმაში უნდა შეამოწმოს ღორების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სააგენტოს გადაწყვეტილებით, აფრიკულ ჭირზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ფერმაზე უნდა დაწესდეს ზედამხედველობა და:

ა) განხორციელდეს სხვადასხვა კატეგორიის ყველა ღორის დათვლა, შედგეს დაავადებული, მკვდარი ან თითოეულ კატეგორიაში სავარაუდოდ ინფიცირებული ღორების რაოდენობის ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი უნდა განახლდეს ღორების დაბადების და სიკვდილის შემთხვევების გათვალისწინებით, საეჭვო პერიოდის განმავლობაში. განახლებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოში მოთხოვნისთანავე და შესაძლებელი იყოს მისი შემოწმება ყოველი ვიზიტის დროს;

ბ) ყველა ღორი შემოიზღუდოს თავიანთ სადგომში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნება მათი იზოლირება;

გ) არცერთი ღორი არ იქნეს შეყვანილი ან/და გამოყვანილი ფერმიდან. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია გააგრძელოს აკრძალვა ფერმის დატოვებაზე ცხოველთა სხვა სახეობებზეც და მოითხოვოს შესაბამისი ზომების გამოყენება მღრღნელების ან მწერების გასანადგურებლად.

9. სააგენტოს ნებართვის გარეშე, დაუშვებელია დაკლული ცხოველის სხეულის, აფრიკული ჭირის აღმძვრელით დაინფიცირებული ღორის ხორცის, მისი არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების, სპერმის, კვერცხუჯრედის და ემბრიონის, ცხოველის საკვების, ჭურჭლის, მასალების ან ნარჩენების ფერმიდან გამოტანა.

10. ფერმაში ან ფერმიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასაშვებია სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

11. შენობა-ნაგებობების, ფერმის შესასვლელებსა და გასასვლელებში მოწყობილ სანიტარიულ გამტარში, სადეზინფექციო ხალიჩებზე, სადეზინფექციო ბარიერებზე გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებები. ოჯახურ წარმოებაში გამოიყენება სადეზინფექციო ხალიჩები შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით. ფერმაში შესვლა-გამოსვლისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ჰიგიენური პროცედურები, რომელიც საჭიროა აფრიკული ჭირის ვირუსის გავრცელების რისკის შესამცირებლად; ასევე, უნდა მოხდეს ყველა სატრანსპორტო საშუალების დეზინფექცია ფერმის დატოვებამდე.

12. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა ხორციელდება ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

13. თუ ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) სიტუაცია მოითხოვს, სააგენტოს შეუძლია:

ა) გამოიყენოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ზომები, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ფერმაში, ასევე დაუშვას გამარტივებული ზომების გამოყენება მხოლოდ აფრიკული ჭირის ვირუსით სავარაუდოდ დაინფიცირებულ ღორებსა და ფერმის იმ ნაწილზე, სადაც ისინი ბინადრობენ, თუ ასეთი ღორების მოთავსება, შენახვა და კვება ხორციელდება ფერმაში არსებული სხვა ღორებისგან იზოლირებულად. ღორების მოკვლის შემდეგ აღებული უნდა იქნეს სათანადო რაოდენობის ნიმუშები, დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად აფრიკული ჭირის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით;

ბ) განსაზღვროს დროებით საკონტროლო ზონა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ფერმის გარშემო. ამ მუხლის მე-6-მე-12 პუნქტებში მითითებული ზოგიერთი ან ყველა ზომა გამოყენებული უნდა იქნეს ღორების ფერმასა და დროებითი საკონტროლო ზონის ფარგლებში.

14. ამ მუხლის მე-8-მე-12 პუნქტებში წარმოდგენილი ზომები არ უნდა გაუქმდეს აფრიკული ჭირის შესახებ ეჭვის ოფიციალურად გამორიცხვამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 5. ზომები ფერმაში აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში

1. აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ვეტერინარული კარანტინის დროს ცხოველთა საკარანტინო დაავადების აღმძვრელის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის ან სხვა შეზღუდვების დაწესებას, მოხსნას და მის გატარებაში ხელშეწყობას;

ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას.

2. აფრიკულ ჭირზე კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

3. ფერმაში აფრიკული ჭირის არსებობის ოფიციალურად დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო, ამ წესის მე-4 მუხლის მე-8-მე-12 პუნქტებში მითითებული ზომების გარდა, ადგენს:

ა) აფრიკული ჭირის ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ზედამხედველობის ქვეშ, დაუყოვნებლივ მოიკლას ფერმაში არსებული მთლიანი სულადობა;

ბ) ფერმაში აფრიკული ჭირის ვირუსის შეტანის ფორმისა და ფერმაში მისი შესაძლო არსებობის დროის ხანგრძლივობის დასადგენად, დაავადების შეტყობინებამდე, მოკლული ღორებიდან დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ლაბორატორიული გამოკვლევისათვის აღებულ იქნეს სათანადო რაოდენობის ნიმუშები;

გ) მკვდარი ან მოკლული ღორის სხეული დამუშავდეს ზედამხედველობის ქვეშ;

დ) ფერმაში დაავადების სავარაუდო შეტანის და ოფიციალური ზომების მიღების პერიოდებს შორის სასაკლაოზე დაკლული ღორების ხორცზე განხორციელდეს მიკვლევადობა, რათა ხორცი დამუშავდეს ზედამხედველობის ქვეშ;

ე) აფრიკული ჭირის ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ფერმაში დაავადების სავარაუდო შეტანის და ოფიციალური ზომების მიღების პერიოდებს შორის შეგროვებული ღორების სპერმაზე, კვერცხუჯრედზე და ემბრიონებზე განხორციელდეს მიკვლევადობა, რათა აღირიცხოს და განადგურდეს ზედამხედველობის ქვეშ;

ვ) აფრიკული ჭირის ვირუსის გაუვნებლობის მიზნით, სავარაუდოდ დაინფიცირებული ყველა ნივთიერება, როგორიცაა ფურაჟი და ნარჩენი, დამუშავდეს. ერთჯერადი მოხმარების მასალა,

რომელიც შეიძლება დაინფიცირდეს, განსაკუთრებით, დაკვლის დროს გამოყენებული მასალა-ინვენტარი, განადგურდეს სახელმწიფო ვეტერინარის მითითებებითა და ზედამხედველობით;

ზ) ღორების განთავსებისთვის გამოყენებული შენობები, ასევე, სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობები, ქვეშსაგები, რომელიც გამოყენებული იყო ცოცხალი ან გატყავებული და გამოშიგნული ღორების ტრანსპორტირებისთვის, გაიწმინდოს და მოხდეს მათი დეზინფექცია ან დამუშავება ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, მათ შორის, ნაკელისა და წუნწუხის;

თ) აფრიკული ჭირის პირველადი ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში, დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად დადგინდეს ვირუსის გენეტიკური ტიპი;

ი) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა განხორციელდეს ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

4. ლაბორატორიაში, ზოოპარკში, დაცულ ტერიტორიებზე, სამონადირეო მეურნეობების ან შემოღობილ ტერიტორიაზე, სადაც ღორების შენახვა ხდება მეცნიერული მიზნებისთვის, სახეობების ან იშვიათი ჯიშების დაცვისათვის, ეპიზოოტიის (ეპიდემიის) დადასტურების შემთხვევაში, სააგენტომ შესაძლებელია არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, თუ იგი ნეგატიურად არ აისახება ეპიზოოტიურ (ეპიდემიოლოგიურ) კეთილსაიმედოობაზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 6. ზომები აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში ფერმებში, რომლებიც შედგება სხვადასხვა საწარმოო-სამეურნეო ერთეულ(ებ)ისაგან

აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში, ფერმებში, რომლებიც შედგება ორი ან მეტი საწარმოო-სამეურნეო ერთეულ(ებ)ისაგან, სადაც შესაძლებელია ღორების გასუქების დასრულება, სააგენტოს შეუძლია არ განახორციელოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, თუ სახელმწიფო ვეტერინარი დაადასტურებს, რომ აღნიშნულ საწარმოო-სამეურნეო ერთეულებს შორის მანძილი, ზომა და მოწყობა ისეთია, რომ ისინი წარმოადგენენ ღორების განთავსებისათვის, შენახვისათვის და გამოკვებისათვის ცალკე შენობა-ნაგებობებს და აფრიკული ჭირის გავრცელება ერთი შენობიდან მეორეში შეუძლებელია.

მუხლი 7. ზომები კონტაქტურ ფერმებში

1. კონტაქტურია ფერმა, თუ სახელმწიფო ვეტერინარი ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგად აღმოაჩენს ან ჩათვლის, რომ აფრიკული ჭირის გამომწვევი ვირუსი შეტანილია ამ წესის მე-4 ან მე-5 მუხლში მითითებული ფერმიდან.

2. აფრიკული ჭირის არსებობაზე ეჭვის გამორიცხვამდე გამოიყენება ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ კონტაქტურ ფერმებში, თუ ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემოლოგიური) სიტუაცია ამგვარად მოითხოვს, სააგენტომ უნდა გამოიყენოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ზომები.

4. აფრიკული ჭირის ვირუსის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით, კონტაქტურ ფერმებში მოკლული ღორებისგან დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად აღებულ უნდა იქნეს ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევისათვის.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 8. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა

1. აფრიკული ჭირის პირველად ეპიზოოტიასთან (ეპიდემიასთან) ან საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემოლოგიური) გამოკითხვა ხორციელდება კითხვარების

საფუძველზე, რომლებიც მომზადებულია ამ წესის მე-19 მუხლში მითითებული საგანგებო გეგმის ფარგლებში.

2. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემოლოგიური) გამოკითხვა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, აფრიკული ჭირის ვირუსის ფერმაში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) ფერმაში აფრიკული ჭირის შესაძლო წარმოშობასა და სხვა ფერმების იდენტიფიკაციას, სადაც ღორები შეიძლება დაინფიცირდეს იმავე წყაროდან;

გ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ღორების, მოკლული ღორის სხეულების, ხორცის, სპერმის ან ნებისმიერი მასალის გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია ვირუსის გადატანა დაინფიცირებული ფერმიდან სხვა ფერმებში;

დ) გადამტანების ან გარეული ღორების მიერ დაავადების გავრცელების შესაძლებლობას.

3. თუ გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ აფრიკული ჭირი შეიძლება გავრცელდეს მეზობელ სახელმწიფოებში, მათ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამის შესახებ.

მუხლი 9. დამცავი და საკონტროლო ზონების შექმნა

1. აფრიკული ჭირის დიაგნოზის ოფიციალურად დადასტურებისთანავე, სააგენტომ, ეპიზოოტიის (ეპიდემიის) კერის გარშემო არანაკლებ 3 კმ-ის რადიუსით, უნდა შექმნას დამცავი ზონა, რომელიც შედის არანაკლებ 10 კმ-ის რადიუსის საკონტროლო ზონაში. ამ წესის მე-10 და მე-11 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები გატარებული უნდა იქნეს შესაბამის ზონებში.

2. ზონების შექმნისას, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგები;

ბ) გეოგრაფიული მდებარეობა, განსაკუთრებით ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები;

გ) ფერმების ადგილმდებარეობა და სიახლოვე;

დ) ღორების გადაადგილებისა და ვაჭრობის პრინციპები, სასაკლაოების ხელმისაწვდომობა და საწარმოები ტანხორცის გადამუშავებისათვის;

ე) შენობა-ნაგებობები და პერსონალი, რომელიც აკონტროლებს ღორების ნებისმიერ გადაადგილებას, თუ მოსაკლავი ღორები გაყვანილი უნდა იქნეს მათი წარმოშობის ფერმებიდან.

3. თუ ზონა მოიცავს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ნაწილსაც, სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან ზონის დადგენის საკითხზე.

4. სააგენტომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის,, გამოიყენოს შესამჩნევი აღნიშვნები და გამაფრთხილებელი შეტყობინებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, დამცავ და საკონტროლო ზონებში მყოფი პირების ინფორმირებისათვის ამ წესის მე-10 და მე-11 მუხლებით დადგენილი შეზღუდვების შესახებ.

მუხლი 10. ზომები შექმნილ დამცავ ზონაში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამცავ ზონებში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) ფერმების აღწერა შესაძლო მოკლე დროში, რომლთა დათვალიერებისას სახელმწიფო ვეტერინარმა უნდა შეამოწმოს:

ა.ა) ღორების კლინიკური მდგომარეობა;

ა.ბ) ღორების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ან პირის მფლობელობაში არსებულ გზებზე ღორების გადაადგილების და ტრანსპორტირების აკრძალვა, თუ ეს ღონისძიებები არ ზღუდავს ფერმებთან დაკავშირებას და ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით მითითებული გადაადგილება ნებადართული არ იქნება სააგენტოს მიერ. აღნიშნული აკრძალვა არ გამოიყენება ღორების ავტომაგისტრალით ან რკინიგზით გადაყვანისას, გადმოტვირთვის ან შესვენების გარეშე. შეზღუდვა ვრცელდება დამცავი ზონის ფარგლებს გარე ტერიტორიიდან მომავალ და აღნიშნულ ზონაში მდებარე სასაკლაოსკენ მიმავალ გზაზეც;

გ) სატვირთო ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობები, რომელიც შეიძლება ინფიცირებული იყოს, გაწმენდა (გარეცხვა), მათი დეზინფექცია ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ღორების გადაზიდვაში (გადაყვანაში) გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება არ შეიძლება გავიდეს დამცავი ზონიდან გაწმენდისა (გარეცხვის) და დეზინფექციის, შემდგომში კი სააგენტოს ნებართვის გარეშე;

დ) სხვა შინაური ცხოველების ფერმაში შეყვანა ან ფერმიდან გაყვანის აკრძალვა სააგენტოს თანხმობის გარეშე;

ე) ფერმაში დაავადებული ღორებისა და მათი სიკვდილიანობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ნიმუშების აღების უზრუნველყოფა დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გატარება;

ვ) ღორების ფერმიდან გაყვანის აკრძალვა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ ინფიცირებული ფერმის დასუფთავების, დეზინფექციის ან დეზინსექციის დასრულებიდან არანაკლებ 40 დღის მანძილზე. 40 დღის შემდგომ ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სააგენტოს შეუძლია დაუშვას აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი ტრანსპორტირებულნი იქნებიან პირდაპირ:

ვ.ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე, უმჯობესია დამცავი ან საკონტროლო ზონის ფარგლებში, დაუყოვნებლივ დაკვლის მიზნით;

ვ.ბ) გადასამუშავებელ საწარმოში ან შესაბამის ადგილზე, სადაც ხდება ღორების დაუყოვნებლივ მოკვლა და მათი სხეულის დამუშავება, სააგენტოს ზედამხედველობოს ქვეშ;

ვ.გ) გამონაკლის შემთხვევებში დამცავი ზონის ფარგლებში მდებარე სხვა შენობა-ნაგებობებში;

ზ) დამცავ ზონაში მდებარე ფერმებიდან ღორების სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონების გატანის აკრძალვა;

თ) ფერმაში შესვლისას ან გამოსვლისას შესაბამისი ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აკრძალვები გაგრძელდება 40 დღეზე მეტ ხანს, დაავადების შემდგომი ეპიზოოტიის (ეპიდემიის) ან ღორების შენახვისას წარმოქმნილი ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ან სხვა პრობლემების შედეგად, ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სააგენტოს შეუძლია მფლობელის მიერ დასაბუთებული მიმართვის შემდეგ, დაუშვას დამცავი ზონაში მდებარე ფერმიდან ღორების გადაყვანა, რომელთა ტრანსპორტირება უნდა მოხდეს პირდაპირ:

ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე, უმჯობესია დამცავი ან საკონტროლო ზონის ფარგლებში დაუყოვნებლივ დაკვლის მიზნით;

ბ) დასამუშავებელ საწარმოში ან შესაბამის ადგილზე, სადაც ხდება ღორების დაუყოვნებლივ მოკვლა და მათი სხეულის დამუშავება, სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

გ) გამონაკლის შემთხვევებში, დამცავი ზონის ფარგლებში მდებარე სხვა შენობა-ნაგებობებში.

3. სააგენტოს შეუძლია დაუშვას აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა, იმ პირობით, რომ:

ა) სახელმწიფო ვეტერინარი განახორციელებს ფერმაში არსებული და გადასაყვანი ღორების კლინიკურ შემოწმებას და მათი სხეულის ტემპერატურის გაზომვას დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;

ბ) განახორციელებს ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შემოწმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული შემოწმებით არ დასტურდება აფრიკული ჭირის არსებობა;

დ) სატრანსპორტო საშუალებები, სადაც მოთავსებულია ღორები, დალუქულია სააგენტოს მიერ;

ე) სატრანსპორტო საშუალება და მოწყობილობა დაუყოვნებლივ გასუფთავდება (გაირეცხება) და მოხდება მისი დეზინფექცია ტრანსპორტირების შემდეგ, ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) ღორების მოკვლის ან დაკვლის შემდეგ დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად აღებული საკმარისი რაოდენობის ნიმუშები გაიგზავნება ლაბორატორიაში, ფერმაში ჭირის არსებობის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით;

4. თუ ღორების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სასაკლაოზე:

ა) სახელმწიფო ვეტერინარი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სასაკლაოზე დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ პროცესებს, ინფორმირებული უნდა იყოს ღორების სასაკლაოზე გაგზავნის შესახებ და ამის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს;

ბ) სასაკლაოზე ღორების დაბინავება და დაკვლა უნდა მოხდეს ღორების სხვა პარტიისაგან განცალკევებით;

გ) სასაკლაოზე ღორების დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი შემოწმების დროს, სახელმწიფო ვეტერინარმა უნდა გაითვალისწინოს აფრიკული ჭირის არსებობის ნიშნები.

5. ასეთი ღორის ხორცის ნიშანდება უნდა მოხდეს სპეციალური შტამპით, შტამპი უნდა იყოს ოვალური ფორმის, რომელზეც გავლებულია ორი პარალელური სწორი ხაზი, მათ შორის, მანძილი არანაკლებ 1 სმ-ს უნდა შეადგენდეს, ხაზი უნდა კვეთდეს ოვალური ფორმის წრეს ისე, რომ იქ არსებული ინფორმაცია გარკვევით იკითხებოდეს, ამასთან ორი პარალელური ხაზი ისევე აშკარა უნდა იყოს, როგორც ნიშნის გარე კიდე ან ასეთი ღორის ხორცი ექვემდებარება განაცალკევებით გადამუშავებას და ის შეიძლება ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში იმ შემთხვევაში, თუ ხორცს გავლილი აქვს სითბური დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში, ცენტრისკენული ძალით 3,00 ან მეტი.

6. დამუშავება უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ დაწესებულებაში, სადაც ხორცი უნდა გაიგზავნოს დალუქულ მდგომარეობაში.

7. ამ მუხლის პირველი-მე-6 პუნქტებით დადგენილი ზომების გამოყენება დამცავ ზონაში უნდა გაგრძელდეს:

ა) დაინფიცირებული ფერმების გაწმენდის და დეზინფექციის განხორციელებამდე;

ბ) ყველა ფერმის ღორების კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმების დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად განხორციელებამდე აფრიკული ჭირის ვირუსის არსებობის შესაძლო გამოვლენის მიზნით;

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტსა და მე-2 პუნქტში მითითებული 40-დღიანი პერიოდი

შეიძლება შემცირდეს 30 დღემდე იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ინტენსიური ნიმუშის აღებისა და შემოწმების პროგრამა, რომელიც აფრიკული ჭირის არსებობის ეჭვის გამორიცხვის შესაძლებლობას იძლევა.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული შემოწმებები არ უნდა განხორციელდეს დაინფიცირებული ფერმების წინასწარი გასუფთავების და დეზინფექციის საჭიროებისას, დეზინსექციის დასრულებიდან 45 დღის გასვლამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 11. ზომები შექმნილ საკონტროლო ზონაში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ საკონტროლო ზონებში გამოყენებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) ღორის ყველა ფერმის აღწერა;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ან პირის მფლობელობაში არსებულ გზებზე ღორების გადაადგილების და ტრანსპორტირების აკრძალვა, თუ ეს ღონისძიებები არ ზღუდავს ფერმებთან დაკავშირებას. აღნიშნული არ ეხება ღორების ავტომაგისტრალით ან რკინიგზით გადაყვანას გადმოტვირთვის ან შეჩერების გარეშე. სააგენტოს გადაწყვეტილებით, შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს საკონტროლო ზონის ფარგლების გარე ტერიტორიიდან მომავალ და სასაკლაოს (თუ ის მდებარეობს საკონტროლო ზონაში) მიმართულებით ღორების დაუყოვნებლივ დაკვლისათვის გამოყენებულ გზაზეც;

გ) სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა ღორების და სხვა შინაური ცხოველების ან მასალის ტრანსპორტირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაინფიცირებული იყოს (მაგალითად, ღორის სხეულით, ფურაჟით, ნაკელით და სხვა), უნდა გაიწმინდოს, მოხდეს მათი დეზინფექცია და დამუშავება დაინფიცირებიდან შესაძლო მოკლე დროში ამ წესის მე-12 მუხლში განსაზღვრული დებულებების და პროცედურების შესაბამისად. ღორების გადაზიდვაში გამოყენებული სატვირთო ან სხვა სატრანსპორტო საშუალება არ შეიძლება გავიდეს აღნიშნული ზონიდან გაწმენდის და დეზინფექციის და შემდეგ სააგენტოს შემოწმების და ნებართვის გარეშე;

დ) სხვა შინაური ცხოველის ფერმაში შეყვანისა ან ფერმიდან გამოყვანის აკრძალვა ზონის შექმნიდან პირველი შვიდი დღის განმავლობაში ნებართვის გარეშე;

ე) ფერმაში მკვდარი ან დაავადებული ღორის დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად განსაზღვრული პროცედურების ჩატარება;

ვ) ფერმიდან ღორების გაყვანის დაუშვებლობა ინფიცირებული ფერმის დასუფთავების, დეზინფექციის და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექციის დასრულებიდან სულ მცირე 30 დღის მანძილზე. 30 დღის შემდეგ ამ წესის მე - 10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს შეუძლია დაუშვას აღნიშნული ფერმიდან ღორების გაყვანა იმ პირობით, რომ მათი გადაყვანა მოხდება პირდაპირ:

ვ.ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე, უმჯობესია დამცავი ან საკონტროლო ზონის ფარგლებში დაუყოვნებლივ დაკვლის მიზნით;

ვ.ბ) გადასამუშავებელ საწარმოში ან შესაბამის ადგილზე, სადაც მოხდება ღორების დაუყოვნებლივ მოკვლა და მათი სხეულის დამუშავება, სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

ვ.გ) გამონაკლის შემთხვევებში დამცავი და საკონტროლო ზონის ფარგლებში მდებარე სხვა შენობა-ნაგებობებში;

ზ) საკონტროლო ზონაში მდებარე ფერმიდან ღორების სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონის გატანის აკრძალვა;

თ) ფერმაში შესვლისას ან გამოსვლისას შესაბამისი ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა.

2. საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორთან შეთანხმების გათვალისწინებით, სააგენტოს შეუძლია სასაკლაოზე ტრასპორტირებულ და დაკლულ ღორებთან მიმართებაში არ გაითვალისწინოს ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-4-მე-6 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, ასეთი ღორის ხორცის ნიშანდებასთან, მის შემდგომ გამოყენებასთან, დამუშავებული პროდუქტის საბოლოო გამოყენების ადგილთან დაკავშირებით.

3. თუ ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ზომები გაგრძელდა 40 დღეზე მეტი, სააგენტოს შეუძლია ფერმის მფლობელის დასაბუთების შემდეგ დაუშვას ღორების ფერმიდან გაყვანა საკონტროლო ზონაში, რომელთა ტრანსპორტირება უნდა მოხდეს პირდაპირ:

ა) სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სასაკლაოზე, უმჯობესია დამცავი ან საკონტროლო ზონის ფარგლებში, დაუყოვნებლივ დაკვლის მიზნით;

ბ) გადასამუშავებელ საწარმოში ან შესაბამის ადგილზე, სადაც ხდება ღორების დაუყოვნებლივ მოკვლა და მათი სხეულის დამუშავება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

გ) გამონაკლის შემთხვევებში, დამცავი ზონის ან საკონტროლო ზონის ფარგლებში მდებარე სხვა შენობა-ნაგებობებში.

4. ამ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებული ზომების გამოყენება საკონტროლო ზონაში უნდა გაგრძელდეს:

ა) ინფიცირებული ფერმის გაწმენდის (გარეცხვის), დასუფთავების, დეზინფექციის და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექციის განხორციელებამდე;

ბ) ფერმის ყველა ღორის კლინიკურ და, საჭიროების შემთხვევაში, დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ჩატარებულ ლაბორატორიულ შემოწმებამდე, აფრიკული ჭირის გამომწვევი ვირუსის გამოვლინების მიზნით;

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული პერიოდი შესაძლოა, შემცირდეს 21 დღემდე, მე-3 პუნქტში მითითებული პერიოდი – 30 დღემდე, თუ გამოიყენება დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად ინტენსიური ნიმუშის აღებისა და შემოწმების პროგრამა, რომელიც აფრიკული ჭირის არსებობის ეჭვის გამორიცხვის შესაძლებლობას იძლევა.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული შემოწმებების განხორციელება დაუშვებელია ინფიცირებული ფერმის წინასწარი დასუფთავების, დეზინფექციის და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექციის დასრულებიდან 40 დღის გასვლამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 12. დასუფთავება, დეზინფექცია და ინსექტიციდებით დამუშავება

1. დასუფთავების, დეზინფექციის და ინსექტიციდებით დამუშავების პრინციპები და პროცედურებია:

ა) დასუფთავების, დეზინფექციის და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექციის სამუშაოების განხორციელება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

ბ) აფრიკული ჭირის ვირუსის განადგურების მიზნით, გამოსაყენებელი სადეზინფექციო საშუალებებისა და მათი კონცენტრაციების გამოყენება სააგენტოს ნებართვით;

გ) სადეზინფექციო საშუალებების მოქმედების შემოწმება გამოყენებამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკრეტული სადეზინფექციო საშუალებების მოქმედების შესუსტება ხანგრძლივი შენახვის შედეგად;

დ) სადეზინფექციო საშუალებების და დეზინფექციის პროცედურების შერჩევის განხორციელება შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და იმ ობიექტების ტიპის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დამუშავდეს;

ე) ცხიმის გამცლელი ნივთიერებების და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება ისეთ პირობებში, რომ ზიანი არ მიადგეს ან არ შემცირდეს აღნიშნული ნივთიერებების ეფექტურობა. კერძოდ, დაცული უნდა იყოს გამოსაყენებელო საშუალების თანმხლებ ინსტრუქციაში მითითებული პირობები, როგორიცაა: წნევა, მინიმალური ტემპერატურა და საჭირო საკონტაქტო დრო;

ვ) გამოსაყენებელი საშუალების თანმხლებ ინსტრუქციაში მითითებული პირობებთან ერთად, შემდეგი საერთო წესების დაცვა:

ვ.ა) სადენზიფექციო საშუალებებით ქვეშსაფენის და ფეკალური მასის სრული გაჟღენთვა;

ვ.ბ) სადგომების დემონტაჟის შემდეგ მიწის, იატაკის, ჭერისა და კედლების, ასევე მოწყობილობებისა და ინსტალაციების გაწმენდა-გასუფთავება და ჯაგრისით გახეხვა;

ვ.გ) გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოყენებული წყლის გაუვნებელყოფა ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული აფრიკული ჭირის გავრცელების რისკი;

ვ.დ) წნევით სითხეებით წმენდისას, უკვე გასუფთავებული ნაწილის ხელახალი დაბინძურების თავიდან აცილება;

ვ.ე) სავარაუდოდ დაბინძურებული მოწყობილობის, დანადგარების და საგნების გაწმენდა, დეზინფექცია ან განადგურება;

ვ.ვ) დეზინფექციის დამთავრების შემდეგ, განმეორებითი დაბინძურების თავიდან აცილება;

ვ.ზ) დასუფთავებისა და დეზინფექციების პროცედურებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების შესახებ შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება დამოწმებული სახელმწიფო ვეტერინარის მიერ, რომელიც უნდა ინახებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთან.

2. ინფიცირებული ფერმების დასუფთავებისა და დეზინფექციის სპეციფიკური მოთხოვნებია:

ა) წინასწარი გაწმენდა და დეზინფექცია, რომლის დროსაც:

ა.ა) ცხოველების მოკვლისას მიღებულ უნდა იქნეს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი აფრიკული ჭირის ვირუსის გავრცელება. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს დროებითი სადეზინფექციო მოწყობილობის დამონტაჟებას, დამცავი ტანსაცმლის, შხაპების უზრუნველყოფას, გამოყენებული მოწყობილობის, ინსტრუმენტების და შენობა-ნაგებობების გაწმენდას, ვენტილაციისთვის ენერგომომარაგების შეწყვეტას;

ა.ბ) მოკლული ღორების სხეულები უნდა გაიჟღინთოს სადეზინფექციო საშუალებებით;

ა.გ) ფერმიდან ღორების სხეულის გატანის აუცილებლობისას მათი დამუშავების მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს დახურული და წყალშეუღწევადი კონტეინერები;

ა.დ) დამუშავების მიზნით, ღორების სხეულის გატანისთანავე, ფერმის ის ნაწილები, რომელშიც განთავსებული იყვნენ ეს ცხოველები და სხვა ადგილები, რომლებიც დაბინძურდა ღორების მოკვლის ან დაკვლისშემდგომი შემოწმების დროს, უნდა დამუშავდეს, ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად გამოსაყენებლად ნებადართული სადეზინფექციო საშუალებებით;

ა.ე) ნებისმიერი ქსოვილი ან სისხლი, რომელმაც შეიძლება გამოჟონოს დაკვლის ან დაკვლისშემდგომი შემოწმების ან შენობების, ეზოების, ჭურჭლის ან სხვ. მასობრივი დაბინძურების დროს, ფრთხილად უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს;

ა.ვ) გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებები დამუშავებულ ზედაპირზე უნდა დარჩეს მინიმუმ 24 საათის განმავლობაში;

ბ) საბოლოო გაწმენდა და დეზინფექცია, რომლის დროსაც:

ბ.ა) ნაკელი და ქვეშსაგები გატანილი და დამუშავებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ.ბ) ცხიმი და ჭუჭყი მოცილებულ უნდა იქნას ყველა ზედაპირიდან ცხიმის მომცილებელი ნივთიერებების გამოყენებით და ზედაპირები უნდა დამუშავდეს წყლით;

გ) წყლით გარეცხვის შემდეგ, დამატებითი სადეზინფექციო საშუალებების შესხურება;

დ) შვიდი დღის შემდეგ, შენობა-ნაგებობების ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებებით დამუშავება, წყლის გადავლება, სადეზინფექციო საშუალებების შესხურება და განმეორებით წყლის გადავლება.

3. დაბინძურებული ქვეშსაგების, ნაკელისა და წუნწუხის დეზინფექციისას:

ა) ნაკელი და გამოყენებული ქვეშსაგები უნდა შეგროვდეს, შესხურდეს სადეზინფექციო საშუალებები და დაყოვნდეს არანაკლებ 42 დღის განმავლობაში ან განადგურდეს დაწვით ან მიწაში დამარხვით;

ბ) წუნწუხი დაყოვნებულ უნდა იქნეს არანაკლებ 60 დღე დაინფიცირებული მასალის ბოლო დამატებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სააგენტო დაუშვებს შენახვის შემცირებულ ვადას წუნწუხისათვის, რომელიც დამუშავდა სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

4. ღია ფერმების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს გაწმენდის და დეზინფექციის სპეციალური პროცედურები ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, ფერმის ტიპისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 13. ფერმაში ღორის რეპოპულაცია (აღწარმოება) ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემდეგ

1. დაუშვებელია ამ წესის მე-5 მუხლში მითითებული ფერმის ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება), ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილი გასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან არანაკლებ 40 დღის განმავლობაში.

2. ღორის რეპოპულაციის (აღწარმოების) დროს, სადაც დაავადების გამოვლენა არ უკავშირდება გადამტანებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფერმაში გამოყენებული ღორების გამოზრდის ტექნოლოგია. ასეთ შემთხვევაში:

ა) ღია ტიპის ფერმაში ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) უნდა მოხდეს ინდიკატორული ღორების შეყვანით, რომლებიც შემოწმებულია და გამოვლენილია აფრიკული ჭირის მიმართ ანტისხეულების არსებობის ნეგატიური შედეგი ან ღორები არიან იმ ფერმიდან, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას აფრიკულ ჭირთან დაკავშირებით. ინდიკატორული ღორები უნდა განთავსდნენ სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად, ინფიცირებული ფერმის მთელ ტერიტორიაზე. ფერმაში განთავსებიდან 45 დღის შემდეგ, უნდა მოხდეს ნიმუშის აღება და შემოწმება ანტისხეულების არსებობაზე დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად. არცერთმა ღორმა არ უნდა დატოვოს ფერმა სეროლოგიური გამოკვლევებით უარყოფითი შედეგის მიღებამდე; თუ არცერთ ღორს არ განუვითარდა ანტისხეულები აფრიკული ჭირის მიმართ, შესაძლებელი იქნება მათი სრული გამრავლება;

ბ) სხვა ტიპის ფერმებში ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) უნდა განხორციელდეს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში წარმოდგენილი საერთო რეპოპულაციის (აღწარმოების) საფუძველზე იმ პირობით, რომ:

ბ.ა) ყველა ღორი შეყვანილი იქნება 20 დღის განმავლობაში იმ ფერმებიდან, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ შეზღუდვებს აფრიკულ ჭირთან დაკავშირებით;

ბ.ბ) განმეორებით გამრავლებულ კოლტში არსებული ღორები დაექვემდებარება სეროლოგიურ გამოკვლევას დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად. ასეთი შემოწმებისათვის ნიმუშების აღება უნდა განხორციელდეს ღორების ბოლო შეყვანიდან 45 დღის შემდეგ;

ბ.გ) ღორების გაყვანა არ მოხდება ფერმიდან სეროლოგიური გამოკვლევებით უარყოფითი შედეგის

მიიღებამდე.

3. იმ ფერმების შემთხვევაში, სადაც დაავადების გამოვლენა უკავშირდება გადამტანებს, რეპოპულაცია (აღწარმოება) არ უნდა მოხდეს არანაკლებ ექვსი წლის განმავლობაში, თუ:

ა) იმ შენობებში და ადგილებში, სადაც დაგეგმილია ღორების რეპოპულაცია (აღწარმოება) და შესაძლებელია მათი კონტაქტი გადამტანთან, სათანადო ზედამხედველობის ქვეშ არ განხორციელდება სპეციალური სამუშაოები გადამტანების აღმოფხვრის მიზნით;

ბ) არსებული გადამტანის არსებობა აღარ წარმოადგენს აფრიკული ჭირის გადატანის მნიშვნელოვან რისკს, რომლის შემდეგ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ზომები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ზომების გარდა, არცერთმა ღორმა არ უნდა დატოვოს ფერმა სრული რეპოპულაციის (აღწარმოების) შემდეგ, სანამ არ მიიღება უარყოფითი შედეგი აფრიკულ ჭირზე სეროლოგიური შემოწმებით დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად. ფერმაში ღორებიდან ნიმუშის აღება ხდება სრული რეპოპულაციიდან (აღწარმოებიდან) 60 დღის შემდეგ.

5. სააგენტოს, ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) სიტუაციის გათვალისწინებით, შეუძლია არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, თუ დაავადების გამოვლენა არ უკავშირდება გადამტანებს და ფერმაში დასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების დასრულებიდან გასულია ექვს თვეზე მეტი.

6. ამ წესის მე-5 მუხლში მითითებულ ფერმაში შინაური ცხოველების რეინტროდუქცია უნდა განხორციელდეს სააგენტოს ნებართვის საფუძველზე და გათვალისწინებული უნდა იყოს ინფექციის გავრცელების ან/და რეინტროდუქციის შედეგად გადამტანების არსებობის რისკი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 14. ზომები აფრიკული ჭირის არსებობის შესახებ ეჭვის მიტანის და დადასტურების შემთხვევაში სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში

1. სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში აფრიკული ჭირის გაჩენაზე ეჭვის მიტანისას, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დაავადების დადასტურება ან გამორიცხვა დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოთი განსაზღვრული პროცედურებით.

2. სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში, აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს:

ა) სასაკლაოზე ან სატრანსპორტო საშუალებებში მყოფი დაავადებაზე საეჭვო ყველა ღორის დაუყოვნებლივ მოკვლა;

ბ) ღორის სხეულ(ებ)ის, შინაგანი ორგანოების და ცხოველური ნარჩენის დამუშავება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

გ) შენობების და მოწყობილობების, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება, დეზინფექცია და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექცია სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

დ) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვა ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად;

ე) აფრიკული ჭირის გენეტიკური ტიპის დადგენა დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ლაბორატორიული გამოკვლევით.

3. ამ წესის მე-7 მუხლში მითითებული ზომები გამოიყენება კონტაქტურ ფერმებში და იმ ფერმებში, საიდანაც არიან ინფიცირებული ღორები ან მათი სხეულები. ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები გამოიყენება დაინფიცირებული ღორების ან მათი სხეულების წარმოშობის ფერმაში, თუ ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. დაუშვებელია სასაკლაოზე სხვა ცხოველის დაკვლა ან სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვა ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული დასუფთავების, დეზინფექციის და, საჭიროების შემთხვევაში, დეზინსექციის სამუშაოს დასრულებიდან არანაკლებ 24 საათის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 15. ზომები გარეულ ღორებში აფრიკული ჭირის არსებობის ეჭვის ან დადასტურების შემთხვევაში

1. სააგენტომ, გარეული ღორების სავარაუდო დაინფიცირების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რომ აფრიკული ჭირის არსებობის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით, გამოიკვლიონ და ლაბორატორიულად შეამოწმონ ყველა ნანადირევი და მკვდარი ღორის სხეული და მიაწოდოს ინფორმაცია მფლობელებსა და მონადირეებს.

2. გარეულ ღორებში აფრიკული ჭირის პირველადი შემთხვევის დადასტურებისთანავე, დაავადების გავრცელების აღსაკვეთად ან შესამცირებლად, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) შექმნას ექსპერტთა ჯგუფი ვეტერინარი ექიმების, მონადირეების, ბიოლოგების, ეპიდემიოლოგების შემადგენლობით, რომელიც სააგენტოს დაეხმარება:

ა.ა) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) სიტუაციის შესწავლასა და დაინფიცირებული ზონის დადგენაში ამ წესის მე-16 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული დებულებების მიხედვით;

ა.ბ) დაინფიცირებულ ტერიტორიაზე გამოსაყენებელი შესაბამისი ზომების განსაზღვრაში, გარდა ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნადირობისა და გარეული ღორის ხორცის საკვებად გამოყენების აკრძალვას;

ა.გ) აფრიკული ჭირის ლიკვიდაციის გეგმის შედგენაში;

ა.დ) აუდიტის ჩატარებაში, ინფიცირებული ტერიტორიიდან აფრიკული ჭირის ლიკვიდაციისათვის გატარებული ზომების ეფექტიანობის დადგენის მიზნით;

ბ) განსაზღვრულ დაინფიცირებულ ტერიტორიაზე არსებული ღორების ფერმები დაუყოვნებლივ აიყვანოს ზედამხედველობის ქვეშ, რომელის დროსაც:

ბ.ა) მფლობელმა ყველა ფერმაში აღრიცხოს ყველა კატეგორიის ღორი და მოპოვებული ინფორმაცია მოთხოვნისთანავე წარადგინოს სააგენტოში. ღია ტიპის ღორების ფერმებში პირველი აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს სავარაუდო შეფასების საფუძველზე;

ბ.ბ) უზრუნველყოფილ იქნეს ფერმაში არსებული ყველა ღორის გარეული ღორებისგან იზოლირება. დაუშვებელია გარეული ღორების წვდომა ისეთ მასალაზე, რომელიც შესაძლოა შემდგომ კონტაქტში იყოს ფერმის ღორებთან;

ბ.გ) არცერთი ღორი არ იქნეს შეყვანილი და გამოიყვანილი ფერმიდან სააგენტოს ნებართვის გარეშე;

ბ.დ) ფერმის და შენობების შესასვლელებში და გამოსასვლელებში მოეწყოს შესაბამისი, სადეზინფექციო ბარიერი, სადეზინფექციო ხალიჩები ან გამტარები და, საჭიროების შემთხვევაში, სადეზინფექციო საშუალებებთან ერთად გამოყენებულ იქნეს დეზინსექციის საშუალებები;

ბ.ე) ფერმაში შემსვლელმა ყველა პირმა, აფრიკული ჭირის ვირუსის გავრცელების რისკის შემცირების მიზნით, დაიცვას სათანადო ჰიგიენური ზომები;

ბ.ვ) ფერმაში აფრიკული ჭირის სიმპტომებით მკვდარი ყველა ღორიდან აღებული ნიმუში აფრიკული ჭირის ვირუსის დადგენის ან გამორიცხვის მიზნით გადაიგზავნოს ლაბორატორიაში;

გ) არ დაუშვას მოკლული ან მკვდარი გარეული ღორის ნაწილების, აგრეთვე ნებისმიერი მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შესაძლოა დაინფიცირებული იყოს აფრიკული ჭირის ვირუსით შეტანა ღორების ფერმაში;

დ) აკრძალოს ვაჭრობის მიზნით დაინფიცირებული ტერიტორიიდან ცოცხალი ღორების გაყვანა, მათი სპერმის, ემბრიონის ან კვერცხუჯრედის გატანა;

ე) უზრუნველყოს, რომ დაინფიცირებულ ტერიტორიაზე მონადირებული ან მკვდარი ყველა ღორი შემოწმდეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ აფრიკული ჭირის არსებობაზე დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად. დადებითი შედეგის შემთხვევაში, ღორის სხეული უნდა დამუშავდეს სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, დასაშვებია გარეული ღორის ხორცის ბაზარზე განთავსება ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის. ნაწილები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, უნდა დამუშავდეს სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

ვ) უზრუნველყოს ლაბორატორიული გამოკვლევით, აფრიკული ჭირის გენეტიკური ტიპის დადგენა.

3. იმ შემთხვევაში, თუ გარეულ ღორებში გამოვლინდება აფრიკული ჭირი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიასთან ახლოს, აღნიშნულმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ დაავადების აღმოფხვრისათვის.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 16. გარეული ღორების პოპულაციაში აფრიკული ჭირის აღმოფხვრის გეგმა

ამ წესის მე-15 მუხლით დადგენილი ზომების თანახმად, სააგენტომ, გარეულ ღორებში აფრიკული ჭირის პირველადი შემთხვევის დადასტურებიდან მოკლე პერიოდში, უნდა შეიმუშაოს დაინფიცირებულ ტერიტორიაზე აფრიკული ჭირის აღმოფხვრისათვის საჭირო და აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ ფერმებში გამოსაყენებელი ზომების გეგმა, რომელიც შესაძლოა შესწორდეს სიტუაციის განვითარების გათვალისწინებით და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვების, ამ წესის მე-15 მუხლის შესაბამისად განხორციელებული კონტროლის შედეგების და აფრიკული ჭირის გავრცელების არეალის შესახებ;

ბ) ინფიცირებული ზონის შესახებ, რომლის განსაზღვრისას სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ბ.ა) განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შედეგები და დაავადების გავრცელების არეალი;

ბ.ბ) გარეული ღორების პოპულაცია დაინფიცირებულ ზონაში;

ბ.გ) ბუნებრივი და ხელოვნური დაბრკოლებების არსებობა;

გ) ექსპერტთა ჯგუფის შესახებ;

დ) საინფორმაციო კამპანიის შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს მონადირეების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სალიკვიდაციო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ზომების შესახებ;

ე) მონადირებული ან ნაპოვნი მკვდარი გარეული ღორების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე, გარეული ღორების პოპულაციაში აფრიკული ჭირის გავრცელების ფარგლების განსაზღვრისათვის განხორციელებული სპეციალური ზომების შესახებ;

ვ) ნადირობისათვის დადგენილ მოთხოვნების შესახებ, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით;

ზ) მონადირებული ან ნაპოვნი მკვდარი გარეული ღორების მოცილების მეთოდების შესახებ, რომელიც

ეფუძნება:

ზ.ა) დამუშავებას სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ;

ზ.ბ) სახელმწიფო ვეტერინარის მიერ შემოწმებასა და ლაბორატორიულ გამოკვლევას დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად. დადებითი შედეგის შემთხვევაში, ღორის სხეული მუშავდება სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – დაიშვება გარეული ღორის ხორცის ბაზარზე განთავსება ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის. ნაწილები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, უნდა დამუშავდეს სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ;

თ) თითოეულ მოკლულ ან ნაპოვნ მკვდარ გარეულ ღორზე განხორციელებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) გამოკითხვის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

თ.ა.) იმ არეალის შესახებ, სადაც ნაპოვნია მოკლული ან მკვდარი ცხოველი;

თ.ბ.) იმ თარიღის შესახებ, როდესაც ნაპოვნია მოკლული ან მკვდარი ცხოველი;

თ.გ.) იმ პირის შესახებ, რომელმაც იპოვნა მოკლული ცხოველი ან მოკლა;

თ.დ.) მკვდარი ღორის სხეულის მდგომარეობის შესახებ;

თ.ე.) ლაბორატორიული მონაცემების და შედეგების შესახებ;

ი) ზედამხედველობის პროგრამების ან პრევენციის ღონისძიებების შესახებ, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ და ინფიცირებულ ტერიტორიაზე მდებარე ფერმებში და, საჭიროების შემთხვევაში, მის გარშემო, მათ შორის, ტრანსპორტში, ინფიცირებულ ზონაში ან ზონიდან გადაადგილების ფარგლებში;

კ) სხვა კრიტერიუმების შესახებ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს განსაზღვრულ ზონაში დაავადების ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომების ხელშეწყობისათვის;

ლ) გეგმის განხორციელების მეთვალყურეობასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ორგანოს შესახებ;

მ) ამ წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილ ექსპერტთა ჯგუფის მიერ სალიკვიდაციო გეგმის შედეგების რეგულარულად განხილვის შესახებ;

ნ) დაავადების მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ ინფიცირებულ ზონაში გარეულ ღორებში აფრიკული ჭირის ბოლო დადასტურებული შემთხვევიდან არანაკლებ 12 თვის შემდეგ. აღნიშნული მონიტორინგის ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს არანაკლებ 12 თვის განმავლობაში და უნდა მოიცავდეს ამ მუხლის ,,ვ“, ,,ზ“ და ,,თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად უკვე განხორციელებულ ზომებს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 17. გადამტანის მეშვეობით აფრიკული ჭირის გავრცელების პრევენციის ზომები

1. ფერმაში აფრიკული ჭირის დადასტურების შემთხვევაში, თუ გადამტანის არსებობა შესაძლებელია ან საეჭვოა, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინფიცირებული შენობა მისი გარემომცველი ტერიტორიით შემოწმდეს გადამტანების არსებობაზე, ფიზიკური შემოწმებით და, საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშების აღებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის ძველ შენობებსა და ჩრდილიან ადგილებს, სადაც გადამტანების არსებობისათვის პირობები ტენიანობისა და ტემპერატურის თვალსაზრისით ხელსაყრელია. გადამტანების გააქტიურების პერიოდია გვიანი გაზაფხული, ზაფხული და ადრეული შემოდგომა.

2. გადამტანის მოძიებისათვის გამოიყენება ორი მეთოდი:

ა) ძიება ნიადაგში, ქვიშაში ან მტვერში, რომელიც აიღება ქვებს შორის ღრიჭოებიდან (ქვით ნაშენი ზონების შემთხვევაში), შენობების საძირკვლიდან, ფილების ქვეშ, კედლებში არსებული ცარიელი ადგილებიდან, ბზარებიდან ჯაგრისით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში ნიადაგი და ქვიშა უნდა გაიცრას. მატლების ძიებისას გამოიყენება გამადიდებელი შუშა;

ბ) ძიება CO_2 დამჭერების მეშვეობით, რომელიც უნდა განთავსდეს რამდენიმე საათის განმავლობაში ღორების ბაგაში, უმჯობესია ღამით და, სხვა შემთხვევაში, დღის სინათლისგან დაცულ ბნელ ადგილებში. დამჭერები იგება ისე, რომ გადამტანები საკმარისად მიუახლოვდეს CO_2 წყაროს და შეუძლებელი იყოს მათი თავდაპირველ ადგილსამყოფელში დაბრუნება.

3. გადამტანების არსებობის დადასტურების შემთხვევაში, აფრიკული ჭირის ვირუსის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით, ხდება გადამტანების ლაბორატორიული გამოკვლევა და ფერმაში და ფერმის გარშემო ტერიტორიაზე იგეგმება შესაბამისი შემოწმების, მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებები.

4. თუ შეუძლებელია გადამტანების კონტროლი, დაუშვებელია ღორების და საჭიროების შემთხვევაში სხვა შინაური ცხოველების შენახვა ფერმაში არანაკლებ მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში.

მუხლი 18. დიაგნოსტიკური პროცედურები და ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები

1. დაავადების გამოვლენის მიზნით, დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად უნდა მოხდეს ნიმუშის აღება, დიაგნოსტიკის პროცედურების ჩატარება და ნიმუშების გამოკვლევა.

2. ლაბორატორიამ გამოკვლევისას უნდა გამოიყენოს კვლევის თანამედროვე სტანდარტები და მეთოდები.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი ქმედებების დროს დაცული უნდა იქნეს ბიოუსაფრთხოების წესები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 19. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია, ჰქონდეს შემუშავებული აფრიკული ჭირის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში განსახორციელებელი საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის (ეპიდემიის) სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაციისათვის, ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში ღორების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, პერსონალისა და ეპიზოოტიის (ეპიდემიის) სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა სხვა მასალისადმი წვდომა;

დ) აფრიკული ჭირის ეპიზოოტიასთან (ეპიდემიასთან) დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება აფრიკული ჭირის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურის, ინსტრუქციისა და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა;

ზ) ექსპერტთა ჯგუფების პერსონალით, საშუალებებითა და მოწყობილობებით, საკომუნიკაციო

სისტემებით, მართვის ეფექტიანი და მკაფიო ქსელით უზრუნველყოფა.

2. პერსონალმა წელიწადში არანაკლებ ორჯერ უნდა გაიაროს ორგანიზებული, სიმულაციური სწავლებები აფრიკულ ჭირზე, მათ შორის, საკომუნიკაციო ტექნიკის ათვისებას, ეპიზოოტოლოგიურ (ეპიდემიოლოგიურ) გამოკითხვას, კლინიკურ ნიშნებსა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით. სწავლებებში ჩართული უნდა იყვნენ ვეტერინარები, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფერმერები.

3. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 20. ექსპერტთა ჯგუფები

1. სააგენტოს მიერ იქმნება ექსპერტთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც დაეხმარება სააგენტოს:

ა) ეპიზოოტოლოგიურ (ეპიდემოლოგიურ) გამოკითხვაში;

ბ) ნიმუშის აღებასა და ლაბორატორიული შემოწმების შედეგების გაანალიზებაში (ინტერპრეტაციაში);

გ) დაავადების კონტროლის ზომების განსაზღვრაში;

დ) სხვა საკითხების განხორციელებაში.

2. დასაშვებია სააგენტოს მიერ ექსპერტთა ჯგუფის ფუნქციისა და მოვალეობების შესახებ დამატებითი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების განსაზღვრა.

დანართი №8

ნიუკასლის (ფრინველის ჭირი) დაავადებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ნიუკასლის (ფრინველის ჭირი) დაავადება (შემდგომში - „ნიუკასლის დაავადება“) - Marbus Newcastle - მაღალ კონტაგიოზური დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია ფრინველის paramyxovirus1 შტამით. ნიუკასლის დაავადების დროს ინტრაცერებრალური პათოგენობის ინდექსი ზრდასრულ ფრინველებში შეადგენს 0,7- ზე მეტს. ვირუსის გუნდში მოხვედრიდან ყველა ფრინველი ფაქტობრივად ინფიცირდება 2-6 დღეში. ფრინველებში დაავადება მიმდინარეობს სასუნთქი ორგანოების ან კუჭნაწლავის ტრაქტის ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით, გამომდინარე იქიდან, თუ ვირუსის რომელი შტამით არის დაინფიცირებული ფრინველი. ნიუკასლის დაავადების გამომწვევმა ვირუსმა შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანებში კონიუნქტივიტი .

2. ნიუკასლის დაავადების ინკუბაციური პერიოდი 3-7 დღეა, რომელიც შესაძლოა 9-12 დღემდე გაგრძელდეს. ნიუკასლის დაავადების აღმძვრელი წყაროა დაავადებული და ინკუბაციურ პერიოდში მყოფი ფრინველი. ასეთი ფრინველი ვირუსს გარემოში გამოყოფს ძირითადად ცხვირის გამონადენთან ერთად, რომელიც ძლებს გარემოში რამდენიმე კვირა, განსაკუთრებით ცივი ამინდის პირობებში. ნიუკასლის დაავადების აღმძვრელი წყარო შეიძლება იყოს ასევე დაავადებული ფრინველიდან მიღებული პროდუქტები და ნედლეული, ვირუსით დაბინძურებული საკვები, წყალი, ინვენტარი, მომსახურე პერსონალის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ. კლინიკურად გამოჯანმრთელებული ფრინველი ვირუსს გამოყოფს გამოჯანმრთელებიდან 2-4 თვის განმავლობაში.

3. დაავადების მწვავედ მიმდინარეობისას ავადმყოფობა აღწევს 100%-ს, ხოლო სიკვდილიანობა - 60-

90%- ს.

4. ნიუკასლის დაავადებაზე ეპიდემიოლოგიური კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2. რეგულირების სფერო

ეს წესი ვრცელდება:

ა) შინაურ ფრინველზე;

ბ) სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედებსა და გალიაში მყოფ სხვა ფრინველზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაინფიცირებული შინაური ფრინველი - ნებისმიერი შინაური ფრინველი, რომელშიც ნიუკასლის დაავადების არსებობა ოფიციალურად დასტურდება ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ან მეორე ან შემდგომი აფეთქებისას , ნიუკასლის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომები ან სიკვდილის შემდგომი დაზიანებები გამოვლინდა იგივე კერაში;

ბ) დაინფიცირებაზე საეჭვო შინაური ფრინველი - ნებისმიერი შინაური ფრინველი, რომელსაც აქვს ნიუკასლის დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები ან სიკვდილის შემდგომი დაზიანებები;

გ) კონტამინაციაზე საეჭვო შინაური ფრინველი - ნებისმიერი შინაური ფრინველი , რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ექვემდებარება ვირუსის ზეგავლენას;

დ) საზოგადოებრივი კვების ანარჩენები - ნარჩენები სამზარეულოებიდან , საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან, ან ნებისმიერი სხვა საწარმოდან, რომელიც წარმოება - გადამუშავებისათვის იყენებს ხორცს;

ე) კონტაქტური საფრინველე ან სამტრედე - ობიექტი, რომელიც ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსით ბინძურდება ადამიანის, ფრინველის ან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შედეგად ან სხვა გზით;

ვ) სახელმწიფო ვეტერინარი ექიმი (შემდგომში - „სახელმწიფო ვეტერინარი“) - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

ზ) სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედი - ნებისმიერი მტრედი , რომელიც სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით გამოყავთ სამტრედედან და ღონისძიების დასრულების შემდეგ აბრუნებენ უკან;

თ) სამტრედე - ნაგებობა, რომელიც გამოიყენება სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედის შესანახად ან მოსაშენებლად;

ი) მფლობელი - პირი, რომელსაც ჰყავს შინაური ფრინველი ან/და სპორტული ან/და გასართობი დანიშნულების მტრედი საკუთრებაში ან მფლობელობაში ფინანსური მოგების ან სხვა მიზნით;

კ) საფრინველე - ობიექტი (ფერმერული მეურნეობა, ოჯახური წარმოება), სადაც ხდება შინაური ფრინველის მოშენება ან შენახვა, მუდმივად ან დროებით.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,

ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ განსაზღვრული ტერმინები , თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 4. ნიუკასლის დაავადების პროფილაქტიკა

1. ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის შეტანისაგან, საფრინველის დაცვის მიზნით, მფლობელი ვალდებულია:

ა) საფრინველე დააკომპლექტოს დაავადებაზე კეთილსაიმედო საფრინველედან ან ადგილზე გამოზრდილი ჯანმრთელი ფრინველით;

ბ) ახლად შეყვანილი ფრინველი შეინახოს იზოლირებულად 30 დღის განმავლობაში. მხოლოდ დაავადების ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, დაუშვას ისინი საერთო გუნდში ან გადაიყვანოს სხვა საფრინველეში ვეტერინარი ექიმის თანხმობით;

გ) არ დაუშვას:

გ.ა) ნიუკასლის დაავადების მიმართ არაკეთილსაიმედო საფრინველეებთან სამეურნეო კავშირი;

გ.ბ) ტერიტორიაზე და საფრინველეში უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა , რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ტერიტორიის და ფერმის მომსახურებასთან ;

გ.გ) ტერიტორიაზე და საფრინველეში შესვლა სანიტარიულ გამშვებში შხაპის მიღების, სპეციალური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოსვის გარეშე, ოჯახურ წარმოებაში - სპეციალური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოსვის გარეშე;

დ) დაიცვას ვეტერინარულ - სანიტარიული და ზოოჰიგიენური მოთხოვნები.

2. საფრინველე უნდა იმყოფებოდეს დახურული ტიპის საწარმოო რეჟიმზე. ოჯახურ წარმოებაში ფრინველის ეზოებრივი შენახვისას, მათი გამოზრდა უნდა ხდებოდეს იზოლირებულად, სპეციალურად აგებულ საფრინველეში, ვეტერინარულ - სანიტარიული წესების დაცვით.

3. საერთო პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად, ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენების საკითხს წყვეტს ვეტერინარი ექიმი, მფლობელთან შეთანხმებით, ამ წესისა და ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 5. ნიუკასლის დაავადების შესახებ შეტყობინების ვალდებულება

ნიუკასლის დაავადების საეჭვო ან დადასტურებული ნებისმიერი შემთხვევის შესახებ მფლობელი ვალდებულია აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 6. ზომები ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანისას

1. ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფო ვეტერინარის გამოცხადება ადგილზე, რომელიც დაავადების დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით, იღებს ნიმუშებს და აგზავნის ლაბორატორიაში გამოკვლევისათვის.

2. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, საფრინველეზე უნდა დაწესდეს ზედამხედველობა:

ა) განხორციელდეს სხვადასხვა კატეგორიისა და ასაკის ფრინველის დათვლა, შედგეს დაავადებული, მკვდარი ან თითოეულ კატეგორიაში სავარაუდოდ ინფიცირებული ფრინველის რაოდენობის ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი უნდა განახლდეს, მათი გამოჩეკის და სიკვდილის შემთხვევების გათვალისწინებით, საეჭვო პერიოდის განმავლობაში. მოპოვებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში მოთხოვნისთანავე და შესაძლებელი იყოს მისი შემოწმება ყოველი ვიზიტის დროს;

ბ) ყველა ფრინველი შემოიფარგლოს თავის სადგომში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაძლებელი იქნება მათი იზოლირება;

გ) არცერთი ფრინველი არ უნდა შეიყვანონ ან/და გამოიყვანონ საფრინველედან.

3. საფრინველეში ან საფრინველედან ადამიანების, ცხოველისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასაშვებია სააგენტოს ნებართვის საფუძველზე.

4. სააგენტოს ნებართვის გარეშე, დაუშვებელია მკვდარი ან/და დაკლული ფრინველის ხორცის ან მათი საკვების, ნარჩენების, სკორეს, ქვეშსაგების, ჭურჭლის, მასალების საფრინველედან გამოტანა.

5. დაუშვებელია კვერცხის გამოტანა საფრინველედან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტოს ნებართვით პირდაპირ იგზავნება აღიარებულ საწარმოთა რეესტრში მითითებულ კვერცხის პროდუქტების მწარმოებელ და/ან გადამამუშავებელ საწარმოში.

6. აღიარებულ საწარმოთა რეესტრიდან, კვერცხის პროდუქტების მწარმოებელი ან/და გადამამუშავებელი საწარმო სააგენტოს მიერ შეირჩევა იმ შემთხვევაში თუ:

ა) საწარმოს შეუძლია კვერცხის პროდუქტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების გამოკვლევების ჩატარება;

ბ) კვერცხის პროდუქტები ინახება შემნახველ საკნებში, სადაც არსებობს შენახვის შესაბამისი პირობები და იწარმოება ჩანაწერები, ამასთან გაცივების მაჩვენებელი უზრუნველყოფს შენახვისათვის საჭირო ტემპერატურის მიღწევას უმოკლეს დროში და ჰაერი მათ გარშემო თავისუფლად ცირკულირებს, გარდა გარემოს ტემპერატურაზე შენახული კვერცხის პროდუქტებისა;

გ) ტემპერატურა , შემნახველ საკანში არ აღემატება ღრმად გაყინული პროდუქტებისთვის -180C, გაყინული პროდუქტებისთვის -12 0C, გაგრილებული პროდუქტებისთვის +40C;

დ) კვერცხის პროდუქტების ტრანსპორტირებისას შენარჩუნდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ტემპერატურა და დაცული იქნება დაზიანებისაგან;

ე) ლაბორატორიული გამოკვლევებისა და შემოწმების შედეგების ჩანაწერებს აწარმოებს და ინახავს 2 წლის ვადით.

7. კვერცხის პროდუქტის ყოველი პარტიის ეტიკეტირება და საიდენტიფიკაციო ნიშნის დადება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით .

8. კვერცხის შერჩეულ საწარმოში გაგზავნამდე სატრანსპორტო საშუალება ილუქება სახელმწიფო ვეტერინარის მიერ და წინასწარ ატყობინებს ამ საწარმოს და სააგენტოს კვერცხის გაგზავნის შესახებ.

9. სააგენტო ზედამხედველობას უწევს, რომ:

ა) ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებული კვერცხი ინახებოდეს სხვა კვერცხისგან იზოლირებულად , მათი მიღებიდან გადამუშავებამდე;

ბ) ასეთი კვერცხის ნაჭუჭები მიჩნეულ იქნას მაღალი რისკის შემცველ მასალად და განადგურდეს დამარხვით ან დაწვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) კვერცხის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალება, შესაფუთი მასალა, კვერცხთან შეხებაში მყოფი ნებისმიერი მასალა, გასუფთავდეს და ჩაუტარდეს დეზინფექცია ისე, რომ განადგურდეს ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსი.

10. სახელმწიფო ვეტერინარი წერილობით ინფორმირებული უნდა იყოს გადამუშავებული კვერცხის ყველა პარტიის შესახებ.

11. საფრინველეს შესასვლელებსა და გასასვლელებში მოწყობილ სანიტარიულ გამტარში, სადეზინფექციო ხალიჩებზე, სადეზინფექციო ბარიერებზე გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებები, ოჯახურ წარმოებაში გამოიყენება სადეზინფექციო ხალიჩები გაჟღენთილი შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით. საფრინველეში შესვლა - გამოსვლისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ჰიგიენური პროცედურები, რომელიც საჭიროა ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის გავრცელების რისკის შესამცირებლად.

12. ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანისას, ხორციელდება ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა ამ წესის მე-9 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

13. ნიუკასლის დაავადებაზე საეჭვო შინაური ფრინველის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ამ მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

14. სააგენტომ ამ მუხლის მე-2-მე-11 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები უნდა გაატაროს იმ საფრინველეებშიც, რომლებიც ნიუკასლის დაავადების შეჭრისა და გავრცელების საშიშროების ქვეშ არიან.

15. ამ მუხლით დადგენილი ზომები არ უნდა გაუქმდეს ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის ოფიციალურად გამორიცხვამდე.

მუხლი 7. ზომები ნიუკასლის დაავადების დადასტურების შემთხვევაში

1. ნიუკასლის დაავადების დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარების გზით.

2. ნიუკასლის დაავადებაზე კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

3. საფრინველეში ნიუკასლის დაავადების არსებობის ოფიციალურად დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2-მე-15 პუნქტებში მითითებული ზომების გარდა, ადგენს:

ა) ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის გავრცელების რისკის თავიდან აცილების მიზნით, სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ, ადგილზე დაუყოვნებლივ მოიკლას საფრინველეში არსებული მთლიანი სულადობა. კვერცხი, მკვდარი და მოკლული სულადობა უნდა განადგურდეს;

ბ) ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის გაუვნებლობის მიზნით, სავარაუდოდ დაინფიცირებული ყველა ნივთიერება და ნარჩენი, როგორიცაა საკვები, ქვეშსაგები, სკორე, განადგურდეს ან დამუშავდეს სახელმწიფო ვეტერინარის მითითებებითა და ზედამხედველობით;

გ) ნიუკასლის დაავადების ინკუბაციის პერიოდში დამზადებული ფრინველის ხორცი და საინკუბაციო კვერცხი, რომელიც გატანილია საფრინველედან, იქნას მიკვლეული და განადგურებული, ხოლო დაავადების საინკუბაციო პერიოდში გამოჩეკილ წიწილებზე წესდება ზედამხედველობა. ამავე პერიოდში საფრინველედან გატანილი სუფრის კვერცხი უნდა იქნას მიკვლეული და განადგურებული, გარდა იმ კვერცხისა, რომელსაც გატანამდე ჩაუტარდა დეზინფექცია;

დ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გატარების შემდეგ საფრინველეები, მათი შემოგარენი, სატრანსპორტო საშუალებები და სავარაუდოდ დაინფიცირებული ყველა დანადგარ - მოწყობილობა, გაიწმინდოს და მოხდეს მათი დეზინფექცია ან დამუშავება ამ წესის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) აიკრძალოს ფრინველის საფრინველეში აღწარმოება, ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული

მოთხოვნების შესრულებიდან არანაკლებ 21 დღის გასვლამდე;

ვ) ეპიდემოლოგიური გამოკითხვა განხორციელდეს ამ წესის მე-9 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

4. დასაშვებია, სააგენტომ გაავრცელოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ზომები იმ მეზობელ საფრინველეებზეც, რომელთა მდებარეობა ხელს უწყობს აღმძვრელის შეტანას იმ საფრინველეებიდან, რომლებშიც დადასტურდა ნიუკასლის დაავადება.

5. ფრინველის იმ გუნდში, რომელშიც ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად გამოყოფილია ნიუკასლის დაავადების ვირუსის შტამი, რომლის ინტრაცელებრალური პათოგენური ინდექსი აჭარბებს 0,7-ს და ნაკლებია 1,2-ზე, არ მჟღავნდება ნიუკასლის დაავადების კლინიკური ნიშნები და ვირუსი გამოყოფილია ატენუირებული ცოცხალი ვაქცინიდან , სააგენტოს შეუძლია არ გაითვალისწინოს ამ მუხლის მესამე პუნქტის „ა“ და “ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია 30 დღის განმავლობაში საფრინველეზე დააწესოს ზედამხედველობა და მოითხოვოს:

ა) ამ წესის მე-6 მუხლის მე-2, მე-3, მე-5 და მე-11 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გატარება;

ბ) საფრინველედან ფრინველის გაყვანის აკრძალვა , გარდა სააგენტოს ნებართვით სასაკლაოზე გაგზავნილი ფრინველისა.

6. სააგენტომ წინასწარ უნდა აცნობოს სასაკლაოს მფლობელ ბიზნესოპერატორს ფრინველების გაგზავნის შესახებ. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ფრინველი სასაკლაოზე უნდა განთავსდეს და დაიკლას განცალკევებით სხვა ფრინველისგან.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად მიღებული ახალი ფრინველის ხორცზე დაიტანება ჯანმრთელობის ნიშანდება სპეციალური შტამპით. შტამპი უნდა იყოს ოვალური ფორმის, რომელზეც გავლებულია ორი პარალელური სწორი ხაზი, რომელთა შორის მანძილი არანაკლებ 1 სმ-ს უნდა შეადგენდეს, ხაზი უნდა კვეთდეს ოვალური ფორმის წრეს ისე, რომ იქ არსებული ინფორმაცია გარკვევით იკითხებოდეს, ამასთან ორი პარალელური ხაზი ისევე აშკარა უნდა იყოს, როგორც ნიშნის გარე კიდე.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ნიშანდებული ხორცი უნდა იყოს მიღებული, დაჭრილი, ტრანსპორტირებული და შენახული განცალკევებით იმ ხორცისაგან, რომელიც განკუთვნილია შიდა ვაჭრობისათვის და უნდა იყოს გამოყენებული ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი შეტანა შიდა ვაჭრობისათვის განკუთვნილ ხორცის პროდუქტებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორცს გავლილი აქვს სითბური დამუშავება ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში, ცენტრისკენული ძალით 3,00 ან მეტი.

9. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები შეიძლება გადაიხედოს მეცნიერული კვლევების შედეგების გათვალისწინებით, ნიუკასლის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინ(ებ)ის დანერგვა - გამოყენებისას.

მუხლი 8. ზომები ნიუკასლის დაავადების დადასტურების შემთხვევაში ორი ან მეტი განცალკევებული ერთეულისაგან შემდგარ საფრინველეში (გუნდი)

თუ ორი ან მეტი განცალკევებული ერთეულისაგან შემდგარ საფრინველეში, სახელმწიფო ვეტერინარი დაადასტურებს, რომ ამ საფრინველეებში ფრინველს კვებავენ და ინახავენ ისე, რომ გამორიცხულია ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის ერთი განცალკევებული ერთეულიდან მეორეში გავრცელება, სააგენტოს შეუძლია ამ წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები არ გაატაროს პირობითად ჯანმრთელ საფრინველეებში.

მუხლი 9. ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა

ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) საფრინველეებსა და სამეურნეოებში ნიუკასლის დაავადების დაფიქსირებიდან გამოკითხვის

ჩატარებამდე დროის ხანგრძლივობას;

ბ) საფრინველეებში და სამტრედეებში ნიუკასლის დაავადების შესაძლო წარმოშობასა და სხვა საფრინველის, სამტრედისა და გალიებში მყოფი ფრინველის იდენტიფიკაციას, სადაც ისინი შეიძლება დაინფიცირდნენ დაავადების იმავე წყაროდან;

გ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ფრინველის, მტრედის და გალიაში მყოფი ფრინველის, კვერცხის, ხორცის გადაადგილებას ან ნებისმიერ ფაქტორს, რის შედეგად შესაძლებელია ვირუსის გადატანა დაინფიცირებული ადგილიდან სხვა ადგილას.

მუხლი 10. ზომები კონტაქტურ საფრინველეში

1. თუ სახელმწიფო ვეტერინარს საფუძვლიანი ეჭვი აქვს ადამიანიდან, ფრინველიდან ან ტრანსპორტიდან ფრინველის ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსით კონტამინაციაზე, ამ საფრინველეში ხორციელდება ნიუკასლის დაავადების საეჭვო შემთხვევის აღმოჩენა, ფრინველის რაოდენობის დადგენა და მათ გადაადგილებაზე მონიტორინგი.

2. საჭიროების შემთხვევაში, კონტაქტური საფრინველეებიდან სააგენტომ უნდა აკრძალოს ფრინველის გადაადგილება, გარდა სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ გადაუდებელი დაკვლის მიზნით სასაკლაოზე ფრინველის ტრანსპორტირებისა.

3. სასაკლაოზე ტრანსპორტირებამდე, ნიუკასლის დაავადების გამორიცხვის მიზნით, სახელმწიფო ვეტერინარმა კლინიკურად უნდა შეამოწმოს ყველა ფრინველი. ამასთან ფრინველის გადაადგილების აკრძალვა წესდება უკანასკნელი, პოტენციური დასნებოვნების თარიღიდან 21 დღის განმავლობაში , ხოლო კლინიკური ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, აკრძალვა დასაშვებია შემცირდეს 7 დღემდე.

4. სააგენტოს შეუძლია გაატაროს გამარტივებული ზომები განცალკევებით არსებულ საფრინველეში, რომელსაც ემსახურება ცალკე პერსონალი.

5. თუ სახელმწიფო ვეტერინარს აქვს საფუძვლიანი ეჭვი სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედის ან სხვა მტრედების ნიუკასლის დაავადების ვირუსით დასნებოვნების შესახებ, არანაკლებ 21 დღის განმავლობაში იკრძალება სამტრედიდან მტრედის გადაადგილება.

მუხლი 11. დამცავი და საკონტროლო ზონების შექმნა

1. ნიუკასლის დაავადების დიაგნოზის ოფიციალურად დადასტურებისთანავე, სააგენტომ, ეპიდემიის კერის გარშემო არანაკლებ 3 კმ-ის რადიუსით უნდა შექმნას დამცავი ზონა, რომელიც შედის არანაკლებ 10 კმ - ის რადიუსის საკონტროლო ზონაში.

2. ზონების შექმნისას, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის შედეგები;

ბ) გეოგრაფიული მდებარეობა;

გ) საფრინველეების ადგილმდებარეობა და სიახლოვე;

დ) ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური ფაქტორები;

ე) მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა.

3. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს საკონტროლო და დამცავ ზონებში მყოფი პირების ინფორმირება ყველა აკრძალვა - შეზღუდვასა და ამ წესით დადგენილი ზომების გატარებაზე.

მუხლი 12. ზომები შექმნილ დამცავ ზონაში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამცავ ზონაში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) საფრინველეების აღწერა შესაძლო მოკლე დროში;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარის პერიოდული ვიზიტები ფრინველის კლინიკური მდგომარეობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშების აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა გამოკვლევებისათვის; ვიზიტისა და გამოვლენილი დარღვევების შესახებ დგება აქტი;

გ) ფრინველის თავიანთ საფრინველეში ან სხვა ადგილას იზოლირება;

დ) სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება საფრინველეების შესასვლელებსა და გამოსასვლელებში;

ე) ფრინველის, მკვდარი ან / და დაკლული ფრინველის, კვერცხის, მომსახურე პერსონალისა და ფრინველის გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების კონტროლი ზონის შიგნით და ტრანსპორტირების აკრძალვა. აღნიშნული აკრძალვა არ გამოიყენება ფრინველის ავტომაგისტრალით ან რკინიგზით გადაყვანისას;

ვ) საფრინველედან ფრინველის გაყვანისა და საინკუბაციო კვერცხის გატანის აკრძალვა, გარდა:

ვ.ა) ფრინველის გადაუდებელი დაკვლისათვის სააგენტოს მიერ ნებადართული სატრანსპორტო საშუალებით სასაკლაოში გადაყვანისა, რომელიც სასურველია მდებარეობდეს დაინფიცირებულ არეალში, ან თუ ეს შეუძლებელია, სასაკლაოში, რომელიც არჩეულია სააგენტოს მიერ დაინფიცირებული ტერიტორიის გარეთ. ასეთი ფრინველის ხორცი ექვემდებარება ნიშანდებას ამ წესის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხოლო შიდა ვაჭრობაში ჩართვას ამ წესის მე- 7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად;

ვ.ბ) ერთდღიანი წიწილების ან კვერცხმდებელი ფრინველის გადაყვანისა საკონტროლო ზონაში, სადაც არ არის სხვა ფრინველი. ამასთან, ასეთ საფრინველეებზე წესდება ამ წესის მე-10 მუხლით დადგენილი ზომები;

ვ.გ) საინკუბაციო კვერცხის სააგენტოს მიერ შერჩეულ ინკუბატორში ტრანსპორტირებისა, რომლის დროსაც კვერცხი შესაფუთი მასალით ექვემდებარება დეზინფექციას;

ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულ მოთხოვნების შესრულებაზე წესდება სახელმწიფო კონტროლი. გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ საფრინველეში სახელმწიფო ვეტერინარის მიერ ჩატარებული ჯანმრთელობის შემოწმების შემდეგ. სატრანსპორტო საშუალება გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ ექვემდებარება დასუფთავებასა (გაწმენდა) და დეზინფექციას;

თ) ფრინველის სკორეს, ქვეშსაფენის გავრცელებისა და გატანის აკრძალვა სააგენტოს ნებართვის გარეშე;

ი) ფრინველის სარეალიზაციო ბაზრის, ბაზრობების, შოუებისა და სხვა შეკრებების აკრძალვა.

2. დამცავ ზონაში გამოყენებული ზომები გრძელდება არანაკლებ 21 დღისა, ამ წესის მე-15 მუხლში დადგენილი მოთხოვნების თანახმად, წინასწარი დასუფთავებისა (გარეცხვის) და დეზინფექციის ჩატარების შემდეგ.

მუხლი 13. ზომები შექმნილ საკონტროლო ზონაში

საკონტროლო ზონაში გამოყენებული ზომები მოიცავს:

ა) ყველა საფრინველის აღწერას;

ბ) ზონაში ფრინველისა და საინკუბაციო კვერცხის გადაადგილების კონტროლს;

გ) პირველი 15 დღის განმავლობაში ზონიდან ფრინველის გადაადგილების აკრძალვას, გარდა პირდაპირ საკონტროლო ზონის გარეთ მდებარე სააგენტოს მიერ ნებადართულ სასაკლაოში

გადაყვანისა. ასეთი ფრინველის ხორცი ექვემდებარება ნიშანდებას ამ წესის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის, ხოლო შიდა ვაჭრობაში ჩართვას - ამ წესის მე- 7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად;

დ) საინკუბაციო კვერცხის საკონტროლო ზონიდან გადაადგილების აკრძალვა, გარდა სააგენტოს მიერ შერჩეული ინკუბატორისა. გაგზავნამდე კვერცხი და მათი შესაფუთი მასალა ექვემდებარება დეზინფექციას;

ე) სკორეს, ქვეშსაფენის ზონიდან გადაადგილების აკრძალვას;

ვ) ფრინველის სარეალიზაციო ბაზრების, ბაზრობების, შოუების და სხვა შეკრებების აკრძალვას;

ზ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით ფრინველის ტრასპორტირების აკრძალვას, გარდა ავტომაგისტრალითა და რკინიგზით გადაყვანისა.

მუხლი 14. მფლობელის ვალდებულებები

1. ფრინველ (ებ) ის და/ან სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედ (ებ) ის და/ან გალიაში მყოფი ფრინველ (ებ) ის მფლობელი ან მომვლელი ვალდებულია ითანამშრომლოს სააგენტოსთან და მიაწოდოს ინფორმაცია ფრინველის საფრინველეში შეყვანისა და საფრინველედან გაყვანის, კვერცხის საფრინველეში შეტანის და გატანის, სპორტული და/ან გასართობი დანიშნულების მტრედების შოუებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

2. ყველა პირი, რომელიც დაკავებულია ფრინველის, კვერცხის , გალიაში მყოფი ფრინველისა და სპორტული და გასართობი დანიშნულების მტრედის ტრანსპორტირებითა ან/და ყიდვა - გაყიდვით, ვალდებულია ითანამშრომლოს სააგენტოსთან და მიაწოდოს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.

მუხლი 15. დასუფთავება და დეზინფექცია

1. დასუფთავების და დეზინფექციის ჩატარების პრინციპები და პროცედურებია:

ა) ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის განადგურების მიზნით გამოსაყენებელი სადეზინფექციო საშუალებებისა და მათი კონცენტრაციების გამოყენება სააგენტოს ნებართვით;

ბ) დასუფთავების და დეზინფექციის სამუშაოების განხორციელება სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული მითითებებისა და ზედამხედველობის ქვეშ.

2. ინფიცირებული საფრინველეების საწყისი გაწმენდისა და დეზინფექციის სპეციფიკური მოთხოვნებია:

ა) უტილიზაციისათვის, ფრინველის სხეულის გატანის შემდეგ , საფრინველეების იმ ნაწილის, სადაც ფრინველები ბინადრობდნენ, და ნებისმიერი სხვა შენობა, ეზო, რომელიც დაბინძურდა, დაკვლისას ან დაკვლის შემდგომი შემოწმებისას სადეზინფექციო საშუალებებით შესხურება;

ბ) ფრინველისა ან კვერცხის, რომლებმაც შეიძლება დააბინძუროს შენობები, ეზოები, ინვენტარი (ჭურჭელი), შეგროვება და განადგურება ფრინველის სხეულთან ერთად;

გ) გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებების დამუშავებულ ზედაპირზე არანაკლებ 24 საათის განმავლობაში გაჩერება.

3. საბოლოო გაწმენდისა და დეზინფექციის სპეციფიკური მოთხოვნებია:

ა) ცხიმისა და ჭუჭყის მოცილება ყველა ზედაპირიდან ცხიმის მოსაცილებელი საშუალებების გამოყენებით, ზედაპირის წყლით ჩამორეცხვა;

ბ) წყლით გარეცხვის შემდეგ, დამატებითი სადეზინფექციო საშუალებების შესხურება;

გ) შვიდი დღის შემდეგ, შენობა - ნაგებობების ცხიმის მოსაცილებელი ნივთიერებებით დამუშავება,

წყლის გადავლება, სადეზინფექციო საშუალებების შესხურება და განმეორებით წყლის გადავლება;

დ) გამოყენებული ქვეშსაგებისა და სკორეს დეზინფენქციისას ვირუსის გამანეიტრალებელი ერთ - ერთი მეთოდის გამოყენება:

დ.ა) დაწვა ან ორთქლით დამუშავება 70^0 C- ზე;

დ.ბ) მიწაში ღრმად დამარხვა მტაცებელი და სხვა გარეული ფრინველებისაგან დაცვის მიზნით;

დ.გ) შეგროვება, დანესტიანება (საჭიროების შემთხვევაში, ფერმენტაციისათვის) და დაფარვა ისე, რომ მიაღწიოს და შეინარჩუნოს სითბო 20°C ტემპერატურამდე. მტაცებელი და სხვა გარეული ფრინველებისაგან დაცვის მიზნით, დარჩეს გადაფარებული 42 დღის განმავლობაში.

მუხლი 16. ვაქცინაცია

1. საქართველოში ნებადართულია იმ ვაქცინების გამოყენება, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. დაავადების საწინააღმდეგო ზომებთან ერთად ტარდება პროფილაქტიკური ან იძულებითი ვაქცინაცია.

3. შეჯიბრში, შოუში ან სხვა ღონისძიებაში ნებადართულია მხოლოდ ნიუკასლის დაავადების წინააღმდეგ ვაქცინირებული მტრედების მონაწილეობა.

4. ნიუკასლის დაავადების დადასტურების შემთხვევაში ამ წესით დადგენილ ზომებთან ერთად, სააგენტო აკონკრეტებს ტერიტორიულ არეალსა და იმ პერიოდს, რომელშიც შერჩეული სახეობებისათვის სწრაფი და სისტემური ვაქცინაცია (გადაუდებელი ვაქცინაცია) გატარდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სიტუაციაში, აკრძალულია ამ წესის მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნების გატარება ფრინველის ვაქცინაციის ან რევაქცინაციისას.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში:

ა) ყველა შერჩეული სახეობის ფრინველი უნდა იყოს ვაქცინირებული დაუყოვნებლივ;

ბ) ვაქცინაციის არეალში მოქცეულ საფრინველეში ყველა შერჩეული სახეობის ფრინველი, გამოჩეკილი ან გადმოყვანილი სხვა მეურნეობიდან, უნდა იყოს აცრილი გადმოყვანამდე ან გადმოყვანის შემდეგ;

გ) ვაქცინაციისას ვაქცინაციის არეალში მოქცეულ საფრინველეში, რჩება ყველა შერჩეული სახეობის ფრინველი, გარდა:

გ.ა) ერთი დღის წიწილებისა, რომლებიც შეიყვანეს ვაქცინაციის არეალში მდებარე მეურნეობაში, სადაც უნდა აიცრან;

გ.ბ) პირდაპირ სასაკლაოზე გადაადგილებული ფრინველებისა, გადაუდებელი (დაუყოვნებელი) დაკვლისათვის. თუ სასაკლაო მდებარეობს ვაქცინაციის არეალის გარეთ, შინაური ფრინველის გადაადგილება ნებადართულია მხოლოდ სახელმწიფო ვეტერინარის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის შემოწმების შემდეგ;

დ) ვაქცინაციის არეალის გარეთ გადაადგილება დასაშვებია, თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვაქცინაცია დასრულებულია:

დ.ა) სახორცე დანიშნულების ერთი დღის წიწილებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაადგილდეს საფრინველეში, სადაც ისინი აიცრებიან; აღნიშნული საფრინველე უნდა იყოს ზედამხედველობის ქვეშ, ვიდრე ფრინველი, რომელიც გადაადგილდა, დაიკვლება;

დ.ბ) 21 დღის წინ აცრილი ფრინველისათვის, რომელიც განკუთვნილია დაუყოვნებლივ დაკვლისათვის;

დ.გ) საინკუბაციო კვერცხი, რომელიც დადებულია 21 დღის წინ ვაქცინირებული მოსაშენებელი ფრინველისგან; კვერცხი და მისი შესაფუთი მასალა ექვემდებარება დეზინფექციას გადაადგილებამდე.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და “დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები უნდა გამოიყენებოდეს სამი თვის ვადით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვაქცინაციის დასრულებიდან. დასაშვებია ვაქცინაციის ერთი ან მეტი სამთვიანი პერიოდით გახანგრძლივება.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, სააგენტოს მიერ დასაშვებია განსაკუთრებული სამეცნიერო დანიშნულების გუნდის განთავისუფლება სისტემატური ვაქცინაციისაგან იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მათი ჯანმრთელობა და პერიოდულად დაექვემდებარებიან სეროლოგიური შემოწმებას.

მუხლი 17. ზომები მტრედებისა და გალიაში მყოფი სხვა ფრინველის ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანისას

1. მატარებელი მტრედების ან გალიაში მყოფი სხვა ფრინველის ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანისას, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო ვეტერინარმა დაიწყოს დაუყოვნებლივ მოკვლევა დაავადების დადასტურებისათვის ნიმუშების აღება ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ან დარწმუნდეს, რომ ნიმუშები უკვე აღებულია.

2. დაავადებაზე ეჭვის მიტანისას, სააგენტომ უნდა მოაქციოს სამტრედე ან საეჭვო ადგილი ზედამხედველობის ქვეშ და აკრძალოს მტრედის ან გალიაში მყოფი სხვა ფრინველის ან ინფექციის გამავრცელებელი (გადამტანი) ნებისმიერი ფაქტორის მიერ ტერიტორიის დატოვება.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი ზომები გრძელდება ვიდრე სახელმწიფო ვეტერინარი არ გამორიცხავს ნიუკასლის დაავადებას.

4. ნიუკასლის დაავადების ოფიციალურად დადასტურებისთანავე, სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ამ წესის მე-7 მუხლის მე -3 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი ზომების გამოყენება დაავადების აღმძვრელის მატარებელ მტრედებთან ან გალიაში მყოფ სხვა ფრინველთან და ნიუკასლის დაავადების ვირუსით დაინფიცირებულ სამტრედესთან დაკავშირებით;

ბ) მტრედის ან გალიაში მყოფი სხვა ფრინველის გადაადგილების აკრძალვა სამტრედეს გარეთ ან მეურნეობაში არანაკლებ 60 დღისა, მას შემდეგ რაც ნიუკასლის დაავადების კლინიკური ნიშნები გაქრება;

გ) სავარაუდოდ დაბინძურებული ნებისმიერი გადაცემის ფაქტორის ან ნარჩენის განადგურება ან დამუშავება ისე, რომ ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსი და 60 დღის მანძილზე დაგროვილი ყველა ნარჩენი განადგურდეს;

დ) ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა ამ წესის მე-9 მუხლის მიხედვით.

მუხლი 18. მოთხოვნები ფრინველის საკვების შესახებ

1. აკრძალულია ფრინველის საკვებად საზღვაო, საჰაერო ან სახმელეთო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კვების ანარჩენების გამოყენება.

2. ფრინველის საკვებად დასაშვებია შესაბამის პირობებში, ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის განადგურებისა და გაუვრცელებლობის მიზნით, სითბური დამუშავების შემდეგ საკვების ნარჩენების გამოყენება, გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საზოგადოებრივი კვების ანარჩენებისა.

მუხლი 19. დიაგნოსტიკური პროცედურები და ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები

1. დაავადების დიაგნოსტირების მიზნით, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ნიმუშის აღება და გამოკვლევისათვის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გადაგზავნა.

2. ლაბორატორიამ გამოკვლევისას უნდა გამოიყენოს კვლევის თანამედროვე სტანდარტები და მეთოდები.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი ქმედებების დროს, დაცული უნდა იქნას ბიოუსაფრთხოების შესაბამისი დონის მოთხოვნები.

მუხლი 20. საგანგებო გეგმები

1. სააგენტო ვალდებულია, ჰქონდეს შემუშავებული ნიუკასლის დაავადების აფეთქების შემთხვევაში განსახორციელებელი საგანგებო გეგმა, რომელშიც დაავადების სწრაფი და ეფექტიანი აღმოფხვრისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა სახის შენობებზე, მოწყობილობებზე, პერსონალსა და სხვა ყველა მასალაზე ხელმისაწვდომობა, ასევე უნდა განსაზღვროს იძულებითი ვაქცინაციის ჩასატარებლად ვაქცინის შესახებ მოთხოვნები.

2. საგანგებო გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს:

ა) ნიუკასლის დაავადების ეპიდემიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტური ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელებას;

ბ) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტური კამპანიის განხორციელებას;

გ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს გამოცემას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ნიუკასლის დაავადებაზე ეჭვის მიტანისას და დადასტურებისას გამოსაყენებელი ყველა პროცედურის , ინსტრუქციის და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა, მათ შორის, მკვდარი და მოკლული ფრინველის განადგურების შესახებ;

დ) დეტალურ ინფორმაციას, კონტროლის ღონისძიებებში ჩართული პერსონალის უნარებისა და მოვალეობების შესახებ;

ე) დაავადების კონტროლის ღონისძიებების სათანადო გატარებისათვის მოწყობილობებისა და მასალების ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ნიმუშების სწრაფი ტრანსპორტირების ორგანიზებას;

ვ) ტრენინგპროგრამების განხორციელებას სავალე, მათ შორის,, სწრაფი ტესტების გამოყენების, საკომუნიკაციო ტექნიკის ათვისებასთან, ეპიდემიოლოგიურ გამოკითხვასთან, კლინიკურ ნიშნებსა და დაავადების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით და ადმინისტრაციული პროცედურების (უნარების) შენარჩუნებისა და განვითარებისათვის;

ზ) პოსტვაქცინალური იმუნიტეტის შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განმეორებითი ვაქცინაციის სქემის დეტალებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით რიკის საფუძველზე დგება გეგმა, რომელიც წარედგინება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასამტკიცებლად. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №782 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 21. ნიუკასლის დაავადების გამომწვევი ვირუსის განადგურების მეთოდები კვერცხსა და კვერცხის პროდუქტებში

კვერცხსა და კვერცხის პროდუქტებში, ნიუკასლის დაავადების გამომწვევის შესაძლო არსებობისას , ვირუსის განადგურებისათვის თერმული დამუშავების მეთოდებია:

ა) მთლიანი კვერცხი არაუმეტეს 55 გრამისა - 2521 წამი;

ბ) მთლიანი კვერცხი არაუმეტეს 57 გრამისა 1596 წამი;

გ) მთლიანი კვერცხი არაუმეტეს 59 გრამისა - 674 წამი;

დ) თხევადი კვერცხის ცილა არაუმეტეს 55 გრამისა - 2278 წამი;

ე) თხევადი კვერცხის ცილა არაუმეტეს 57 გრამისა - 986 წამი;

ვ) თხევადი კვერცხის ცილა არაუმეტეს 59 გრამისა - 301 წამი;

ზ) კვერცხის გული არაუმეტეს 55 გრამისა 10% - იანი მარილიან ხსნარში - 176 წამი;

თ) მშრალი კვერცხის ცილა არაუმეტეს 57 გრამისა - 50,4 სთ.

მუხლი 22. ნიუკასლის დაავადების განადგურება ფრინველის ხორცში

შინაური ფრინველის ხორცში, ნიუკასლის დაავადების გამომწვევის შესაძლო არსებობისას, ვირუსის განადგურებისათვის თერმული დამუშავების მეთოდებია :

ა) ფრინველის ხორცი არაუმეტეს 65 გრამისა - 840 წამი;

ბ) ფრინველის ხორცი არაუმეტეს 70 გრამისა - 874 წამი;

გ) ფრინველის ხორცი არაუმეტეს 74 გრამისა - 280 წამი;

დ) ფრინველის ხორცი არაუმეტეს 80 გრამისა - 203 წამი.

(დანართი №9 და დანართი №10 იხილეთ თანდართულ ფაილად)

დანართი №11

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №586 – ვებგვერდი, 22.12.2022წ.

ფუტკრის ამერიკულ სიდამპლესთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ფუტკრის ამერიკული სიდამპლე (*American foulbrood*) (შემდგომში – ამერიკული სიდამპლე) მეთაფლია ფუტკრის (Apis mellifera) ლარვებისა და ჭუპრის მაღალკონტაგიოზური და სწრაფად პროგრესირებადი დაავადებაა. დაავადების აღმძვრელია გარემო პირობების მიმართ განსაკუთრებულად მდგრადი, სპორის წარმომქმნელი გრამდადებითი ბაქტერია – Paenibacillus larvae.

2. ამერიკული სიდამპლის გამოვლენა ფიჭაზე გადაბეჭდილი ბარტყის (ჭუპრის) მეჩხერი განლაგების, ჭუპრიანი ფიჭის უჯრების სარქველების ჩაზნექის, პერფორაციისა და ასეთ უჯრაში ჩამპალი, წელვადი და შემდგომში გამომშრალი, ხრწნის სპეციფიკური სუნის მქონე ჭუპრის მკვდარი სხეულის აღმოჩენას უკავშირდება.

3. ამერიკული სიდამპლის საწყისი სტადია შესაძლოა მიმდინარეობდეს სუბკლინიკური ფორმით.

4. საველე პირობებში ამერიკულ სიდამპლეზე სავარაუდო დიაგნოზის დასმისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგები, დაავადების კლინიკური ნიშნები და მსგავსი კლინიკური ნიშნების მქონე სხვა პათოლოგიები: ევროპული სიდამპლე, ფუტკრის ბარტყის გადაცივება, პარკუჭა ბარტყი და ვაროატოზი.

5. ამერიკულ სიდამპლეზე დიაგნოზის დადგენა ხდება ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული მეთოდების გამოყენებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals).

6. ამერიკულ სიდამპლესთან დაკავშირებული ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებზე პასუხისმგებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„ფუტკრის ამერიკულ სიდამპლესთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესის“ (შემდგომში – წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ეპიზოოტიური კერა** – კონკრეტული ადგილი ან/და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც არის აღმძვრელის აქტიური წყარო და შესაძლებელია ფუტკრის დაავადება;

ბ) **რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახები** – ფუტკრის ოჯახები, რომლებიც ბინადრობენ ან/და უწევთ გადაადგილება ეპიზოოტიურ კერაში;

გ) **ამერიკული სიდამპლის საეჭვო შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას;

დ) **ამერიკული სიდამპლის დადასტურებული შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადასტურებულია დაავადების აღმძვრელის არსებობა;

ე) **პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ფუტკრის ოჯახს ან/და პასუხისმგებელია ფუტკრის ოჯახის მოვლა-შენახვაზე;

ვ) **ცხოველური პროდუქტი** – ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;

ზ) **მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (შემდეგომში – მადპ) (apiculture by-products)** – თაფლი, ფუტკრის ცვილი, ფუტკრის რძე, დინდგელი ან მტვერი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;

თ) **საფუტკრე მეურნეობა** – შემოღობილი ან შემოუღობავი ტერიტორია სკებით, საფუტკრის შენობებითა და აღჭურვილობებით, სადაც ხდება ფუტკრის შენახვა, მოვლა და რომელიც წარმოადგენს ფუტკრის მუდმივ ან დროებით ფიზიკურ ადგილსამყოფელს და რომელიც რეგისტრირდება დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) **სკა** – კონსტრუქცია, მათ შორის ხის მორისაგან დამზადებული კონსტრუქცია, რომელშიც მოთავსებულია ფუტკრის ოჯახი, ჩვეულებისამებრ, აღჭურვილი ჩარჩოებით, საფრენით, დასათბუნებელი მასალით, ხის ან სხვა მასალის საკუჭნაოთი;

კ) **ფიჭა** – ფუტკრების მიერ აგებული ცვილის ორმხრივი სტრუქტურა ჰექსაგონური ფორმის უჯრებით;

ლ) **ასაშენებელი ფიჭა** – ფუტკრის ცვილისგან დამზადებული ფურცელი ორმხრივად ამოტვიფრული ჰექსაგონური კონტურებით, განკუთვნილი ფუტკრის ოჯახის მიერ ფიჭების სამშენებლოდ;

მ) ფუტკრის ოჯახი – მეთაფლია ფუტკრების (Apis mellifera) ერთიანი ჯგუფი, ჩვეულებრივ, ერთი დედა ფუტკრით, მუშა ფუტკრებით, სეზონური თავისებურების გათვალისწინებით მამალი ფუტკრებითა და ფუტკრის ბარტყით ან მათ გარეშე;

ნ) ფუტკრის ბარტყი – განვითარებადი მეთაფლე ფუტკრის ყველა საფეხურის, დაწყებული კვერცხითა და დასრულებული ჭუპრით;

ო) ფუტკრის ოჯახის ბუდე – სკის ნაწილი შემდგარი ჩარჩოებისგან, ფიჭებისგან და ფიჭის უჯრებში განთავსებული ფუტკრის ბარტყის, თაფლისა და ჭეოსაგან;

პ) ქურდობა – მუშა ფუტკრების მიერ თაფლისა და საკვები მარაგის აღება (დატაცება) ფუტკრის სხვა ოჯახებიდან.

მუხლი 3. ამერიკული სიდამპლის პროფილაქტიკის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები

1. მეთაფლია ფუტკრის ოჯახების მოვლა-შენახვისას გამოყენებული უნდა იქნეს კარგი საწარმოო პრაქტიკა, რაც გულისხმობს:

ა) ფიჭების განახლებას ყოველწლიურად, ფუტკრის ოჯახის ბუდის ჩარჩოების საერთო რაოდენობის სულ მცირე 1/3-ის ასაშენებელი ფიჭის ფურცლით ჩანაცვლებით;

ბ) ჩარჩოების მინიმალურ გადანაცვლებას ოჯახებს შორის;

გ) ქურდობის აღკვეთას ფუტკრის ოჯახებს შორის;

დ) მეფუტკრეობისთვის აქტიურ პერიოდში, წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ ფუტკრის ოჯახების შემოწმებას ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების არსებობაზე და შემოწმების შედეგების შესახებ შესაბამისი ჩანაწერების წარმოებას;

ე) ფუტკრის ოჯახების გადაადგილებამდე 30 დღის ვადაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი დათვალიერება ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების აღმოჩენის მიზნით, „**საფუტკრე მეურნეობაში მეთაფლია ფუტკრის ამერიკული სიდამპლის კონტროლის ჟურნალი**“ (დანართი №11.1) შევსების გზით.

2. ამერიკული სიდამპლის ეპიზოოტოლოგიური და პათოგენეზური თავისებურებების გამო, დაუშვებელია ამერიკული სიდამპლის პროფილაქტიკის მიზნით კლინიკურად ჯანმრთელ ფუტკრის ოჯახებში ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პრეპარატების გამოყენება იწვევს ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების შენიღბვას და იქმნება მისი გავრცელების საფრთხე.

მუხლი 4. ამერიკული სიდამპლის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ამერიკული სიდამპლის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევისას, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. ამერიკული სიდამპლის საეჭვო შემთხვევის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ფუტკრის ოჯახების ტრანსპორტირებისას;

გ) ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს, სმსლ-ს ან კერძო ლაბორატორიებს.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია, ამერიკული სიდამპლის დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

მუხლი 5. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ფუტკრის დიაგნოსტიკური გამოკვლევის, დეზინფექციის/დეზინსექციის/დერატიზაციისა და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

გ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

გ.ა) ფუტკრის ოჯახებთან მუშაობისას დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

გ.ბ) უზრუნველყოს ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ფუტკრის ოჯახთან სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოყენებული ინვენტარის სათანადო დეზინფექცია;

გ.გ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ფუტკრის ოჯახების ცალ-ცალკე დათვალიერება, ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

გ.დ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე:

გ.დ.ა) არ დაუშვას ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო შემთხვევის მქონე საფუტკრე მეურნეობიდან ფუტკრის ოჯახ(ებ)ის გადაადგილება, რეალიზაცია და დაავადებაზე საეჭვო ოჯახ(ებ)იდან ასეთი ოჯახიდან ფიჭის, საკვები მარაგის, დედა ფუტკრის, ბარტყის ან/და ზრდასრული ფუტკრის მასის სხვა სკაში გადაყვანა;

გ.დ.ბ) უზრუნველყოს ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ფუტკრის ოჯახ(ებ)იდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების, გარდა მეურნეობაში უკვე არსებული სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტებისა, გადატანა და რეალიზაცია;

გ.ე) საკარანტინო პერიოდში, უზრუნველყოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები.

მუხლი 6. სააგენტოს ვალდებულებები

1. ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) განახორციელოს ფუტკრის ოჯახების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი, ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ფუტკრის ოჯახების განცალკევებაზე და საფუტკრე მეურნეობაში არსებული ცხოველური პროდუქტების მარაგის, მათ შორის, მადპ-ის დადგენაზე/აღწერაზე და მონაცემების შენახვაზე;

დ) აიღოს ნიმუშ(ებ)ი ლაბორატორიული გამოკვლევისთვის და გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილება რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახებში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით;

ვ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს, ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ფუტკრის ოჯახ(ებ)ისა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის, გარდა მეურნეობაში უკვე არსებული სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტებისა, საფუტკრე მეურნეობიდან გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

2. ამერიკული სიდამპლის საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ხორციელდება კითხვარების საფუძველზე.

3. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, ამერიკული სიდამპლის აღმძვრელის საფუტკრე მეურნეობაში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) საფუტკრე მეურნეობაში ამერიკული სიდამპლის შესაძლო წარმოშობასა და სხვა საფუტკრე მეურნეობების იდენტიფიცირებას, სადაც ამთვისებელი ფუტკრის ოჯახები შეიძლება დაინფიცირდეს იმავე წყაროდან;

გ) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც სხვა ამთვისებელი ფუტკრის ოჯახები შეიძლება დაინფიცირდნენ ან მოხდა მათი კონტამინაცია;

დ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ამთვისებელი ფუტკრის ოჯახის, ცხოველური პროდუქტის, მათ შორის მადპ-ის ან ნებისმიერი მასალის გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია გამომწვევის გადატანა დაინფიცირებული ფუტკრის ოჯახიდან სხვა ფუტკრის ოჯახში.

4. ამერიკული სიდამპლის დადასტურებულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი ქმედებები:

ა) მოახდინოს ყოველი ახალი კერის აღრიცხვა;

ბ) შეიმუშაოს პროექტი კარანტინის დაწესებაზე სახელმწიფო რწმუნებულის – ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

გ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ამერიკული სიდამპლის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე ზედამხედველობა.

მუხლი 7. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. ამერიკული სიდამპლის დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, ამერიკული სიდამპლის გამომწვევის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 8. მეთაფლია ფუტკრის ოჯახებიდან ამერიკულ სიდამპლეზე ლაბორატორიული გამოცდისთვის გამოსაკვლევი მასალის აღების წესი

1. ამერიკული სიდამპლის არსებობაზე საეჭვო შემთხვევის დროს:

ა) გამოსაკვლევად ნიმუშების აღებას ახორციელებს სახელმწიფო ვეტერინარი;

ბ) ნიმუშის ამღები პირი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით და საჭირო ინსტრუმენტებით.

2. ამერიკულ სიდამპლეზე ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით შეიძლება აღებულ იქნეს შემდეგი ტიპის ნიმუშებიდან ერთ-ერთი:

ა) ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების მქონე ფუტკრის ოჯახებიდან:

ა.ა) ბარტყიანი ფიჭა ჩარჩოიანად ან ფიჭის ნაჭერი, რომლის ფართობიც არ უნდა იყოს 150 სმ^2-ზე (10X15 სმ-ზე) ნაკლები. ფიჭის უჯრებში უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი ისეთი ტიპის ბარტყი, რომელიც ამერიკული სიდამპლისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს. ჩარჩოიანი ფიჭა ან ფიჭის ნაჭერი არ უნდა შეიცავდეს თაფლს;

ა.ბ) სტერილური ტამპონით აღებული ფიჭის უჯრაში მყოფი ფუტკრის ბარტყის სხეულის ნაწილი, რომელსაც აღენიშნება ამერიკული სიდამპლისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები;

ბ) ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების არმქონე ოჯახებიდან სადიაგნოსტიკო მიზნით ხდება თაფლისა და საკვები მარაგის ნიმუშების აღება, სულ მცირე 40 მლ-ის ოდენობით უშუალოდ ფუტკრის ოჯახის ბუდიდან. თაფლის ან საკვები მარაგის ნიმუშების აღება ხდება ფიჭაზე ბარტყის განლაგების ადგილის სიახლოვეში (ნიმუში მისი აღების ტექნიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცავდეს ფიჭის ნაწილაკებს). თაფლისა და საკვები მარაგის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია აღებულ იქნეს შემდეგი ტიპის ნიმუშებიდან ერთ-ერთი:

ბ.ა) ფიჭა, ზრდასრული ფუტკრები ან სკის ფსკერზე დაგროვილი ნაგავი;

ბ.ბ) ფიჭის ნიმუში, რომელიც უნდა შეგროვდეს ინდივიდუალურად, ცარიელი ფიჭებიდან სულ მცირე 150 სმ^2 ფართობის მონაკვეთების ამოჭრით;

ბ.გ) ზრდასრული ფუტკრის ნიმუში, რომელიც უნდა შედგებოდეს სულ მცირე 30 ფუტკრისგან და რომელთა შეგროვდება უნდა მოხდეს ბარტყიანი ფიჭის ზედაპირიდან მათი ჩამოფერთხვით ან პირდაპირ კონტეინერში ჩაყრით. კონტეინერში მოთავსებული ფუტკრების მოკვლა ხდება გაყინვით;

ბ.დ) სკის ფსკერზე დაგროვილი ნაგავი, რომელიც უნდა შეგროვდეს სულ მცირე 200 მლ-ის მოცულობით.

3. გამოსაკვლევი მასალის აღების შემდგომ ერთჯერადი სპეციალური ტანსაცმელი, გარდა სათვალეებისა, უნდა მოთავსდეს ბიოუსაფრთხოების პარკში და შეიკრას. ბიოუსაფრთხოების პარკების დაწვა უნდა მოხდეს ინსინერატორში. სათვალეები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით. ხელები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით ან სადეზინფექციო ჟელეთი და შემდგომ დაბანილი უნდა იქნეს წყლით. სინჯის აღების დროს გამოყენებული მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი უნდა დამუშავდეს შესაბამისი დეზინფექტანტით.

მუხლი 9. ამერიკული სიდამპლის გამოსაკვლევი მასალის სინჯის/ნიმუშის შეფუთვა-ტრანსპორტირება

1. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის აღებული ნიმუშები ტრანსპორტირებამდე უნდა მოთავსდეს:

ა) ბარტყიანი ფიჭის ნიმუში – ქაღალდის პაკეტში, რის შედეგად ქაღალდის პაკეტი უნდა შეიფუთოს მუყაოს, ხის ან პოლიეთილენის ყუთით ან ჰერმეტულად დახურვადი პოლიეთილენის პარკით;

ბ) ტამპონები, ფუტკრის ბარტყის ნარჩენებით – პლასტმასის ჰერმეტულ თავსახურიან სტერილურ სინჯარაში;

გ) სკიდან აღებული თაფლის ან საკვები მარაგის ნიმუშები სინჯის ასაღებად გამოყენებული კოვზიანად (შპატელიანად) - პლასტმასის სტერილურ კონტეინერში, რომელიც ჰერმეტულად იხურება სახურავით. ნიმუში ტრანსპორტირებამდე შესაძლოა ინახებოდეს ოთახის ტემპერატურაზე ან მაცივარში. თუ კოვზი/შპატელი ვერ თავსდება აღნიშნულ კონტეინერში უნდა მოხდეს გამოყენებული კოვზის გაუვნებელყოფა;

დ) ზრდასრული ფუტკრების ნიმუში – პლასტმასის სტერილურ კონტეინერში;

ე) სკის ფსკერზე თავმოყრილი ნარჩენები – ქაღალდის პაკეტში;

ვ) ნიმუშების მეორადი შეფუთვა – პოლიეთილენის პაკეტში, ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

2. თუ გასაგზავნი ნიმუშები რაოდენობრივად ბევრია, ნიმუშების მექანიკურად დაზიანების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამჯერადი შეფუთვა (დიდი მუყაოს ყუთები).

3. ყველა ტიპის ნიმუშის შენახვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვით. მხოლოდ ზრდასრული ფუტკრების შემცველი ნიმუში შეიძლება ინახებოდეს ეთანოლის 70%-იან ხსნარში და ასეთი სახით მოხდეს მისი ტრანსპორტირება.

4. დაუშვებელია მინის კონტეინერის გამოყენება ნიმუშის პირველადი ან შემდგომი შეფუთვისას.

5. გამოსაკვლევად გასაგზავნ პათოლოგიურ მასალას, გარედან კონტეინერზე მითითებული უნდა ჰქონდეს საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციის და სკაზე დატანილი ფუტკრის ჯგუფური საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. პათოლოგიური მასალა აღებიდან დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში, სათანადო პირობების დაცვით უნდა გაიგზავნოს ლაბორატორიაში.

მუხლი 10. საფუტკრე მეურნეობაში ამერიკული სიდამპლის დადასტურების შემთხვევაში ჩასატარებელი ღონისძიებები

1. ამერიკული სიდამპლის დადასტურების შემთხვევაში, ეპიზოოტიური კერა და მის ირგვლივ არანაკლებ 3 კმ რადიუსი ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. ფუტკრის ოჯახში ამერიკული სიდამპლის საწყისი ფორმის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის მიერ სახელმწიფო ვეტერინარის ზედამხედველობით, შესაძლოა განხორციელდეს ფუტკრის ოჯახის გადასხმა ახალ ბუდეზე, რაც გულისხმობს:

ა) ზრდასრული ფუტკრებისა (იმაგო ფორმების) და დედა ფუტკრის ჩაფერთხვას ახალ ან დეზინფიცირებულ სკაში, რომელშიც განთავსებულია ხელოვნური ასაშენებელი ფიჭიანი ჩარჩოები, რა დროსაც ხდება ფუტკრების დამშევა 24 საათით;

ბ) ზრდასრული ფუტკრებისა და დედა ფუტკრის ჩაფერთხვას დროებით, სათანადო ზომის ვენტილირებად (ბადიან) ყუთში, ფუტკრების 24 საათიანი დამშევით და მათი შემდგომი გადასმით ახალ ან დეზინფიცირებულ სკაში, რომელშიც განთავსებულია ხელოვნური ასაშენებელი ფიჭიანი ჩარჩოები.

3. ფუტკრის ოჯახში ამერიკული სიდამპლის გენერალიზებული ფორმის შემთხვევაში, როდესაც ზრდასრული ფუტკრის რაოდენობა ფუტკრის ოჯახში მცირეა, უნდა მოხდეს ოჯახისა და მისი ბუდის განადგურება დაწვით, საფუტკრის ტერიტორიაზე ან საფუტკრიდან ახლო მანძილზე მოწყობილ ადგილას. მანიპულაციის განხორციელებამდე ფუტკრის ოჯახის მოკვლა ხდება ფუტკრის საცხოვრებელში გოგირდის ბოლის შეშვებით.

4. დაავადებული ოჯახების მოკვლიდან ან ახალ ბუდეზე გადასხმიდან და ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებიდან არაუადრეს 6 კვირისა და არაუგვიანეს 9 კვირისა სააგენტოს მიერ ხორციელდება ზედამხედველობა, რომლის დროსაც უნდა დათვალიერდეს საფუტკრე მეურნეობაში არსებული ყველა ოჯახი.

5. ზრდასრული ფუტკრების გარეშე დარჩენილი დაავადებული ოჯახის ბუდე უნდა განადგურდეს.

მუხლი 11. ამერიკულ სიდამპლესთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. ეპიზოოტიურ კერაში ამერიკული სიდამპლის შემთხვევის დადასტურების დროს იკრძალება:

ა) ფუტკრის ოჯახების შეყვანა და გამოყვანა;

ბ) დაავადებული ფუტკრის ოჯახებიდან ჩარჩოების გადაადგილება სხვა ოჯახებში;

გ) ამერიკულ სიდამპლეზე საეჭვო ოჯახებიდან დედების გადაადგილება-რეალიზაცია;

დ) მადპ-ის, ფუტკრის დამატებითი საკვების, სკების და საფუტკრე მეურნეობაში გამოყენებული ხელსაწყოების გატანა;

ე) ფუტკრის ოჯახებისგან მოცილებული და ცალკე მარაგის სახით არსებული თაფლისა და ჭეოს გამოყენება ფუტკრის საკვებად;

ვ) დაავადებული ოჯახებიდან ცხოველური პროდუქტების მიღება.

2. საფუტკრე მეურნეობაში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირ(ებ)ს, ვეტერინარ(ებ)ს.

3. სააგენტომ შეიძლება გასცეს ავტორიზაცია ადგილზე/ობიექტზე ფუტკრისა და მადპ-ის განკარგვაზე/განთავსებაზე, იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა, რომ ფუტკრისა და მადპ-ის დაწვამ და დამარხვამ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და გარემოს.

4. ეპიზოოტიურ კერაში უნდა ჩატარდეს საფუტკრე მეურნეობის დასუფთავება და გაუვნებლობა ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

მუხლი 12. დასუფთავება და გაუვნებლობა

1. ფუტკრის საცხოვრებელი, გარდა ნამჯისგან დამზადებულისა, გეჯებისა და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული საცხოვრებლებისა, გაუვნებლობამდე უნდა დასუფთავდეს ზედაპირების ჩამოფხეკით. ყურადღება უნდა მიექცეს სკის კონსტრუქციაში არსებული კუთხეებიდან, ბზარებიდან და წარმოქმნილი ღრუებიდან სხვადასხვა ნარჩენების მოცილებას.

2. ხისგან დამზადებული სკა, მისი ნაწილებიანად და ხის აღჭურვილობა (ჩარჩოები, თამასები, საკვებურები) დასუფთავების შემდგომ უნდა გაუვნებელყოფილ იქნეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მეთოდით:

ა) ზედაპირებზე ცეცხლის ალის შემოტარებით. ცეცხლის ალით გამოწვა უნდა გაგრძელდეს ხის ზედაპირის ფერის ცვლილებამდე;

ბ) ზედაპირების დამუშავებით სადეზინფექციო ხსნარის საშუალებით, რომელიც შერჩეულია სააგენტოს მიერ ან/და სადეზინფექციო ხსნარის საშუალებით, რომელიც შეიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს. დეზინფექტანტის ექსპოზიცია უნდა გაგრძელდეს 20 წუთის განმავლობაში;

გ) 160°C ტემპერატურის მქონე გამდნარ პარაფინში ჩატვირთვით სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში.

3. პლასტმასისგან დამზადებული სკების ზედაპირები, მათი დასუფთავების შემდგომ, უნდა გაიპოხოს სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც შეიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს. დეზინფექტანტის მოქმედება უნდა გაგრძელდეს 20 წუთის განმავლობაში.

4. ნამჯისგან დამზადებული სკა, გეჯები და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული ფუტკრის სცხოვრებელი უნდა დაიწვას.

5. ფუტკრის ოჯახებიდან გამოწუნებული საკვები მარაგის შემცველი, ბარტყიანი და ცარიელი ფიჭები, მათი ნაწილები და ნარჩენები უნდა გაუვნებელყოფილ იქნეს ან განადგურდეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული მითითებების შესაბამისად.

6. სკის მცირე ზომის ნაწილები და ხის აღჭურვილობა (ჩარჩოები, თამასები, საკვებურები) თუ არ მოხდა მათი განადგურება დაწვით, დასუფთავების შემდეგ შესაძლოა გაუვნებელყოფილ იქნეს:

ა) 160°C ტემპერატურის მქონე გამდნარ პარაფინში ჩატვირთვით სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში;

ბ) 20 წუთის განმავლობაში იმ ბიოციდური საშუალებაში ჩატვირთვით, რომელიც მოქმედი ნივთიერების სახით შეიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს.

7. საფარი ტილოები უნდა განადგურდეს დაწვით.

8. სკების წინ არსებული ნიადაგი უნდა დამუშავდეს იმ ბიოციდური საშუალების შესხურებით, რომელიც მოქმედი ნივთიერების სახით შეიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტს, რის შედეგად მიწა უნდა გადაიბაროს.

9. საფუტკრე მეურნეობაში წარმოებული ცვილის ნიშანდება/ეტიკეტირება ხორციელდება მითითებით, რომ ის წარმოადგენს ეპიდემიურ ცვილს და მისგან ხელოვნური ფიჭის დამზადებამდე აუცილებელია ცვილის გაუვნებელყოფა 121°C ტემპერატურაზე, 0.1 მპა წნევის ქვეშ, 30 წუთის განმავლობაში ან სხვა ვალიდირებული მეთოდის გამოყენებით:

ა) საფუტკრე მეურნეობაში წარმოებული ცვილის ნიშანდება/ეტიკეტირებას ახორციელებს პასუხისმგებელი პირი;

ბ) ცვილის დეზინფიცირება შესაძლოა მოხდეს ხელოვნური ფიჭის ბეჭდვის ეტაპზე.

მუხლი 13. კარანტინის მოხსნა

1. კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ წესის მე-10–მე-12 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებიდან სულ მცირე 6 კვირაა გასული და საკარანტინო ზონაში არსებული ფუტკრის ოჯახების დათვალიერებით არ ვლინდება ამერიკული სიდამპლისთვის დამახასიათებელი სიმპტომები;

ბ) მკვდარი ფუტკრისა და მადპ-ის განკარგვა განხორციელდა ამ წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 14. მადპ-თან, ფუტკართან და მეფუტკრეობის სასურსათო დანიშნულების პროდუქტებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები

1. მადპ, რომელიც გამიზნულია ექსკლუზიურად მეფუტკრეობისათვის არ უნდა იყოს გატანილი ტერიტორიიდან, რომელიც ექვემდებარება ამერიკულ სიდამპლეზე აკრძალვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტოს მიერ რისკი შეფასდა, როგორც უმნიშვნელო, გასცა სპეციალური ავტორიზაცია მხოლოდ ქვეყანაში გამოსაყენებლად, და მიღებულ იქნა ყველა სხვა საჭირო ზომა, ამერიკული სიდამპლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

2. ფუტკარი შეიძლება დაექვემდებაროს:

ა) გადაადგილებას (მათ შორის მთაბარობას), თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება ამერიკულ სიდამპლეზე შეზღუდვას ან ამ არეალში მოხსნილია კარანტინი;

ბ) ბაზარზე განთავსებას კარანტინის მოხსნიდან 30 დღის შემდეგ, ან თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება ამერიკულ სიდამპლეზე შეზღუდვას.

3. საფუტკრე მეურნეობიდან და მასთან არსებული თაფლის გადამამუშავებელი საწარმოდან ცხოველური პროდუქტების გატანისა და რეალიზაციის შეზღუდვა ვრცელდება ფუტკრის საკვებად განკუთვნილ მეფუტკრეობის პროდუქტებზე და არ ვრცელდება ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტებზე.

4. აკრძალულია ცვილის ფიჭის სახით იმპორტი და ტრანზიტი.

მუხლი 15. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში ამერიკული სიდამპლის ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, პერსონალისა და ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა სხვა მასალისადმი წვდომა;

დ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ამერიკული სიდამპლის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურის, ინსტრუქციის და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა.

2. ვეტერინარებმა და მეფუტკრე ფერმერებმა რეგულარულად უნდა გაიარონ სწავლებები ამერიკული სიდამპლის კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული საგანგებო გეგმა შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა.

დანართი №11.1

საფუტკრე მეურნეობაში მეთაფლია ფუტკრის ამერიკული სიდამპლის კონტროლის ჟურნალი

რეგიონი _____ მუნიციპალიტეტი _____ დასახლებული პუნქტი _____ მისამართი _____		პასუხისმგებელი პირი _____ საკონტაქტო ინფორმაცია _____ საფუტკრე მეურნეობის საიდენტიფიკაციო ნომერი _____ საფუტკრე მეურნეობის დასახელება _____			დამატებითი ინფორმაცია _____
შემოწმების მეთოდი	**შემოწმების თარიღი**	**ამერიკული სიდამპლის კლინიკური ნიშნების მქონე ოჯახების საიდენტიფიკაციო ნომრები**	**ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგი** (ნიმუშის გადაგზავნის შემთხვევაში)	**ჩატარებული ღონისძიების მოკლე აღწერა** მაგ.: ოჯახის განადგურება დაწვით, ოჯახების გაერთიანება, დედის მოკვლა და ა.შ.	**შენიშვნა**

დანართი №12

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №586 – ვებგვერდი, 22.12.2022წ.

ფუტკრის ტროპილელაფსოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტკიპების გვარის – ტროპილელაფსი (კლასი: მწერები რიგი: Mesostigmata ოჯახი: Laelapidae, გვარი: *Tropilaelaps spp.*) (შემდეგში – ტროფილაელფსოზი) წარმომადგენელი სახეობები მეთაფლია ფუტკრების გვარში (Apis) შემავალი სახეობების ბარტყის პარაზიტებს წარმოადგენენ. ევროპული მეთაფლია ფუტკრის (*Apis mellifera*) ქვესახეობების მიმართ პარაზიტიზმს ავლენენ ტროპილელაფსის გვარიდან მხოლოდ ორი სახეობის ტკიპები: *Tropilaelaps clareae* და *Tropilaelaps mercedesae*, რომელთა გარეგნული ნიშნები, პარაზიტიზმის თავისებურებები და ცხოვრების წესი მსგავსია.

2. მავნებელი ენდემურია მეთაფლია ფუტკრის აზიური სახეობებისთვის. მეთაფლია ფუტკრის ევროპული რასების ოჯახებს არ აქვთ გამოხატული პარაზიტი ტკიპისგან თავდაცვის ეფექტიანი ბრძოლის მექანიზმები. ტკიპი იწვევს მათი ოჯახების ძლიერ დასუსტებასა და განადგურებას, ხშირად ტკიპით ძლიერ დასნებოვნებული ფუტკრის ოჯახი ტოვებს ბუდეს. ტკიპი დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს მეფუტკრეობის დარგს.

3. ტკიპების ზრდასრული და მოზარდი ფორმები იკვებებიან მეთაფლია ფუტკრის ოჯახის მხოლოდ ჭუპრის ფაზაში მყოფი მოზარდების სხეულით. ტკიპის რეპროდუქცია და პარაზიტიზმი მხოლოდ ფუტკრის ჭუპრიან უჯრებში მიმდინარეობს. მეთაფლია ფუტკრის ჭუპრის გარეშე მყოფი ტკიპი მასპინძლის იმაგო ფორმებზე ცოცხლობს არა უმეტეს 3 დღისა, რადგან არ შეუძლია მისი სხეულისთვის დაზიანების მიყენება და კვება. ტკიპ ტროპილელაფსს კვერცხიდან იმაგო ფორმამდე განვითარებისთვის დაახლოებით ერთი კვირა სჭირდება.

4. ტკიპი ტროპილელაფსის ფუტკრის ოჯახში პარაზიტიზმისას აღინიშნება ფუტკრის ბარტყიანი უჯრების მეჩხერი განლაგება ფიჭებზე, ფიჭის უჯრებში არასრულფასოვნად განვითარებული ან მკვდარი და დეფორმირებული ფუტკრის სხეულები. ახლადგამოჩეკილ იმაგო ფორმებში ხშირად შეინიშნება ფრთების დეფორმაცია, მოძრაობის უნარის მოშლა, ასეთი ფუტკრები ხშირად დახოხავენ ფუტკრის საცხოვრებლის საფრენთან. აგრეთვე, შესაძლებელია ფიჭებზე სწრაფად მოძრავი ტკიპის იმაგო ფორმების შეუიარაღებელი თვალით დანახვა. მოწითალო-მოყავისფრო ტკიპის იმაგო ფორმების სხეულის სიგრძე მერყეობს 0.85-0.99 მმ-ს შორის.

5. ფუტკრის ოჯახში ტროპილელაფსოზი კლინიკური ნიშნებით მსგავსია ტკიპი ვაროას პარაზიტიზმისა, ხშირად ორივე ტიპის ინვაზია ერთდროულად მიმდინარეობს.

6. საველე პირობებში ტროპილელაფსოზზე სავარაუდო დიაგნოზის დასმისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგები, მავნებლის პოვნის შემთხვევაში მისი მორფოლოგია, მიყენებული ზიანის თვალსაჩინო თავისებურებები და მსგავსი მორფოლოგიის მქონე მწერების არსებობა.

7. ტროპილელაფსოზზე დიაგნოზის დადასტურება ხდება ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდირებული მეთოდების გამოყენებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals).

8. ფუტკარში ტროპილელაფსოზთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებზე პასუხისმგებელია სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„ფუტკრის ტროპილელაფსოზის წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესის“ (შემდგომში – წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ეპიზოოტიური კერა** – კონკრეტული ადგილი ან/და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც არის ტკიპი ტროპილელაფსის აქტიური წყარო და შესაძლებელია მეთაფლია ფუტკრის ოჯახის დაავადება;

ბ) **რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახები** – ფუტკრის ოჯახები, რომლებიც ბინადრობენ ან/და უწევთ გადაადგილება ეპიზოოტიურ კერაში;

გ) **ტროპილელაფსოზის არსებობის საეჭვო შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას;

დ) **ტროპილელაფსოზის არსებობის დადასტურებული შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დასტურდება დაავადების აღმძვრელის არსებობა;

ე) **პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ფუტკრის ოჯახს ან/და პასუხისმგებელია ფუტკრის ოჯახის მოვლა-შენახვაზე;

ვ) **ცხოველური პროდუქტი** – ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის

არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;

ზ) მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (შემდეგომში – მადპ) (apiculture by-products) – თაფლი, ფუტკრის ცვილი, ფუტკრის რძე, დინდგელი ან მტვერი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;

თ) საფუტკრე მეურნეობა – შემოღობილი ან შემოუღობავი ტერიტორია სკებით, საფუტკრის შენობებითა და აღჭურვილობებით, სადაც ხდება ფუტკრის შენახვა, მოვლა და რომელიც წარმოადგენს ფუტკრის მუდმივ ან დროებით ფიზიკურ ადგილსამყოფელს და რომელიც რეგისტრირდება დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) სკა – კონსტრუქცია, მათ შორის ხის მორისაგან დამზადებული კონსტრუქცია, რომელშიც მოთავსებულია ფუტკრის ოჯახი, ჩვეულებისამებრ აღჭურვილი ჩარჩოებით, საფრენით, დასათბუნებელი მასალით, ხის ან სხვა მასალის საკუჭნაოთი;

კ) ფიჭა – ფუტკრების მიერ აგებული ცვილის ორმხრივი სტრუქტურა ჰექსაგონური ფორმის უჯრებით;

ლ) ფუტკრის ოჯახი – მეთაფლია ფუტკრების (*Apis mellifera*) ერთიანი ჯგუფი, ჩვეულებრივ ერთი დედა ფუტკრით, მუშა ფუტკრებით, სეზონური თავისებურების გათვალისწინებით მამალი ფუტკრებითა და ფუტკრის ბარტყით ან მათ გარეშე;

მ) ფუტკრის ბარტყი – განვითარებადი მეთაფლია ფუტკრის ყველა საფეხურის, დაწყებული კვერცხითა და დასრულებული ჭუპრით, კრებსითი სახელი;

ნ) ფუტკრის ოჯახის ბუდე – სკის ნაწილი, შემდგარი ჩარჩოებისგან, ფიჭებისგან და ფიჭის უჯრებში განთავსებული ფუტკრის ბარტყის, თაფლისა და ჭეოსაგან.

მუხლი 3. ტროპილელაფსოზის შემოჭრა-გავრცელების საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებები

ფუტკრის ოჯახების მოვლა-შენახვისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია საფუტკრე მეურნეობაში ახალი ოჯახების, დედა ფუტკრის, ფიჭის შემოტანა ტკიპი ტროპილელაფსის ინვაზიაზე მხოლოდ კეთილსაიმედო საფუტკრე მეურნეობიდან.

მუხლი 4. ტროპილელაფსოზის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. საფუტკრე მეურნეობაში ტროპილელაფსოზის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. ტროპილელაფსოზის საეჭვო შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ცხოველების ტრანსპორტირებისას;

გ) ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს, სმსლ-ს ან კერძო ლაბორატორიებს.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია ტროპილელაფსოზის დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს.

მუხლი 5. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ფუტკრის დიაგნოსტიკური გამოკვლევის, დეზინფექციის/დეზინსექციის/დერატიზაციისა და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) ტროპილელაფსოზის საეჭვო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

გ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

გ.ა) ფუტკრის ოჯახებთან მუშაობისას დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

გ.ბ) უზრუნველყოს ტროპილელაფსოზზე საეჭვო ფუტკრის ოჯახთან სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოყენებული ინვენტარის სათანადო გაუვნებლობა;

გ.გ) უზრუნველყოს ჯანმრთელი, ტროპილელაფსოზზე საეჭვო და დაავადებული ფუტკრის ოჯახების ცალ-ცალკე დათვალიერება და შესაბამისი საჭირო ღონისძიებების გატარება;

გ.დ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, არ დაუშვას:

გ.დ.ა) ტროპილელაფსოზზე საეჭვო შემთხვევის მქონე საფუტკრე მეურნეობიდან ფუტკრის ოჯახ(ებ)ის გადაადგილება, რეალიზაცია და ტროპილელაფსოზზე საეჭვო ოჯახიდან ფიჭების, საკვები მარაგის, დედა ფუტკრის, ბარტყის ან ზრდასრული ფუტკრის მასის სხვა სკაში გადატანა;

გ.დ.ბ) ფუტკრის ოჯახებისთვის განკუთვნილი საკვები მარაგების გატანა სასაწყობე სივრციდან;

გ.დ.გ) უზრუნველყოს ტროპილელაფსოზზე საეჭვო ფუტკრის ოჯახებიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, მადპ-ის სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების გადატანა და რეალიზაცია;

გ.ე) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები.

მუხლი 6. სააგენტოს ვალდებულებები

1. ტროპილელაფსოზის საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) განახორციელოს ფუტკრის ოჯახების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი, ტროპილელაფსოზზე საეჭვო ფუტკრის ოჯახების განცალკევებაზე და საფუტკრე მეურნეობაში არსებული ცხოველური პროდუქტების მარაგის, მათ შორის, მადპ-ის დადგენაზე/აღწერაზე და მონაცემების შენახვაზე;

დ) აიღოს ნიმუშ(ებ)ი ლაბორატორიული გამოკვლევისთვის და გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილება რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახებში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით;

ვ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს, ტროპილელაფსოზზე საეჭვო ფუტკრის ოჯახისა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის საფუტკრე მეურნეობიდან გადაადგილების და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

2. ტოპილელაფსოზის საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ხორციელდება კითხვარების საფუძველზე.

3. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, ტკიპი ტროპილელაფსის საფუტკრე მეურნეობაში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) საფუტკრე მეურნეობაში ტროპილელაფსოზის შესაძლო წარმოშობასა და სხვა საფუტკრე მეურნეობების იდენტიფიცირებას, სადაც ამთვისებელი ფუტკრის ოჯახები შეიძლება დასნებოვნდნენ იმავე წყაროდან;

გ) სხვა ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების დაინვაზირების შესაძლო მასშტაბს;

დ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების, ცხოველური პროდუქტის, მადპ-ს ან ნებისმიერი მასალის გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია გამომწვევის გადატანა დასნებოვნებული ფუტკრის ოჯახიდან სხვა ფუტკრის ოჯახში.

4. ტროპილელაფსოზის დადასტურებულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი ქმედებები:

ა) მოახდინოს ყოველი ახალი კერის აღრიცხვა;

ბ) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები;

გ) შეიმუშაოს პროექტი კარანტინის დაწესებაზე სახელმწიფო რწმუნებულის - ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

დ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ტროპილელაფსოზის სალიკვიდაციო ღონისძიებებზე ზედამხედველობა.

მუხლი 7. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. საფუტკრე მეურნეობაში ტროპილელაფსოზის დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, ტკიპი ტროპილელაფსის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 8. ფუტკრის ოჯახებიდან ტროპილელაფსოზზე ლაბორატორიული გამოკვლევისათვის მასალის აღების წესი

1. ტროპილელაფსოზის საეჭვო შემთხვევის დროს:

ა) გამოსაკვლევად ნიმუშების აღებას ახორციელებს სახელმწიფო ვეტერინარი;

ბ) ნიმუშის ამღები პირი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით და საჭირო ინსტრუმენტებით.

2. ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ტკიპის ნიმუშის აღება შესაძლოა მოხდეს ფუტკრის ოჯახის დათვალიერებისას, ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მეთოდით:

ა) ფუტკრის ოჯახის დათვალიერებისას, თუკი მასში არის მამალი ან მუშა ფუტკრის ჭუპრიანი უბნები, ხდება ცვილის სარქველების ასაფხეკი ჩანგლით ან მსგავსი მოწყობილობით ჭუპრის ფიჭის უჯრებიდან ამოყრა. ტროპილელაფსოზის არსებობის შემთხვევაში შეუიარაღებელი თვალით არის შესამჩნევი მოწითალო-მოყავისფრო ტკიპისა და მისი მოთეთრო ფერის მოზარდი ტკიპების სხეულები;

ბ) ფუტკრის ოჯახიდან ხდება ერთ-ერთი ფიჭიანი ჩარჩოს ამოღება და მისი ზედაპირიდან დაახლოებით 300 მუშა ფუტკრის (≈ 30გ) ჩაფერთხვა განიერყელიან 1 ლ-მდე მოცულობის ჭურჭელში. ფუტკრების ჭურჭლიდან ამოფრენის შესაფერხებლად ხელის წრაფი მოძრაობით ხდება მისი დაკაკუნება მაგარ ზედაპირზე. ფსკერისკენ მიკრულ ფუტკრებს ესხმება 70%-იანი ეთანოლის ხსნარი ან საპნიანი წყალი ისე, რომ ფუტკრის მასა მთლიანად დაიფაროს ხსნარით. ჭურჭელი იფარება თავსახურით 2 წუთის განმავლობაში, მისი მსუბუქად შენჯღრევის შემდეგ ჭურჭლის შიგთავსი გადმოიღვრება საცერზე, რომლის ცხაურის უჯრების დიამეტრი 2-3 მმ-ს შეადგენს. ამგვარად, ცხაურის ზედაპირზე დარჩება ფუტკრის მასა, ხოლო ხსნართან ერთად მოხდება ტკიპების სხეულების გამორეცხვა და შესაძლებელი იქნება მათი დანახვა და შეგროვება თეთრი ფერის ლანგრის ზედაპირიდან;

გ) ფუტკრის ოჯახიდან ხდება ბარტყიანი ჩარჩოს ამოტანა, სწრაფი მოძრაობით მასზე მსხდომი ზრდასრული ფუტკრები ბუდეშივე იფერთხება. ფუტკრისგან თავისუფალი ჩარჩო დამატებით იფერთხება მკვეთრი მოძრაობით თეთრი ფერის სუფთა ზედაპირზე, რომელზეც შესაძლებელი იქნება ტკიპი ტროპილელაფსის ადვილად გარჩევა და შეგროვება;

დ) ნაკლებინვაზიურ მეთოდს წარმოადგენს ფუტკრის საცხოვრებლის ფსკერად ისეთი ცხაურიანი კონსტრუქციის გამოყენება, რომელიც ფუტკრის ოჯახში ბუნებრივად ჩამოცვენილი ტკიპების შეგროვების საშუალებას მოგვცემს. ცხაურის ქვეშ უნდა განთავსდეს ვაზელინის, ზეთის ან მსგავსი წებოვანი ნივთიერებით გაპოხილი ქაღალდის ან პოლიეთილენის ფირი, რომელიც მიიკრავს ჩამოვარდნილ ტკიპებს და არ მისცემს მათ გადაადგილების საშუალებას;

ე) თუ სააგენტომ მიიჩნია საჭიროდ, შესაძლოა მოხდეს ფუტკრის ოჯახში ფუტკრებისა და პარაზიტი ტკიპის წინასწარ მოკვლა და ფუტკრის ოჯახის ბუდის დეტალური დათვალიერება.

3. ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით, ფუტკრის ოჯახიდან, რომელშიც ვლინდება ტკიპი ტროპილელაფსი აღებული უნდა იქნეს ტკიპის იმაგო ფორმები. ნიმუში, შეძლებისდაგვარად, მექანიკური დაზიანების გარეშე, უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის კონტეინერში.

4. ტროპილელაფსოზის ნიშნების არმქონე ოჯახებიდან სადიაგნოსტიკო მიზნით ხდება ფუტკრის ოჯახის სკის ფსკერზე დაგროვილი ნარჩენების ნიმუშის აღება, რომელიც უნდა განთავსდეს პოლიეთილენის ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში.

5. გამოსაკვლევი მასალის აღების შემდგომ ერთჯერადი სპეციალური ტანსაცმელი, გარდა სათვალეებისა, უნდა მოთავსდეს ბიოუსაფრთხოების პარკში და შეიკრას. ბიოუსაფრთხოების პარკების დაწვა უნდა მოხდეს ინსენერატორში. სათვალეები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით. ხელები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით ან სადეზინფექციო ჟელეთი და შემდგომ დაბანილი უნდა იქნეს წყლით. სინჯის აღების დროს გამოყენებული მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი უნდა დამუშავდეს შესაბამისი დეზინფექტანტით.

მუხლი 9. ტროპილელაფსოზე გამოსაკვლევი მასალის სინჯის/ნიმუშის შეფუთვა-ტრანსპორტირება

1. ტროპილელაფსოზზე ლაბორატორიული გამოკლევისთვის აღებული ნიმუშები ტრანსპოტირებამდე უნდა მოთავსდეს პლასტმასის ჰერმეტულთავსახურიან სუფთა კონტეინერში, ხოლო ნიმუშების მეორადი შეფუთვა უნდა მოხდეს პოლიეთილენის პაკეტში.

2. გაგზავნამდე ნიმუში უნდა მოთავსდეს ეთანოლის 70%-იან ხსნარში.

3. იმ ნიმუშების შენახვა და ტრანსპორტირება, რომლებიც არ ინახება 70%-იანი ეთანოლის ხსნარში,

უნდა მოხდეს ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვით.

4. დაუშვებელია მინის კონტეინერის გამოყენება ნიმუშის პირველადი ან შემდგომი შეფუთვისას.

5. გამოსაკვლევად გასაგზავნ პათოლოგიურ მასალას გარედან კონტეინერზე მითითებული უნდა ჰქონდეს საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციის და სკაზე დატანილი ფუტკრის ჯგუფური საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. პათოლოგიური მასალა, აღებიდან დაუყოვნებლივ არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში, სათანადო პირობების დაცვით უნდა გაიგზავნოს ლაბორატორიაში.

მუხლი 10. საფუტკრე მეურნეობაში ტროპილელაფსოზის ინვაზიის დადასტურების შემთხვევაში ჩასატარებელი ღონისძიებები

1. ტროპილელაფსოზის დადასტურების შემთხვევაში ეპიზოოტიური კერა და მის ირგვლივ არანაკლებ 3 კმ რადიუსი ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა, რომ განისაზღვროს ტკიპის ინტროდუცირების შესაძლო გზა და შეფასდეს მისი შესაძლო გავრცელების არეალი და დაავადების აფეთქების თავისებურებები.

3. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევის შედეგების შესწავლის საფუძველზე, მავნებლის აღმოფხვრის შესაძლებელი გზების შეფასებით განისაზღვრება ტროპილელაფსოზის მართვის ერთ-ერთი სქემის განხორციელება:

ა) პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე ფუტკრის ყველა ოჯახის მოკვლა საფუტკრე მეურნეობაში, რომელშიც დადასტურდა ტროპილელაფსოზი;

ბ) ოჯახების მკურნალობა:

ბ.ა) ერთ-ერთი ავტორიზებული აკარიციდის გამოყენებით დედა ფუტკრების 25 დღით დატყვევების პარალელურად ან დედა ფუტკრების ერთდროულად ყველა ოჯახში მოკვლის და მათი სადედე ჯამებით ჩანაცვლების ფონზე;

ბ.ბ) ერთ-ერთი ავტორიზებული აკარიციდის გამოყენებით ფუტკრის ოჯახებიდან ყველა ბარტყიანი ჩარჩოს ამოტანის და განადგურების შემდგომ.

4. საფუტკრე მეურნეობაში არსებული ცხოველური პროდუქტისა და დაავადებულ ფუტკრის ოჯახთან შეხებაში მყოფი ყველა საგნის გაუვნებლობა უნდა მოხდეს ამ წესის მე-12 მუხლში მითითებული მეთოდების შესაბამისად.

5. დაავადებული ოჯახების მოკვლიდან ან მკურნალობიდან არა უადრეს 3 და არა უგვიანეს 5 კვირისა უნდა ჩატარდეს სახელმწიფო კონტროლი, რომლის დროსაც უნდა დათვალიერდეს საფუტკრე მეურნეობაში არსებული ყველა ოჯახი.

მუხლი 11. ტროპილელაფსოზთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. ეპიზოოტიურ კერაში იკრძალება:

ა) ფუტკრის ოჯახების შეყვანა და გამოყვანა;

ბ) ტროპილელაფსოზით დასნებოვნებული ფუტკრის ოჯახებიდან ფუტკრების, ჩარჩოების, ფიჭის, ფიჭის ნაწილებისა და საკვები მარაგის გადატანა სხვა ოჯახებში;

გ) ფუტკრის ოჯახების, ცოცხალი ან მკვდარი ფუტკრების, ფიჭების, ფიჭის ნაწილების, ფიჭის ნარჩენების, დაუმუშავებელი ცვილის, სკის და გამოყენებული ინვენტარის გატანა საფუტკრიდან;

დ) მადპ-ს ფუტკრის დამატებითი საკვების, სკების და საფუტკრე მოურნეობაში გამოყენებული იარაღების გატანა;

ე) იმავე საფუტკრე მეურნეობიდან მიღებული, ცალკე მარაგის სახით არსებული თაფლის, ჭეოს გამოყენება ფუტკრის საკვებად ან სარეალიზაციოდ მათი გაუვნებლობის გარეშე, რომელიც უნდა მოხდეს მოცემული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

ვ) დაავადებული ოჯახებიდან ცხოველური პროდუქტების მიღება.

2. საფუტკრე მეურნეობაში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირ(ებ)ს, ვეტერინარ(ებ)ს.

3. სააგენტომ შეიძლება გასცეს ავტორიზაცია ადგილზე/ობიექტზე ფუტკრისა და მადპ-ის განკარგვაზე/განთავსებაზე, იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა, რომ ფუტკრისა და მადპ-ის დაწვამ და დამარხვამ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და გარემოს.

4. ეპიზოოტიურ კერაში უნდა ჩატარდეს საფუტკრე მეურნეობის დასუფთავება და გაუვნებლობა ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

მუხლი 12. დასუფთავება და გაუვნებლობა

1. იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება ფუტკრის ოჯახის მოკვლა, დასუფთავებამდე და გაუვნებლობამდე უნდა მოხდეს ფუტკრის ოჯახის ჩაკეტვა საღამოს ფუტკრების ფრენის შეწყვეტის შემდგომ ან დილით ფრენის განახლებამდე და ფუტკრებისა და მავნებლის მოკვლა გოგირდის დიოქსიდის ან სააგენტოს მიერ შერჩეული სხვა საშუალებით. ოჯახის მოკვლის შემდგომ ფუტკრის იმაგო ფორმები უნდა დაიწვას, ხოლო ფუტკრის საცხოვრებელი და ოჯახის ბუდის შემადგენელი ნაწილები (თაფლიანი, ბარტყიანი და ცარიელი ფიჭები და ჩარჩოები) უნდა გაუვნებლდეს ამ მუხლის მე-12 მუხლის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება ფუტკრის ოჯახებიდან მხოლოდ ბარტყიანი ფიჭების ამოტანა, მათი გაუვნებლობა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, თერმული დამუშავებით (მდუღარე წყალში გადადნობით) ან განადგურება დაწვით.

3. სკა, გარდა ნამჯისგან დამზადებულისა, გეჯებისა და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული საცხოვრებლებისა, გაუვნებლობამდე უნდა დასუფთავდეს ზედაპირების ჩამოფხეკით. ყურადღება უნდა მიექცეს სკის კონსტრუქციაში არსებული კუთხეებიდან, ბზარებიდან და წარმოქმნილი ღრუებიდან სხვადასხვა ნარჩენების მოცილებას. აღნიშნული ნარჩენები უნდა დაიწვას.

4. ხისგან დამზადებული სკა, მისი ნაწილებიანად და ხის აღჭურვილობა (ჩარჩოები, თამასები, საკვებურები) დასუფთავების შემდგომ გაუვნებელყოფილი უნდა იქნეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მეთოდით:

ა) ზედაპირებზე ცეცხლის ალის შემოტარებით. ცეცხლის ალით გამოწვა უნდა გაგრძელდეს ხის ზედაპირის ფერის ცვლილებამდე;

ბ) 160°C ტემპერატურის მქონე გამდნარ პარაფინში ჩატვირთვით სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში;

გ) ცოცხალი ფუტკრებისგან სულ მცირე 21 დღის განმავლობაში იზოლირებულად შენახვით.

5. პლასტმასისგან დამზადებული სკების ზედაპირები უნდა დამუშავდეს 100°C ან უფრო მაღალი ტემპერატურის მქონე წყლის ორთქლით ან შენახულ იქნეს ცოცხალი ფუტკრებისგან იზოლირებულად სულ მცირე 21 დღის განმავლობაში.

6. ნამჯისგან დამზადებული სკა, გეჯები და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული სკა უნდა დაიწვას.

7. საფარი ტილოები უნდა განადგურდეს დაწვით.

8. ფიჭების, ფიჭის ნაწილებისა და ნარჩენების, ხელოვნური ფიჭის, ცვილის, საკვები მარაგების და ნებისმიერი იმ საგნის, რომელიც შესაძლოა კონტაქტში ყოფილიყო ტკიპი ტროპილელაფსოზთან, გაუვნებლობა უნდა მოხდეს მათი ფუტკრებისგან იზოლირებულად შენახვით სულ მცირე 21 დღის მანძილზე.

9. ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი მეფუტკრეობის სასურსათო პროდუქტების გაუვნებლობა უნდა მოხდეს მათი შენახვით, ცოცხალი ფუტკრებისგან იზოლირებულად, სულ მცირე 21 დღის მანძილზე ან სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა მეთოდით.

მუხლი 13. კარანტინის მოხსნა

1. კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-10-მე-12 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებიდან სულ მცირე 3 კვირაა გასული და საკარანტინო ზონაში არსებული ფუტკრის ოჯახების დათვალიერებით არ ვლინდება დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები;

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 14. მადპ-თან, ფუტკართან და მეფუტკრეობის სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები

1. მადპ, რომელიც გამიზნულია ექსკლუზიურად მეფუტკრეობისათვის არ უნდა იყოს იმ ტერიტორიიდან, რომელიც ექვემდებარება აკრძალვას, რომელიც უკავშირდება ფუტკრის ტროფილელაფსოზის არსებობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტოს მიერ რისკი შეფასდა, როგორც უმნიშვნელო, გასცა სპეციალური ავტორიზაცია მხოლოდ ქვეყანაში გამოსაყენებლად, და მიღებულ იქნა ყველა სხვა საჭირო ზომა, დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

2. ფუტკარი შეიძლება დაექვემდებაროს:

ა) გადაადგილებას (მათ შორის მთაბარობას), თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება ტროპილელაფსოზზე შეზღუდვას ან ამ არეალში მოხსნილია კარანტინი;

ბ) ბაზარზე განთავსებას კარანტინის მოხსნიდან 30 დღის შემდეგ ან თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება ტროპილელაფსოზზე შეზღუდვას.

3. საფუტკრე მეურნეობიდან და მასთან არსებული თაფლის გადამამუშავებელი საწარმოდან მეფუტკრეობის სასურსათო პროდუქტების გატანა და რეალიზაციაზე შეზღუდვა იხსნება ამ წესის მე-12 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულის ერთ - ერთი მეთოდით გაუვნებლობის შემდეგ.

4. აკრძალულია ცვილის ფიჭის სახით იმპორტი და ტრანზიტი.

მუხლი 15. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების მაღალი სიმჭიდროვისა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების ახლომდებარე ზონები დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, პერსონალისა და ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა სხვა მასალისადმი წვდომა;

დ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ტროპილელაფსოზის ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურის, ინსტრუქციის და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა.

2. ვეტერინარებმა და მეფუტკრე ფერმერებმა რეგულარულად უნდა გაიარონ სწავლებები ტროპილელაფსოზის კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა.

დანართი №13

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №586 – ვებგვერდი, 22.12.2022წ.

ფუტკრის მავნებლის – სკის მცირე ხოჭოსთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სკის მცირე ხოჭო (*Aethina tumida*) (შემდეგში – მავნებელი), კლასი – მწერები, რიგი – Coleoptera. ოჯახი: Nitidulidae) მეთაფლია ფუტკრის (*Apis mellifera*) ევროპული რასებისთვის ეგზოტიკური მავნებელი და მტაცებელია (შემდგომში – მავნებელი და სკის მცირე ხოჭო გამოყენებულია თანაბარი მნიშვნელობით).

2. მავნებელი ენდემურია აფრიკის კონტინენტისთვის და არ იწვევს მეთაფლია ფუტკრის აფრიკული რასების ოჯახებში მძიმე უარყოფით მოვლენებს. მეთაფლია ფუტკრის ევროპული რასების ოჯახებს არ გააჩნიათ მავნებლის მიმართ ეფექტიანი ბრძოლის მექანიზმები. შესაბამისად, მავნებელი იწვევს მათი ოჯახების ძლიერ დასუსტებასა და განადგურებას და დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს მეფუტკრეობის დარგს.

3. მავნებელი იკვებება ფუტკრის ბარტყით, ყვავილის მტვრითა და თაფლით. კვებისას მავნებელი გამოყოფს დიდი რაოდენობით ლორწოს, ხოლო ლორწოთი დაბინძურებული თაფლის მარაგი განიცდის ფერმენტაციას.

4. მავნებლის აქტივობა ფუტკრის ოჯახში იწვევს ბუდის სტრუქტურის რღვევას, რის შემდეგაც ფუტკრის იმაგო ფორმები ტოვებენ ბუდეს.

5. მავნებლის ინვაზიის შედეგად ფუტკრის ოჯახისთვის მიყენებული ზიანის სიმძიმე განისაზღვრება ადგილობრივი კლიმატის თავისებურებებით, ფუტკრის ოჯახის სიძლიერითა და სხვა ფაქტორებით. თბილი კლიმატისა და მაღალი ფარდობითი ტენიანობის პირობებში მავნებლის ცხოველმყოფელობისთვის უკეთესი პირობები იქმნება.

6. მავნებელს ასევე შეუძლია იკვებოს და გამრავლდეს ფუტკრის ოჯახის გარეთ: თაფლის, ფიჭისა და თაფლიანი ფიჭის ანათალის სუბსტრატზე, რომლებიც საწყობში ფუტკრის გარეშე არიან განთავსებული.

7. მავნებლის კვერცხიდან იმაგო ფორმამდე განვითარებისთვის 3-12 კვირა სჭირდება. ფრენის უნარის მქონე მავნებელი შეუფერხებლად ახდენს ფუტკრის როგორც ძლიერ ისე სუსტ ოჯახებში შეჭრასა და გამრავლებას.

8. ფუტკრის ოჯახში მავნებლის ინვაზია საწყის სტადიაზე შესაძლოა შეუმჩნეველი იყოს, მოგვიანებით, კი ოჯახის დათვალიერებისას შეიმჩნევა:

ა) 5 მმ-მდე სიგრძისა და 3.3 მმ-მდე სიგანის მქონე, მოყავისფრო-მოშავო ფერის მავნებლის იმაგო ფორმები, რომლებიც დათვალიერებისას გაურბიან სინათლეს და ცდილობენ სკისა და ჩარჩოების კუთხეებში დამალვას;

ბ) მავნებლის კვერცხები ზომით 1.4 × 0.26 მმ შეიძლება ჯგუფებად იყოს განთავსებული სკის ნაწილების ნაპრალებსა და ფსკერზე, ფიჭებზე და ფუტკრის ჭუპრის სარქველების ქვეშ, რაზეც ხშირად სარქველში არსებული ნახვრეტი მიანიშნებს;

გ) მავნებლის ლარვები 1 სმ სიგრძეს აღწევენ, აქვთ მოთეთრო შეფერილობა, გააჩნიათ სამი წყვილი კიდური და დორსალური ფარი, ლარვების ნახვა შესაძლებელია ფიჭაში და სკის ფსკერზე დაგროვილ ნარჩენებში;

დ) სპეციფიკური ლპობის სუნი, რაც უკავშირდება მავნებლის ლარვების მიერ ფუტკრის ბარტყის განადგურებას და მათი სხეულების ხრწნას, აგრეთვე თაფლის მარაგების ფერმენტაციას;

ე) მავნებლის ლარვები სხვადასხვა სუბსტრატის ზედაპირებზე გადაადგილებისას ტოვებენ ლორწოვან, ნაცხისმაგვარ კვალს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი ნიშნები ასევე დამახასიათებელია ფუტკრის ოჯახის გარეშე შენახული ფიჭების მავნებლით დაზიანებისას. (ეხება სასაწყობე სივრცეში, ან უფუტკრო სკებში შენახულ ფიჭებს, თაფლის დაწურვისას წარმოქმნილ ანათალს და მსგავსი ტიპის ნარჩენებს).

10. მავნებლის ლარვა ჭუპრის ფაზას გადის ნიადაგში 1-20 სმ სიღრმეში, ფუტკრის ოჯახიდან უმეტესად 180 სმ-ის რადიუსში.

11. საველე პირობებში მავნებელზე სავარაუდო დიაგნოზის დასმისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევის შედეგები, მავნებლის პოვნის შემთხვევაში მისი მორფოლოგია, მიყენებული ზიანის თვალსაჩინო თავისებურებები და მსგავსი მორფოლოგიის მქონე მწერების არსებობა.

12. მავნებლის არსებობის დადასტურება ხდება ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდირებული მეთოდების გამოყენებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals).

13. მავნებლის ინვაზიასთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებზე პასუხისმგებელია სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„ფუტკრის მავნებლის – სკის მცირე ხოჭოსთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების წესის“ (შემდგომში – წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი

მნიშვნელობა:

ა) ეპიზოოტიური კერა – კონკრეტული ადგილი ან/და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც არის მავნებლის წყარო და შესაძლებელია ზიანი მიადგეს საფუტკრე მეურნეობას. ეპიზოოტიური კერის საზღვრებს ადგენს სააგენტო;

ბ) რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახები – ფუტკრის ოჯახები, რომლებიც ბინადრობენ ან/და უწევთ გადაადგილება ეპიზოოტიურ კერაში;

გ) მავნებლის არსებობის საეჭვო შემთხვევა – როდესაც ადგილი აქვს მავნებლის და მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლინას;

დ) მავნებლის არსებობის დადასტურებული შემთხვევა – როდესაც ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დასტურდება მავნებლის არსებობა;

ე) პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ფუტკრის ოჯახს ან/და პასუხისმგებელია ფუტკრის ოჯახის მოვლა-შენახვაზე;

ვ) ცხოველური პროდუქტი – ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;

ზ) მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (შემდეგომში – მადპ) (apiculture by-products) – თაფლი, ფუტკრის ცვილი, ფუტკრის რძე, დინდგელი ან მტვერი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;

თ) საფუტკრე მეურნეობა – შემოღობილი ან შემოუღობავი ტერიტორია სკებით, საფუტკრის შენობებითა და აღჭურვილობებით, სადაც ხდება ფუტკრის შენახვა, მოვლა და რომელიც წარმოადგენს ფუტკრის მუდმივ ან დროებით ფიზიკურ ადგილსამყოფელს და რომელიც რეგისტრირდება დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) სკა – კონსტრუქცია, მათ შორის, ხის მორისაგან დამზადებული კონსტრუქცია, რომელშიც მოთავსებულია ფუტკრის ოჯახი, ჩვეულებისამებრ აღჭურვილი ჩარჩოებით, საფრენით, დასათბუნებელი მასალით, ხის ან სხვა მასალის საკუჭნაოთი;

კ) ფიჭა – ფუტკრების მიერ აგებული ცვილის ორმხრივი სტრუქტურა ჰექსაგონური ფორმის უჯრებით;

ლ) ასაშენებელი ფიჭა – ფუტკრის ცვილისგან დამზადებული ფურცელი ორმხრივად ამოტვიფრული ჰექსაგონური კონტურებით, განკუთვნილი ფუტკრის ოჯახის მიერ ფიჭების სამშენებლოდ;

მ) ფუტკრის ოჯახი – მეთაფლია ფუტკრების (*Apis mellifera*) ერთიანი ჯგუფი, ჩვეულებრივ ერთი დედა ფუტკრით, მუშა ფუტკრებით, სეზონური თავისებურების გათვალისწინებით, მამალი ფუტკრებითა და ფუტკრის ბარტყით ან მათ გარეშე;

ნ) ფუტკრის ბარტყი – განვითარებადი მეთაფლია ფუტკრის ყველა საფეხურის, დაწყებული კვერცხითა და დასრულებული ჭუპრით, კრებსითი სახელი;

ო) ფუტკრის ოჯახის ბუდე – სკის ნაწილი შემდგარი ჩარჩოებისგან, ფიჭებისგან და ფიჭის უჯრებში განთავსებული ფუტკრის ბარტყის, თაფლისა და ჭეოსაგან;

პ) ქურდობა – მუშა ფუტკრების მიერ თაფლისა და საკვები მარაგის აღება (დატაცება) ფუტკრის სხვა ოჯახებიდან.

მუხლი 3. მავნებლის საწინააღმდეგოდ გასატარებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები

მეთაფლია ფუტკრის ოჯახების მოვლა-შენახვისას გამოყენებული უნდა იქნეს კარგი საწარმოო პრაქტიკა, მავნებლის პროფილაქტიკის მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია:

ა) სკაში ახალი ოჯახების, დედა ფუტკრის, ფიჭის შემოტანა მავნებლის ინვაზიაზე მხოლოდ კეთილსაიმედო საფუტკრე მეურნეობიდან;

ბ) ფუტკრის ოჯახებს გარეთ არსებული თაფლის მარაგის, თაფლიანი ფიჭების, ფიჭის ნაწილების, ფიჭის ნარჩენების, ცვილსა და დამატებითი კვების საშუალებების შენახვას ფუტკრებით დაუსახლებელ სკებში ან სხვა ტიპის სათავსოში ისე, რომ გამოირიცხოს მათთან წვდომა;

გ) საფუტკრე მეურნეობაში მხოლოდ ძლიერი ოჯახების ყოლა.

მუხლი 4. მავნებლის ინვაზიის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. საფუტკრე მეურნეობაში მავნებლის არსებობის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. დაავადების საეჭვო შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ფუტკრის ტრანსპორტირებისას/გადაადგილებისას;

გ) ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ფუტკრის ოჯახების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს, სმსლ-ს ან კერძო ლაბორატორიებს.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია მავნებლის არსებობისას დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს.

მუხლი 5. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ფუტკრის დიაგნოსტიკური გამოკვლევის, დეზინფექციის/დეზინსექციის/დერატიზაციისა და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) მავნებლის არსებობაზე საეჭვო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

გ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

გ.ა) ფუტკრის ოჯახებთან მუშაობისას დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;

გ.ბ) უზრუნველყოს მავნებლის არსებობაზე საეჭვო ფუტკრის ოჯახთან სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოყენებული ინვენტარის სათანადო გაუვნებლობა;

გ.გ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და მავნებლის არსებობაზე საეჭვო ფუტკრის ოჯახების ცალ-ცალკე დათვალიერება, მავნებლის არსებობის საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შესაბამისი საჭირო ღონისძიებების გატარება;

გ.დ.) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე:

გ.დ.ა) არ დაუშვას მავნებლის არსებობაზე საეჭვო ფუტკრის ოჯახ(ებ)ის გადაადგილება, რეალიზაცია და ასეთი ოჯახიდან ფიჭების, საკვების მარაგის, დედა ფუტკრის, ბარტყის ან ზრდასრული ფუტკრის მასის სხვა სკაში გადაყვანა ან საფუტკრე მეურნეობის გარეთ გატანა;

გ.დ.ბ) არ დაუშვას ფუტკრის ოჯახ(ებ)ისთვის განკუთვნილი საკვები მარაგების გატანა სასაწყობე

სივრციდან;

გ.დ.გ) უზრუნველყოს დაავადებაზე საეჭვო ფუტკრის ოჯახებიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, მადპ-ის სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების, გარდა მეურნეობაში უკვე არსებული სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტებისა, გადატანა და რეალიზაცია;

გ.დ.დ) მეურნეობის ტერიტორიიდან (ან საკარანტინო ზონიდან) უკვე არსებული სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტების გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული მეთოდებიდან ერთ-ერთით, მათი გაუვნებლობის შემდგომ.

გ.ე) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოები.

მუხლი 6. სააგენტოს ვალდებულებები

1. მავნებლის არსებობის საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

გ) განახორციელოს ფუტკრის ოჯახების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი, მავნებლის არსებობაზე საეჭვო ფუტკრის ოჯახების განცალკევებაზე და საფუტკრე მეურნეობაში არსებული ცხოველური პროდუქტების მარაგის, მათ შორის მადპ-ს დადგენაზე/აღწერაზე და მონაცემების შენახვაზე;

დ) აიღოს ნიმუშ(ებ)ი ლაბორატორიული გამოკვლევისთვის და გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილება რისკის ქვეშ მყოფი ფუტკრის ოჯახებში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით;

ვ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს, მავნებლის არსებობაზე საეჭვო საფუტკრე მეურნეობიდან ფუტკრის ოჯახის გადაადგილების, რეალიზაციის და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

2. მავნებლის არსებობაზე საეჭვო შემთხვევებთან დაკავშირებით ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა ხორციელდება კითხვარების საფუძველზე.

3. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დროის ინტერვალს, მავნებლის საფუტკრე მეურნეობაში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან დაავადების შეტყობინებამდე;

ბ) საფუტკრე მეურნეობაში მავნებლის შესაძლო წარმოშობასა და სხვა საფუტკრე მეურნეობების იდენტიფიცირებას, სადაც დაავადების ამთვისებელი ფუტკრის ოჯახები შეიძლება დასნებოვნდნენ იმავე წყაროდან;

გ) სხვა დაავადებების ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების დაინვაზირების შესაძლო მასშტაბს;

დ) პირების, სატრანსპორტო საშუალებების, ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების, ცხოველური პროდუქტის, მადპ-ს ან ნებისმიერი მასალის გადაადგილებას, რის შედეგად შესაძლებელია გამომწვევის გადატანა დასნებოვნებული ფუტკრის ოჯახიდან სხვა ფუტკრის ოჯახში.

4. მავნებლის არსებობაზე დადასტურებულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების გარდა, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი ქმედებები:

ა) მოახდინოს ყოველი ახალი კერის აღრიცხვა;

ბ) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის საზღვრები;

გ) შეიმუშაოს პროექტი კარანტინის დაწესებაზე სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

დ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე ზედამხედველობა.

მუხლი 7. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. საფუტკრე მეურნეობაში მავნებლის არსებობის დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, მავნებლის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის – მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 8. მავნებლის არსებობაზე გამოსაკვლევი ფუტკრის ოჯახების დათვალიერებისა და ლაბორატორიული გამოკვლევისათვის მასალის აღება

1. ფუტკრის მავნებლის არსებობაზე საეჭვო შემთხვევის დროს:

ა) გამოსაკვლევად ნიმუშების აღებას ახორციელებს სახელმწიფო ვეტერინარი;

ბ) ნიმუშის ამღები პირი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით და საჭირო ინსტრუმენტებით;

გ) ნიმუშის აღებისას ფუტკრის ოჯახების დათვალიერება მავნებლის კვერცხის, ლარვებისა და იმაგო ფორმების აღმოჩენის მიზნით უნდა მოხდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

გ.ა) სკას ეხსნება სახურავი და ხდება მისი შიდა ზედაპირის დათვალიერება;

გ.ბ) სახურავის დათვალიერების შემდეგ, ვიზუალურად მოწმდება ფიჭიანი ჩარჩოების საფარი მასალის ზედაპირი ორივე მხრიდან;

გ.გ) სახურავისა და საფარი მასალის დათვალიერების შემდეგ, ხდება ფუტკრის ოჯახის ბუდის ჩარჩოების დეტალური შემოწმება ყველა მხრიდან. ამასთან, ყურადღებით უნდა დათვალიერდეს ფიჭის უჯრების შიდა სივრცე. მოცემული პროცედურის ჩატარებისას, სკიდან ამოღებული და დათვალიერებული პირველი ჩარჩო უნდა მოთავსდეს პატარა ზომის ყუთში, რომელიც ჰერმეტულად უნდა დაიხუროს სახურავით. ყოველი მომდევნო შემოწმებული ფიჭა უნდა დაბრუნდეს სკაში, ჩარჩოების დათვალიერების დასრულების შემდგომ, ასევე სკაში უნდა დაბრუნდეს პირველი ჩარჩო, რომელიც დროებით იყო გადატანილი ცარიელ ყუთში;

დ) ჩარჩოების დათვალიერების კვალდაკვალ მოწმდება სკის კედლისა და ფსკერის ზედაპირი, მასზე არსებული ნაპრალები და ნებისმიერი ტიპის ღიობები;

ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მანიპულაციები უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში. ყურადღება უნდა მიექცეს ფუტკრის ქურდობის პროვოცირების თავიდან არიდებას, რათა ფუტკრის ოჯახის დათვალიერება და ნიმუშის აღება არ გახდეს მავნებლის გავრცელების მიზეზი;

ვ) ფუტკრის ოჯახების დათვალიერება მავნებლის კვერცხის, ლარვებისა და იმაგო ფორმების აღმოჩენის მიზნით უნდა შეწყდეს ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებულიდან იმ ეტაპზე, რა დროსაც აღმოჩენილი იქნება მავნებლის რომელიმე ფორმა და შესაძლებელი იქნება რეპრეზენტატიული ნიმუშის აღება;

ზ) სააგენტოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიკლას ფუტკრის ოჯახში არსებული ფუტკრები და მავნებელი და განხორციელდეს ფუტკრის ოჯახის ბუდის დეტალური დათვალიერება.

2. მავნებლის არსებობაზე ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით შეიძლება შემდეგი ტიპის ნიმუშების აღება:

ა) ფუტკრის ოჯახიდან, რომელშიც ვლინდება მავნებელი, შეიძლება აღებული იქნეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ტიპის ნიმუში: მავნებლის კვერცხი, ლარვები და იმაგო ფორმები. ნიმუში, შეძლებისდაგვარად, მექანიკური დაზიანების გარეშე უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის კონტეინერში, რომელშიც ჩასხმულია მოლეკულურ ბიოლოგიაში გამოსაყენებლად ვარგისი ეთანოლის 96% ხსნარი;

ბ) მავნებლის ინვაზიის ნიშნების არმქონე ოჯახებიდან სადიაგნოსტიკო მიზნით ხდება ფუტკრის ოჯახის სკის ფსკერზე დაგროვილი ნარჩენების ნიმუშის აღება, რომელიც უნდა განთავსდეს პოლიეთილენის ჰერმეტულად დახურულ კონტეინერში.

3. გამოსაკვლევი მასალის აღების შემდგომ ერთჯერადი სპეციალური ტანსაცმელი, გარდა სათვალეებისა, უნდა მოთავსდეს ბიოუსაფრთხოების პარკში და შეიკრას. ბიოუსაფრთხოების პარკების დაწვა უნდა მოხდეს ინსენერატორში. სათვალეები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით. ხელები უნდა დამუშავდეს 70%-იანი სპირტით ან სადეზინფექციო ჟელეთი და შემდგომ დაბანილი უნდა იქნას წყლით. სინჯის აღების დროს გამოყენებული მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი უნდა დამუშავდეს შესაბამისი დეზინფექტანტით.

მუხლი 9. მავნებლის გამოსაკვლევი მასალის სინჯის/ნიმუშის შეფუთვა-ტრანსპორტირება

1. ლაბორატორიული გამოცდისთვის აღებული ნიმუშები ტრანსპოტირებამდე უნდა მოთავსდეს პლასტმასის ჰერმეტულ თავსახურიან სტერილურ კონტეინერში. ნიმუშების მეორადი შეფუთვა უნდა მოხდეს პოლიეთილენის პაკეტში.

2. იმ ნიმუშების შენახვა და ტრანსპორტირება, რომლებიც არ ინახება 96%-იანი ეთანოლის ხსნარში, უნდა მოხდეს ტემპერატურული რეჟიმის დაცვით.

3. დაუშვებელია მინის კონტეინერის გამოყენება ნიმუშის პირველადი ან შემდგომი შეფუთვისას.

4. გამოსაკვლევად გასაგზავნ პათოლოგიურ მასალას, გარედან კონტეინერზე მითითებული უნდა ჰქონდეს საფუტკრე მეურნეობის რეგისტრაციისა და სკაზე დატანილი ფუტკრის ჯგუფური საიდენტიფიკაციო ნომერი.

5. პათოლოგიური მასალა აღებიდან დაუყოვნებლივ, არა უმეტეს 24 საათის განმავლობაში, სათანადო პირობების დაცვით უნდა გაიგზავნოს ლაბორატორიაში.

მუხლი 10. მავნებლის არსებობის დადასტურების შემთხვევაში ჩასატარებელი ღონისძიებები

1. მავნებლის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, ეპიზოოტიური კერა და მის ირგვლივ არანაკლებ 3 კმ რადიუსი ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა, რომ განისაზღვროს მავნებლის ინტროდუცირების მიზეზი და დადგინდეს, მოხდა თუ არა დაინვაზირებული საფუტკრიდან მავნებლის გადაცემა ფუტკრების, ბარტყის, ფიჭების, ფიჭის ნაწილების, ცვილისა და საკვების საშუალებით.

3. ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევის შედეგების შესწავლის საფუძველზე, მავნებლის აღმოფხვრის შესაძლებელი გზების შეფასებით განისაზღვრება მისი მართვის სტრატეგია, რაც გულისხმობს:

ა) მავნებლის აღმოფხვრის რადიკალურ/მყისიერ სტრატეგიას: ფუტკრის ყველა ოჯახის მოკვლას საფუტკრე მეურნეობაში, რომელშიც დადასტურდა მავნებლის არსებობა და თაფლისა და დაავადებულ ფუტკრის ოჯახთან შეხებაში მყოფი ყველა საგნის გაუვნებლობას ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად;

ბ) მავნებლის აღმოფხვრის გრძელვადიან სტრატეგიას – საფუტკრე მეურნეობაში ფუტკრის ყველა ოჯახის დამუშავებას შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატით სკის მცირე ხოჭოს წინააღმდეგ და სკის, ასაშენებელი ფიჭის ფურცლების, ფიჭების, ფიჭის ნაწილებისა და ნარჩენების, ცვილის, საკვები მარაგების, მადპ-ის და ინვენტარის გაუვნებლობას;

გ) იმ ღონისძიებების გატარებას, რომელსაც სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს ეპიდემიოლოგიური ვითარების შესწავლის საფუძველზე.

მუხლი 11. მავნებელთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. ეპიზოოტიური კერაში იკრძალება:

ა) ფუტკრის ოჯახების შეყვანა და გამოყვანა;

ბ) მავნებლით დასნებოვნებული ფუტკრის ოჯახებიდან ცოცხალი ან მკვდარი ფუტკრების, ჩარჩოების, ფიჭის, ფიჭის ნაწილების, დაუმუშავებელი ცვილის, მადპ-ისა და საკვები მარაგის გადაადგილება სხვა ოჯახებში, აგრეთვე, გატანა საფუტკრე მეურნეობიდან;

გ) საფუტკრე მეურნეობაში გამოყენებული ინვენტარისა და ხელსაწყოების გატანა;

დ) ინვაზირებული და დაავდებული ოჯახებიდან ცხოველური პროდუქტების მიღება;

ე) ფუტკრის ოჯახებისგან მოცილებული, ცალკე მარაგის სახით არსებული თაფლის, ჭეოს, გამოყენება ფუტკრის საკვებად.

2. საფუტკრე მეურნეობაში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირ(ებ)ს, ვეტერინარ(ებ)ს.

3. სააგენტომ შეიძლება, გასცეს ავტორიზაცია ადგილზე/ობიექტზე ფუტკრისა და მადპ-ის განკარგვაზე/განთავსებაზე, იმ პირობით, რომ მიღებული იქნება ყველა საჭირო ზომა, რომ ფუტკრისა და მადპ-ის დაწვამ და დამარხვამ საფრთხე არ შეუქმნას ადამიანისა ან ცხოველის ჯანმრთელობასა და გარემოს.

4. ეპიზოოტიურ კერაში უნდა ჩატარდეს საფუტკრე მეურნეობის დასუფთავება და გაუვნებლობა ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №302 – ვებგვერდი, 16.08.2023წ.

მუხლი 12. დასუფთავება და გაუვნებლობა

1. დასუფთავებამდე და გაუვნებლობამდე უნდა მოხდეს ფუტკრის ოჯახის ჩაკეტვა საღამოს ფუტკრების ფრენის შეწყვეტის შემდგომ ან დილით ფრენის განახლებამდე და ფუტკრებისა და მავნებლის მოკვლა გოგირდის დიოქსიდის საშუალებით.

2. სკა, გარდა ნამჯისგან დამზადებულისა, გეჯებისა და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული საცხოვრებლებისა, გაუვნებლობამდე უნდა დასუფთავდეს ზედაპირების ჩამოფხეკით. ყურადღება უნდა მიექცეს სკის კონსტრუქციაში არსებული კუთხეებიდან, ბზარებიდან და წარმოქმნილი ღრუებიდან სხვადასხვა ნარჩენების მოცილებას. აღნიშნული ნარჩენები უნდა დაიწვას.

3. ხისგან დამზადებული სკა, მისი ნაწილებიანად და ხის აღჭურვილობა (ჩარჩოები, თამასები, საკვებურები) დასუფთავების შემდგომ გაუვნებელყოფილი უნდა იქნეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მეთოდით:

ა) ზედაპირებზე ცეცხლის ალის შემოტარებით. ცეცხლის ალით გამოწვა უნდა გაგრძელდეს ხის ზედაპირის ფერის ცვლილებამდე;

ბ) 160°C ტემპერატურის მქონე გამდნარ პარაფინში ჩატვირთვით სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში;

გ) სპეციალურ კამერაში გასაუვნებელი მასალის ცენტრში არანაკლებ 50°C ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის განმავლობაში;

დ) გასაუვნებელი მასალის ცენტრში გაყინვით არა უმეტეს -12°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის განმავლობაში.

4. პლასტმასისგან დამზადებული სკები უნდა გაუვნებლდეს სპეციალურ კამერაში გასაუვნებელი მასალის ყველა შრის გახურებით 50°C ან უფრო მაღალ ტემპერატურაზე და აღნიშნულ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის დაყოვნებით ან გასაუვნებელი მასალის ყველა შრის გაყინვით -12°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე და აღნიშნულ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის დაყოვნებით.

5. ნამჯისგან დამზადებული სკა, გეჯები და ფუღუროს ტიპის არასტანდარტული ფუტკრის სცხოვრებელი უნდა დაიწვას.

6. ფუტკრის ოჯახებიდან გამოწუნებული საკვები მარაგის შემცველი, ბარტყიანი და ცარიელი ფიჭები, მათი ნაწილები და ნარჩენები უნდა გაუვნებელყოფილ იქნეს ან განადგურდეს სახელმწიფო ვეტერინარის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვით.

7. საფარი ტილოები უნდა განადგურდეს დაწვით.

8. მავნებლის ჭუპრის წინააღმდეგ, სკის ქვეშ და ირგვლივ ნიადაგი უნდა დამუშავდეს 2 მ-ის რადიუსში ავტორიზებული ინსექტიციდის შემცველი რეკომენდებული ბიოციდური საშუალების შესხურებით, რის შემდეგაც მიწა უნდა გადაიბაროს 20 სმ-ის სიღრმეზე.

9. ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი თაფლის გაუვნებლობა უნდა მოხდეს ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

ა) თაფლის გაყინვით -12°C-ზე ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე და აღნიშნულ ტემპერატურაზე, არანაკლებ 24 საათის დაყოვნებით;

ბ) თაფლის გახურებით 50°C ტემპერატურამდე და აღნიშნულ ტემპერატურაზე არანაკლებ 24-საათის დაყოვნებით;

ბ) თაფლის დაყოვნებით, სულ მცირე 10 დღის განმავლობაში, იმგვარად, რომ გამოირიცხოს მასთან ფუტკრების კონტაქტი;

გ) 400 გრეი გამა სხივებით ირადიაციის გამოყენებით;

დ) გაფილტვრით არა უმეტეს 0.42 მმ ზომის უჯრების მქონე ფილტრში;

ე) სააგენტოს მიერ მოწოდებული სხვა ეფექტიანი მეთოდით.

10. ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ფუტკრის მიერ შეგროვებული ყვავილის მტვრისა (ფეხგუნდა) და ფუტკრის რძის გაუვნებლობა უნდა მოხდეს ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

ა) გასაუვნებელი სუბსტრატის ყველა შრის გაყინვით -12°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე და აღნიშნულ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის დაყოვნებით.

ბ) სუბლიმაციური შრობის ან იდენტური ტექნოლოგიის გამოყენებით.;

გ) 400 გრეი გამა სხივებით ირადიაციის გამოყენებით;

დ) სააგენტოს მიერ მოწოდებული სხვა ეფექტიანი მეთოდით.

11. საფუტკრე მეურნეობაში მარაგის სახით არსებული დინდგელისა (პროპოლისი) და ცვილის გაუვნებლობა უნდა მოხდეს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მეთოდით:

ა) გასაუვნებელი სუბსტრატის ყველა შრის გაყინვით -12°C ან უფრო დაბალ ტემპერატურაზე და აღნიშნულ ტემპერატურაზე არანაკლებ 24 საათის დაყოვნებით;

ბ) გადადნობით არანაკლებ 100°C ტემპერატურაზე;

გ) 400 გრეი გამა სხივებით ირადიაციის გამოყენებით;

დ) სააგენტოს მიერ მოწოდებული სხვა ეფექტიანი მეთოდით.

მუხლი 13. კარანტინის მოხსნა

1. კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ამ წესის მე-10-მე-12 მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებიდან სულ მცირე 3 კვირის შემდეგ ჩატარებული საველე და ლაბორატორიული გამოკვლევისას არ დადგინდა მავნებლის არსებობა;

ბ) მკვდარი ფუტკრისა და მადპ-ის განკარგვა განხორციელდა ამ წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 14. მადპ-თან, ფუტკართან და მეფუტკრეობის სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნები

1. მადპ, რომელიც გამიზნულია ექსკლუზიურად მეფუტკრეობისათვის არ უნდა იყოს გატანილი ტერიტორიიდან, რომელიც ექვემდებარება მავნებელზე აკრძალვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებულ იქნა ყველა სხვა საჭირო ზომა, დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

2. ფუტკარი შეიძლება დაექვემდებაროს:

ა) გადაადგილებას (მათ შორის მთაბარობას) თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება მავნებელზე შეზღუდვას ან ამ არეალში მოხსნილია კარანტინი;

ბ) ბაზარზე განთავსებას კარანტინის მოხსნიდან 30 დღის შემდეგ ან თუ წარმოშობით არის ისეთი არეალიდან, რომელიც არ ექვემდებარება მავნებელზე შეზღუდვას.

3. საფუტკრე მეურნეობიდან და მასთან არსებული თაფლის გადამამუშავებელი საწარმოდან ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილ სასურსათო დანიშნულების მეფუტკრეობის პროდუქტების გატანაზე და ბაზარზე განთავსებაზე შეზღუდვა იხსნება ამ წესის მე-12 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების ერთ - ერთი შესაბამისი მეთოდით აღნიშნული პროდუქტების გაუვნებლობის შემდეგ.

4. აკრძალულია ცვილის ფიჭის სახით იმპორტი და ტრანზიტი.

მუხლი 15. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ფუტკრის ოჯახების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, პერსონალისა და ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა სხვა მასალისადმი წვდომა;

დ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) ინსტრუქციული სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სკის მცირე ხოჭოს ეპიზოოტიის (ეპიდემიის) შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა პროცედურის, ინსტრუქციის და ზომების დეტალური, სრული და პრაქტიკული აღწერილობა.

2. ვეტერინარებმა და მეფუტკრე ფერმერებმა რეგულარულად უნდა გაიარონ სწავლებები სკის მცირე ხოჭოს კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა.

მუხლი 16. კომპენსაცია

1. საფუტკრე მეურნეობაში მეთაფლია ფუტკრის მავნებლის არსებობისას, მავნებლის აღმოფხვრის მიზნით ფუტკრის ოჯახების მოკვლის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდისა და კომპენსაციის ოდენობის საკითხს ადგენს საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პასუხისმგებელ პირზე კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ადგილი აქვს ამ წესის შესაბამისად საფუტკრე მეურნეობაში მეთაფლია ფუტკრის მავნებლის არსებობის შემთხვევას და სააგენტოს მიერ განხორციელებულია ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება, რაც გულისხმობს გარკვეული ღირებულების ქონების განადგურებას (სკები, ჩარჩოები, ინვენტარი და ა.შ.);

ბ) „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის N483 დადგენილების შესაბამისად:

ბ.ა) საფუტკრე მეურნეობა რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ.ბ) პასუხისმგებელი პირი რეგისტრირებულია ცხოველის მფლობელად მონაცემთა ერთიან ბაზაში და ასრულებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ბ.გ) ცხოველი იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია შემთხვევამდე არანაკლებ 7 დღით ადრე;

გ) პასუხისმგებელი პირის მიერ დაცულია ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დანართი №14

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აპრილის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 26.04.2024წ.

ცხვრისა და თხის ყვავილთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ცხვრისა და თხის ყვავილი (შემდგომში – ყვავილი) არის მწვავე კონტაგიოზური დაავადება, რომელიც მიეკუთვნება Poxviridae-ს ოჯახს და Capripoxvirus-ის გვარს. დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია: ცხელება, სუნთქვის გაძნელება, ქუთუთოების შეშუპება, თვალებიდან და ცხვირიდან ლორწოვანი ექსუდატის გამონადენი, კანზე და ლორწოვან გარსებზე პაპულოზურ-პუსტულოზური გამონაყარის განვითარება.

2. დაავადების აღმძვრელი დნმ-ის შემცველი ვირუსია, რომელიც მდგრადია გარემო ფაქტორების მიმართ. ყვავილოვან ნაწიბურებში ვირუსი ნარჩუნდება 1.5-დან 6 თვემდე. ვირუსი ნადგურდება ლეშის ლპობისას, მზის სხივების ზემოქმედებით და, ასევე, 55 ^{0}C -ზე ზევით გაცხელებით. დაავადების ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 4-დან 21 დღემდე. ზრდასრულ ცხოველებში ლეტალობამ შეიძლება მიაღწიოს 50%-ს, ხოლო ბატკნებში 100%-ს.

3. აღმძვრელის წყაროა დაავადებული და დაავადებამოხდილი ამთვისებელი ცხოველები.

4. ყვავილით დაინფიცირება ხდება აეროგენული და ალიმენტარული გზით, დაავადებული ცხოველის პირდაპირი კონტაქტით, დაინფიცირებული საკვებით, წყლით, ნიადაგით, მატყლით, ქვეშსაფენით, ინვენტარით, ცხოველის სეკრეტებით და ექსკრემენტებით, მომსახურე პერსონალის ტანსაცმლით, სატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებებით, ასევე სისხლის მწოველი მწერებითა და ტკიპებით, რომლებიც არიან დაავადების გადამტანები.

5. დიფერენციალური დიაგნოზის დროს უნდა გამოირიცხოს ცხვრის კატარული ცხელება, ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა, წვრფილფეხა საქონლის ჭირი, სირსველა, ქეცი, არაინფექციური ეგზემა.

6. ცხოველებში (ცხვარი, თხა) ყვავილის დიაგნოზის დადგენა ხდება კლინიკური ნიშნების, პათანატომიური ცვლილებების, ეპიზოოტიური მონაცემების გათვალისწინებითა და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული მეთოდებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals-ის განახლებული ვერსიის შესაბამისად).

7. ყვავილთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში –სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„ცხვრისა და თხის ყვავილთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (შემდგომში-წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეპიზოოტიური კერა – ცხოველის სადგომი ან მიმდებარე ტერიტორია, რომელზეც არის ინფექციის აღმძვრელის ერთი ან რამდენიმე წყარო;

ბ) დამცავი ზონა – მოიცავს ზონას ეპიზოოტიის კერის გარშემო არანაკლებ 1-5 კმ რადიუსით, სადაც ტარდება დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები, იმისათვის რომ არ მოხდეს დაავადების აღნიშნული ზონიდან გავრცელება;

გ) საკონტროლო ზონა – მოიცავს ზონას, დამცავი ზონის საზღვრიდან 10-20 კმ რადიუსით, სადაც დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ მოხდეს დაავადების გავრცელების პრევენცია დამცავი ზონიდან;

დ) პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს დაავადების ამთვისებელ ცხოველს ან/და პასუხისმგებელია მის მოვლა-შენახვაზე;

ე) სახელმწიფო ვეტერინარი – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

ვ) სადგომი – შენობა-ნაგებობა, სადაც ყვავილით დაავადების ამთვისებელ ცხოველებს ინახავენ ან ამრავლებენ დროებით ან მუდმივად;

ზ) დაავადების საეჭვო შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას;

თ) დაავადების დადასტურებული შემთხვევა – შემთხვევა, რომელიც დადასტურებულია ლაბორატორიულად;

ი) დაავადების ამთვისებელი ცხოველი – ცხვარი, თხა;

კ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (შემდგომში – **ცწადპ**) ცხოველის მთლიანი სხეული ან მისი ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, მათ შორის ოოციტი, ემბრიონი და სპერმა.

მუხლი 3. ყვავილის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. ყვავილის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. დაავადების საეჭვო შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ცხოველების ტრანსპორტირებისას, მათ შორის, გადარეკვისას;

გ) კერძო ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ცხოველების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს;

ე) ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც პროფესიული შეხება აქვს ამთვისებელ ცხოველებთან ან ასეთი ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებთან.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულებები ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია ყვავილის დაავადების დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WOAH).

მუხლი 4. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევის, ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, დეზინფექციის, დეზაკარიზაციისა და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) დაავადებაზე საეჭვო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

გ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

გ.ა) დაუყოვნებლივ მოახდინოს დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება;

გ.ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველთა ჯგუფების ცალ-ცალკე კვება და დაწყურება;

გ.გ) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადგომების მექანიკური დასუფთავება, ნაკელის გაუვნებლობა და სადეზაკარიზაციო სამუშაოების განხორციელება;

გ.დ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველების გადაადგილება, რეალიზაცია და დაკვლა;

გ.ე) არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ლეშის გაკვეთა და გატყავება;

გ.ვ) უზრუნველყოს დაავადებაზე საეჭვო ცხოველიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, ცწადპ-ის, სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების გადატანა და რეალიზაცია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე.

მუხლი 5. სააგენტოს ვალდებულებები

1. დაავადებაზე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

ბ.ა) დროის ინტერვალს, ვირუსის სადგომში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან ცხვრისა და თხის ყვავილის დაავადების შეტყობინებამდე;

ბ.ბ) სადგომში დაავადების შესაძლო წარმოშობასა და სხვა სადგომის იდენტიფიკაციას, სადაც ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდნენ იმავე წყაროდან;

ბ.გ) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც წვრილფეხა საქონელი შეიძლება დაინფიცირდეს ან მოხდეს კონტამინაცია;

ბ.დ) სადგომში რძის, რძის პროდუქტების, ხორცის, ხორცის პროდუქტების, ტანხორცის, ტყავისა და მატყლის, სპერმის, ემბრიონის, კვერცხუჯრედის, ნაკელის ყველა მარაგის, ასევე ცხოველის საკვების მარაგის დადგენა/აღწერა და მონაცემების შენახვის ჩატარებას;

გ) განახორციელოს ცხოველების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების განცალკევებაზე, ავადმყოფი ცხოველების მშრალ, კარგად ვენტილირებულ შენობაში განთავსებაზე და მოახდინოს სადგომში არსებული ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების რაოდენობის დადგენა;

დ) აიღოს გამოსაკვლევად ნიმუშები და ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ან/და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

2. დაავადების დადასტურების შემთხვევაში, ძალაში რჩება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემზღუდავი ღონისძიებები და, ასევე, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დამატებით განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

ა) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის, დამცავი და საკონტროლო ზონის ტერიტორიის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია;

ბ) განსაზღვროს ამთვისებელ ცხოველებში დაავადების შესაძლო გავრცელების მასშტაბი მოსალოდნელი და არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე (სეზონურ საძოვრებზე მიგრაცია, ცხოველთა პოპულაციის სიმჭიდროვე და სხვა);

გ) შეიმუშაოს პროექტი კარანტინის დაწესების თაობაზე სახელმწიფო რწმუნებულისთვის ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

დ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება (კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველების ვაქცინაცია, დეზინფექცია, დეზაკარიზაცია, საჭიროების შემთხვევაში პათოლოგიური მასალის აღება), შესრულება ან/და ზედამხედველობა;

ე) განახორციელოს საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

მუხლი 6. დაავადების საწინააღმდეგოდ გასატარებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. ყვავილის დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, ვაქცინაციის ჩატარების საჭიროებას, მასშტაბებსა და ვაქცინაციის გეგმას განსაზღვრავს სააგენტო;

2. სააგენტოს გადაწყვეტილებით ხორციელდება:

ა) პასიური და აქტიური ზედამხედველობა წვრილფეხა საქონელზე;

ბ) ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია სამიზნე ჯგუფებისათვის.

3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ცხოველთა სადგომში დაუშვას დაავადების ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, რომლებიც:

ა) დაბადებიდან ან ბოლო 21 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ იმ სადგომებში, სადაც ამ პერიოდისათვის არ იყო დაფიქსირებული ყვავილის შემთხვევა და ეს სადგომები არ მდებარეობდა ეპიზოოტიურ კერაში;

ბ) ტრანსპორტირების დროს არ ამჟღავნებდნენ დაავადების კლინიკურ ნიშნებს.

4. სადგომებში, რომლებიც მდებარეობდა ინფექციის კერაში, დამცავ და საკონტროლო ზონებში, 36 თვის განმავლობაში უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, რომლებიც

ვაქცინირებულნი არიან ყვავილის საწინააღმდეგოდ არანაკლებ 15 დღისა და არაუმეტეს 4 თვით ადრე.

5. სადგომებიდან, რომლებიც მდებარეობდა ინფექციის კერაში, დამცავ და საკონტროლო ზონებში, 36 თვის განმავლობაში უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ამთვისებელი ცხოველების გაყვანა, რომლებიც ვაქცინირებულნი არიან ყვავილის საწინააღმდეგოდ არანაკლებ 15 დღისა და არაუმეტეს 10 თვით ადრე.

მუხლი 7. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. დაავადების დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს დაავადების გამომწვევის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 8. ყვავილზე გამოსაკვლევი მასალის აღება

დაავადების საეჭვო შემთხვევის დროს:

ა) გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება და სმსლ-ში გადაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ვეტერინარის მიერ, ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით;

ბ) ვეტერინარი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით (ბიოუსაფრთხოების სპეციალური ტანსაცმელი, ჩექმა, ორმაგი ხელთათმანი, ქუდი, რესპირატორი, სათვალე);

გ) კლინიკური ნიშნების მქონე ცოცხალი ცხოველებიდან ნიმუშების აღება ხდება: სისხლის – არანაკლებ 7 მლ (ანტიკოაგულანტითა და ანტიკოაგულანტის გარეშე); ვეზიკულების შიგთავსით, მთლიანი პაპულები და პუსტულები მათ ირგვლივ არსებულ შეშუპებულ კანთან ერთად დაზიანებული კანის არანაკლებ 5 უბნიდან;

დ) მკვდარი ცხოველიდან ნიმუშებს იღებენ: დაზიანებულ კანსა და კანქვეშა ქსოვილს დაჩირქების ნიშნების გარეშე ზომით 10X10 სმ. დაზიანებული ფილტვის ფრაგმენტებს არანაკლებ 10 გრამის ოდენობით და დაზიანებულ ლიმფურ კვანძებს მთლიანად, არაუმეტეს 3 ლეშიდან. ნიმუშების ლაბორატორიაში გაგზავნა უნდა მოხდეს აღებიდან 48 საათის განმავლობაში. ნიმუშების მოთავსება და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის და ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით.

მუხლი 9. ყვავილთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. დადასტურებული შემთხვევის დროს ეპიზოოტიურ კერაში ცხადდება კარანტინი, სადაც:

ა) იკრძალება:

ა.ა) ყველა სახეობის ცხოველის შეყვანა და გაყვანა;

ა.ბ) ცხოველთა გადაჯგუფება;

ა.გ) ჯანმრთელი და დაავადებული ცხოველების საერთო გუბურიდან დაწყურება და საერთო საძოვრით სარგებლობა;

ა.დ) ცხოველის საკვების დამზადება და გატანა, რომელთან შეხება შესაძლებელია ჰქონოდათ დაავადებულ ცხოველებს;

ა.ე) რძისა და რძის პროდუქტების გატანა;

ა.ვ) ამთვისებელი ცხოველის გაპარსვა, ტყავის და მატყლის გატანა;

ა.ზ) ცხოველების სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონების გატანა;

ა.თ) ამთვისებელი ცხოველის ლეშის გაკვეთა ან/და გატყავება;

ა.ი) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და ცხოველების თავშეყრასთან;

ა.კ) უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა/გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული არ არის საკარანტინო ზონაში არსებულ ობიექტების მომსახურებასთან;

ბ) ხორციელდება:

ბ.ა) არაკეთილსაიმედო სადგომში ამთვისებელი ცხოველების აღრიცხვაზე აყვანა, ვეტერინარული შემოწმება, ავადმყოფი ცხოველების იზოლირება, აუცილებლობის შემთხვევაში, სიმპტომატიკური მკურნალობა ან მძიმედ ავადმყოფი ცხოველების მოკვლა უსისხლო მეთოდით;

ბ.ბ) ყვავილის კლინიკური ნიშნებით მკვდარი ცხოველების დაწვა;

ბ.გ) ყველა კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველის აცრა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინით, ინსტრუქციით (დარიგებით) განსაზღვრული ვაქცინაციის სქემის შესაბამისად. ვაქცინირებული ცხოველები 14 დღის განმავლობაში უნდა იმყოფებოდნენ ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ. დაავადების გამოვლინებისას უნდა მოხდეს ცხოველების გადაყვანა დაავადებულ ცხოველთა ჯგუფში;

ბ.დ) დეზინფექცია, იმ სადგომებსა და სხვა ადგილებში, სადაც მოთავსებულნი იყვნენ დაავადებული ამთვისებელი ცხოველები ან იმყოფებოდნენ ამ ობიექტებთან შემხებლობაში. დეზინფექცია უნდა ჩატარდეს სამ ეტაპად:

ბ.დ.ა) ამთვისებელი ცხოველების სიკვდილის ან მოკვლის შემდგომ;

ბ.დ.ბ) სადგომის მექანიკური დასუფთავების შემდგომ;

ბ.დ.გ) კარანტინის მოხსნის წინ;

ბ.ე) დეზაკარიზაცია, სადგომებში ტკიპების აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ.ვ) ავადმყოფი ცხოველებისგან მიღებული რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების განადგურება. კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველებისგან მიღებული რძე, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ადგილზე მისი თერმულად (85^0C-ზე 30 წუთის განმავლობაში ან 5 წუთი ადუღებით) დამუშავების შემდეგ;

ბ.ზ) საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

2. ეპიზოოტიურ კერაში, ცხოველის საკვები, რომელთანაც შეხება შეიძლება ჰქონდეს დაავადებულ ცხოველს, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ადგილზე ყვავილის არაამთვისებელი ან/და დაავადებაგადატანილი ცხოველებისთვის.

მუხლი 10. ზომები დამცავ ზონაში

1. დამცავ ზონაში უნდა განხორციელდეს:

ა) სადგომების აღწერა;

ბ) ცხოველების კლინიკური შემოწმება;

გ) ამთვისებელი ცხოველების ვაქცინაცია, მიუხედავად წინა ჩატარებული ვაქცინაციის თარიღისა;

დ) საინფორმაციო კამპანია;

ე) ცხოველების გადაადგილებაზე ზედამხედველობა;

ვ) დამცავი ზონიდან გამოსვლის წინ სატრანსპორტო საშუალებების დეზინფექცია.

2. დამცავ ზონაში რძე შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ადგილზე მისი თერმულად (85^0C-ზე 30 წუთის განმავლობაში პასტერიზებით ან 5 წუთი ადუღებით) დამუშავების შემდეგ.

3. დამცავ ზონაში იკრძალება:

ა) ყვავილზე არავაქცინირებული ამთვისებელი ცხოველების შემოყვანა;

ბ) დამცავი ზონიდან ამთვისებელი ცხოველების გაყვანა, გარდა მათი სასაკლაოზე გადაყვანისა;

გ) ამთვისებელი ცხოველებიდან მიღებული რძის გატანა;

დ) ამთვისებელი ცხოველების გაპარსვა და მატყლის გატანა;

ე) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ამთვისებელი ცხოველების თავშეყრასთან.

მუხლი 11. ზომები საკონტროლო ზონაში

1. საკონტროლო ზონაში ხორციელდება:

ა) ამთვისებელი ცხოველების ვაქცინაცია, მიუხედავად წინა ჩატარებული ვაქცინაციის თარიღისა;

ბ) საინფორმაციო კამპანია.

2. საკონტროლო ზონაში იკრძალება:

ა) ყვავილზე არავაქცინირებული ამთვისებელი ცხოველების შეყვანა;

ბ) ამთვისებელი ცხოველების გაყვანა, გარდა მათი სასაკლაოზე გადაყვანისა;

გ) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ამთვისებელი ცხოველების თავშეყრასთან.

მუხლი 12. სადგომის დასუფთავება, დეზინფექცია, დეზაკარიზაცია, დერატიზაცია და დეზინსექცია

1. სადგომის დასუფთავება, დეზაკარიზაცია და ნაკელის გაუვნებლობა ხორციელდება პასუხისმგებელი პირის მიერ.

2. ნაკელის ბიოთერმული გაუვნებლობა არანაკლებ 2 თვე 0 გრადუსზე მაღალ ტემპერატურის არსებობისას ან 3 თვე 0^0C-ზე დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, ან დამარხვით, ან დაწვით.

3. დეზინფექცია ხორციელდება სააგენტოს მიერ.

4. წინასწარი გაწმენდა, დეზინფექცია და დეზაკარიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იყოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი ყვავილის ვირუსის გავრცელება.

5. უნდა მოხდეს ყველა იმ შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალების გაწმენდა, დეზინფექცია და დეზაკარიზაცია, რომელშიც მოთავსებული იყვნენ ყვავილით დაავადებული ან/და დაავადებაზე საეჭვო ცხოველები.

მუხლი 13. კარანტინის მოხსნა

1. ყვავილზე კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ბოლო ამთვისებელი ცხოველის სიკვდილის/მოკვლის და ლეშის განადგურებიდან ან ამთვისებელი ცხოველიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის ამოღებისა და განადგურების შემთხვევიდან 21 დღის გასვლის შემდეგ, თუ:

ა) ადგილი არ ჰქონდა ცხოველში დაავადების საეჭვო ან/და დადასტურებულ გამოვლინებას;

ბ) ვაქცინაციიდან გასულია ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციით განსაზღვრული იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად გათვალისწინებული პერიოდი;

გ) ჩატარებულია სადგომების მექანიკური დასუფთავება და დეზინფექცია ცხოველთა სადგომებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 14. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაციისათვის, ყველა სახის რესურსზე (ადამიანური, მატერიალური) და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

დ) ლაბორატორიის პერსონალისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ე) საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ვაქცინაციის, მათ შორის, გადაუდებელი ვაქცინაციის, დეტალური გეგმები (გადაუდებელ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რეგიონები, ვაქცინაციისათვის საჭირო ვაქცინის რაოდენობა).

2. სახელმწიფო ვეტერინარებმა რეგულარულად უნდა გაიარონ სწავლებები ყვავილის კლინიკური ნიშნებისა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. საგანგებო გეგმა შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

4. სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა და დასამტკიცებლად

წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მუხლი 15. ვაქცინის შესყიდვა და გამოყენება

1. ვაქცინის შესყიდვის ტექნიკურ პირობებს ადგენს სააგენტო.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინების შენახვისა და გამოყენების პირობების დაცვა.

დანართი №15

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აპრილის დადგენილება №152 - ვებგვერდი, 26.04.2024წ.

წვრილფეხა საქონლის ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წვრილფეხა საქონლის ჭირი (Peste de petits Ruminants) – თხისა და ცხვრის, ასევე ველური თხის, ცხვრის, საიგაკის მაღალკონტაგიოზური ვირუსული დაავადებაა, რომელიც ძირითადად ხასიათდება მწვავე და ქვემწვავე მიმდინარეობით. მწვავედ მიმდინარეობისას ამთვისებელი ცხოველებისათვის დამახასიათებელია ტემპერატურის მატება 41^0C და მეტი, ჰემორაგიული გასტროენტერტი, გაძნელებული სუნთქვა და ხველება. ქვემწვავე მიმდინარეობისას, ცხოველებს აღენიშნებათ ნერწყვდენა, პირის ღრუს და ცხვირის ლორწოვანი გარსების წყლულოვან-ნეკროზული დაზიანებები, ჩირქოვანი კონიუქტივიტი, დეჰიდრატაცია, აბორტი, სიგამხდრე, ლიმფური სისტემის დაზიანება.

2. წვრილფეხა საქონლის ჭირის აღმძვრელია Paramyxoviridae-ს ოჯახის, Paramyxovirinae-ს ქვეოჯახის, სახეობა Morbillivirus ვირუსი. ანტიგენური და იმუნოგენური თვისებების მიხედვით, ვირუსი მსხვილფეხა საქონლის ჭირის, ხორცისმჭამელი ცხოველების ჭირის და ადამიანის წითელას აღმძვრელების მსგავსია. დაავადების ამთვისებელია ყველა ასაკის, როგორც შინაური, ისე, გარეული ცხვარი, თხა და საიგაკი. დაავადება განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს 2-18 თვის მოზარდებში. დაავადების ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 3-10 დღე, ლეტალობა თხებში აღწევს 95%-ს, ცხვრებში – 40%-ს. დაავადება გრძელდება 4-5 დღე და ცხოველი კვდება.

3. აღმძვრელის წყაროა დაავადებული, დაავადებამოხდილი და ინკუბაციურ პერიოდში მყოფი ამთვისებელი ცხოველები.

4. წვრილფეხა საქონლის ჭირით დაინფიცირება ხდება აეროგენული და ალიმენტარული გზით. ასევე, დაავადებული ცხოველის პირდაპირი კონტაქტით ჯანმრთელ ცხოველებთან, დაინფიცირებული/დაბინძურებული საკვებით, წყლით, ქვეშსაფენით, ინვენტარით, დაავადებული ცხოველებისგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებით, მათი სეკრეტებით და ექსკრემენტებით, მომსახურე პერსონალის ტანსაცმლით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვა.

5. დიფერენციალური დიაგნოზისას უნდა გამოირიცხოს – თურქული, ცხვრის კატარალური ცხელება, ცხვრისა და თხის კონტაგიოზური ექტიმა.

6. ცხოველებში წვრილფეხა საქონლის ჭირის დიაგნოზის დადგენა ხდება კლინიკური ნიშნების, პათანატომიური ცვლილებების, ეპიზოოტიური მონაცემების გათვალისწინებითა და ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული მეთოდებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals-ის განახლებული ვერსიის შესაბამისად).

7. წვრილფეხა საქონლის ჭირთან დაკავშირებული ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებაზე პასუხისმგებელია სსიპ – სოფლის მეურნეობის

სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომში – სმსლ).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„წვრილფეხა საქონლის ჭირთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესის“ (შემდგომში – წესი) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეპიზოოტიური კერა – ცხოველის სადგომი ან მიმდებარე ტერიტორია, რომელზეც არის ინფექციის აღმძვრელის ერთი ან რამდენიმე წყარო;

ბ) დამცავი ზონა – მოიცავს ზონას ეპიზოოტიის კერის გარშემო არანაკლებ 3 კმ რადიუსს, სადაც ტარდება დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები, იმისათვის, რომ არ მოხდეს დაავადების აღნიშნული ზონიდან გავრცელება;

გ) საკონტროლო ზონა – მოიცავს ზონას, ეპიზოოტიური კერიდან არანაკლებ 10 კმ რადიუსში, სადაც დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ მოხდეს დაავადების გავრცელების პრევენცია დამცავი ზონიდან;

დ) პასუხისმგებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ცხოველს ან/და პასუხისმგებელია ცხოველის მოვლა-შენახვაზე;

ე) სახელმწიფო ვეტერინარი – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სააგენტოს მიერ უფლებამოსილია ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

ვ) სადგომი – შენობა-ნაგებობა, სადაც წვრილფეხა საქონლის ჭირის დაავადების ამთვისებელ ცხოველებს ინახავენ ან ამრავლებენ დროებით ან მუდმივად;

ზ) დაავადების საეჭვო შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლენას;

თ) დაავადების დადასტურებული შემთხვევა – შემთხვევა, რომელიც დადასტურებულია ლაბორატორიულად;

ი) დაავადების ამთვისებელი ცხოველი – ცხვარი, თხა, ველური თხა, ცხვარი, საიგაკი;

კ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (**ცწადპ**) – ცხოველის მთლიანი სხეული ან მისი ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, მათ შორის ოციტი, ემბრიონი და სპერმა.

მუხლი 3. წვრილფეხა საქონლის ჭირის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

1. წვრილფეხა საქონლის ჭირის საეჭვო და დადასტურებულ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. დაავადების საეჭვო შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრებათ:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) ნებისმიერ თანმხლებ პირს ცხოველების ტრანსპორტირებისას, მათ შორის, გადარეკვისას;

გ) კერძო ვეტერინარს, რომელიც ჩართულია ცხოველების ჯანმრთელობის სერვისში;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს;

ე) ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც პროფესიული შეხება აქვს ცხოველების ამთვისებელ სახეობებთან ან ასეთი ცხოველებისგან მიღებულ პროდუქტებთან.

3. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრება სმსლ-ს.

4. სააგენტო ვალდებულია წვრილფეხა საქონლის ჭირის დაავადების დადასტურებული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WOAH).

მუხლი 4. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევის, წვრილფეხა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, დეზინფექციის და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) დაავადებაზე საეჭვო შემთხვევის თაობაზე აცნობოს სააგენტოს დაუყოვნებლივ;

გ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

გ.ა) დაუყონებლივ მოახდინოს დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება;

გ.ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველთა ჯგუფების ცალ-ცალკე კვება და დაწყურება;

გ.გ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველების გადაადგილება, რეალიზაცია და დაკვლა;

გ.დ) არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ლეშის გაკვეთა და გატყავება;

გ.ე) უზრუნველყოს დაავადებაზე საეჭვო ცხოველიდან მიღებული ცხოველური პროდუქტის, მათ შორის, ცწადპ-ის, სათანადო შენახვა იზოლირებულად, არ დაუშვას ამ პროდუქტების გადაადგილება და რეალიზაცია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე;

გ.ვ) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადგომების მექანიკური დასუფთავება, ნაკელის გაუვნებლობა და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელებაში სააგენტოს ხელშეწყობა.

მუხლი 5. სააგენტოს ვალდებულებები

1. დაავადებაზე საეჭვო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

ბ.ა) დროის ინტერვალს, ვირუსის სადგომში შესაძლო არსებობაზე ეჭვის გაჩენიდან ჭირის დაავადების შეტყობინებამდე;

ბ.ბ) სადგომში დაავადების შესაძლო წარმოშობას და სხვა სადგომის იდენტიფიკაციას, სადაც ამთვისებელი ცხოველები შეიძლება დაინფიცირდნენ იმავე წყაროდან;

ბ.გ) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც წვრილფეხა საქონელი შეიძლება დაინფიცირდეს ან მოხდეს კონტამინაცია;

ბ.დ) ინფორმაციის შეგროვებას იმასთან დაკავშირებით სადგომში ხდებოდა თუ არა რძის, რძის

პროდუქტების, ხორცის, ხორცის პროდუქტების, ტანხორცის, ტყავისა და მატყლის, სპერმის, ემბრიონის, კვერცხუჯრედის, ნაკელის ყველა მარაგის, ასევე ცხოველის საკვების მარაგის დადგენა/აღწერა და მონაცემების შენახვა;

გ) განახორციელოს ცხოველების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების ცალ-ცალკე ჯგუფებად განცალკევებაზე და სადგომში არსებული ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით;

დ) აიღოს მკვდარი ან/და დაავადებაზე საეჭვო ცხოველისაგან საკვლევი ნიმუში და ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით გადააგზავნოს სმსლ-ში;

ე) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ან/და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე.

2. დაავადების დადასტურების შემთხვევაში, ძალაში რჩება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემზღუდავი ღონისძიებები და, ასევე, სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია დამატებით განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

ა) დაადგინოს ეპიზოოტიური კერის, დამცავი და საკონტროლო ზონის ტერიტორიის საზღვრები, შეაფასოს ეპიზოოტიური სიტუაცია;

ბ) განსაზღვროს ამთვისებელ ცხოველებში დაავადების შესაძლო გავრცელების მასშტაბი მოსალოდნელი და არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე (სეზონური საძოვრებზე მიგრაცია, ცხოველთა პოპულაციის სიმჭიდროვე და სხვა);

გ) შეიმუშავოს პროექტი კარანტინის დაწესებაზე სახელმწიფო რწმუნებულისთვის ან საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად;

დ) ეპიზოოტიურ კერაში, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება (ცხოველების ვაქცინაცია, დეზინფექცია, საჭიროების შემთხვევაში პათოლოგიური მასალის აღება), განხორციელება ან/და ზედამხედველობა.

მუხლი 6. წვრილფეხა საქონლის ჭირზე გასატარებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. წვრილფეხა საქონლის ჭირის პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინაციის ჩატარების საჭიროებას, მასშტაბებს და ვაქცინაციის გეგმას განსაზღვრავს სააგენტო.

2. სააგენტოს გადაწყვეტილებით ხორციელდება:

ა) პასიური და აქტიური ზედამხედველობა წვრილფეხა საქონელზე;

ბ) ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია სამიზნე ჯგუფებისათვის.

3. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს გადაწყვეტილებით, შერჩევით ხორციელდება პოსტვაქცინალური ანტისხეულების შეფასება.

4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ცხოველთა სადგომში დაუშვას დაავადების ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, რომლებიც:

ა) დაბადებიდან ან ბოლო 21 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ იმ სადგომებში, სადაც ამ პერიოდისათვის არ იყო დაფიქსირებული წვრილფეხა საქონლის ჭირის შემთხვევა და ეს სადგომები არ მდებარეობდა ეპიზოოტიურ კერაში და დამცავ ზონაში;

ბ) ტრანსპორტირების დროს არ ამჟღავნებდნენ დაავადების კლინიკურ ნიშნებს.

მუხლი 7. ფერმაში წვრილფეხა საქონლის რეპოპულაცია (აღწარმოება)

სადგომში, რომელიც მდებარეობდა ინფექციის კერაში, კარანტინის მოხსნის შემდგომ უნდა მოხდეს:

ა) ინდიკატორი არავაქცინირებული 8-10 თვემდე ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, რომლებზეც 42 დღის განმავლობაში ხდება დაკვირვება და აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, სისხლის ნიმუშების აღება და ჭირის ანტისხეულებზე გამოკვლევა;

ბ) გამოკვლევის შედეგად უარყოფითი პასუხების შემთხვევაში, დასაშვებია იმ ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, რომლებსაც სადგომში შეყვანამდე არ აღენიშნებათ არანაკლებ 21 დღის განმავლობაში წვრილფეხა საქონლის ჭირისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები.

მუხლი 8. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. დაავადების დადასტურებისას, სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, დაავადების გამომწვევის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 9. წვრილფეხა საქონლის ჭირზე გამოსაკვლევი მასალის აღება

1. დაავადების საეჭვო შემთხვევის დროს:

ა) გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება და სმსლ-ში გადაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ვეტერინარის მიერ, ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით;

ბ) ვეტერინარი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით (ბიოუსაფრთხოების სპეციალური ტანსაცმელი, ჩექმა, ორმაგი ხელთათმანი, ქუდი, რესპირატორი, სათვალე);

გ) ცოცხალი ცხოველიდან ნიმუშების აღება ხდება: თვალიდან, ცხვირისა და პირის ღრუს ჩამონარეცხიდან, ნერწყვიდან, პირის ღრუს ნეკროზული ქსოვილიდან, ასევე სისხლი არანაკლებ 3-5 გრ (ანტიკოაგულანტით და ანტიკოაგულანტის გარეშე);

დ) მკვდარი ცხოველიდან ნიმუშების აღება ხდება: ბეჭინა და ფილტვის ლიმფური კვანძებიდან, ფრაგმენტებს პირის ღრუს დანეკროზებული გარსიდან, ფილტვიდან და ელენთიდან არანაკლებ 5 გრამი თითოეული ნიმუშიდან.

2. ნიმუშების ლაბორატორიაში გაგზავნა უნდა მოხდეს აღებიდან 48 საათის განმავლობაში.

3. ნიმუშების მოთავსება და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით.

მუხლი 10. წვრილფეხა საქონლის ჭირთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

დადასტურებული შემთხვევის დროს, ეპიზოოტიურ კერაში ცხადდება კარანტინი, სადაც:

ა) იკრძალება:

ა.ა) ყველა სახეობის ცხოველის შეყვანა და გამოყვანა;

ა.ბ) ამთვისებელი ცხოველის სახორცედ დაკვლა;

ა.გ) ამთვისებელი ცხოველებისგან მიღებული რძისა და რძის პროდუქტების გატანა;

ა.დ) ცხოველთა გადაჯგუფება;

ა.ე) ამთვისებელ ცხოველებში ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, გადაუდებელი შემთხვევების გარდა;

ა.ვ) ცხოველის დაწყურება საერთო გუბურიდან და სხვა წყალსაცავიდან;

ა.ზ) ცხოველური პროდუქტების დამზადება და გამოტანა;

ა.თ) ცხოველებით და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობა;

ა.ი) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და ცხოველების თავშეყრასთან;

ა.კ) ამთვისებელი ცხოველის ლეშის გაკვეთა ან/და გატყავება;

ა.ლ) უცხო პირებისა და ტრანსპორტის შესვლა/გამოსვლა, რომელიც დაკავშირებული არ არის საკარანტინო ზონაში არსებულ ობიექტების მომსახურებასთან;

ა.მ) ცწადპ-ს გატანა;

ა.ნ) ცხოველის საკვების დამზადება და გატანა;

ა.ო) ამთვისებელი ცხოველის ტყავის და მატყლის გატანა;

ბ) ხორციელდება:

ბ.ა) არაკეთილსაიმედო სადგომში ამთვისებელი ცხოველების აღრიცხვაზე აყვანა, ვეტერინარული შემოწმება, ავადმყოფი ცხოველების იზოლირება და მოკვლა უსისხლო მეთოდით;

ბ.ბ) კლინიკური ნიშნებით მკვდარი და მოკლული ცხოველების დაწვა;

ბ.გ) ყველა კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველების აცრა წვრილფეხა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინით ინსტრუქციის შესაბამისად;

ბ.დ) ავადმყოფი ცხოველებიდან მიღებული რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების განადგურება;

ბ.ე) კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველებიდან მიღებული რძის განადგურება ან მისი ადგილზე გამოყენება თერმულად (5 წთ ადუღებით) დამუშავების შემდგომ;

ბ.ვ) ცხოველის საკვების განადგურება ან ადგილზე გამოყენება თერმული (90^0C ტემპერატურაზე 60 წთ ან 100^0C-ზე არანაკლებ 30 წთ) დამუშავების შემდგომ.

მუხლი 11. ზომები დამცავ ზონაში

1. დაავადების დადასტურების შემდგომ, დამცავ ზონაში ცხადდება კარანტინი.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამცავ ზონაში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) უმოკლეს დროში უნდა მოხდეს სადგომების აღწერა, რომელთა დათვალიერებისას სახელმწიფო

ვეტერინარმა უნდა შეამოწმოს:

ა.ა) ცხოველების კლინიკური მდგომარეობა;

ა.ბ) წვრილფეხა საქონლის ჭირის აღმძვრელით შესაძლო ინფიცირებული სატვირთო ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დეზინფექციის ჩატარება;

ა.გ) სადგომებში შესაბამისი ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;

ბ) კლინიკურად ჯანმრთელი ამთვისებელი ცხოველების ვაქცინაცია;

გ) ამთვისებელი ცხოველებისგან სისხლის ნიმუშების აღება ანტისხეულებზე გამოკვლევის მიზნით;

დ) საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

3. დამცავ ზონაში იკრძალება:

ა) სააგენტოს თანხმობის გარეშე, ამთვისებელი ცხოველების სადგომიდან გადაადგილება (გარდა ცხოველების დაკვლის მიზნით სასაკლაოში გადაყვანისა მათი ვაქცინაციიდან 21 დღის შემდეგ, რომლებსაც არ აღენიშნებათ დაავადების კლინიკური ნიშნები);

ბ) ცოცხალი ცხოველების ბაზრობების, გამოფენების, აუქციონების გამართვა;

გ) ამთვისებელი ცხოველის ტყავის და მატყლის გატანა მათი თერმული დამუშავების (60^0C-ზე არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში) გარეშე;

დ) ცხოველების დაკვლა (გარდა, კლინიკურად ჯანმრთელი ცხოველებისა, რომლებიც არიან ვაქცინირებული და გასულია ვაქცინაციიდან 21 დღე);

ე) რძისა და რძის პროდუქტების გატანა (5 წთ დუღილის შემდგომ, თერმულად დამუშავებული რძე გამოიყენება ადგილზე);

ვ) ცხოველის საკვების დამზადება და გატანა თერმული დამუშავების გარეშე (90^0 ტემპერატურაზე 60 წთ ან 100 გრადუსზე არანაკლებ 30 წუთის);

ზ) ინვენტარისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გატანა, რომლებსაც შეხება ჰქონდა ამთვისებელ ცხოველებთან;

თ) მატყლის გაპარსვა, შეგროვება და მათი გატანა;

ი) ცწადპ-ს გატანა;

კ) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და ცხოველების თავშეყრასთან.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული აკრძალვები გაგრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, დაავადების შემდგომი ეპიზოოტიის ან ცხოველების შენახვიდან გამომდინარე ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ან სხვა პრობლემების შედეგად, ამ მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სააგენტოს შეუძლია პასუხისმგებელი პირის მიერ დასაბუთებული მიმართვის შემდეგ, დაუშვას დამცავ ზონაში მდებარე სადგომიდან ცხოველების გადაყვანა, რომელთა ტრანსპორტირება უნდა მოხდეს პირდაპირ სასაკლაოზე.

5. სააგენტოს შეუძლია დაუშვას სადგომიდან ცხოველების გადაადგილება, იმ პირობით, რომ:

ა) სახელმწიფო ვეტერინარი განახორციელებს სადგომში არსებული და გადასაყვანი ცხოველების კლინიკურ შემოწმებას და აღნიშნული შემოწმებით არ დადასტურდება წვრილფეხა საქონლის ჭირის

კლინიკური ნიშნების არსებობა;

ბ) განახორციელებს ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შემოწმებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სატრანსპორტო საშუალება და მოწყობილობა დაუყოვნებლივ გასუფთავდება (გაირეცხება) და მოხდება მისი დეზინფექცია ტრანსპორტირების შემდეგ.

6. თუ ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სასაკლაოზე:

ა) სახელმწიფო ვეტერინარი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სასაკლაოზე დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომ პროცესებს, ინფორმირებული უნდა იყოს ცხოველების სასაკლაოზე გაგზავნის შესახებ, რაც უნდა აცნობოს სააგენტოს;

ბ) სასაკლაოზე ცხოველების განთავსება და დაკვლა უნდა მოხდეს ცხოველების სხვა პარტიისაგან განცალკევებით;

გ) სასაკლაოზე ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმების დროს, სახელმწიფო ვეტერინარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს წვრილფეხა საქონლის ჭირის კლინიკური ნიშნების არსებობაზე.

7. ამ მუხლით დადგენილი ზომების გამოყენება დამცავ ზონაში უნდა გაგრძელდეს:

ა) დაინფიცირებული სადგომების დასუფთავების და დეზინფექციის განხორციელებამდე;

ბ) წვრილფეხა საქონლის ჭირის ვირუსის არსებობის შესაძლო გამოვლენის მიზნით ცხოველების კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმების განხორციელებამდე.

8. დამცავ ზონაში წვრილფეხა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაციის გამოყენების საკითხს წყვეტს სააგენტო.

მუხლი 12. ზომები საკონტროლო ზონაში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, საკონტროლო ზონაში შემდეგი ზომების გამოყენება:

ა) საქონლის ყველა სადგომის აღწერა;

ბ) ცხოველების კლინიკური შემოწმება და სისხლის ნიმუშების აღება ანტისხეულებზე გამოკვლევის მიზნით.

2. საკონტროლო ზონაში იკრძალება:

ა) სააგენტოს ნებართვის გარეშე, ამთვისებელი ცხოველების სადგომიდან გადაადგილება, გარდა, იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მათი პირდაპირ სასაკლაოზე გადაადგილება;

ბ) სადგომიდან ცწადპ-ს გატანა;

გ) მატყლისა და ტყავის გატანა, რაც დასაშვებია შესაბამისი თერმული დამუშავების შემდგომ;

დ) ცხოველთა ბაზრობების, გამოფენების და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანებისა და ცხოველების თავშეყრასთან.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ზომების გამოყენება საკონტროლო ზონაში უნდა გაგრძელდეს დაინფიცირებულ კერაში საკარანტინო ღონისძიებების დასრულებამდე.

4. საკონტროლო ზონაში ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაციის გამოყენების საკითხს წყვეტს სააგენტო.

მუხლი 13. დასუფთავება, დეზინფექცია

1. სადგომის, ტრანსპორტის დასუფთავება და ნაკელის გაუვნებლობა ხორციელდება პასუხისმგებელი პირის მიერ.

2. ნაკელის გაუვნებლობა შესაძლებელია განხორციელდეს დაწვით ან დამარხვით.

3. დეზინფექცია ხორციელდება სააგენტოს მიერ სადგომებსა და სხვა ადგილებში, სადაც მოთავსებული იყვნენ დაავადებული/ამთვისებელი ცხოველები ან იმყოფებოდნენ ამ ობიექტებთან შემხებლობაში.

4. დეზინფექცია ტარდება სამ ეტაპად:

ა) ამთვისებელი ცხოველების სიკვდილის ან მოკვლის შემდგომ;

ბ) სადგომის მექანიკური დასუფთავების შემდგომ;

გ) კარანტინის მოხსნის წინ.

5. წინასწარი გაწმენდა და დეზინფექცია (ანტივირუსული საშუალებებით) უნდა მოხდეს ისე რომ, დაცული იყოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი ჭირის ვირუსის გავრცელება.

მუხლი 14. კარანტინის მოხსნა

1. კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, ბოლო შემთხვევიდან 42 დღის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნულ პერიოდში:

ა) ადგილი არ ჰქონდა ცხოველის საეჭვო ან/და დადასტურებულ გამოვლინებას;

ბ) ვაქცინაციიდან გასულია ვაქცინის გამოყენების ინსტრუქციით იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად გათვალისწინებული პერიოდი;

გ) ჩატარებულია დასკვნითი დეზინფექცია.

2. კარანტინი იხსნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 15. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშავოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაციისათვის, ყველა სახის რესურსზე (ადამიანური, მატერიალური) და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

დ) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ე) საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ვაქცინაციის, მათ შორის, გადაუდებელი ვაქცინაციის, დეტალური გეგმები (გადაუდებელ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რეგიონები, ვაქცინაციისათვის საჭირო ვაქცინის რაოდენობა).

2. სახელმწიფო ვეტერინარებმა რეგულარულად უნდა გაიარონ სწავლებები წვრილფეხა საქონლის ჭირის დაავადების კლინიკური ნიშნებისა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. საგანგებო გეგმა შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

4. სააგენტო ვალდებულია ხუთ წელიწადში ერთხელ განაახლოს საგანგებო გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს.

მუხლი 16. ვაქცინის შესყიდვა და გამოყენება

1. ვაქცინის შესყიდვის ტექნიკურ პირობებს ადგენს სააგენტო.

2. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ვაქცინების შენახვისა და გამოყენების პირობების დაცვა.

3. სააგენტო ვაქცინებს იყენებს გეგმის შესაბამისად.

[დანართი №16

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №529 - ვებგვერდი, 10.11.2026წ.

ცხენის აფრიკულ ცხელებასთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ცხენის აფრიკული ცხელება (African horse sickness – AHS) (შემდგომში – დაავადება) არის ცხენისებრთა ვირუსული, არაკონტაგიოზური, ვექტორებით გამოწვეული ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს Sedoreoviridae-ს ოჯახის, Orbivirus-ის გვარის, რნმ-ის შემცველი ვირუსი (შემდგომ – AHS-ის ვირუსი). დაავადებისადმი ამთვისებელია ცხენისებრთა (Equidae) ოჯახის ყველა სახეობის ცხოველი, მათ შორის ცხენი, ვირი, ჯორი და ზებრა.

2. დაავადების გადაცემაში ძირითად როლს ასრულებს Culicoides-ის გვარის სისხლისმწოველი მწერი. დაავადება ცხენისებრთა შორის ჩვეულებრივი პირდაპირი კონტაქტით არ ვრცელდება, ამასთან ინფიცირებული სისხლით დაბინძურებულმა ნემსმა, ან სხვა ვეტერინარულმა მოწყობილობამ შეიძლება შექმნას დაავადების მექანიკური გადაცემის რისკი.

3. დაავადების კლინიკური ნიშნები შეიძლება მოიცავდეს: ცხელებას, სუნთქვის გაძნელებას, ქაფიან გამონადენს ცხვირიდან, თავისა და კისრის შეშუპებას, თვალბუდის ზემო ნაწილის შეშუპებას, ლორწოვანი გარსების ცვლილებებს, სისხლჩაქცევებსა და უეცარ სიკვდილს. კლინიკური მიმდინარეობა და სიკვდილიანობა დამოკიდებულია ცხენისებრთა ოჯახის სახეობაზე, მათ იმუნურ სტატუსზე და ვირუსის შტამზე (სეროტიპზე).

4. AHS-ის ვირუსის ცხრა ანტიგენურად განსხვავებული სეროტიპია ცნობილი. სეროტიპის დადგენა მნიშვნელოვანია ეპიზოოტოლოგიური მოკვლევისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ვაქცინის შერჩევისათვის.

5. დაავადების დიფერენციალური დიაგნოზისას, სულ მცირე, უნდა გამოირიცხოს ცხენის ენცეფალოზი, ცხენის ინფექციური ანემია, ცხენის ვირუსული არტერიტი, პიროპლაზმოზი, პურპურა ჰემორაგიკა, ჰენდრას ვირუსული ინფექცია და სხვა დაავადებები, რომლებიც მიმდინარეობს ცხელებით, შეშუპებით, სისხლჩაქცევებით ან სუნთქვის გაძნელებით.

6. დაავადების დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნების, ეპიზოოტოლოგიური მონაცემების და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ერთობლივი შეფასებით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მიერ რეკომენდებული მეთოდებით (Manual of Diagnostic Tests and Vaccines for Terrestrial Animals-ის განახლებული ვერსიის შესაბამისად).

7. დაავადებასთან დაკავშირებული ეპიზოოტიური (ეპიდემიოლოგიური) კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევას ახორციელებს სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდგომ – სახელმწიფო ლაბორატორია).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **დაავადების ამთვისებელი ცხოველი** – ცხენისებრთა (Equidae) ოჯახის ყველა სახეობის ცხოველი, მათ შორის ცხენი, ვირი, ჯორი და ზებრა;

ბ) **ეპიზოოტიური კერა** – სადგომი ან სხვა ადგილი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც დადასტურებულია AHS-ის ვირუსით ინფექციის ერთი ან რამდენიმე შემთხვევა;

გ) **დამცავი ზონა** – ეპიზოოტიური კერის გარშემო შექმნილი ზონა, რომლის რადიუსი შეადგენს არანაკლებ 100 კილომეტრს და სადაც ხორციელდება დაავადების გავრცელების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის განსაზღვრული კონტროლის ღონისძიებები;

დ) **საზედამხედველო ზონა** – ეპიზოოტიური კერის გარშემო შექმნილი ზონა, რომელიც მოიცავს დამცავ ზონას და რომლის საერთო რადიუსი შეადგენს არანაკლებ 150 კილომეტრს, სადაც ხორციელდება ზედამხედველობისა და გადაადგილების კონტროლის ღონისძიებები;

ე) **პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ცხენისებრს ან პასუხისმგებელია მის მოვლა-შენახვაზე;

ვ) **სახელმწიფო ვეტერინარი** – „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის №24 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ მე-3 მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი;

ზ) **ცხოველის სადგომი** – სხვადასხვა ტიპის სათავსო, ნაგებობა, ღია ტიპის სადგომი, სადაც ხდება ცხოველის დგომა, შენახვა, მოვლა და რომელიც წარმოადგენს ცხოველის მუდმივ ან დროებით ფიზიკურ ადგილსამყოფელს და რომელიც რეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

თ) **დაავადებაზე საეჭვო შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც დაავადების ამთვისებელ ცხოველს აღენიშნება დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები ან აქვს ეპიდემიოლოგიური კავშირი დადასტურებულ შემთხვევასთან და დაავადება ჯერ არ არის ლაბორატორიულად დადასტურებული;

ი) **დაავადების დადასტურებული შემთხვევა** – შემთხვევა, როდესაც ლაბორატორიულად არის აღმოჩენილი AHS-ის დაავადების აღმძვრელი ან AHS-ის ვირუსის სტრუქტურული ან არასტრუქტურული ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულები (რომელიც არ არის ვაქცინაციის შედეგად მიღებული) დაავადების ამთვისებელ იმ ცხოველში, რომელსაც აქვს დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, ან შესაბამისი ეპიდემიოლოგიური კავშირი სხვა დადასტურებულ შემთხვევასთან;

კ) კონტაქტური სადგომი – სადგომი, რომელსაც ცხოველის, ადამიანის, სატრანსპორტო საშუალების, აღჭურვილობის, სისხლის, ბიოლოგიური მასალის ან ვექტორის მეშვეობით ჰქონდა ეპიდემიოლოგიური კავშირი საეჭვო ან დადასტურებულ შემთხვევასთან;

ლ) ვექტორი – Culicoides გვარის მწერი, რომელიც წარმოადგენს დაავადების ვირუსის (AHSV) ბიოლოგიურ გადამტანს;

მ) ვექტორებისგან დაცული სადგომი – სადგომის ნაწილი ან მთლიანი საწარმო, რომელიც დაცულია Culicoides-ის თავდასხმებისგან შესაბამისი ფიზიკური და მართვის საშუალებებით, სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული ვექტორებისგან დაცული საწარმოს სტატუსით;

ნ) ვაქცინაციის ზონა – ტერიტორია, სადაც სააგენტოს გადაწყვეტილებით ხორციელდება დაავადების საწინააღმდეგო გადაუდებელი ვაქცინაცია;

ო) ინფექციური პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაში ინფიცირებული დაავადების ამთვისებელი ცხოველი შეიძლება იყოს ვირუსის წყარო ვექტორისათვის. ამ წესის მიზნებისათვის შინაური ცხენის ინფექციურ პერიოდად განისაზღვრება 40 დღე;

პ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა – ხელოვნური გამრავლებისთვის განკუთვნილი სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონი.

მუხლი 3. დაავადების შეტყობინების ვალდებულება

1. დაავადების საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

2. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება:

ა) პასუხისმგებელ პირს;

ბ) დაავადების ამთვისებელი ცხოველის ნებისმიერ თანმხლებ პირს, მისი ტრანსპორტირების ან გადარეკვისას;

გ) კერძო ვეტერინარს, რომელიც ახორციელებს დაავადების ამთვისებელი ცხოველის მკურნალობას, დიაგნოსტიკას ან სხვა ვეტერინარულ მომსახურებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სახელმწიფო ვეტერინარს;

ე) საცხენოსნო კლუბის, იპოდრომის, ბაზრის, გამოფენის, შეჯიბრების, საკარანტინო ადგილის ან სხვა შეკრების ადგილის პასუხისმგებელ პირს;

ვ) ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც პროფესიული შეხება აქვს დაავადების ამთვისებელ ცხოველებთან.

3. შეტყობინება უნდა შეიცავდეს პასუხისმგებელი პირის მონაცემებს, სადგომის მდებარეობას, დაავადების ამთვისებელი ცხოველის შესახებ მონაცემებს, კლინიკურ ნიშნებს, დაავადების დაწყების სავარაუდო დროს, სიკვდილიანობის მონაცემებს, ბოლო 40 დღის განმავლობაში განხორციელებულ გადაადგილებებსა და სხვა დაავადების ამთვისებელ ცხოველთან კავშირის შესახებ ინფორმაციას.

4. სააგენტოსთვის დადასტურებული შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება ეკისრება სახელმწიფო ლაბორატორიას.

მუხლი 4. პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) დაავადებაზე საეჭვო შემთხვევის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ბ) უზრუნველყოს სახელმწიფო ვეტერინარის დაშვება სადგომში; ითანამშრომლოს სააგენტოსთან და შეასრულოს სააგენტოს მითითებები ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევის, ვაქცინაციის, დეზინფექციის და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისას;

გ) დახმარება გაუწიოს სახელმწიფო ვეტერინარს დაავადების ამთვისებელი ცხოველის კლინიკურ გამოკვლევაში, ნიმუშების აღებაში, იდენტიფიკაციაში, ვექტორების მონიტორინგსა და სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში;

დ) სააგენტოს მითითებების შესაბამისად:

დ.ა) დაუყოვნებლივ მოახდინოს დაავადებაზე საეჭვო ცხოველების იზოლირება;

დ.ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველთა ჯგუფების ცალ-ცალკე კვება და დაწყურება;

დ.გ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველების გადაადგილება, რეალიზაცია და მოკვლა;

დ.დ) არ დაუშვას დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ლეშის გაკვეთა და გადაადგილება;

დ.ე) არ გაიტანოს სადგომიდან დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ლეში, სისხლი, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა ნაკელი, ქვეშსაფენი, აღჭურვილობა ან სხვა მასალა, რომელმაც შეიძლება შექმნას დაავადების გავრცელების რისკი;

დ.ვ) საკარანტინო პერიოდში უზრუნველყოს სადგომების მექანიკური დასუფთავება, ნაკელის გაუვნებლობა და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელებაში სააგენტოს ხელშეწყობა;

ე) შეინახოს საეჭვო შემთხვევიდან ბოლო 40 დღის განმავლობაში არსებული ყველა ჩანაწერი დაავადების ამთვისებელი ცხოველის, სატრანსპორტო საშუალების, ვიზიტორების და ჩატარებული ვეტერინარული პროცედურების შესახებ;

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს ახალი შემთხვევის, ცხოველის სიკვდილის ან სადგომში ეპიზოოტიური მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

მუხლი 5. სააგენტოს ვალდებულებები

1. დაავადების საეჭვო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე სახელმწიფო ვეტერინარი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე;

ბ) უზრუნველყოს ყველა დაავადების ამთვისებელი ცხოველის აღწერა და იდენტიფიკაცია;

გ) ჩაატაროს ეპიზოოტოლოგიური (ეპიდემიოლოგიური) მოკვლევა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

გ.ა) სადგომში ვირუსის შესაძლო არსებობის პერიოდს დაავადების შეტყობინებამდე;

გ.ბ) ინფექციის სავარაუდო წყაროსა და შემდგომი გავრცელების მიმართულებებს;

გ.გ) ბოლო 40 დღის განმავლობაში დაავადების ამთვისებელი ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის სისხლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და შესაძლო დაბინძურებული აღჭურვილობის გადაადგილებას;

გ.დ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების შეკრებებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას;

გ.ე) შესაძლო მასშტაბს, რომლითაც შეიძლება დაავადების ამთვისებელი ცხოველები დაინფიცირდეს ან მოხდეს კონტამინაცია;

გ.ვ) ვეტერინარულ პროცედურებს, გამოყენებულ ნემსებსა და სისხლთან კონტაქტის მქონე მოწყობილობას;

გ.ზ) Culicoides-ის შესაძლო სახეობებს, სიმრავლეს, გამრავლების ადგილებს, სეზონურობასა და ქარისა და ამინდის მონაცემებს;

გ.თ) სხვა ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ სადგომებს;

დ) განახორციელოს ცხოველების კლინიკური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირს მისცეს მითითებები კლინიკურად ჯანმრთელი და დაავადებაზე საეჭვო ცხოველების ცალ-ცალკე ჯგუფებად განცალკევებაზე და სადგომში არსებული ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით;

ე) აიღოს მკვდარი ან/და დაავადებაზე საეჭვო ცხოველისაგან საკვლევი ნიმუში და ბიოუსაფრთხოების პროცედურების დაცვით გადააგზავნოს სახელმწიფო ლაბორატორიაში;

ვ) ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის მიღებამდე, მისცეს მითითებები პასუხისმგებელ პირს დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ან/და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტის გადაადგილებისა და რეალიზაციის შეზღუდვაზე;

ზ) გამოავლინოს და რისკის შესაბამისად შეზღუდოს კონტაქტური სადგომები;

თ) შეაფასოს ვექტორის არსებობა, სეზონურობა, სადგომის დაცულობა, მეტეოროლოგიური პირობები და ვექტორული ხაფანგების განთავსების საჭიროება;

ი) უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

2. დაავადების დადასტურების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია:

ა) განსაზღვროს ეპიზოოტიური კერის, დამცავი, საზედამხედველო და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შეზღუდული ან ვაქცინაციის ზონების საზღვრები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვოს ვეტერინარული კარანტინის დაწესება;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება დაინფიცირებული, საეჭვო და კონტაქტში მყოფი დაავადების ამთვისებელი ცხოველების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება გადაუდებელი ვაქცინაციის საჭიროების შესახებ;

ე) უზრუნველყოს მოკვლის, ლეშის განკარგვის, დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის ზედამხედველობა;

ვ) უზრუნველყოს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WOAH) შეტყობინების გაგზავნა;

ზ) აწარმოოს ყველა გადაწყვეტილების, კვლევის, გადაადგილების, ვაქცინაციისა და კონტროლის ღონისძიების შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 6. დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. დაავადების პრევენციისა და ადრეული გამოვლენის მიზნით სააგენტო უზრუნველყოფს:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას, მათი სადგომების რეგისტრაციას, აგრეთვე დაავადების ამთვისებელი ცხოველების მიკვლევადობას;

ბ) მაღალი რისკის ტერიტორიების, მათ შორის, საზღვრისპირა რეგიონების, აეროპორტების, პორტების, დაავადების ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვის ადგილებისა და ვექტორისათვის ხელსაყრელი გარემოს განსაზღვრას;

გ) ვექტორების გავრცელების, სახეობის დადგენის და სეზონურ ზედამხედველობას;

დ) დაავადების შესახებ კერძო ვეტერინარების, ცხენის მფლობელების, გადამზიდველებისა და ღონისძიების ორგანიზატორების ინფორმირებასა და სწავლებას;

ე) ნიმუშის აღების კომპლექტების, პირადი დაცვის საშუალებების, ვექტორული ხაფანგების და სხვა საჭირო რესურსების მზადყოფნას;

ვ) სახელმწიფო ლაბორატორიასთან თანამშრომლობას;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, გამოსაყენებელი ვაქცინის შესაძლო მომწოდებლების, სეროტიპული შემადგენლობის, შესყიდვისა და ცივი ჯაჭვის დაცვის პრინციპის წინასწარ შეფასებას;

თ) პერიოდული სიმულაციური სწავლებების ჩატარებას.

2. მაღალი რისკის ქვეყნიდან ან ზონიდან დაავადების ამთვისებელი ცხოველების იმპორტისას და ტრანზიტისას დაცული უნდა იქნეს საქართველოში დადგენილი წინასაიმპორტო მოთხოვნები, მათ შორის, ლაბორატორიული ტესტირებისა და ვექტორებისგან დაცული ტრანსპორტირების შესახებ.

3. დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია აკრძალულია, გარდა სააგენტოს მიერ დამტკიცებული გადაუდებელი ვაქცინაციის პროგრამისა.

4. დაავადების რისკის მქონე მოსაზღვრე ქვეყანასთან ან ზონასთან საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სააგენტო უზრუნველყოფს რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობას.

5. სააგენტო უზრუნველყოფს დაავადების ამთვისებელი ცხოველებისა და მათი პროდუქტების გადაადგილების, იმპორტის, ტრანზიტის, დროებითი შემოყვანისა და რეექსპორტის შესაბამისი ინფორმაციის წარმოებას.

6. სააგენტო უზრუნველყოფს ვეტერინარი სპეციალისტების, ცხენის მფლობელების, მცირე მეურნეობების, გადამზიდველების, ბაზრებისა და ღონისძიების ორგანიზატორების მონაწილეობას დაავადების პრევენციისა და ადრეული შეტყობინების ღონისძიებებში.

7. ქვეყნის გარეთ AHS-ის კერის, ვექტორული რისკის არსებითი ზრდის ან სხვა ეპიზოოტოლოგიურად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაციის მიღებისას სააგენტო უფლებამოსილია გამოაცხადოს გაძლიერებული მზადყოფნის რეჟიმი.

8. მაღალი რისკის ქვეყნიდან ან ზონიდან შემოყვანილი დაავადების ამთვისებელი ცხოველებისთვის სააგენტო რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს იმპორტის შემდგომი იზოლაციის, ვექტორებისგან დაცვის, კლინიკური შემოწმებისა და ლაბორატორიული ტესტირების პროგრამას.

მუხლი 7. სააგენტოს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან

1. დაავადების დადასტურებისას სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს შორის კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა ურთიერთდახმარებისა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრის პრინციპზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს ვეტერინარული კარანტინის დროს, დაავადების გამომწვევის გავრცელების, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის დაწესებას, მოხსნასა და საკარანტინო ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობას.

2. კარანტინი წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – სახელმწიფო რწმუნებულის მიერ;

ბ) ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – ამ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

მუხლი 8. გამოსაკვლევი მასალის აღება

1. ცოცხალი დაავადების ამთვისებელი ცხოველებიდან აღებული უნდა იქნეს:

ა) სისხლი EDTA-ის შემცველ სინჯარაში AHS-ის ვირუსის რნმ-ის გამოვლენისა და საჭიროების შემთხვევაში ვირუსის იზოლაციისათვის;

ბ) სისხლი შრატის გამომყოფი სინჯარით, ანტისხეულების გამოვლენისა და სეროკონვერსიის შეფასებისათვის.

2. დაავადების ამთვისებელი მკვდარი ცხოველებიდან აღებული უნდა იქნეს ელენთის, ფილტვისა და ლიმფური კვანძის ფრაგმენტები.

3. ნიმუში აღებული უნდა იქნეს ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით, ინდივიდუალურად იდენტიფიცირდეს, მოთავსდეს გაჟონვისგან დაცულ სამმაგ შეფუთვაში და ტრანსპორტირდეს ცივი ჯაჭვის დაცვით, სახელმწიფო ლაბორატორიასთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

4. პირველადი დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება ჯგუფ-სპეციფიკური რეალურ დროში უკუტრანსკრიპციის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (real-time RT-PCR). პირველად გამოვლენილ ან პირველად დადასტურებულ შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ტარდება დამატებითი დადასტურება, მათ შორის, ვირუსის იზოლაცია ან სეროტიპირება. სეროლოგიური კვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ვაქცინაციის ისტორია და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს წყვილი ნიმუში.

5. პირველი დადებითი ან საეჭვო შედეგი მოწმდება სააგენტოს მიერ დამტკიცებული ალგორითმის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, ნიმუში იგზავნება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) რეფერენს-ლაბორატორიაში.

6. ოფიციალური გამოკვლევისას კლინიკური დათვალიერებისა და ლაბორატორიული ნიმუშისათვის უპირატესად შეირჩევა კლინიკური ნიშნების მქონე, საეჭვო ან დადასტურებულ შემთხვევასთან ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული ან წინა კვლევით დადებითი/გაურკვეველი შედეგის მქონე დაავადების ამთვისებელი ცხოველები.

7. AHS-ის დიაგნოსტიკის მეთოდები, დიაგნოზის ვალიდაცია და ინტერპრეტაცია უნდა შეესაბამებოდეს:

ა) ევროკავშირის საცნობარო ლაბორატორიების (EURL) და კომისიის ვებგვერდზე განთავსებულ შესაბამის დეტალებსა და ინსტრუქციებს; ან

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ხმელეთის ცხოველების დიაგნოსტიკური ტესტებისა და ვაქცინების სახელმძღვანელოს („ხმელეთის სახელმძღვანელო“ ბოლო შესწორებებით) ნიმუშების აღების, დიაგნოსტიკური მეთოდების, მათი ვალიდაციისა და ინტერპრეტაციის ნაწილში;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის №24 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მეთოდებს.

მუხლი 9. დაავადებასთან ბრძოლის საკარანტინო ღონისძიებები

1. დაავადების საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევისას სააგენტო დაუყოვნებლივ აწვდის შესაბამის ინფორმაციას სახელმწიფო რწმუნებულს.

2. დადასტურებული შემთხვევის დროს, ეპიზოოტიურ კერაში ცხადდება კარანტინი. სახელმწიფო რწმუნებული, მუნიციპალიტეტი და სხვა შესაბამისი ორგანოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ საკარანტინო და სხვა შეზღუდვების აღსრულებას, გადაადგილების კონტროლს, საინფორმაციო ღონისძიებებს, ლეშისა და ნარჩენების უსაფრთხო განკარგვას, საჭირო რესურსების მობილიზაციასა და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას.

3. კარანტინის მოქმედების პერიოდში ეპიზოოტიურ კერაში იკრძალება:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების შეყვანა, გაყვანა და გადაჯგუფება სააგენტოს ავტორიზაციის გარეშე;

ბ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ბაზრობის, გამოფენის, შეჯიბრების, აუქციონის ან სხვა თავშეყრის ღონისძიების ჩატარება;

გ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის, სისხლისა და სისხლის პროდუქტების გატანა;

დ) ლეშის, ნაკელის, ქვეშსაფენის, საკვების, ინვენტარისა და სხვა მასალის შეტანა/გატანა, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ისინი ქმნის დაავადების გავრცელების რისკს;

ე) დაავადების ამთვისებელი ცხოველების დაკვლა ან გაკვეთა სააგენტოს ავტორიზაციის გარეშე;

ვ) სადგომში უცხო პირის შესვლა;

ზ) საჭიროების გარეშე სატრანსპორტო საშუალების შესვლა.

4. ეპიზოოტიურ კერაში ხორციელდება:

ა) ყველა დაავადების ამთვისებელი ცხოველის აღწერა, იდენტიფიკაცია და რეგულარული კლინიკური გამოკვლევა;

ბ) დაავადებული და დაავადების ამთვისებელი ცხოველების განცალკევება და შესაძლებლობის შემთხვევაში,ვექტორებისგან დაცულ სადგომში მოთავსება;

გ) ვექტორების საწინააღმდეგო დამუშავება საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ინსექტიციდით, მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად;

დ) ვექტორული ხაფანგების განთავსება;

ე) ეპიზოოტოლოგიური მოკვლევა და კონტაქტური სადგომების გამოვლენა;

ვ) კლინიკური, ვირუსოლოგიური და სეროლოგიური ზედამხედველობა;

ზ) ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, ინფიცირებულ სადგომში მყოფი დაავადების ამთვისებელი ცხოველების მიმართ სააგენტოს მიერ განსაზღვრული ევთანაზიის განხორციელება, ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნების დაცვით;

თ) ლეშისა და სხვა ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის უსაფრთხო განკარგვა;

ი) სადგომის, აღჭურვილობისა და ტრანსპორტის დასუფთავება, დეზინფექცია და დეზინსექცია;

კ) საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

5. დაავადების ამთვისებელი ცხოველების მოკვლის გამონაკლისი შეიძლება დაიშვას სააგენტოს წერილობითი, ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე, თუ:

ა) დადასტურებულად ინფიცირებული დაავადების ამთვისებელი ცხოველები მოთავსებულია სააგენტოს მიერ დამტკიცებულ ვექტორებისგან დაცულ სადგომში და იქ ყოფნის პერიოდში სრულად არის უზრუნველყოფილი ვექტორული კონტროლი;

ბ) ეპიზოოტიურ კერაში მყოფი, დაავადების ამთვისებელი ცხოველები მოთავსებულია ვექტორებისგან დაცულ სადგომში და კლინიკური, ეპიზოოტოლოგიური და საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული ზედამხედველობა ადასტურებს, რომ იგი არ ქმნის ვირუსის გავრცელების რისკს;

გ) დაცულია ცხოველთა კეთილდღეობა, ყოველდღიური დაკვირვება, ვექტორული კონტროლი და სააგენტოს მიერ განსაზღვრული ნიმუშების აღების გრაფიკი.

6. ღონისძიების შეუსრულებლობის, ახალი შემთხვევის გამოვლენის ან მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში სააგენტო დაუყოვნებლივ გადახედავს მიღებულ გადაწყვეტილებას.

7. ეპიზოოტიური კერიდან ან კერაში ნებისმიერი გადაადგილება ხორციელდება სააგენტოს წერილობითი ავტორიზაციით, წინასწარგანსაზღვრული მარშრუტით, დასუფთავებული და ინსექტიციდით დამუშავებული სატრანსპორტო საშუალებით და ცხოველის ვექტორების თავდასხმისგან დაცული პირობებით.

8. ეპიზოოტიური კერის გარშემო იქმნება არანაკლებ 100 კილომეტრის რადიუსით დამცავი ზონა, სადაც ხორციელდება დაავადების გავრცელების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის განსაზღვრული კონტროლის ღონისძიებები და საზედამხედველო ზონა, რომელიც მოიცავს დამცავ ზონას და რომლის საერთო რადიუსი შეადგენს არანაკლებ 150 კილომეტრს, სადაც ხორციელდება ზედამხედველობისა და გადაადგილების კონტროლის ღონისძიებები.

9. დამცავი და საზედამხედველო ზონების საზღვრები შეიძლება გაფართოვდეს ან, ეპიდემიოლოგიურად დასაბუთებულ შემთხვევაში, ადაპტირდეს ვექტორის სახეობის, სიმრავლისა და სეზონურობის, ქარის, კლიმატის, დაავადების ამთვისებელი ცხოველების სიმჭიდროვის, გადაადგილების მარშრუტების, ბუნებრივი ბარიერებისა და ადმინისტრაციული კონტროლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მუხლი 10. ზომები დამცავ ზონაში

1. დამცავ ზონაში სააგენტო უზრუნველყოფს:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ყველა სადგომის აღწერას, გეოლოკაციასა და მონაცემების რეგულარულ განახლებას;

ბ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების კლინიკურ გამოკვლევას და რისკის შესაბამისად ნიმუშების აღებას;

გ) დაავადებაზე საეჭვო ყოველი შემთხვევის დაუყოვნებლივ ლაბორატორიულ გამოკვლევას. დაავადების შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, დროებითი შემზღუდავი და ბიოუსაფრთხოების ღონისძიებების ჩატარებას;

დ) ვექტორების ზედამხედველობას ინფიცირებულ სადგომებთან, დაავადების ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვის ადგილებში და ზონის საზღვართან;

ე) ვექტორების საწინააღმდეგოდ რეგისტრირებული ინსექტიციდების გამოყენებას;

ვ) გადაადგილების ავტორიზაციისა და დარღვევების ერთიანი რეესტრის წარმოებას;

ზ) საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას;

თ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების დაავადებისა და სიკვდილის შემთხვევების, გადაადგილების, ვიზიტორებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ შესაბამისი ჩანაწერების წარმოებას.

2. დამცავ ზონაში იკრძალება:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების სადგომიდან გაყვანა ან სადგომში შეყვანა სააგენტოს წერილობითი ავტორიზაციის გარეშე;

ბ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ბაზრობის, გამოფენის, შეჯიბრებისა და სხვა თავშეყრის ღონისძიების ჩატარება;

გ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ზონიდან გატანა სააგენტოს ავტორიზაციის გარეშე;

დ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ტრანსპორტირებისას ვექტორების მაღალი აქტივობის პერიოდში, ვექტორებისგან ტრანსპორტის დაუცველი გაჩერება;

ე) საეჭვო ან კონტაქტური სადგომიდან დაავადების გავრცელების რისკის მქონე მასალის გატანა.

3. სააგენტოს შეუძლია დაუშვას დაავადების ამთვისებელი ცხოველების გადაადგილება განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ:

ა) წარმოშობის სადგომში არ არსებობს დაავადებაზე ეჭვი;

ბ) გადასაადგილებელი ყველა დაავადების ამთვისებელი ცხოველი იდენტიფიცირებული და კლინიკურად გამოკვლეულია;

გ) ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევები;

დ) სატრანსპორტო საშუალება დასუფთავებული, დეზინფიცირებული და დამუშავებულია რეგისტრირებული ინსექტიციდით;

ე) დაავადების ამთვისებელი ცხოველები დაცულია ვექტორების თავდასხმისგან ჩატვირთვის, ტრანსპორტირებისა და გადმოტვირთვის დროს;

ვ) გადაადგილება ხორციელდება სააგენტოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით და დანიშნულების ადგილზე უზრუნველყოფილია იზოლაცია და ზედამხედველობა;

ზ) დანიშნულების ადგილის უფლებამოსილი ორგანო წინასწარ არის ინფორმირებული.

4. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო დამცავ ზონაში ქმნის გადაუდებელი ვაქცინაციის ზონას და ადგენს ვაქცინირებული დაავადების ამთვისებელი ცხოველების გადაადგილებისა და ზედამხედველობის დამატებით პირობებს.

მუხლი 11. ზომები საზედამხედველო ზონაში

1. საზედამხედველო ზონაში სააგენტო უზრუნველყოფს:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების სადგომების აღწერასა და რისკის მიხედვით მონაცემების განახლებას;

ბ) კლინიკურ ზედამხედველობასა და ნიმუშების აღებას;

გ) ვექტორულ ზედამხედველობას, განსაკუთრებით დამცავი ზონის საზღვართან, სატრანსპორტო დერეფნებსა და დაავადების ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვის ადგილებში;

დ) დაავადებაზე საეჭვო ყოველი შემთხვევის დაუყოვნებლივ ლაბორატორიულ გამოკვლევას. დაავადების შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღებამდე, დროებითი შემზღუდავი და ბიოუსაფრთხოების ღონისძიებების ჩატარებას;

ე) გადაადგილების ავტორიზაციის, ვაქცინაციისა და ზედამხედველობის მონაცემების აღრიცხვას;

ვ) საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას.

2. საზედამხედველო ზონაში იკრძალება:

ა) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ზონიდან გაყვანა ან ზონაში შეყვანა სააგენტოს წერილობითი ავტორიზაციის გარეშე;

ბ) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ბაზრობის, გამოფენის, შეჯიბრებისა და სხვა მასობრივი თავშეყრის ღონისძიების ჩატარება სააგენტოს ავტორიზაციის გარეშე;

გ) საეჭვო ან კონტაქტური სადგომიდან დაავადების ამთვისებელი ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან დაავადების გავრცელების რისკის მქონე მასალის გადაადგილება;

დ) სატრანსპორტო საშუალების გამოყენება სათანადო დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის გარეშე.

3. სააგენტოს მიერ ნებადართული გადაადგილება ხორციელდება ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობებით ან სააგენტოს მიერ დადგენილი ეკვივალენტური რისკის შემცირების პირობებით.

4. ყოველი გამონაკლისის ავტორიზაციისას ინდივიდუალურად უნდა იქნეს მითითებული წარმოშობისა და დანიშნულების სადგომი, დაავადების ამთვისებელი ცხოველის იდენტიფიკაცია, გადაადგილების მიზანი, ავტორიზაციის მოქმედების ვადა, მარშრუტი, კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმების შედეგები, ვექტორებისგან დაცვის რეჟიმი, სატრანსპორტო საშუალების დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის მოთხოვნები, დანიშნულების ადგილზე იზოლაციის პირობები და დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები.

5. თუ დამცავ ან საზედამხედველო ზონაში დაწესებული ღონისძიება ეპიდემიოლოგიური ვითარებისათვის არასაკმარისი ან არაპროპორციულია, სააგენტო უფლებამოსილია, რისკის შეფასების საფუძველზე, გამოიყენოს ეკვივალენტური ან უფრო მკაცრი დროებითი ღონისძიება და წერილობით დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

6. დამცავ და საზედამხედველო ზონებში ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებების მოქმედების მინიმალური ვადა შეადგენს 12 თვეს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული 12-თვიანი ვადის ათვლა იწყება ბოლო დადასტურებული შემთხვევის ლიკვიდაციის, შესაბამისი ლეშისა და სხვა რისკის შემცველი მასალის უსაფრთხო განკარგვის, საბოლოო დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის და სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა აუცილებელი ღონისძიებების დასრულების თარიღიდან, თუ ეპიდემიოლოგიური ვითარება ან შემდგომ გამოვლენილი შემთხვევა არ მოითხოვს ვადის თავიდან ათვლას.

8. 12-თვიანი ვადის გასვლა თავისთავად არ იწვევს დამცავ ან საზედამხედველო ზონაში დაწესებული ღონისძიებების ავტომატურ გაუქმებას. ღონისძიებები შეიძლება გაუქმდეს ან შემსუბუქდეს სააგენტოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლინიკური, ლაბორატორიული, ეპიზოოტოლოგიური და ვექტორული ზედამხედველობის შედეგები ადასტურებს, რომ AHS-ის ვირუსის შემდგომი გავრცელების რისკი კონტროლირებადია.

9. თუ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა ახალი დადასტურებული შემთხვევა, შესაბამისი ზონის ღონისძიებების მოქმედების ვადა გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი შემთხვევის გათვალისწინებით ხელახლა განისაზღვრება.

10. ადგილობრივი ზონის რეჟიმის გაუქმება არ ნიშნავს AHS-ისგან თავისუფალი საერთაშორისო სტატუსის ავტომატურ აღდგენას. საერთაშორისო სტატუსის აღდგენა ხორციელდება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 12. სადგომის დასუფთავება, დეზინფექცია და დეზინსექცია

1. სადგომის, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალების, ლეშის დროებითი შენახვის ადგილისა და სხვა დაკავშირებული ობიექტების დასუფთავება, დეზინფექცია და დეზინსექცია ხორციელდება სააგენტოს მითითებით და ზედამხედველობით.

2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) დეზინფექციის ჩატარებამდე უზრუნველყოს ორგანული მასალის მოცილება იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი გადატანა ან გავრცელება სუფთა ტერიტორიაზე;

ბ) უზრუნველყოს სადეზინფექციო საშუალების გამოყენება მწარმოებლის ინსტრუქციით განსაზღვრული კონცენტრაციის, ტემპერატურისა და საჭირო საკონტაქტო დროის დაცვით;

გ) უზრუნველყოს კარ-ფანჯრების, ღიობების, სატრანსპორტო საშუალებების, ინვენტარისა და სისხლთან კონტაქტში მყოფი მოწყობილობების სათანადო დასუფთავება/დეზინფექცია;

დ) შეამციროს ვექტორების გამრავლების ადგილები, მათ შორის, ტენიანი ორგანული მასალა, სველი ქვეშსაფენი და არასათანადოდ მართული ნაკელი;

ე) უზრუნველყოს ნაკელის, ქვეშსაფენისა და სხვა ორგანული მასალის შენახვა, დამუშავება ან განკარგვა სააგენტოს მითითებების შესაბამისად;

ვ) აწარმოოს ჩანაწერები გამოყენებული პრეპარატის დასახელების, სერიის/პარტიის ნომრის, გამოყენებული კონცენტრაციის, გამოყენების თარიღისა და დროის, დამუშავების ადგილისა და სამუშაოს შემსრულებელი პირის შესახებ.

3. ინფიცირებულ დაავადების ამთვისებელ ცხოველთან კონტაქტში მყოფი სატრანსპორტო საშუალება არ ტოვებს განსაზღვრულ ადგილს დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის დასრულებამდე, გარდა სააგენტოს მიერ განსაზღვრული კონტროლირებადი გადაადგილებისა.

4. ვექტორებისგან დაცული სადგომი უნდა აკმაყოფილებდეს სააგენტოს მიერ დამტკიცებულ მინიმალურ ტექნიკურ და საოპერაციო მოთხოვნებს, მათ შორის, კონტროლირებად შესასვლელ-გამოსასვლელს, შესაბამის ბადეებს, ვექტორულ ზედამხედველობასა და კონტროლს.

5. ლეში გადაადგილებამდე დამუშავებული უნდა იქნეს სადეზინფექციო საშუალებით და გადაიტანება დახურული, გაჟონვისგან დაცული ტრანსპორტით, დაღვრილი სისხლი და ქსოვილი გროვდება და უსაფრთხოდ ნადგურდება.

მუხლი 13. კარანტინის მოხსნა

1. დაავადებაზე დაწესებული კარანტინი იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ შესრულებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) ყველა დადასტურებული შემთხვევისა და მაღალი რისკის დაავადების ამთვისებელი ცხოველების მიმართ დასრულებულია სააგენტოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები;

ბ) დასრულებულია ლეშის, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებისა და სხვა რისკის შემცველი მასალების განკარგვა;

გ) ჩატარებულია სადგომების, აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება, დეზინფექცია და დეზინსექცია;

დ) დასრულებულია ეპიზოოტოლოგიური მოკვლევა და მაღალი რისკის მქონე კონტაქტური სადგომების გამოკვლევა;

ე) სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა დაავადების ახალი საეჭვო ან დადასტურებული შემთხვევა;

ვ) კლინიკური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური და ვექტორული ზედამხედველობის შედეგები არ მიუთითებს AHS-ის ვირუსის შემდგომ გავრცელებაზე ან გადაცემაზე;

ზ) ვაქცინაციის განხორციელების შემთხვევაში შესრულებულია ვაქცინირებული დაავადების ამთვისებელი ცხოველების ზედამხედველობისა და გადაადგილებისათვის დადგენილი პირობები.

2. სადგომში დაავადების ამთვისებელი ცხოველების ხელახალი შეყვანა დასაშვებია სააგენტოს ავტორიზაციის საფუძველზე, დასუფთავებისა და დეზინფექციის ეფექტიანობის შეფასების, ვექტორული რისკის შეფასების ან სხვა შესაბამისი ზედამხედველობის გეგმის საფუძველზე.

3. სადგომში დაავადების ამთვისებელი ცხოველების ხელახალი შეყვანის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დასუფთავებისა და დეზინფექციის საბოლოო შემოწმებას;

ბ) ვექტორის აქტივობის შეფასებას;

გ) შესაყვანი დაავადების ამთვისებელი ცხოველების წარმომავლობისა და ჯანმრთელობის სტატუსის დადგენას;

დ) ხელახალი შეყვანის წინ კლინიკურ და შესაბამის ლაბორატორიულ გამოკვლევას;

ე) დაავადების ამთვისებელი ცხოველების ეტაპობრივ ხელახალ შეყვანას;

ვ) ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ სენტინელურ ან მის ეკვივალენტურ ზედამხედველობას;

ზ) ნიმუშების აღებისა და ლაბორატორიული გამოკვლევის გრაფიკს;

თ) დადებითი ან გაურკვეველი შედეგის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

მუხლი 14. საგანგებო გეგმა

1. სააგენტო ვალდებულია შეიმუშაოს საგანგებო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის, ყველა სახის რესურსსა და ფინანსურ საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა;

ბ) რეგიონებში დაავადების ამთვისებელი ცხოველების მაღალი სიმჭიდროვის ზონები, დაავადების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის საშუალებები;

გ) ეპიზოოტიის სწრაფი და ეფექტიანი ლიკვიდაციისათვის პერსონალის შესაძლებლობა, რომ ჰქონდეს წვდომა შენობა-ნაგებობების, მოწყობილობებისა და ყველა სხვა მასალისადმი;

დ) ეპიზოოტიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების კოორდინირებულად განხორციელების შესაძლებლობა;

ე) ლაბორატორიის პერსონალის და დიაგნოსტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობისათვის სწრაფი და ეფექტიანი კამპანიის განხორციელების შესაძლებლობა;

ვ) საჭიროების შემთხვევაში ვაქცინაციის, მათ შორის, გადაუდებელი ვაქცინაციის, დეტალური გეგმების (გადაუდებელ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რეგიონები, ვაქცინაციისათვის საჭირო ვაქცინის რაოდენობა, სახეობა და სხვ.) წარმოდგენა.

2. პერსონალმა რეგულარულად უნდა გაიაროს სწავლებები ეპიზოოტოლოგიურ (ეპიდემიოლოგიურ) გამოკითხვასთან, კლინიკურ ნიშნებსა და ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული გეგმები შემდგომში შესაძლოა შესწორდეს ან შეიცვალოს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

4. საგანგებო გეგმა მტკიცდება სააგენტოს უფროსის მიერ.

მუხლი 15. კომპენსაცია

1. დაავადების ამთვისებელი ცხოველის დაავადებით სიკვდილის ან სააგენტოს გადაწყვეტილებით ცხოველის ევთანაზიის შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობისა და გადახდის საკითხს ადგენს საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ცხოველის მფლობელზე კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ადგილი აქვს ამ წესის შესაბამისად დაავადების დადასტურებულ შემთხვევას;

ბ) „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილების შესაბამისად:

ბ.ა) სადგომი რეგისტრირებულია მონაცემთა ერთიან ბაზაში;

ბ.ბ) პასუხისმგებელი პირი რეგისტრირებულია ცხოველის მფლობელად მონაცემთა ერთიან ბაზაში და ასრულებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ბ.გ) ცხოველი იდენტიფიცირებულია დაბადებიდან არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში ან ვიდრე იგი დატოვებს დაბადების ადგილს.

მუხლი 16. AHS-ზე თავისუფალი ქვეყანა ან ზონა

1. ქვეყანას ან ზონას სააგენტოს მიერ შეიძლება მიენიჭოს AHS-ზე თავისუფალი სტატუსი, როდესაც AHSV-ით დაინფიცირება მთელ ქვეყანაში ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას, გეგმური ვაქცინაცია არ ხორციელდება, ხოლო ცხენებისა და ცხენისებრთა, ასევე მათი გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ისტორიულად AHS-ზე თავისუფალია ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და დადასტურებულია, რომ ქვეყანაში ან ზონაში AHSV-ის არსებობის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს; ან

ბ) ქვეყანას ან ზონას სულ მცირე ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია AHS-ის არცერთი შემთხვევა და იგი არ ესაზღვრება დაინფიცირებულ ქვეყანას ან ზონას; ან

გ) ზედამხედველობის პროგრამამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ან ზონაში არანაკლებ ორი წლის განმავლობაში AHSV-ის არსებობის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს; ან

დ) ქვეყანას ან ზონას სულ მცირე 40 დღის განმავლობაში არ ჰქონია AHS-ის არცერთი შემთხვევა, ხოლო ზედამხედველობის პროგრამამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ან ზონაში არანაკლებ ორი წლის

განმავლობაში Culicoides-ის არსებობის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს.

2. AHS-ზე თავისუფალმა ქვეყანამ ან ზონამ, რომელიც ესაზღვრება დაინფიცირებულ ქვეყანას ან ზონას, უნდა მოიცვას ზონა, სადაც ხორციელდება კლინიკური, სეროლოგიური, ვირუსოლოგიური, ვექტორისა და სენტინელ/საკონტროლო ცხოველებზე ზედამხედველობა.

3. AHS-ზე თავისუფალი ქვეყანა ან ზონა არ დაკარგავს თავისუფალ სტატუსს დაინფიცირებული ქვეყნებიდან ან ზონებიდან სეროპოზიტიური ან ვაქცინირებული ცხენებისა და ცხენისებრთა, აგრეთვე მათი გასამრავლებელი (გენეტიკური) იმპორტის გამო, იმ პირობით, რომ ეს იმპორტი განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

4. ქვეყანა ან ზონა შეიძლება ჩაითვალოს დაავადებისგან თავისუფლად პათოგენისთვის სპეციფიკური ზედამხედველობის პროგრამის ოფიციალურად განხორციელების გარეშე, როდესაც:

ა) სულ მცირე, ბოლო 10 წლის განმავლობაში დაავადების წინააღმდეგ ვაქცინაცია არ ჩატარებულა;

ბ) სულ მცირე, ბოლო 10 წლის განმავლობაში პათოგენს შეუძლია ამთვისებელ ცხოველებში გამოიწვიოს ამოსაცნობი კლინიკური ან პათოლოგიური ნიშნები;

გ) სულ მცირე, ბოლო 25 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ამ პათოგენით გამოწვეული ინფექციის ან ინვაზიის/დასნებოვნების არცერთი შემთხვევა.

5. AHS-ზე თავისუფალი ქვეყნის ან ზონების სიაში შესატანად:

ა) ქვეყანაში უნდა არსებობდეს ცხოველთა დაავადებების შესახებ რეგულარული და დროული შეტყობინების ისტორია;

ბ) სააგენტომ უნდა წარუდგინოს დეკლარაცია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WOAH), რომელშიც მითითებული იქნება:

ბ.ა) ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი რომელი საფუძვლის მიხედვით ხდება განაცხადის წარდგენა;

ბ.ბ) რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ან ზონაში AHS-ის წინააღმდეგ გეგმური ვაქცინაცია არ ჩატარებულა;

ბ.გ) რომ ცხენებისა და ცხენისებრთა იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) სააგენტომ წარადგინოს დოკუმენტურად დადასტურებული მტკიცებულება, რომ:

გ.ა) ხორციელდება ზედამხედველობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვეყანა ისტორიულად თავისუფალია დაავადებაზე ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

გ.ბ) განხორციელებულია AHSV ინფექციის ადრეული გამოვლენის, პრევენციისა და კონტროლის მარეგულირებელი ღონისძიებები.

6. ქვეყანა სიაში შეიტანება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WOAH) მიიღებს და დააკმაყოფილებს წარდგენილ მტკიცებულებებს.

7. სიაში სტატუსის შესანარჩუნებლად საჭიროა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ბ“, „ბ.გ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციის ყოველწლიურად ხელახლა წარდგენა და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის (WOAH) შეტყობინება, კერძოდ, ოფიციალურად უნდა დადასტურდეს, რომ:

ა) ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ან ზონაში AHS-ის არცერთი აფეთქება არ

დაფიქსირებულა;

ბ) ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ან ზონაში AHSV-ით დაინფიცირების არანაირი მტკიცებულება არ გამოვლენილა. *(ამოქმედდეს 2027 წლის 1 აპრილიდან)]*